

კვირის პალიტრა

# გზა

## გაორკებული მამაკაცი —

## საყვარელი თუ მეუღლე

N27(160) 3/VII.-9/VII.2003. ფასი 60 თ.

1168  
2003

### შურისძიება ღალატის გამო — ტაქსისტთან გატარებული ღამე

### საკრებულოს ყოფილი წევრი პენსიაში ჩასხრილვს



### რაში „ჩაბრავს“ მოსკოველი მილიონერი ანჟორ კიკელიძე კახი კალაძეს



### ზალიკო ბერგერი შეიძლება „გზაზე“ გააბედნიეროს

სვ

# საქართველო



საქართველოს ეროვნული რადიო

6/19/2006



**ვინიატურაჰი**

პოლიტიკური „ვია ბრა“ ანუ „ღიმილი, ღიმილი, ღიმილი, ჩქარა!..“ 3

ერთი კითხვა 4

**რეპორტაჰი**

კახი კალაქე ჩოგბურთის თამაშს დომინოს თანხლებით სწავლობს 6

**სანიჰო-საპატარჰლო**

● ანი და ზალიკო  
 ერთმანეთს უხვდნენ 8  
 ● არჩივანი, რომელსაც  
 წინ ვერაჰინი დაუღბაჰა 9

სახალისო სტატისტიკა 11

**კრიჰინალი**

● ზამოქიბით ორივე  
 მხარე უკმაჰოშილოა 12  
 ● ხაშურის საკრებულოს  
 ყოფილი წევრი თანასოჰლეღა  
 მანქანაში ჩახსრიღა 12  
 ● „მიზხვდი, რომ ორივე კმა  
 ღაჰვჩინი... ღანა ისევ ხელში მჰკაჰვა“ 14

**გზავნიღაჰი**

„შანი შვილი ქუჩაში რომ  
 შაგხვდეს, აუციღაღლად იცნოღ...“ 16

**ტუსტი**

ერთბული მჰითხველი 17

**თეღა**

საჰვარლოზის ინსტიტუტი  
 სახეს იცვლის... 19

**შაჰჰოწმეთ თჰქანი სოღან**

ტუსტი ერუღიციღაღა 21

**ანტიღავკრესანტი**

ინჰოკრეატიულ-შაგმცნებითი  
 კოლაჰი გოჩა ღვალის  
 უბის წიგნაჰიღან 22

**საღვარღეს მღღა**

„არის სჰესიღური ტაჰსის  
 ზაჩერეღები, საღას ღზანან  
 ტაჰსი-აჰღეღები და ტაჰსი-ჰირეღი...“ 22

**წერიღი რღაჰსიღას**

„გზა“ კაღღელ  
 კოკულარულია ათჰენში...“ 26

**ფსიჰი**

„რაჰში“ ბატვლიღი შჰიღი 26

**ღეჰიოწერი**

პატარა „არწიჰი“ თურჰეთის ბავღით  
 „ოღლანღო მჰღიჰში“ ჩაჰრინღა 29

**სტუღანტური სხოვრეღა**

მხიარულიღისა და საგრიანოღისთჰვის  
 „კაჰენეჰიღები“ ზულს ითხოვან 32

**საჰვარლოზის ინსტიტუტი  
 სახეს იცვლის...**



ცოლქმრული მოღაღეღობის უკ-  
 ატიღეღეღობა, ერთი სიღყეღით –  
 „ღაღატი“ ღამოიხატიღა, მაგრამ  
 რა ჰქეღია იმ შემთხეღეღას, ღაუოჯახ-  
 ებელი წყეღიღი წღეღის ღანმღეღო-  
 ბაში ერთად რომ ცხოღრობს, ცო-  
 ლისა და ქმრის სახელს „ოფიციაღ-  
 ური საყვარღის“ სღაღუსს ამჯო-  
 ბინეღს და ამას არც მღაღავს?

19

**ბახი კალაქე ჩოგბურთის თამაშს  
 დომინოს თანხლებით სწავლობს**

ღაღაღწყეღიღე, შეღებუღებით ვი-  
 სარღებღო და ჩოგბურთის თამა-  
 ში ვისწავლო. გარღა ამისა, ეს გარ-  
 თობის მშეღენიერი საშუაღეღაა.  
 უნღა ვაღიარო, რომ ბაგონი ან-  
 ზორი ღაციღეღებით კარღად თამა-  
 შობს, ვიღრე მე.



6

**საშურის საკრებულოს ყოფილი წევრი  
 თანასოჰლეღა მანქანაში ჩახსრიღა**




„... როცა ჰღეღიღეს შეღეღითხე –  
 ენჯიბაჰე რაგომ მოკალი-მეთეი? –  
 მიჰასუხა: თაღი თეღითონ მომკეღეღ-  
 ვინა, მინღოღა, მანქანიღან ღადმომ-  
 ეყვანა და „ღამეჩმორეღინა“; უნღა  
 ეგრმნო, რომ ხაშურში მარგო ის  
 არ ნიშნავს ყვეღაღერს და სხეღებიც  
 რაღაცას წარმოაღგენღენ“.

12

**ანი და ზალიკო  
 ერთმანეთს უხვდნენ**

ზალიკო მის სახელღე შემოსულ  
 ფოსღას ღაეღცნო, ერთ-ერთი გოგ-  
 ონას წერიღს თითი ღააღო და  
 თქეღა: აი, ამის ავგოღრს შეღხვღეღ-  
 ბიო. ჰირეღეღად მას მე ღაღეღკაღე-  
 შირღი. ანი და ზალიკო ერთმანეთს  
 ერთ-ერთ ბარში შეღხვღენენ, ზალი-  
 კო აღღაცეღებას ვერ ფარაღღა.



8

<b>ტაქარი</b>	
ავალმყოფობა – უფლის მიერ აღამიანებაზე დაშვებული გამოსცა	34
<b>სასარგებლო აზრები</b>	
აფორიზმების ენციკლოპედია	35
<b>პარაკლავი</b>	
რასიონალურმა კორტინი კოქსმა რომანტიკოსი მეუღლის მეურვეობა აირჩია	36
<b>საფუძვრით მინდვრებზე</b>	
დიდი ფახურთი დიდი ტრაგედიებით	38
<b>სოციალური მოზაიკა</b>	41
<b>რომანი</b>	
რუსულან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მონკოვი-თბილისი (ბაბრქელაბა)	42
<b>სიყვარულის ანგარი</b>	
პირველივენიერი გაფო: დიდებული სულთნის ჰარამხანაში მეურვენილი სამოთხის ჩიტი	46
<b>ავტო</b>	48
<b>მედიკინა</b>	
პატარა საღებრის ასწლიანი „იუბილე“	50
<b>ბოლონი</b>	52
<b>საქონლური ქალაქისთვის</b>	54
<b>ჯანმრთელობა</b>	
• როგორ შევარჩიოთ მასობრივადი წყალი	56
• რა არ ვიცი სიგარეტის შესახებ	57
• ხელოვნური ბანათების ბუნებრივი კანონები	58
<b>სხვადასხვა სახეობა</b>	
ბერძნული ნაბაგი – „ჩემიონი“ აღამიანის ოთხფეხა მებრძობებს შორის	59
<b>იუმორი</b>	60
<b>საწარმო</b>	61
<b>ჰოროსკოპი</b>	
კვირის (7-13 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი	62
<b>ტენისი ქალაქისთვის</b>	
როგორია თქვენი მეორე ნახევარი მეუღლის და მამის ამჟღავნებ?	63
<b>ქალაქისთვის</b>	
ჩრდილ-ჩრდილი ამბავი	64

**ბარბანაზა: ბიორგი შორქოლიანის კოლაში**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში მუშაობის განხორციელების მიზნით „კვირის პალიტრის“ დამატება

უზრუნველყოფის მიზნით მუშაობის განხორციელების მიზნით „კვირის პალიტრის“ დამატება

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8  
ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com  
უზრუნველყოფის მიზნით მუშაობის განხორციელების მიზნით „კვირის პალიტრის“ დამატება

# „გზა“ კალხოდ კოკულარულია ათენში...



ყველაზე მიუთმენლად კი, საქართველოდან ჩამოსულ ავტობუსებს ვეღვი. მძღოლებს ჟურნალ-გაზეთები ჩამოაქვთ და „აქაური“ ქართველები ვყიდულობთ. ეგაა, რომ საკმარისი არ ჩამოდის და მართლაც ხელიდან ხელში გადადის. უღრმესი მადლობა მინდა გითხრა...

26

# მხიარულებისა და საზიაროებისთვის „კვირის პალიტრა“ ფულს ითხოვენ

ძველი თაობის ადგილი ახალმა დაიკავა და, კვლავ უნივერსიტეტის ბაზაზე, ახალი გუნდი „თსუ“-ს ჩამოყალიბდა. გუნდი თექვსმეტი წევრისგან შედგება, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის არხის. თავისი წინამორბედის მსგავსად, ისიც წარმატებით ასპარეზობს.



32

# რასიონალურმა კორტინი კოქსმა რომანტიკოსი მეუღლის მეურვეობა აირჩია



მან მეუღლეს საქორწილო კონტრაქტის დადებაც კი შესთავაზა, რაზეც დევიდი არ შეჰკამათებია. საქორწილო ბუჭდის შიგა მხრიდან ასეთი წარწერა გააკეთა: „გარიგება გარიგებაა“. როგორც გინდათ, ისე გაიგეთ...

36

# დაგვიანებული რეისი მოხუცი-თბილისი

კარგი ერთი, რა მოგივიდა?! – შეუძახა დიამი. – ეგრე დედაჩემის და გიგოლას ამბავი მგონი, მეც არ განმიცდია... როგორ გეცყოფა, რომ შინაგანად ჯერ ძალიან სუფთა და გამოუცდელი ხარ...  
– კი. გამოცდილება მართლაც ძალიან მაკლია, – ამოიხარა დეამ.




42

# პოლიციური „ვია გრას“ ანუ „ლიმლო, ლიმლო, ლიმლო, ჩქარას!..“



ამას წინათ, ყური რომ მოვკარი და გაზეთებშიც ამოვიკითხე, თბილისში დაბომბვაა მოსალოდნელიო, ლამის გული გამისკდა — რუსეთმა პანკისი და კოდორი აღარ იკმარა და ახლა თბილისი ამოიღო მიზანში-მეთქი, მაგრამ ჩემი შიში არ გამართლდა, რადგან ამჯერად „სექს-ბომბების“ ცვენაზე ყოფილა ლაპარაკი. „სექს-ბომბებს“ და სამხედრო ბომბებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა: „სექს-ბომბა“ არც ფეთქდება და არც „ასკოლკებს“ ისვრის და საერთოდ, მათი მოხმარების პრინციპი და ეფექტიც აბსოლუტურად განსხვავებულია. რა ჯობია ისეთ „ბომბას“, გრძელ ფეხებზე რომ დგას, ხელში მიკროფონი უჭირავს და ისე დაუფარავად გიტრიალებს თვალწინ სხეულის დასაფარავ ნაწილებს, რომ შეიძლება, დაგაელამოს კიდეც.

ასე რომ, საგულდაგულოდ მოვეშხადე და აეროპორტში დავხვდი იმ „ბომბდამშენს“, რომელსაც უკრაინული ჯგუფის „ვია გრას“ „ბომბები“ უნდა ჩამოეყვანა თბილისში. მართალია, ზღვა ხალხი ირეოდა და სადღაც კუთხეში მივიკუჭე, რომ შორიდან მაინც მომეკრა თვალი ეს-ოღენ ცნობილი ვარსკვლავებისათვის, მაგრამ მაინც შემამჩნიეს იმ ჩემი ცოდვით სავსე მომღერლებმა და ისე გამოექანენ ჩემკენ, რომ „სამკუბამეტრიან“



„ტელოსრანიტელებს“ სულ თავზე ახტებოდნენ. გაგიჟდნენ სისარულით: **Дорогой Провокатор Интриганович, как поживаете-**ო და იმდენი მკოცნეს, რომ ოთხი „კრუგი“ დავარტყი სარეცხ მანქანაში, პომადები რომ მომეშორებინა...

ოჰ, ეს ჟურნალისტები! ჩემი ნება რომ იყოს, პირზე სკოჩს ავაკრავდი სუყველას და წერასაც ავუკრძალავდი... იმ სამი გოგოდან ორი მეც ვიცანი. ერთი ენუკოვოს აეროპორტში ნაყინს ყიღდა მგონი, მეორე კი ჯარში მსახურობდა ჩემთან ერთად. ამიტომ მეც გამიკვირდა, ამათ „ვია გრასში“ რა უნდათ-მეთქი, მაგრამ კი არ „გამიბაზრებია ეგ პონტი“... ჟურნალისტებმა კი მოხსნეს პირი და ინტერნეტ-საიტებზე გასული სახეები რომ ვერ შეიცნეს, სამი გოგოდან ორი სხვა არისო — ენები დაიღალეს.

... რა ჩვენი საქმეა? მთავარია, რომ სახელი გაამართლეს იმ გოგონებმა და მშვენიერი „ვიავრა“ მიაღებინეს ვიაგრადაჭირვებულ მამაკაც მაყურებლებს.

ამასობაში ერთი პროვოკატორული იდეა მომიმწიფდა და სანამ ეს სიმწიფე „სიღამულეში“ გადავა, მიხდა მორიგი რჩევა მივცე ჩვენს პოლიტიკოსებს, მართლაც რომ ესაჭიროებათ „პოლიტიკური ვიაგრა“ წინასაარჩევნოდ პრესტიჟის ასამაღლებლად: ასეთი რამეები კარგად ჭრის მოსახლეობაში და კარგი იქნება, თუ საარჩევნო კამპანიას ისეთი მომღერლებით გაამდიდრებენ, მათ მოღვაწეობას რომ გაამართლებს. მაგალითად:

ბატონი რჩეულიშვილი თვითონაც აღიარებს — ამ მკერდში ორი გული დევს, ერთი საქართველოსთვის ფეთქავს, მეორე კი რუსეთისთვის ძგერსო... ჰოდა, თბილისში ალა პუგაჩოვა რომ ჩამოიყვანოს და **Жизнь не возможно повернуть назад** ამღეროს, ხმების მოკრება გაუჭირდება?

რაც შეეხება ჩვენი საკრებულოს თავმჯდომარეს (გვარს არ

დავასახელებ), ცხრასართულიან კორპუსებს ახტება ულიფტოდ და 7-პროცენტან ბარიერს ვერ გადაახტება? დღენიდაც გაიძახის, მთელი დღეები სასურავზე ვარ და „კრიმას“ ვარემონტებო. ასეთმა კაცმა ლამის ვაკულებ რომ მოიწვიოს სიმღერით: **Скрипач на крыше**, მეტი წარმატებული საარჩევნო კამპანია რაღა უნდა?..

მეორე „ნაციონალისტიც“ ავიღოთ — კობა დავითაშვილი, ფეხდაფეხ რომ მოიარა რაიონები — ზოგან „ვაბში“ არ შეუშვეს, ზოგან კი კვერცხებიც დაუშინეს... მოჰკიდოს ხელი ერთ „მე-შოკ“ შაქარს (ეგ მაინც მოდის აგარაში „ნასი პად“), კვერცხებს ისედაც ახელენ ტანზე და გოგლი-მოგლი მაინც გამოვა. მერეღა, ჯგუფიც რომ გვყავს „გოგლი-მოგლი“? ჰოდა, ავიმა რომ გაიკვრება: „კობა დავითაშვილი საკუთარი შაქრით, კვერცხებით და „გოგლი-მოგლით“, რომელი რაიონის დამშეული მოსახლეობა არ მისცემს ხმას?..

ამ ბოლო დროს იაპონური ტენდენციაც გაჩნდა თბილისურ დეფილდებზე: სხეულ-მონატული მიშველი მოდელების პოდიუმი. აი, რა სჭირდებათ „ფართიანებულ დემოკრატებს“ საკუთარი პატიოსნების დასამტკიცებლად! უნდა მოაწყონ ასეთი დეფილე დევიზით: „ჩვენი საქმიანობა გამჭვირვალეა და დასამაღლიც არაფერი გვაქვს“. მოდელები, რა თქმა უნდა, თავად პარტიის წევრები იქნებიან...

მართალია, ტოპ-მოდელობას სიარულის მანერებიც განსაკუთრებული უნდა, რითიც ბევრი ჩვენი პოლიტიკოსი ვერ იამაყებს, მაგრამ „ზატო“ რა ღიმილი აქვთ? მაგალითად, გიორგი ბარამიძე ანდა შალვა ნათელაშვილი ავიღოთ. მომენტალურად მათი ღიმილის მონა ხლები და სვალინდელი ბენიერი საქართველოსი გვერა.

თუნდაც იგივე ბატონი სააკაშვილი წარმოვიდგინოთ პოდიუმზე მონარნარე, ხუთჯვრიანი დრომით ხელში, რამდენ მოდელს დაუვსებს თვალს?... ან კიდევ დეფილე სახელწოდებით „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ — არ გვყავს ბატონი გოგი ნამდვილი „თოფ“-მოდელი თუ რა?..

ასე რომ, ნიჭიერ ხალხს საქართველოში რა გამოლევს?! მთავარია, სწორი მიმართულება მისცე ამ ნიჭს. ჰოდა, მონიღომეთ, ბატონებო... თქვენ თუ ვერ ფიქრობთ, მე მკითხეთ და თითო კარგი კონცერტი ან დეფილე მაინც დაამახსოვრეთ ამ ხალხს უფასოდ. მართალია, ვერაფერი გადაარწმუნებთ, მაგრამ ტაშს მაინც ზომ დაუკრავენ?

- P.S. ორი ქალი საუბრობს:  
— ვის მიეცი ხმა?  
— იმას, კარგი ღიმილი რომ აქვს.  
— ღიმილით გადაწყვიტე ქვეყნის მომავალი?  
— ე, მისი ღიმილი ჩემი ცხონებული ქმრისას მაგონებს. ის რომ გამიღიმებდა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი...

**პროვოკატორი**

# „მხედრონელი“ ფაშისტურ, რევანშისტულ და კოკულისტურ კლასთან პრეპარატივად

— გაგრძელდა ინფორმაცია, რომ მაქსიმალური დეპუტატად აპირებთ კენჭისყრას და კიდევ — თქვენ თქვით, რომ ავტომატის კოლონიდან ერთი კვირის წინ გაქცეული პატიმრები „მხედრონელები“ არ არიან. აბა, ვის აძლევს ხელს „მხედრონელებად“ მათი „მონათვლა“?

**ლოლო გუგუშვილი**, „მხედრონის“ წევრი:

— კენჭს ნამდვილად ვიყრი მაქსიმალური დეპუტატად ონის რაიონში. მარტო მე კი არა, „მხედრონის“ სხვა წევრებსაც აქვთ სერიოზული შეთავაზებები სხვადასხვა პოლიტიკური პარტიიდან. თუმცა, ეს არც იმას ნიშნავს, რომ „მხედრონი“ იშლება და არც იმას, რომ გავერთიანდებით ფაშისტურ, რევანშისტულ და პოპულისტურ ძალებთან, რომლებიც თავს ოპოზიციად ასალებენ. წლების წინ, ჯაბა იოსელიანის საქმეს სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ახლანდელი შევი — გიგლა აგულაშვილი იძიებდა. ახლა თქვენ გააკეთეთ დასკვნა: რატომ სურს მავანსა და მავანს, რომ გაქცეული პატიმრები — გელაშვილებს ვგულისხმობ — „მხედრონელებად“ „მონათლონ“! აგულაშვილს ინფორმაციის გადამოწმებაც კი დაეზარა ან უბრალოდ, არ მოისურვა, თორემ დაადგენდა, რომ გაქცეული გელაშვილებიდან ერთი — გვარდიის ახალციხის ნაწილის წევრია, მეორე — ბორჯომის ნაწილის წევრი. ისინი ნაომარი ბიჭები არიან, მაგრამ — არა „მხედრონელები“. ასეთი ჭორით კი, აგულაშვილი „მხედრონის“ წინააღმდეგ წლების წინ დაწვეულ მართონს აგრობებს!..



# „სიღარიბის დაკლვის პროგრამის გადასაჭრელად 140 მილიონი დოლარი შეიკრება“

— რატომ დაინუნეთ მთავრობის მიერ ახლახან ხელმოწერილი, სიღარიბის დაძლევის პროგრამა და რატომ გგონიათ, რომ ეს პროგრამა ქვეყანას, გაძლიერების ნაცვლად, უარესად გააღარიბებს?

**ლევან მებრძოლი**, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:

— ჯერ ერთი, კარგი პროგრამის შემუშავებას კარგი მთავრობა სჭირდება. ასეთი ცუდი მთავრობა კი, კარგ პროგრამას ვერ შექმნის! სიღარიბის დაძლევის პროგრამა იმ სახით, როგორსაც პრეზიდენტმა მოაწერა ხელი, ფაქტობრივად, საქართველოს სოციალურად დაუცველ ფენებს ჯანმრთელობის დაცვის უფლებას ართმევს! დღეს ყველაზე იაფი ქირურგიული ოპერაციის ფასიც კი, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ

მყოფი ადამიანების მატერიალურ შესაძლებლობას 7-ჯერ აღემატება. ეს პროგრამა კი, მკურნალობის საფასურზე პაციენტის წილის გაზრდას ითვალისწინებს; გარდა ამისა, სამედიცინო დაწესებულებების გაყიდვასაც გულისხმობს. პროგრამას არ ახლავს ფინანსური გეგმა და მის მთლიან ღირებულებაზე არც არავინ საუბრობს. გვაქვს ინფორმაცია, რომ პროგრამის განსახორციელებლად, ღონორებისგან 140 მილიონი დოლარი უნდა შემოვიდეს. თუ ასეა, იქნებ, ღონორებმა კარგად იანგარიშონ პროგრამის ხარჯები და მერე მიიღონ გადაწყვეტილება?! ამ პროგრამის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ორი წლის წინ გამოვედი, რამაც მაშინ შედეგი გამოიღო და მთავრობამ პროგრამის ასახალი ვარიანტი შეიმუშავა... ■

# „ჩვენ გვინდა, შევხვალთ ქვეყანაში პოლიტიკური თაბაშის წმენდას“

— „ტრადიციონალისტებმა“ ვერ მიაღწიეთ თქვენ მიერ შეთავაზებული, საკონსტიტუციო ცვლილებების შეტანას. ისინი არც პრეზიდენტმა მოინონა. მაინც რას ითხოვდით ასეთს და შესაძლებელი იქნება თუ არა, რომ ისინი ახლანდელმა პარლამენტმა მიიღოს?

**ალექო შალაგზირიძე**, პარლამენტარი:

— ჩვენ უკვე მესამედ შევიტანეთ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებები და რეგიონული მოწყობის პროექტი. გვინდა, ქვეყანაში საკონსტიტუციო რეფორმა მოხდეს, კერძოდ — შევარდნაძის სისტემის დემონტაჟი, რადგან მთლიანად ერთი კაცის ხელშია თავმოყრილი უზარმაზარი ძალაუფლება. ჩვენ პრეზიდენტის ხელისუფლების შეზღუდვასა და აღმასრულებელ და აღდგომრივ ხელისუფლებაზე მის გადანაწილებას მოვითხოვთ. დღესდღეობით, ადამიანები უუფლებო ბონი არიან, პრეზიდენტს კი, გაუსაზღვრელი უფლებები აქვს. მიუხედავად პრეზიდენტის არაერთი პოლიტიკური შეცდომისა, მოსახლეობას მისი გადაცენება არ შეუძლია. გვინდა, ეს ინიციატივა დავასრულოთ. ხელისუფლების ხშირი ცვლით, ■

ისეთი მთავრობის ჩამოყალიბებას მივალწევთ, რომელიც საერთო ინტერესების განხორციელებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება იმას, აქვს თუ არა გასვლის შანსი ამ ინიციატივას — ჯერ ერთი, პარლამენტს ძალიან ცოტა დრო დარჩა, მეორე — პრეზიდენტმა უკვე უარი გვითხრა. ეს მოსალოდნელიც იყო: მისთვის ხომ ძალიან ძნელია, თავის უფლებებზე უარის თქმა. არადა, ისტორიაში ყოფილა ხელისუფლების მხრიდან საკუთარი უფლებების შეზღუდვის ფაქტები. მაგრამ რაკი პრეზიდენტს ამის საჭიროება არ ესმის, მაშინ პარლამენტმა დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს საკუთარი ბედი! ამ ქვეყანაში ძალზედ ბევრი დანაშაულია ჩადენილი. და თუ დღესვე არ მივალწევთ საკონსტიტუციო ცვლილებების შეტანას, შევარდნაძის წასვლის შემდეგ, მივიღებთ მეორე შევარდნაძეს და კვლავ არაფერი შეიცვლება. ჩვენ გვინდა შევცვალოთ ქვეყანაში პოლიტიკური თაბაშის წესები. თუ ეს ცვლილებები არ მოხდება, მაშინ ეს მიზანი ოპოზიციის წინასაარჩევნო პროგრამის საფუძველი უნდა გახდეს, რათა უმრავლესობაში მოსვლისთანავე, მომენტალურად განახორციელოს საკონსტიტუციო ცვლილებები. ■

## მერაბ სოფაშვილი ნიუ-იორკში, „მილენიუმს თიატრში“ იღვრება

— როგორც შევითქვით, მერაბ სოფაშვილთან ერთად ამერიკაში მიემგზავრებით. რამდენ ხანს იქნებით ამერიკაში და ვისი მიწვევით?


**მანია დათუნაშვილი,** კომპანია „არტ-იმედის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:

— 4 ივლისს, ამერიკა დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს. ეს ძალიან დიდი დღესასწაულია ქვეყნის მოსახლეობისთვის. ამ ფაქტთან დაკავშირებით, ამერიკულმა მხარემ და სალამოს ორგანიზატორებმა, რომლებიც ქართვე-

ლები არიან, გადაწყვიტეს მერაბის სოლო კონცერტის გამართვა 4 ივლისს — ნიუ-იორკში, „მილენიუმის თეატრში“. კონცერტი 2-3 საათი გაგრძელდება. მერაბის რეპერტუარში ძირითადად, ქართული და რუსული სიმღერებია. აქედან გამომდინარე, სალამოს, უფრო მეტად რუსი და ქართველი მსმენელები დაესწრებიან. ამ კონცერტის მომზადება საკმაოდ დიდხანს მიმდინარეობდა და იმედია, ყველაფერი წარმატებით დამთავრდება. თბილისში კი, 10 ივლისისთვის დაგებრუნდებით.

## „ამ ეტაპზე, გარკვევა ბიუჯეტში 100 მილიონადა აღწავს“

— ის ინფორმაცია, რომ სავალუტო ფონდი საქართველოს ტოვებს, მცდარი აღმოჩნდა. მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ ფონდის მისიასთან საქართველოს მთავრობის მოლაპარაკებები საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა. თქვენი პროგნოზით, რა დასკვნას გამოიტანს სავალუტო ფონდის მისია და გააგრძელებს თუ არა პროგრამას?



**რომან მოციროძე,** პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი:

— სავალუტო ფონდის მიერ მარტში დატოვებული მემორანდუმის მოთხოვნების ნაწილი უკვე შესრულდა. სხვათა შორის, სავალუტო ფონდის ბოლოდროინდელი მოთხოვნები ძალზედ ელემენტარულია; უპირველესად, ეს არის დაბალანსებული ბიუჯეტი: იმდენი ხარჯი უნდა იყოს, რამდენიც შემოსავალია, ეს კი ვერ ხერხდება. წლებულსაც, მთავრობას დაახლოებით 40 მილიონი ლარი საპენსიო და 50 მილიონი სახელფასო დავალიანებები დაუგროვდა. ამ ეტაპზე, გარღვევა ბიუ-

ჯეტში 100 მილიონამდე აღწევს. სავალუტო ფონდი 113 მილიონის ხარჯების სექტორს მოითხოვს; გარდა ამისა, იმ საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის შემოწმებას მოითხოვს, რომელშიც სახელმწიფოს აქვს წილი ან არაფერს იხდიან ბიუჯეტში. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიხვდა, რომ რეალურად, დანაკლისი ბიუჯეტში უფრო დიდია, ვიდრე ქალაქზე. ვფიქრობ, ამ ეტაპზე, ფონდი პროგრამას არ გააგრძელებს და თუ პარიზის კლუბი რეკომენდაციას არ გაგვიწევს, არ ვიცი, რა გეშეველება. ვვულისხმობ რუსეთის, ყაზახეთის, თურქმენეთის და სხვა საგარეო ვალებს, რომელსაც თუ არ გადავივიადებენ, 2004 წელს უნდა დაფაროთ... სავალუტო ფონდის დასკვნაზე დამოკიდებული აგრეთვე მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობაც — ე.ი. შეიძლება დაკარგოთ ის კრედიტები, რომელსაც ძალზედ შეღავათიანი პირობებით — 30 წლის ვადით 0,7%-ად გვაძლევენ...

## „ოპოზიციან ვერ გაერთიანდება ვილახის საგარეო გულისთვის“



— თქვენ განაცხადეთ, რომ სექტემბერში აპირებთ კომუნიკეს გამოქვეყნებას, სადაც საუბარი იქნება შევარდნაძის გადადგომაზე. ამასთან, მინიშნება გააკეთეთ იმაზე, რომ „ალორძინება“ ხელისუფლების რეალური ოპოზიციანია. ამ ნიციბატივით იმას ხომ არ ისახავთ მიზნად, რომ წარმოაჩინოთ, თუ ვინაა რეალური ოპოზიციანია და ვინ — ფსევდოოპოზიციანია, რაც იმით გახდება ნათელი, აარიდებს თუ არა თავს კომუნიკეზე ხელმოწერას?

**სანდრო პრეზაძე,** პარლამენტარი:

— ოპოზიციანია ბოლოს და ბოლოს, ერთი იდეის გარშემო უნდა გაერთიანდეს: გაერთიანებული ოპოზიციანია, იმედია, ხელს მოაწერს ამ დოკუმენტს და ახალარჩეული პარლამენტის პირველივე სესიაზე დაისმება ეს საკითხი. ყველა იურიდიული საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ პარლამენტში დაიწყო შევარდნაძის გადაყენებისთვის საჭირო, საიმპიჩმენტო პროცედურა. შედგება ეს კომუნიკე, დაიდება სახალხოდ და ვინც მას მოაწერს ხელს, ის საზოგადოების თვალში აღიქმება, როგორც ჭეშმარიტი ოპოზიციანია. მაგრამ ვინც არ მოაწერს ხელს, ასეთი პოლიტიკური ძალა აღარ აღიქმება ოპოზიციანად! ოპოზიციან ვერ გაერთიანდება ვილახის სავარძლის გულისთვის. ჩვენ უნდა გავერთიანდეთ ამ იდეის გარშემო, რაც შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების დამარცხების საწინდარი იქნება!



# ჯანი ჯანაი რეპორტი თამაშის რეჟისორის ტენისით სწავლას

თუმცა ჩვენი ახალგაზრდა, პოპულარობით განებივრებული თანამემამულეები სშირად ირწმუნებიან, რომ თავისუფალ დროს სპორტის სხვადასხვა სახეობით არიან გატაცებული, „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონზე ვერც ერთი მათგანი ვერ აღმოვაჩინეთ. აქაურმა მწვრთნელებმაც დაგვიდასტურეს, რომ ცნობილი ახალგაზრდები სპორტის ამ სახეობას ნაკლებად წყალობენ და კორტების სტუმართა შორის მხოლოდ და მხოლოდ ცნობილ ფეხბურთელს, კახი კლაძეს ასახელებენ. როგორც გვითხრეს, დროდადრო, კორტებს მომღერალი თემურ რცხილაძე და მსახიობი გივი სინარულიძე სტუმრობენ, ხოლო ერთგულ, მოყვარულ ვეტერანებად მედიკოსები და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ითვლებიან...

უტატები, ყოფილი რაიკომის მდივნები, ასე რომ, თუ ვინმე ყოფილი პოლიტიკური ფიგურა დაგაინტერესებთ, მობრძანდით.

— **ძირითადად, რაზე საუბრობთ ხოლმე, თუ საიდუმლო არ არის?**

— მეუღლეებზე... და ოჯახზე.  
**გელა მუსხაშვილი:**

— 1978 წლიდან სისტემატურად დავდივარ ამ კორტებზე. დიდი სიამოვნებაა ჩემთვის აქ სიარული, ვინაიდან ჩოგბურთი დახარჯული ენერჯის აღდგენაში მეხმარება. უკვე 65 წლის გახლავართ და ცხოვრების გავლას ასე აქტიურად ვაპირებ. მიმაჩნია, რომ თუ ფიზიკურად არ ხარ ძლიერი, ვერც სულიერი სიძლიერით იქნები დაჯილდოებული. შეიძლება, შეყვარებული გყავდეს, რომელიც მერვე სართულზე ცხოვრობს. ლიფტი თუ არ მუშაობს, ფეხით ასვლა ხომ უნდა შეეძლოს?!

— **კორტების გარდა, სად შეიძლება კიდევ შეგხვდეთ უქმეებში?**

— საცურაო აუზზე, ტყეში სეირნობისას, კუს ტბაზე, მაგრამ ძირითადად, მაინც აქ შემიძლია მორალურად დავისვენო.

— **თქვენს ღირსეულ მეტოქეებად საჩოგბურთო მოედანზე ვის დასახელებთ?**

— თამაზ გამყრელიძეს, რომლის პარლამენტარობასაც ნაკლებად ვაქცევ ყურადღებას; დათო გოცაძეს, გივი თალაკვაძეს, მურმან შელიას, გენერალ ჯანაშიას და ა.შ. მოგება და წაგება ჩვენ ნაკლებად გვაინტერესებს — მთავარია, ერთმანეთს ვასიამოვნოთ და უქმეები ლამაზად გავატაროთ.

*აგული სოხაძისა და გელა მუხაშვილის მეზობლად, ჩოგბურთის ანბანს, ცნობილი მოსკოველი ბიზნესმენი ანზორ კიკალიშვილი ითვისებდა.*

— **ბატონო ანზორ, დიდი ხანია, რაც თბილისში ჩამობრძანდით?**

— ჩემი მშობლების საფლავების მოსანახულებლად ჩამოვედი. ისინი ამას ნამდვილად იმსახურებენ, ვინაიდან გამაჩინეს, გამზარდეს და ადამიანად ჩამომავალიბეს. ახლობლებისა და ნათესავების მონახულება ჩვენი ტრადიციაა და არ ვღალატობ ამ ტრადიციას.

— **ვხედავ, ჩოგბურთის თამაშს მხოლოდ ახლა სწავლობთ. ადვილად ითვისებთ?**

— ჩოგბურთის თამაშს ახლა ვსწავლობ, მაგრამ დიდი ხანია, რაც ისეთ ცნობილ ჩოგბურთელებს ვიცი, როგორებიც თემურ კაკულია და ალექსანდრე მეტრეველი არიან. რომ არ შეგაშინოთ, არ გაგმხელთ, რამდენი წელია ვმეგობრობთ —

ვისაც მხოლოდ დომინოს თამაში აინტერესებს, კორტებზე სათანადო ადგილს მიეუჩინთ ხოლმე...



## გელა მუსხაშვილი

მთელი ეს ინტელექტუალური საზოგადოება ერთ საჩოგბურთო მოედანზე იყო თავმოყრილი და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას, დროდადრო, დომინოს თამაშითაც ცდილობდა. ცნობილი მომღერლის, ირმა სოხაძის მამას, აკადემიკოს აგული სოხაძეს, სწორედ დომინოს თამაშის დროს, ერთ-ერთ თალარში მივაგენით.

### აგული სოხაძე:

— უკვე 25-30 წელია, რაც ყოველ შაბათსა და კვირას აქ ვატარებ. თუ სიმართლე გინდათ, ჩოგბურთს საკმაოდ კარგად ვთამაშობ. ისე, აქ ყველა მაღალი დონის მოთამაშეა, ამიტომ მოგებაც მხოლოდ განწყობაზეა დამოკიდებული. უნდა გამოვიტყდეთ, რომ დომინოსაც ისევე სშირად ვთამაშობთ, როგორც ჩოგბურთს და თანაც დიდი სიამოვნებით.

— **თქვენს ქალიშვილთან თუ თამაშობთ ხოლმე ჩოგბურთს?**

— ღმერთმა მხოლოდ მე დამაჯილ-

დოვა ყველაფრის ნიჭით, ჩემმა ქალიშვილმა კი, მარტო სიმღერა იცის (იცინის)... ირმას ცურვა უყვარს, ამიტომ თავისუფალ დროს, აუზზე დადის და ფორმასაც ამით ინარჩუნებს.

— **ვხედავ, დომინოში გიმართლებთ. კორტებზეც სშირად იმარჯვებთ?**

— დღეს, მაგალითად, ცნობილი ქირურგი დათო გოცაძე ვძლიე ისე, როგორ საჭირო იყო; გუშინ კი, მე და კიდევ ერთმა ცნობილმა ქირურგმა, გელა მუსხაშვილმა ისეთ პიროვნებებს მოუვუეთ, რომ ამისთვის სახელის შერჩევაც კი მიჭირს (იცინის). მეტსაც გეტყვით, აქ ისეთი კატეგორიის ადამიანები დადიან, რომლებსაც მხოლოდ დომინოს თამაში აინტერესებთ და მათ კორტებზე სათანადო ადგილს მიეუჩინთ ხოლმე...

— **რაღაც, პოლიტიკოსებს ვერ ვხედავ თქვენ გვერდით...**

— პარლამენტარებიც დადიან, მაგრამ იმდენი ნამინისტრალი გვყავს, რომ ჩამოთვლაც გამიჭირდება. გვყავს ყოფილი დეპ-



გელა მუხამავერია: უკვე 65 წლის გახლავართ და ცხოვრების გაულას ასე აქტიურად ვაპირებ



ანზორ კიკალიშვილი: თუ გინდა, ამ სახეობაში სრულყოფილებას მიაღწიო, ხუთი წლის ასაკიდან უნდა დაიწყო თამაში

გეტყვიო მხოლოდ, რომ უკვე რამდენიმე ათეულ წელს ითვლის.

**— ყოველთვის ასე აქტიურად ისვენებთ?**

— რა თქმა უნდა, და ეს მენმარება იმაში, რომ ცხოვრების მატარებელს არ ჩამოვრჩე. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ბიზნესმენები არასოდეს ვისვენებთ: მაშინ, როდესაც ჩვენთან დღეა, ამერიკაში დაძა და რადგან ჩვენ ამ ქვეყანასთან მუდმივი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სხვადასხვაგვარი კავშირი გვაქვს, ტვინი მუდმივად აქტიურად მუშაობს. როგორც ყველას, მეც ძალიან მიყვარს ფეხბურთი. ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ მხოლოდ ახლა დავიწყე ჩოგბურთის სწავლა. ტექნიკური თვალსაზრისით, საკმაოდ რთული სპორტია და ვფიქრობ, რომ თუ გინდა, ამ სახეობაში სრულყოფილებას მიაღწიო, ხუთი წლის ასაკიდან უნდა დაიწყო თამაში. მე მხოლოდ და მხოლოდ მოყვარული ვარ და ვცდილობ, აქტიურად ვიმოძრაო კორტზე, ვინაიდან მთელი ჩვენი ცხოვრება მოძრაობაა.

**— ვინ იყო ეს პატარა ბიჭი, რომელიც მოედანზე მეტოქეობას გინვედათ?**

— ეს არის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ნიკუშა ქურდაძე და მინდა ვითხრაო, რომ ამ ბიჭებს, ვისაც თქვენ დღეს აქ ხედავთ, საკმაოდ დიდი მომავალი აქვთ.

**— საინტერესოა — თქვენ, დიდი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ადამიანმა, ჩოგბურთის სწავლა ამ საკმაოდ მოძველებულ მოედანზე რატომ გადაწყვიტეთ?**

— შეიძლება, ეს კორტები ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით საკმაოდ მოძველებულია, მაგრამ ქართული ჩოგბურთის სკოლა მაინც უძლიერესი იყო და მე მწამს, რომ

ისეთი ადამიანების წყალობით, როგორც ჩემი მასწავლებელი, ბატონი გია ელერდაშვილი გახლავთ, ახალგაზრდები ამ სკოლას კვლავ ააღორძინებენ. ახლა გავიგე, რომ ლეილა მესხი დილოში აშენებს კორტებს, ბადრი პატარკაციშვილი კი — ორთაჭალაში და ეს რაოდენობა სულ მალე ხარისხს მოგვცემს. კი, ბატონო, შეგვიძლია ათობით და თუნდაც ასობით მილიონი დავხარჯოთ და გოლფის მოედანიც ავაშენოთ საქართველოში, მაგრამ ამის იქით ვერ წავალთ, ვინაიდან არ გავგანჩნია მწვრთნელთა კადრები, გამოცდილება, სკოლა. ჩოგბურთი კი, სულ სხვა რამეა, აქ მხოლოდ ტექნიკური ბაზა და პირობების გაუმჯობესებაა საჭირო, ვინაიდან ქართულ გენში ჩოგბურთის დიადი კოდი უკვე დევს.



კახი კალაძე: ბატონი ანზორი გაცილებით კარგად თამაშობს, ვიდრე მე

**— ცხოვრების ჯანსაღ ნესზე ისე გატაცებით საუბრობთ, თითქოს ქართული სუფრები და სმა-ჭამა არ გიტაცებთ...**


— ეს ჩემი სტილი მართლაც არ გახლავთ. სუფრასთან 6-7 საათი ჯდომა, რაც ერთ სამუშაო დღეს უდრის და ქონის დაგროვება, ნამდვილად არ მხიბლავს. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს მაინც ქართული სტუმართმოყვარეობის ძლიერი მხარეა. ყველაფერში ზომიერება უნდა იყოს დაცული, თორემ, ისიც ხომ ფაქტია, რომ მთელმა მსოფლიომ ჩვენი წყალობით ისწავლა სადღეგრძელოები.

მოგვიანებით, კორტზე ქართველი ფეხბურთელი კახი კალაძე გამოჩნდა და ცნობილ ბიზნესმენთან მეგობრული მისალმების შემდეგ, მის საწინააღმდეგო მხარეს დადგა. თამაშის შემდეგ, მასაც გავესაუბრეთ.

— გადავწყვიტე, შეგებულებით ვისარგებლო და ჩოგბურთის თამაში ვისწავლო. გარდა ამისა, ეს გართობის მშვენიერი საშუალებაა. უნდა ვაღიარო, რომ ბატონი ანზორი გაცილებით კარგად თამაშობს, ვიდრე მე.

**— ბატონი ანზორი ფეხბურთითაც არის გატაცებული. ხომ არ გინდათ, მოედანზეც შეხვდეთ?**

— მეონია, რომ ჩოგბურთი უკეთ გამოსდის, ვიდრე ფეხბურთი, მაგრამ არც ეს არის გამორიცხული. მართალია, იტალიაში ახლა ძალიან მოდებია გოლფი, მაგრამ მე სერიოზული მიზანი დავისახე — რაც შეიძლება კარგად ვისწავლო ჩოგბურთის თამაში. თანაც, ბევრი ჩემი მეგობარი, ცნობილი ჩოგანია, მაგრამ მათთან მოედანზე შეხვედრას ნამდვილად არ ვაპირებ. ასევე გატაცებული ვარ კალათბურთით და მიყვარს ჰოკეი. თბილისში დიდხანს არ დავრჩები, მაგრამ ევდები, კორტებზე რეგულარულად ვიარო. ■




უკვე ვიღარც კი ავუდი-ვარ იმ ფოსტის დახარისხებას, რომელიც ჩემი „სასიძობისა“ და „საპატარძლოების“ სახელზე რედაქციაში მოდის. გარდა იმ გამონმაურებებისა,

რომელიც „გზის“ წინა ნომერში დაბეჭდილ ინტერვიუზე (დიზაინერ ზალიკო ბერგერთან) მოგვივიდა, რუბრიკის პირველი გამოშვებების რესპონდენტებსაც კვლავ ესმინებინან, ამიტომ ჯერ ამ ფოსტის მიმოხილვას შემოგთავაზებთ.

### მარი ჯაფარიძე

„გზის“ წინა ნომერში ვწერთ იმ ვოკონას შესახებ, რომელმაც დამირეკა და მაუწყა, რომ თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია და აპირებს ამ ინსტიტუტიდან საბუთების გამოტანას, რადგან მას დათო ხუჯაძე უყვარს, მომღერალი კი (როგორც თავად, ჩვენთან ინტერვიუში თქვა) პოპულარულ ვოკონებს შორის, საპატარძლოს არ ეძებს... ამ ვოკონამ ორიოდე დღის წინ, ახალი ბარათი გამოგვიგზავნა, სადაც ვეწერს:

„თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დონეზე მიყვარს დათო. ჩემი კურსელები და კინოოპერატორები გაგაფურულნი არიან. მეუბნებიან, ტყვილად გაქვს იმედი, რომ დათოს გაიცნობო. ახლა კი, როდესაც დათოს გაცნობის შანსი მომეცა, ყველას უკვირს – შენ ვინ ყოფილხარო. რამდენჯერ მიტირია დათიას დანახვაზე. ქუთაისში „დინამოს“ სტადიონზე რომ კონცერტი ჩაატარა, იქ ვიყავი, რომ დავინახე, ცუდად გავხდი. მას შემდეგ მინდოდა დათუნას გაცნობა. ყველაფრისათვის მზად ვარ. ჩემი სანუკვარი ოცნება იყო, რომ მსახიობი გავმხდარიყავი. ახლა, როდესაც ჩემი ოცნება რეალობად იქცა და უკვე მთელი ქუთაისიც კი მცნობს, მზად ვარ, უარი ვთქვა ყველაფერ ამაზე. ოჯახს უკვე გამოვუცხადე ამის შესახებ. დათო! ყოველი ახალი დღეა ჩემთვის შენზე ფიქრით იწყება. ძალიან მიყვარხარ. შენზე ფიქრში უამრავი წერილი დამიწერია. შენამდე კი ალბათ ეს ერთი მოაღწევს. ყველაფერს გადაკეთებ იმისთვის, რომ შენი რჩეული



გავხდე. შენი სიყვარულის გამო, თანახმა ვარ, ჩემს ბავშვობის ოცნებზეც კი უარი ვთქვა... შენი სოფო ლორთქიფანიძე“.

ნონაც დათო ხუჯაძეს სწერს: „გამარჯობა, დაათ! იცი, წერილი არავისთვის მიმიწერია. შენ გამონაკლისი ხარ. შენი ფანი არ ვარ. ამ ასაკიდან უკვე გამოსული ვარ. ჩვენში რომ დარჩეს, ძალიან მომწონს შენი გარეგნობა. სუფთა, ქართული გარეგნობა გაქვს და ამას იხდენ კიდევ. ერთ ამბავს მოგიყვები: წინათ ძალიან მომწონდა ფრედი მერკური და მისი სურათი ჩემს ოთახში, კედელზე მქონდა გაკრული. დღეაჩემმა არ იცოდა, ვინ იყო და როდესაც მკითხა, აუუხსენი – ეს კაცი მკვლარია-მეთქი. კინაღამ გადაირია. რად გინდა ამ მკვ-

ლარი კაცის სურათი, ჩქარა ჩამოხსენიო. ვიდრე არ დავეუჯერე, არ მოისვენა. დათო, ძალიან მოხარული ვიქნები, თუ შენს სიყვარულს იპოვი. თუ იპოვი, გაუფრთხილდი, გულში ჩაიკარი და არ დაკარგო. არ გეგონოს, ჭკუას გარიგებ. უბრალოდ, გამოცდილებას ვიზიარებ. ვისურვებ წარმატებებს. ნახვამდის...“

რაც შეეხება ზურა ხაჩიძეს, „ქუჩის ბიჭების“ სოლისტს, მის სახელზე ძალზედ ლამაზად გაფორმებული წერილი მოვიდა და მისდაძი მიძღვნილ ლექსს ბოლოში ასეთი წარწერაც ჰქონდა:

„ზურა! მიყვარხარ და მეყვარები ყოველთვის. არ მესმის იმ ვოკონების, რომლებიც თავის მოკვლით გემუქრებიან. შენ თუ ბედნიერი იქნები, მეც გამახარებ. შენ ჩემი სიცოცხლე, სიხარული, სიყვარული და ცხოვრების მთავარი აზრი ხარ. შენით ვსულდგმულობ... მარად შენი ერთგული – თამუნა“.

„ფორტეს“ სოლისტის, ირინა კახნიაშვილის თავყვანისმცემლებიც არ გვასვენებენ. ამჯერად წერილი ციხიდან მივიღეთ:

„გამარჯობა, ირინა. თქვენი „პაკლონიკი“ ვარ. თან ისეთი „პაკლონიკი“, რომ ერთმანეთს კარგა ხანს ვერ ვნახავი. თქვენზე ბევრი რამ მსმენია. ვიცი, რომ თავაზიანი და კარგი მანდილოსანი ბრძანდებით. ახლა, როცა წერილს ვგზავნი, თქვენი სურათი მაგიდაზე მიდევს და დავცქერი. ვარ სიმპათიური, მაგრამ დაჩაგრული. არ გამიბრაზდეთ – 9 წელია, ციხეში ვზივარ. ვთხოვთ, მომანიჭოთ დიდი სიხარული და ორი სიტყვით გამომეხმაუროთ. დიდი პატივისცემით, ვიორგი“.

## ანი და ზალიკო მრთუმანეთს შეხვდნენ

ახლა კი, „გზის“ წინა ნომრის „სასიძოს“ ზალიკო ბერგერს დაგუბრუნდეთ. მის სახელზე შემოსული ფოსტის მიმოხილვით თავს აღარ შეგანწყენთ, რადგან ზალიკო თავიდანვე შეგპირდა, რომ თავისი არჩევანის შესახებ ჩვენც შეგგატყობინებდა და პირობა შეასრულა კიდევ: ზალიკო მის სახელზე შემოსულ ფოსტას გაეცნო, ერთ-ერთი გოგონას წერილს თითო დაადო და თქვა: აი, ამის ავტორს შეგხვდებით. პირველად მას მე დაგუკავშირდი. ანი და ზალიკო ერთმანეთს ერთ-ერთ ბარში შეხვდნენ, ზალიკო აღტაცებას ვერ ფარავდა:



ანი და ზალიკო

– მარი, ეს რა კარგი გოგონა გამ-  
აცანით! სიმართლე რომ გითხრათ, არ  
ველოდი...

**ანი — ზალიკოს:**

– ისე მინდოდა თქვენი ვაცნობა, რომ  
როდესაც ჟურნალში ინტერვიუ ვნახე,  
გადავწყვიტე, წერილი გამომეგზავნა. ბედ-  
ნიერი ვარ, რომ შეგხვდით, თუმცა, იმელი  
არ მქონდა, რომ გამომართლებდა. მარიმ  
რომ დამირეკა, ზალიკოს უნდა შეგახ-  
ვედროო, ყურებს არ ვუჯერებდი.

ახალგაზრდობილი წვეილი ერთმანეთს

უცებ გაუშინაურდა. ზალიკომ თავიდან  
ბოლომდე მუშტრის თვალით აათვალიერ-  
ნათვალიერა და გოგონა კომპლიმენტებ-  
ის კორიანტელში გაახვია. ის კი არა და,  
მასში პროფესიულმა ჩვევამაც იმძლავრა  
და ფეხსაცმელიც შეუქო. ანიმ თავისი  
მძივი აჩვენა, ზალიკომ კი გამოართვა და  
უთხრა: გადაგიკეთებ და დაგობრუნებ, თან  
მიზეზიც მექნება, რომ ისევ გნახო. ტელე-  
ფონის ნომრებიც გაცვალეს და ერთმა-  
ნეთს მხოლოდ ერთი დღით დაემშვიდობ-  
ნენ...



# ახჩევანი, ხომერსაც წინ ვერაზინ დაუღებება

**დღევანდელი ნომრის „საპატარალოდ“ ცნო-  
ბილი მომღერალი, აგნესა გვინდოდა წარმოგ-  
ვედგინა. თუმცა, რატომ, — გვინდოდა?  
წარმოგიდგენთ კიდევ — როგორც ნამდვილ  
საპატარალოს, რომელიც შემოდგომაზე, ქორ-  
წილში დაპატიჟებას გვპირდება. აგნესა  
ჩემთან შესახვედრად გერმანული სიზუსტით  
მოვიდა. გვერდს ახალგაზრდა, სიმპათიური  
მამაკაცი უმშვენებდა. როდესაც მათ რუ-  
ბრიკის შინაარსი გავეუხილე, ლაშამ ცოტა  
შემიბღვირა, მაგრამ მისი უკმაყოფილება  
დიდხანს არ გაგრძელებულა: ცოტა ხანში,  
შუბლი გახსნა და თვითონაც დიდი ხალისით**

**ჩაერთო ჩვენს საუბარში. თავიდანვე  
შეეთანხმებით, რომ მასზე (აგნესამ ლაშაზე  
თვალით მანიშნა) არ ვისაუბრებდით და  
ინტერვიუში არც კი ვახსენებდით, მაგრამ  
ბოლოს ახალგაზრდებმა მოილაპარაკეს, რომ  
აგნესა თავისი რჩეულის ვინაობას პირველად,  
ჩვენი ჟურნალის საშუალებით გაუმხელდა  
მკითხველს. მართალია, აგნესას თავყვანისმცე-  
მელ მამაკაცებს გავანბილებთ, მაგრამ რას  
ვიზამთ?! მომღერალმა თავისი გულის სწორი  
უკვე იპოვა და, როგორც აბნეხს და ლაშამ  
თალიაშვილი თავად გვიამბოვნენ, საკმაოდ  
კურიოზულადაც:**

**აბნეხა:**


– ერთ სკოლაში ვსწავლობდით, ოღონდ,  
მე — რუსულ სექტორზე, ლაშა კი —  
ქართულზე. ერთ დღეს (მაშინ მეექვსე  
კლასში ვიყავი, ლაშა — მეშვიდეში), მოვიდა  
ჩემთან და მთხოვა: შენი ძვის სათვალე  
მათხოვეო. ვათხოვე...

**ლაშა:**

– ეს იმიტომ გავაკეთე, რომ მისი  
ვაცნობა მინდოდა და ეს სერხი მოვ-  
იგონე.

**აბნეხა:**

– გავიდა ერთი დღე, ორი. ლაშა არა  
და არ მიბრუნებს სათვალეს. რომ ვუთხ-  
არი — დამიბრუნე ჩემი ნივთი-მეთქი, —  
მიპასუხა: ფეხბურთს ვთამაშობდი, იქ  
სტადიონზე დამრჩა და დამეკარგაო. აღვშ-  
ფოთდი.. ერთი გიჟი დაქალი მყავდა და  
იმან მითხრა: მე ლაშას სახლი ვიცი,  
წავიდეთ და დედამისს ვუთხრათო.  
მივედით. კარი ლაშას დამ — ლელამ  
გავკილო. მოვუყევი: ლაშამ სათვალე წამა-  
რთვა და არ მიბრუნებს-მეთქი. — მოვკლავ,  
შინ რომ დაბრუნდებო, — შემპირდა  
ლელა და მეც დამშვიდებული გამოვბ-  
რუნდი უკან.



აგნესა  
და  
ლაშა

**ლაშა:**

– ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ  
ბავშვობიდან გვიყვარს ერთმანეთი. მერე  
გავიდა წლები, აგნა სხვა სკოლაში გადა-  
ვიდა, მე ჩოგბურთელი გახლდით, საქართვე-  
ლოს ნაკრებში ვთამაშობდი და სულ

ვმოგზაურობდი. ქალაქში იშვიათად თუ  
შემხვდებოდა, ისიც — მანქანით და მაში-  
ნაც, ხან ვესალმებოდით ერთმანეთს, ხან  
— არა. ამ ორწლიანხვერის წინ, კო-  
რტებთან ვიდექი. აგნამ მოიყვანა გიორგი  
(ძმა) და ლატოვა. უკან რომ გამობრუნდა,  
გავაჩერე, მოვიკითხე, მაგრამ წარმოდგენა  
არ მქონდა, ის თუ მომღერალი იყო. ჩემმა  
ძმაცაცმა იცნო და ჰკითხა: შენ ის აგნესა  
არ ხარ, ამა და ამ კლავში რომ მღე-  
რისო?... მაშინ გავიგე, რომ თურმე მღე-  
როდა. შემდეგ ტელეფონის ნომერი ვთხოვე  
და მობილურის ნომერი ჩამაწერინა, ქალა-  
ქის ტელეფონი არ მაქვსო, — მითხრა.  
დიდ გასაჭირში ჩავვარდი: ხან საიდან  
ვურეკავდი, ხან საიდან...

**აბნეხა:**

– დარეკავდა და მეუბნებოდა: ქალა-  
ქის ტელეფონთან თუ ხარ სადმე, ნომერი  
მითხარი და გადმოვირეკავო. მე მაინც  
არ ვეუბნებოდი და ლაშაც იძულებული  
იყო, მობილურზე ესაუბრა.

— **ლაშა, ადვილად დაიფო-  
ლიე პირველ პაემანზე?**

**აბნეხა:**

– იმ დღეს, კორტებთან რომ შევხ-



ვლით, შემოთავაზა: წავიდეთ, სადმე კაფეში დაგპატიჟებო. — მეჩქარება-მეთქი, — ვუპასუხე. ყოველი 15 წუთის შემდეგ, იგივე მეორდებოდა. ასე გავიდა 4 საათი და ისევ მანქანაში ვიჯექი, არ გავეყვი არსად.

**ლაშა:**

— იცით, მაშინვე რომ დამთანხმებოდა, შესაძლოა, შემდგომ მოვლენები ასე არც განვითარებულიყო...

**— სიყვარული როგორ აუხსენი?**

— არც მასსოვს. ყოველ შემთხვევაში, არ მინდოდა, მეთქვა სიტყვა „მიყვარხარ“ — მინდოდა, ჩემი ქცევიდან გამომდინარე მიმხვდარიყო ამას. არც იმას დავმალავ, რომ მაშინვე, მომენტალურად არ შემეყვარებია. გარეგნობით, რა თქმა უნდა, მომეწონა, მაგრამ სიყვარული უფრო, მისი ხასიათიდან გამომდინარე წარმოიშვა... უკვე ორ წელზე მეტია, ურთიერთობა გვაქვს და დღითი დღე მეტად და მეტად მიყვარდება. წარმომიდგენია, ჩემი ცოლი რომ გახდება და ჩემი შვილების დედა, მაშინ როგორ მეყვარება...

**— ლაშა, შენი მშობლები თუ იცნობენ აგნესას და თუ მოსწონთ სარძლოდ?**

— კი, იცნობენ. რა თქმა უნდა, მოსწონთ. ეს ჩემი არჩევანია და წინ ვერავინ დამიდგება.

**აბნეხა:**

— დედაჩემმაც ყველაფერი იცის ჩვენ შესახებ. მამაჩემს კი, ჯერ ვერ ვუშხელთ, რომ საქმე ასე სერიოზულადაა.

**— რატომ ვერ უშხელთ?**

— ის ძალიან მკაცრია და ცოტა სხვანაირი ადამიანია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ჩემს არჩევანს წინააღმდეგობას არ გაუწევს. ამის შესახებ დედაჩემისგან გაიგებს. მე ვერ გავუბედავ...

**— ლაშა, სასიომაროსთან შეს-**

**ვედროს სომ არ გეშინია?**

— არა, შიშით არ მეშინია — უბრალოდ, მორიდების გრძნობა მაქვს. რაც არ უნდა იყოს, მაინც აგნას მამაა. ასეთივე რიდი მაქვს აგნას დედის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია ვიცნობ და ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს. შიშით კი, რატომ უნდა მეშინოდეს?! თამამად შევხედავ თვალებში,

როგორც მამაკაცი მამაკაცს...

**— აგნესა, მამის მონახულებას როდის აპირებ?**

— სულ მალე. სამარაში მივდივარ მამასთან ერთი თვით, კლიპის გადასაღებად.

**ლაშა:**

— ეს ჩემთვის დიდი ტრაგედიაა, რადგან ერთი თვე აგნას გარეშე ძალიან გამიჭირდება. მხოლოდ სატელეფონო საუბრებით ვერ ვკმაყოფილდები ხოლმე.

**— დარწმუნებული ვარ, ასეთ დროს, ძალიან ძვირი გიჯდება მასთან საუბრები...**

— ოღონდ, ეგ არ მკითხოთ და რა ვიცი... აგნა სულ მსაყვედურობს — ამდენს ნუ რეკავო, — მაგრამ რომ შენატრება, რა ვქნა?!

**— ეჭვიანი თუ ხარ?**

— როცა ადამიანი გიყვარს, თავისთავად, ეჭვიანობ კიდევ. მე რატომღაც მამაკაცებზე კი არ ვეჭვიანობ — ჩემი რომ არ არის ჯერ, აი, ეს მიშლის ნერვებს. მინდა, რომ ყოველგვარი წვრილმანი ვიცოდე აგნას შესახებ: რას აკეთებს, ვის ესაუბრება და რა ვიცი...

**— მარტო რომ მიდის სადმე, ურეკავ და ამონმებ ხოლმე, სად არის?**

— არა, ასეთი შემთხვევა არ მასწენდება, რადგან არც მე მივდივარ სადმე მის გარეშე და არც ის მიდის.

**— დაქორწინების შემდეგ, მომღერლობას თავს სომ არ დაანებებინებ?**

— არა, არავითარ შემთხვევაში. მან თავისი საქმე უნდა აკეთოს. თუ უნდა, რომ იმღეროს — კი, ბატონო. თუ

თავად აღარ მოისურვებს, არც ამის წინააღმდეგი ვიქნები.

**— დაქორწინებას როდის აპირებ?**

— წინასწარ არ გვინდა თქმა, მაგრამ ალბათ მალე, შემოდგომაზე. ვერავის გააკვირვებთ გრანდიოზული ქორწილით, მაგრამ ჩუმად მაინც არ ჩავატარებთ ამ ღირსშესანიშნავ დღეს...

**— დაგეგმილი სომ არ გაქვთ, რამდენ შვილს გააჩენთ?**

**ლაშა:**

— ორს — ბიჭს და გოგოს.


**აბნეხა:**

— ერთ რამეზე ვერ ვთანხმდებით — მე პირველი გოგო მინდა, ამას — ბიჭი. ძალიან მომწონს სახელი ლიზი და ჩემს შვილს აუცილებლად ამ სახელს დავარქმევ.

**— აგნესა, შენ როგორ ფიქრობ — მზად ხარ იმისთვის, რომ ოჯახი შექმნა?**

— დიახ, ვარ. საღილების კეთება მეხერხება, საოჯახო საქმის კეთებაც. ბაზარში სიარული ისე მიყვარს, ვგიჟდები. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, როდესაც პროდუქტზე ვევაჭრები ხოლმე. თანაც ძალიან მიყვარს გემრიელად ჭამა და თუ პროდუქტი ჩემი გემოვნებით არ არის შერჩეული, ისე გემრიელად ვეღარ მივირთმევ ხოლმე. თუ რაიმე არ ვიცი, ლაშას დედა მასწავლის. მიმაჩნია, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა თავიდან, მშობლებთან უნდა იცხოვროს...

მამ ასე, რადგან ამ მშვენიერ წყვილს ერთმანეთი უყვარს და მზადაც არიან ოჯახის შესაქმნელად, ჩვენ ისღა დავკრჩენია, რომ ბედნიერება ვუსურვოთ... ქორწილში კი, წინასწარ ვარ დაპატიჟებული და ამ ცერემონიის ამბებს მომავალში, დაწვრილებით ვიამბობთ...



# იაცონელი რაინიგზალები თვითმავლადას აბრძვიან

JR Nishi-Nippon-ის სარკინიგზო კომპანიის მონაცემებით, გასული წლის აპრილიდან დეკემბრამდე მათ მონაკვეთზე აღ-



ამიანთან მატარებლის შეჯახების 160 შემთხვევა დაფიქსირდა, მათ შორის 100 თვითმკვლეელი გახლდათ. ამ მონაცემებით შეფოთებულმა იაპონელმა რკინიგზელებმა გადაწყვიტეს მიეღოთ ზომები, რათა სასოწარკვეთილი აღამიანები სიკვდილისაგან ეხსნათ. ვინაიდან თვითმკვლელები ხშირად ღამით, სიბნელეში უვარდებიან მატარებელს, მათ გადაწყვიტეს სპეციალური სენსორებით აღჭურვათ პლატფორმის კიდე, რომელიც სახიფათო ზოლთან ადამიანის

მიახლოებაზე რეაგირებს – მკვეთრი სინათლე ინიშობა. აგრეთვე ყველგან განთავსდება აბრები, სადაც აღნიშნული იქნება, რომ ნებისმიერი ზარალი, რასაც ადამიანი წესრიგის დარღვევით მიაყენებს კომპანიას, აუცილებლად უნდა აანაზღაუროს! რკინიგზელთა აზრით, ამ გაფრთხილებამ პოტენციური თვითმკვლეელი შესაძლოა, მსხვილ ფინანსურ ზარჯებზე დააფიქროს, რაც ოჯახს მისი სიკვდილის შემდეგ დაემუქრება.

# სოფლადი ბავშვები ქალაქელბა ჯანმრთელები არიან



სოფელში გაზრდილი ბავშვები, რომლებსაც ბაქტერიებითან მუღმივი კონტაქტი აქვთ, უფრო იშვიათად ავადმყოფობენ ასობითა და სხვა ალერგიული დაავადებებით. ამ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, რომლებმაც გამოიკვლიეს გერმანელი, შვეიცარიელი და ავსტრიელი ბავშვები.

მკვლევარებმა მატრასში არსებული ენდოტოქსინის – ბაქტერიების მიერ გამოყოფილი ნივთიერება – დონე შეადარეს, ასობითა და ალერგიით დაავადების სიხშირეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბავშვს, რაც უფრო ხშირად აქვს კონტაქტი ენდოტოქსინთან, განსაკუთრებით ბუნებაში, მით უფრო ნაკლები შანსი აქვს ალერგიით დაავადებისა.



## „მწვანე ჩაის დიეტა“: ნონაში დაქლების სუპერინერგეტიკული ფორმულა

ამერიკული კომპანია „შიფ“-ი და ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი“ წარმოგიდგენთ პრეპარატ „მწვანე ჩაის დიეტას“, რომელიც საშუალებას მოგცემთ, უარი აღარ თქვათ საყვარელ კერძზე და თქვენი წონა მართოთ. იგი არ შეიცავს ეშვარინს (რაც ნიშნავს, რომ პრეპარატს რაიმე გვერდითი მოვლენა არ გააჩნია)!

„მწვანე ჩაის დიეტა“ - მწვანე ჩაის ექსტრაქტს წარმოადგენს და მასში თავმოყრილია აქტიური ინგრედიენტების იდეალური კომბინაცია – ეპიგალკატეხინის გალატი (EGCG) და კოფეინი, რომელიც ამერიკის ფარმაკოპეას სტანდარტებს შეესაბამება და ორგანიზმში უზრუნველყოფენ:

- მეტაბოლიზმის (ნივთიერებათა ცვლის) ინტენსივობის მომატებას, რაც ხელს უწყობს ენერჯის ხარჯვის ზრდას და შესაბამისად, კალორიების დიდ დანახარჯს განაპირობებს;
- ცხიმოვანი ცვლის გაძლიერებას ცხიმების წვის ხარჯზე;
- ორგანიზმის გამძლეობის მნიშვნელოვან ზრდას დაღლილობის შეგრძნების სრული მოხსნით.

„მწვანე ჩაის დიეტა“ - დახვეწს თქვენს გარეგნობას, გაზრდის ენერჯის და მივიყვანთ ორგანიზმის სრულ გაჯანსაღებამდე, რადგან მწვანე ჩაი, ჯერ კიდევ იბნ სინას დროიდან ცნობილია თავისი სამკურნალო თვისებებით: ანტიკანცეროგენური მოქმედებით (ეფექტურია ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბოსა და მამაკაცებში პროსტატის კიბოს პროფილაქტიკისთვის), მნიშვნელოვნად ამცირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში და თრომბების ჩამოყალიბების რისკს. მწვანე ჩაი, როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი იცავს კანს მზის მავნე ზემოქმედებისგან.

„მწვანე ჩაის დიეტა“ თქვენს ორგანიზმს კალორიების სწორ წვას ასწავლის, რითაც საკუთარ თავს იდეალური წონით უზრუნველყოფთ და მას ხანგრძლივი დროის მანძილზე შეინარჩუნებთ.

ვიტამინ-ცენტრ „ჯეოვიტი“-ში ექიმისა და დიეტოლოგის რჩევებს მიიღებთ.

**ჩვენ მზად ვართ თქვენი სხოვრების ხარისხი გავაუმჯობესოთ!**



**ჯეოვიტი  
GEOVIT**

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),  
ვიტამინ-ცენტრი „ჯეოვიტი“,  
ტელ/ფაქსი: 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56.  
(სამუშაო საათები 10-დან 18 საათამდე, შაბათ-პირის ჩათვლით)

# გაეოქივით ორივე მხარე უკმაყოფილოა

დაზარალებულის ადვოკატს ბრალდებულის იურისტი ქმა ცილისწამებაში სდებს ბრალს

ყოფილი პოლიციელის — ტარიელ ნაჭყეზიას მკვლელობის საქმეს („გზა“ 2003 წ. №24) მარტვილის რაიონის პროკურატურა აღარ განიხილავს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ. ამის მიზეზი კი, დაზარალებული მხარის მიერ გენპროკურორის სახელზე შეტანილი საჩივარი გახდა.

მოკლულის ოჯახის წევრების თქმით, მათ რაიონში მომუშავე სამართალდამცავები აშკარად ემხრობოდნენ ბრალდებულს — სოფელ დიდ ჭყონში მცხოვრებ მიხეილ კვაშილაგას და მიუბაძ არაობიექტურად მიჰყავდათ. „კვაშილაგას მიერ ჩადენილ მკვლელობაში საღიზმის ნიშნებია, მარტვილის რაიონის პროკურატურამ კი ამ ფაქტს გვერდი აუარა. განზრახ მკვლელობის ნაცვლად, მას საკმაოდ ლმობიერი მუხლი მიუყენა“, — აცხადებს დაზარალებული მხარის ადვოკატი, ვილერი წოწორია.

ზემოთ აღნიშნული უწყებისადმი უკმაყოფილებას ბრალდებულის — მიხეილ კვაშილაგას მხარეც გამოთქვამს, თუმცა, საჩივარი არ დაუწერია. „მას სრულიად დაუსაბუთებლად წარუდგინეს ბრალი „აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობის“ მუხლით“, — აღნიშნავს „გზის“ რედაქციაში გამოგზავნილ წერილში ბრალდებულის ძმა — ალექსანდრე კვაშილაგა. მას ვაცვილებით მეტი პრეტენზია აქვს დაზარალებულის ადვოკატის მიმართ და მიაჩნია, რომ მარტვილის რაიონის პროკურატურა სწორედ ვილერი წოწორიამ მოაქცია ჩიხში. „მან ჩემი ძმისთვის ცილისწამებისა და პროკურორის თუ გამოძიებლის საქმიანობაში ჩარევისთვის პასუხი უნდა აგოს. ასეთი საქციელით ადვოკატი პროკურატურას ობიექტური გამოძიების ჩატარებაში უშლის ხელს“.

რატურა სწორედ ვილერი წოწორიამ მოაქცია ჩიხში. „მან ჩემი ძმისთვის ცილისწამებისა და პროკურორის თუ გამოძიებლის საქმიანობაში ჩარევისთვის პასუხი უნდა აგოს. ასეთი საქციელით ადვოკატი პროკურატურას ობიექტური გამოძიების ჩატარებაში უშლის ხელს“.

### ვილერი წოწორია:

„ალექსანდრე კვაშილაგა ირწმუნება, რომ მისი ძმა ადრე ნასამართლევი არ არის. სამწუხაროდ, არც ამ საკითხის გარკვევაზე იზრუნა პროკურატურამ. მკვლელობაში ეჭვმიტანილი მიხეილ კვაშილაგა თითქმის სამი თვის წინ დააკავეს, ოფიციალური დოკუმენტები კი, წარსულში მისი ნასამართლეობის შესახებ გამოძიებას ჯერ კიდევ არა აქვს ხელთ. ცხადია, პროკურატურა ამით განგებ არ დაინტერესდა“.

### ალექსანდრე კვაშილაგა:

„ჩემს ძმას წლების წინ სოფელ კურზუში მომხდარ მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია და არც მოსახლეობას გაუძეებია იგი. წოწორიას თქმით, მას სოფელ დიდ ჭყონშიც, საეჭვო რეპუტაცია ჰქონდა თითქოს, მაგრამ ესეც სიცრუეა. ადვოკატი ამბობს, რომ ჩემი ძმის

სახლში კრიმინალები იკრიბებოდნენ, 2003 წლის 16 აპრილსაც მასთან იყვნენ შეკრებილი, იქიდან და შემდეგ მოკლეს ნაჭყეზია. ორი საათი ითათობრეს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. თუმცა, როგორ მოიქცნენ, ამაზე წოწორია პასუხს არ იძლევა... აბსურდისგან შორს არ არის ისიც, რომ ადვოკატის მტკიცებით, მარტვილის რაიონის პროკურატურა ჩემი და ჩემი წიგნების გავლენის ქვეშ მოექცა. ჩემს ნაშრომს საქართველოშიც და მის გარეთაც კითხულობენ და ყველა ისინი, წოწორიას აზრით, ჩემი მეგობრები და ნათესავები არიან? ჩემი ძმის მოქმედება 2003 წლის 16 აპრილს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით კანონიერია, მას დახმარება არ სჭირდება და არც ეხმარება ვინმე“, — აცხადებს ბრალდებულის ძმა. მიუხედავად იმისა, რომ მუხლის წარდგენის საკითხში პროკურატურის მიმართ პრეტენზიებს თავადაც გამოთქვამს, იურისტი ალექსანდრე კვაშილაგა თავის წერილში არაფერს ამბობს იმ დარღვევებზე, რომელიც გამოძიების მასალებში ფიქსირდება. საქმეში რომ სერიოზული ხარვეზებია დაშვებული, ეს რამდენიმე დღის წინ, გენპროკურატურამაც დაადასტურა. სწორედ ამ მოტივით, აღნიშნული მკვლელობის გამოძიება მარტვილის რაიონის პროკურატურას აცვილეს და გამოძიების მასალები ოლქის პროკურატურას გადაეგზავნა.


## საშურის საკმაოდ უყოფილი ნაპირი თანასოფელმა განაწილა ჩაუსრილა

„მითხრა, მისი მოკვლით საშურელები მოვასვენო“, — ამბობს გამოძიებული

38 წლის საშურელი გონა ჭელიძე არაერთი მძიმე დანაშაულისთვისაა მსჯავრდებული. ამჯერად, მას ქალაქ საშურში ერთ-ერთი შეძლებული პირის, საშურის საკრებულოს ყოფილი წევრის — ჯემალ ენჯიბაძის განზრახ მკვლელობისთვის ასამართლებენ. პროკურატურის ინფორმაციით, ცნობილი ახალგაზრდასა და ჭელიძემ ენჯიბაძეს ავტომობილის ჯერი დაუშინა და საკუთარ მანქანაში ჩაცხრილა. ენჯიბაძე ადგილზევე გარდაიცვალა. მოკლულის სხეულზე ექსპერტებმა 15 ნატყვიარი დათვაღეს.

როგორც პროკურატურა ირწმუნება, გონა ჭელიძემ დაკავებისას, დანაშაული აღიარა და მკვლელობაც დეტალურად აღწერა. თუმცა, სწორედ გამოძიების პერიოდში, ჭელიძის მიერ მიცემული ჩვენება საქმის მასალებიდან მოულოდნელად გაქრა. ჩვენებასთან ერთად დაიკარგა იმ მოწმეების დაკითხვის ოქმებიც, რომელსაც პროკურატურა ბრალდების ძირითად მტკიცებულებად მიიჩნევდა. საქმის მასალების გაუჩინარებამ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. იმასაც კი ამბობდნენ, რომ პატიმარმა ჭელიძემ თავისი აღიარებითი ჩვენება გამოძიებლის თვალწინ ამოგლიჯა ტომიდან და შეჭამა. შიდა ქართლის საოლქო პროკურატურის უფროსმა გამოძიებელმა როლანდ ვათიაშვილი

ვილმა, ჭელიძის მიერ ჩვენების შეჭმა არ დადასტურა, თუმცა ფაქტია, რომ მომხდარის გამო, პროკურატურაში ნამდვილი სკანდალი ატყდა. ვათიაშვილი საქმის გამოძიებას იმავე დღეს ჩამოაცილეს, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით კი, სისხლის სამართლის საქმე აღიდრა. „ციხეში მივედი, ჭელიძე საპრობილის საგამოძიებო ოთახში ამოვყავანინე და პროკურორს ველოდი. იგი ბრალდების წარდგენას უნდა დასწრებოდა. პროკურორის მოსვლამდე, ოთახიდან საქმის ორთომ-ნახევარი მომპარეს“, — დასძინა გამოძიებელმა დაკითხვისას. მას შემდეგ ჭელიძემ პროკურატურას ჩვენების მიცემაზე უარი უთხრა. მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები ამას



გოჩა ჭელიძე და მისი ადვოკატები

ბრალდებულის ავადმყოფობით ხსნიდნენ. მათი თქმით, ჭელიძე, როგორც კი გამოჯანმრთელდებოდა, ჩვენებას მისცემდა. მაგრამ ასე არ მოხდა.

აღსანიშნავია, რომ გოჩა ჭელიძე წარსულში, ორი ადამიანის განზრახ მკვლელობისთვისაა ნასამართლევი. მას დანაშაული დაუდასტურდა და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სწორედ იმ პერიოდში, ჭელიძემ ციხიდან გაქცევა სცადა. ამის გამო, მის სასჯელს 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა დაემატა.

გოჩა ჭელიძე 2000 წლის 17 მაისს გათავისუფლდა. ციხიდან ახალგამოსულს, მშობლებმა ავტომანქანა „ვოლვო“ უყიდეს. ჭელიძემ კი, თავის მხრივ, ცეცხლსასროლი იარაღი შეიძინა. „წინა მკვლელობის გამო, ბევრი მტერი მყავდა; ვიცოდი, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ, არ მომასვენებდნენ და იარაღი სწორედ ამიტომ, თავდაცვის მიზნით შევიძინე – გვითხრა ჭელიძემ დაკითხვისას“, – აღნიშნავს გამოძიებელი.

2002 წლის 13 თებერვალს, გოჩა ჭელიძემ სწორედ ამ იარაღით – „აკს“-ის ავტომატითა და „მაკაროვის“ პისტოლეტით მორიგი მკვლელობა ჩაიდინა.

ბრალდების თანახმად, იმ დღეს, ხაშურში, 9 აპრილის ქუჩაზე, სხვა დანაშაულისთვის ძებნილი ჭელიძე შემთხვევით შეხვდა შპს „ჯეჯელიის“ დირექტორს – ჯემალ ენჯიბაძეს. ენჯიბაძე საკუთარ „მერსედესში“ იჯდა. იცოდა, რომ ჭელიძე ადრე ნასამართლევი იყო და მასზე ეჭვიც ჰქონდა. ადრე, შპს „ჯეჯელიიდან“ ავტომანქანების აკუმულატორები მოიპარეს. ენჯიბაძის ვარაუდით, ეს ჭელიძის ნახელავი იყო. ამიტომაც მოსთხოვა მას, ერთ დღეში აკუმულატორები დაებრუნებინა. ენჯიბაძის ნათქვამით განაწყენებულმა ჭელიძემ მისი მოკვლა განიზრახა. კარგად იცოდა, რომ სადამოხებით, საშუალო საათების შემდეგ, ის ხაშურიდან შინ – სოფელ ოსიურში ბრუნდებოდა.

დალაშქრისთანავე, ჭელიძე ავტომატითა და პისტოლეტით შეიარაღდა, სპეციალურად ჩაიკვია კაპიუშონიანი ქურთუკი და ენჯიბაძეს სახლისკენ მიმავალ გზაზე ჩაუსაფრდა. როგორც კი შენიშნა ნაცნობი „მერსედესი“, ქული ჩამოიფხატა, საყელო აიწია, რათა ენჯიბაძეს არ ეცნო და ანიშნა მას, გაჩერებულიყო. მანქანა გაჩერდა. ენ-

ჯიბაძემ მარჯვენა წინა კარის მინა ჩასწია. დაინახა თუ არა ჭელიძე, მაშინვე იცნო. ჰკითხა: რატომ გამაჩერეთ? პასუხად ჭელიძემ ფანჯარაში პისტოლეტიანი ხელი შეყო და ორჯერ გაისროლა. ერთი ტყვია ენჯიბაძეს ფეხში მოხვდა. მანქანის დაძვრა მან მაინც მოახერხა, თუმცა ჭელიძე სროლას განაგრძობდა. მალე პისტოლეტში ტყვიები აღარ დარჩა. მანქანას რამდენიმე მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, როცა ჭელიძემ ავტომატი მოიმარჯვა და „მერსედესს“ ჯერი დაუშინა. ამჯერად, ენჯიბაძე ტყვიებს ვეღარ გადაურჩა და მაშინვე გარდაიცვალა.

**გელა ცალქალამანიძე**, გორის შს სამმართველოს I განყოფილების უფროსი:

„...როცა ჭელიძეს შევეკითხე – ენჯიბაძე რატომ მოკალი-მეთქი? – მიპასუხა: თავი თვითონ მომაკვლევინა, მინდოდა, მანქანიდან გადმომეყვანა და „დამერმორებინა“; უნდა ეგრძნო, რომ ხაშურში მარტო ის არ ნიშნავს ყველაფერს და სხვებიც რაღაცას წარმოადგენდნენ. ვიცოდი, მხოლოდ დამცირებით, ვერაფერს გავხდებოდი; ამას არ მაპატიებდა, მე კი მას ვერ მოვერუდი. მისი მოკვლით მთელი ხაშური მოვასვენე და ამის გამო, ხაშურელებმა პატივი უნდა დამდონო.“

შემთხვევის ადგილზე გაყვანის დროს, ჭელიძემ დეტალურად აღკვიწერა ჩადენილი მკვლელობა. ისიც აღნიშნა – დაეინახე, რომ ენჯიბაძეს ოქროს სამაჯური და ყელსაბამი ეკეთა, მისი მოკვლის შემდეგ შემეძლო, შემეხსნა მისთვის ყველაფერი, მაგრამ ეს არ გავაკეთე, არც საკონსტრუქციო მისვრიაო. მეორე დღით, ხაშურიდან თბილისში ჩასულა და დაკავებამდე, მეგობარ გოგონასთან იმალებოდა თურმე“.

ცალქალამანიძის სიტყვებს გამოძიებელი ვათიაშვილი და ექსპერტ-კრიმინალისტი, გაა მჭ-

ვლიძეც ადასტურებენ.

არსებობს მკვლელობის სხვა ვერსიაც. რამდენიმე მოწმე აღნიშნავს, რომ ჭელიძის მშობლებს ენჯიბაძის ვალი – 1.000 ლოლარი მართებდათ. იმასაც ამბობენ, ენჯიბაძეს ჭელიძის მშობლებთან უთანხმოება ჰქონდაო.

„...ენჯიბაძის ბიძაშვილის შვილი – ეკა ჩემს ნათესავს გაჰყვა ცოლად. მაშინ ხმა გაურცელდა, რომ გოგონა ძალით გაიტაცეს, გატაცება კი, ჩემი მეორე ვაჟის – ბესიკის ავტომანქანით მოხდა. ამ ამბის გამო, ჯემალ ენჯიბაძე ჩვენთან მოვიდა საქმის გასარჩევად, თუმცა, ჩვენ შორის ურთიერთობა მალე მოგვარდა“, – დასძენს ჭელიძის მამა, გიორგი ჭელიძე.

ენჯიბაძის რძალი – ირმა ტაბატაძე ამბობს, რომ გოჩა ჭელიძე მის მამამთილსა და მეუღლეს მკვლელობის წინა დღეებშიც ეძებდა.

„შინ მხოლოდ მე, ჩემი დედამთილი და ბავშვი ვიყავით. ჭელიძე მოვიდა და ჩემი მეუღლე – არჩილი იკითხა. ძალიან აგრესიულად იქცეოდა. თან ცალი ხელსულ ქურთუკის ჯიბეში ეღო. ამიტომაც ვიფიქრე – ალბათ, იარაღი აქვს-მეთქი და არჩილის ადგილსამყოფელი არ გავუშვილეთ. როცა შევეკითხეთ – ვინ ხარ, რა გინდა-თქო? – იწყინა: ჭელიძის ბიჭი ვარ – გოჩა, რა, ვერ მიცანითო?“

აღსანიშნავია ისიც, რომ შემთხვევის ადგილას გასულმა პოლიციამ თავად ენჯიბაძის კუთვნილ ავტომანქანაში იარაღის მთელი არსენალი აღმოაჩინა. საქმის მასალების მიხედვით, სამართალდამცეებმა „მერსედესის“ სალონიდან „მაკაროვის“ და უცხოური წარმოების რამდენიმე საფანტიანი პისტოლეტი და „გეკოს“ სისტემის მცირე კალიბრის შაშხანა ამოიღეს.

როგორც ამბობენ, ენჯიბაძეს დიდი გავლენა ჰქონდა ხაშურის მოსახლეობაზე. გახლდათ საკრებულოს წევრი, ერთხანს, ხაშურის გამგებელიც და საკმაოდ შეძლებული ბიზნესმენიც. ამბობენ იმასაც, რომ მას განსაკუთრებული ურთიერთობე-



ბი ჰქონდა შავი სამყაროს წარმომადგენლებთანაც. ოფიციალური მონაცემებით კი, იგი არაერთხელ გახლდათ ნასამართლევნი. პირველად, იგი უზენაესმა სასამართლომ უახლოესი მეგობრის განზრახ მკვლელობისთვის გაასამართლა და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ჯემალ ენჯობაძეს ორი ვაჟი — ორივე არჩილი ჰყავდა. ერთი სოფელ ოსიაურში ცხოვრობდა, ხოლო მეორე — დაბა სურამში. ამჟამად, ორივენი გარდაცვლილები არიან. ოსიაურელი არჩილ ენჯობაძის მიმართ 1992 წელს, სისხლის სამართლის საქმეც იყო აღძრული. პროკურატურის ცნობით, ურთიერთსროლის დროს, მან ხაშურელი „მხედრიონელები“ — გიორგი გაგლოშვილი და გოჩა ხათაროვი მოკლა. საქმე აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაქცევით ჩადენილი მკვლელობის მუხლით აღიძრა. თუმცა, გამოძიება მალე შეწყდა — სამხედრო საბჭოს დადგენილების

თანახმად, ამნისტიის საფუძველზე.

ჭელიძის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულად ენჯობაძის სიძეა ცნობილი. ის პროკურატურის პოზიციას იზიარებს. განსასჯელი — გოჩა ჭელიძე კი ყველაფერს უარყოფს. აღნიშნული მკვლელობის გარდა, სამართალდამცავები მას კიდევ რამდენიმე დანაშაულში სდებენ ბრალს.

ბრალდების თანახმად, 2001 წლის 28 ივლისს, მთავალი ჭელიძე ხაშურის რაიონის დაბა სურამში მდებარე რესტორან „საპურმარილოში“ მივიდა. იქ, სრულიად უმიზეზოდ, ჩხუბი დაუწყო მისთვის უცნობ ადამიანს — მალხაზ ლომსაძეს. ლომსაძე მეგობართან ერთად იყო რესტორანში და ამიტომაც, თავი აარიდა ჭელიძესთან კამათს.

იმავე ღამით, უკვე 29 ივლისს, ჭელიძე თავისი „ვოლგოთი“ მეგობარ გიორგი მუმლაძესთან და სხვებთან ერთად ხაშ-

ურში, ტოლსტოის ქუჩაზე, ე.წ. „მანდარის დასახლებაში“ მივიდა. იგი იქვე მცხოვრებ გენადი ნოზაძის საცხოვრებელ სახლს მიუახლოვდა. მანქანა გაჩერა და ყოველგვარი საბაბის გარეშე, ხმაძაღვად დაიწყო ლანძღვა-გინება. აგინებდა როგორც გენადი ნოზაძეს, ასევე მალხაზ ლომსაძესაც. როცა მანქანიდან გადავიდა, იარაღიც გადაიტანა და სამჯერ უმისამართოდ გაისროლა. ტყვიები, საბედნიეროდ, არავის მოხვედრია. გიორგი მუმლაძემ და მასთან ერთად მყოფმა პირებმა როგორღაც მოახერხეს მისი მანქანაში ჩასმა და შემთხვევის ადგილიდან წაყვანა.

ჭელიძე არც ამ ფაქტებს ადასტურებს. სასამართლოსთვის ჩვენება მას ჯერ არ მიუცია, თუმცა, როგორც მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, ზურაბ როსტიაშვილმა გვითხრა, დანაშაულების აღიარებას არც მომავალში აპირებს.

# „მიხსვლი, როგორ იქნა კმა დავჯერი... დანა ისევ ხელუი კეკეა“, —

## წერს ბრალდებული, რომელიც ექსპერტების თქმით შეურაცხადია

წყალტუბოელ აკაკი ბობოხიძეს, რომელსაც ორი ძმის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ედება ბრალი, ფსიქიატრიული ექსპერტის დასკვნით, იძულებითი მკურნალობა ესაჭიროება. 21 წლის ბობოხიძე ამჟამად ქ. ხონის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფება. მის მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით კი, უზენაეს სასამართლოში პროცესი მიმდინარეობს. ექსპერტთა თქმით, დანაშაულის ჩადენის მომენტში, ბობოხიძეს არ შეეძლო, კონტროლი გაეწია საკუთარი ქმედებისთვის. აღსანიშნავია, რომ ის ადრეც გახლდათ ნასამართლევნი, თუმცა მაშინ, მის შეურაცხადობაზე საუბარი არ ყოფილა.

რაც შეეხება მორიგ დანაშაულს, პროკურატურის დასკვნით, ბობოხიძემ ის საკმაოდ გააზრებულად, წინასწარი განზრახვით ჩადინა. გამოძიების მტკიცებით, შურისძიების გამო, მას ძმების — ზაზა და თეიმურაზ ჩუბინიძეების დახოცვა სურდა და საამისოდ სპეციალურად შეიარაღდა ღანით.

იმ პერიოდში, აკაკი ბობოხიძე თბილისში, ჭრელაშვილის ქუჩაზე დროებით, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. მასთან ხშირად იკრიბებოდნენ მეგობრები, მათ შორის, ალექსანდრე მიქაბერიძე და დავით ქუთათელაძე. იმავე სახლში ქირით ცხოვრობდა ზაზა ჩუბინიძეც, თავის ოჯახთან ერთად. 2001 წლის 29 იანვარს, სწორედ მასა და აკაკის მეგობრებს მოუხდათ შელაპარაკება. იმ დროს, ისინი სახლთან ახლოს, ქუჩაში იმყოფებოდნენ. მიქაბერიძემ და ქუთათელაძემ, საქმის გარჩევის მიზნით, ჩუბინიძე, აკაკი

ბობოხიძის ბინაში შეიყვანეს და ჩხუბი იქ განაგრძეს. ბრალდების თანახმად, ბობოხიძემ და მისმა მეგობრებმა ზაზა აბუნად აიგდეს, ბოლოს კი, მისი 6 წლის ქალიშვილის — ნათიას მისამართითაც შეიგინეს. მიუხედავად ამისა, გამოძიების დასკვნით, ახალგაზრდებს შორის კამათი ჩხუბსა და ფიზიკურ შეურაცხყოფაში არ გადაზრდილა. ზაზამ ისინი მიატოვა და წავიდა.

თუმცა, მომხდარი ინციდენტი ამით არ დასრულებულა. დაახლოებით 20 წუთში, ჩუბინიძე ისევ მიიპატიჟეს ბინაში. უნდა ვილაპარაკოთ, ყველაფერი გავარკვიოთო, — უთხრა მას ბობოხიძემ. ამჯერად, ზაზას თანძმ — თემურიც გაჰყვა. ისევ შეკამათდნენ და სწორედ ამ დროს, აკაკიმ შარვლის საქამრზე დამკრებული ქარქაშიდან დანა ამოიღო. იგი ჯერ თემურ ჩუბინიძეს მოუქნია. ამ უკანასკნელს დანა გულმკერდის არეში, მარჯვენა მხარეს მოხვდა. როგორც პროკურატურა აღნიშნავს, აკაკი თემურისთვის დანის მრავალჯერ ჩარტყმას აპირებდა, მაგრამ სწორედ იმ მომენტში, მას ხელი ზაზამ შეუშალა — ის ძმას გადაეფარა. „ბობოხიძეს ორივე ძმის მოკვლა სურდა. ზაზას მან ორჯერ დაარტყა იგივე დანა გულში. დაჭრილი ზაზა ოთახიდან გავარდა, მაგრამ ბობოხიძე უკანვე გაჰყვა და კიდევ სამჯერ ჩაარტყა სხეულში იარაღი“; — ასე გადმოგვცემს დანაშაულის დეტალებს გამოძიებული. თუმცა, საბრალდებო დასკვნაში რატომღაც არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რას აკეთებდნენ იმ მომენტში მიქაბერიძე და ქუთათელაძე; გამოძიება მხოლოდ იმას

აღნიშნავს, რომ დანაშაულის შემდეგ, ისინიც ბობოხიძესთან ერთად გაიქცნენ და მიმალნენ.

შემთხვევის ადგილას ხალხმა მოიყარა თავი. მეზობლებმა, როგორც დაკითხვისას თქვეს, კარგად დაინახეს, თუ როგორ გარბოდა ეზოდან დანაშაულმკვლეული ბობოხიძე. დაჭრილი ძმები მაშინვე, თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში წაიყვანეს. დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად, ექიმებმა, საბედნიეროდ, ორივე ძმის გადარჩენა მოახერხეს.

მომხდარ ფაქტზე ისანი-სამცორის რაიონულ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. სამართალდამცავებმა აკაკი ბობოხიძის ადგილსამყოფელი კარგა ხანს ვერ დაადგინეს. ორთვე-ნახევრის მან-



გულნამ ბობოხიძე — განსასჯელის დედა

ძილზე ამო ძეხნის შემდეგ, პროკურატურამ სისხლის სამართლის პასუხისმგებამი მისი მიცემის შესახებ დადგინდება გამოიტანა. პოლიციამ ბობოხიძის დაკავება მხოლოდ ერთი წლის შემდეგ – 2002 წლის 14 მაისს შეძლო. იმ დროს, იგი თურმე ქუთაისში, თავის საცხოვრებელ ბინაში, დედასთან ერთად იმყოფებოდა.

დაკავების შემდეგ, მან ჩვენება მისცა გამოძიებას. აკაკი ბობოხიძემ ძმები ჩუბინიძეების განზრახ მკვლელობის მცდელობაში თავი დანაშაუვად არ ცნო. აღნიშნა, რომ მას თავად შეექმნა სიკვდილის საფრთხე, რადგან ჩუბინიძეები მოულოდნელად დაესხნენ თავს და გამეტებთ დაუწყეს ცემა. ცდილობდა, ძმები როგორმე მოეგერიებინა და ამიტომაც გამოიყენა დანა. თუმცა, პროკურატურისგან განსხვავებით, ბობოხიძე აღნიშნავს, რომ იარაღი არც საქმეზე ჰქონდა მიმარებული და არც ქარქაშში ელო. მისი თქმით, ჩუბინიძეები მან მაგიდიდან აღებული პურის საჭრელი დანით დაჭრა.

**აკაკი ბობოხიძის ჩვენებიდან:**

...ერთ დღეს, დათო ქუთათელაძე ჩემთან ნსვამი მოვიდა. მან მე და ალექო მიქაბერიძე დაგვხვდით. დათომ სივარეტი მოითხოვა. არც მე და არც ალექო არ ვეწოდით და ამიტომაც სივარეტი არ გვქონდა, მაღაზია კი სახლიდან საკმაოდ შორს იყო.

მეზობლად ერთი გოგო ცხოვრობდა. მას ხშირად სტუმრობდნენ დაქალები და ასეთ დროს, მის ოთახში არაერთხელ შემინიშნავს სივარეტის კვამლი. ვადავწყვიტე, მასთან მივსულიყავი და ერთი ღერი მითხოვა, რადგან ვატყობდი, რომ დათოს ძალიან უნდოდა მოწევა... ის გოგო გამიბრაზდა: სივარეტი არ მაქვს და საერთოდ, რატომ იფიქრე, რომ მექნებოდა? – პატიოსანი ვარ და ჩემზე ცუდი რამის ფიქრს როგორ ბედავო?! – მითხრა. მე ბოდიში მოვუხადე და სივარეტის საყიდლად მაღაზიაში წავედი.

მეორე დღეს, დილით, დაახლოებით 8 საათი იქნებოდა, როცა მე, დათო და ალექო ერთად გავედით სახლიდან. ეზოში ზაზა ჩუბინიძე შეგვხვდა. გვთხოვა: ერთი წუთით ოთახში შევიდეთ, სალაპარაკო მაქვსო. გავაღეთ კარი და ისევ ბინაში შევედით. ჩუბინიძემ იმ გოგოს გამო გვისაყვედურა: გუშინ მასთან ყოფილხართ სივარეტზე, სხვა დროს იქ მისული არ დაგინახოთ, მსუბუქი ყოფაქცევის არ გეგონოთ, პატიოსანი გოგოაო. გამიკვირდა და ვუთხარი: რა დავაშავეთ იმით, რომ მასთან სივარეტისთვის მივედით-მეთქი? ჩუბინიძემ კი, უხეშად მიპასუხა: მასთან კონტაქტს, უბრალოდ მისალმებასაც ვიკრძალებოდა. მასთან ჩხუბი არ მიხდოდა და ბოდიში მოვუხადე, თან არაფერ შევთავაზე; ჩემს ოჯახში პირველად ხარ და ერთი ჭიჭა დალიე, დაილოცე-მეთქი. ამაზე უარი მითხრა და გავიდა.

რამდენიმე დღეში, მე და ჩემი მეგობრები ისევ შევიკრიბეთ. საღამოს, ჩემთან ბინაში კარტოფილი შევწვით, სუფრა გავშალეთ და სადილობას ვაპირებდით, როცა ეზოდან ყვირილი და ხმამაღალი გინება შემოგვესმა. რაღაც წამებში, ჩემი ბინის კარიც გაიღო და ოთახში ზაზა ჩუბინიძე, თავის ძმასთან ერთად (მისი სახელი აღარ მახსოვს) შემოვარდა...

ორი-სამი წუთის განმავლობაში მცემდნენ. იძულებული ვავხდი, თავი დამეცვა და მაგიდიდან პურის საჭრელი დანა ავიღე. მოვიქნიე, მაგრამ ვის მოხვდა ან რამდენჯერ, არ მახსოვს. მიქაბერიძისთვის და ქუთათელაძისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, არ ვიცი, იმ მომენტში რას აკეთებდნენ... მივხვდი, რომ ორივე ძმს დაგჭერი. მაშინ ოთახიდან გავვარდი, ვიღაცის კვილის ხმა მომესმა და გავიქეცი. დანა ჯერ კიდევ ხელში მეჭირა. სირბილის დროს გადავადდე, თუ სად, არ მახსოვს... პირველად დეიდაჩემთან მივედი. იქ თითქმის ერთი კვირა ვაგზრდი. თუმცა, მომხდარის შესახებ არავისთვის მითქვამს. ამის შემდეგ, ბევრჯერ გამოვიცვალე საცხოვრებელი ადგილი, ბოლოს კი დედაჩემთან, ქუთაისში ვიყავი“.

დაზარალებულები სასამართლოში არ ცხადდებიან. პროკურატურამ მათი ადგილსამყოფელი ვერ დაადგინა, ისევე როგორც ძირითადი მოწმეების.

**ბიორგი ტურაზაშვილი, ბობოხიძის ინტერესების დამცველი ადვოკატი:**

„აკაკი ბობოხიძე განზრახ მკვლელობის მცდელობაში დამნაშავე არ არის. ჩხუბის დროს, ის უბრალოდ, თავს იცავდა და დანაშაულიც აუცილებელი მოვერიების ფარგლებში ჩაიდინა, რასაც გულწრფელად აღასტურებს კიდევ. ვარდა ამისა, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით, დანაშაულის ჩადენის მომენტში, ის შეურაცხადი ვახლდათ. მართალია, ბობოხიძემ გამოძიებას დეტალური და ლოგიკური ჩვენება მისცა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ჯანმრთელია. დასკვნის მიხედვით, ბობოხიძეს სერიოზული მკურნალობა სჭირდება“.


ადვოკატი აპირებს, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს და ბობოხიძეს იძულებითი მკურნალობა ააშოროს. მისი თქმით, უფრო მართებული იქნება, თუკი ის პერიოდულად, დისპანსერში ივლის და სულ საავადმყოფოში არ იქნება. ადვოკატი ირწმუნება, რომ ბობოხიძე საზოგადოებისთვის საშიშ პიროვნებას არ წარმოადგენს და მისი გარეთ, თავისუფლად ყოფნა სავსებით დასაშვებია.

რაც შეეხება მიქაბერიძესა და ქუთათელაძეს, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ძირითადი მოწმენი არიან, პროკურატურას ისინი არ დაუკითხავს. მათგან ჩვენების მიღებას, ალბათ, ვერც



აკაკი ბობოხიძის ადვოკატი – ბიორგი ტურაზაშვილი

სასამართლო შეძლებს, რადგან სამართალდამცავები დაუინებთ აცხადებენ – მიქაბერიძის და ქუთათელაძის ადგილსამყოფელი ვერ დავადგინეთო. სამაგიეროდ, ხსენებული მოწმეების ნახვა არ გასჭირვებია განსასჯელის დედას – გულნაზ ბობოხიძეს. მისი თქმით, მიქაბერიძე და ქუთათელაძე აკაკი ბობოხიძის ჩვენებას აღასტურებენ, მხოლოდ ერთს დასძენენ – ჩუბინიძეები ოთახში შემოცვივდნენ თუ არა, პირველ რიგში ჩვენ გვცემეს, კუთხეში მიგვაგდეს და ამიტომაც ვერ შევძელით აკაკის დავხმარებოდიოთ. „ჩემი შვილი ძმებ ჩუბინიძეებს, ორ დიულისტს მარტო შერჩა ხელში. მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, თავი უნდა დაეცვა“, – დასძინა ჩვენთან საუბრისას გულნაზ ბობოხიძემ. მისი თქმით, მიქაბერიძე და ქუთათელაძე განგებ არიდებენ თავს სამართალდამცავებს, რადგან არც პროკურატურაში და არც სასამართლოში მისვლა არ სურთ, მიუხედავად იმისა, რომ მათ (განსასჯელის დედის მონათხრობს თუ გავითვალისწინებთ) მეგობრის სასარგებლო ჩვენების მიცემა შეუძლიათ. თუმცა, ბობოხიძის ადვოკატს, როგორც თავად აღნიშნა, ეს ნაკლებად აინტერესებს. მისი დაცვის სტრატეგია მთლიანად ექსპერტიზის დასკვნაზეა აგებული. „მართალია, კომისიური ექსპერტიზის დასკვნაში ეჭვის შეტანა არ შემიძლია, მაგრამ ბობოხიძის შეურაცხადობასთან დაკავშირებით ბევრი შეკითხვა ჩნდება. ამიტომაც, მომდევნო სასამართლო სხდომაზე სწორედ იმ ექსპერტ-ფსიქიატრს დავკითხავთ, რომელმაც ამ დასკვნის დაწერაში მიიღო მონაწილეობა. თუმცა, ექსპერტმა გამოძიებას თავის დროზე ასეთი პასუხი გასცა – კონკრეტული მომენტები თუ არ დადგა, ზოგიერთი ადამიანის შეურაცხადობას ვერ მიხვდებით“, – აღნიშნა ჩვენთან საუბრისას სახელმწიფო ბრალმძებელმა.



# „შენი შვილი“

## „შენი რამე შეგსძულს, ანუ იმეგობრად იხსნება...“

„გზის“ წინა ნომერში რუბრიკის — „გზავნილები“ პრემიერა შემოგ-თავაზეთ და არც ის დაგვიმალავს, რომ მისი შემოღების იდეა მკითხველის თხოვნამ გვიკარნახა. უნდა გითხრათ, რომ ამ ნამოწმებს უამრავი გამოხმაურება მოჰყვა. მობილურზე შეუჩერებლივ მოდიოდა „მესიჯები“. ზოგი თავისი პრობლემის შესახებ მიაბობდა, ზოგი რჩევას მეკითხებოდა, ზოგი კი, წინოს (პირველი სტატიის მთავარ მოქმედ პირს) გულშემატიკობდა. ამ რამდენიმე დღეში უამრავი საინტერესო ამბავი შევიტყვე, მაგრამ თქვენს ყურადღებას მხოლოდ რამდენიმეზე შევიჩერებ, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო აქტუალურია და კონკრეტული ადრესატისთვის გამიზნული. თავდაპირველად კი, წინოს სასიყვარულო ამბის გაგრძელების შესახებ გაუწყებთ, რომლის გულისნადების გამოქვეყნებას სასიკეთო შედეგი მოჰყვა: მეოთხე დღეს, წინოსგან შემდეგი გზავნილები მივიღე:

„მარი, გამადლობთ! გიომ დამირეკა. შევრიგდით. მითხრა, — მე ისევ მიყვარხარ, შენი მიტოვება არც მქონდა განზრახული, მაგრამ იმიტომ მოვიქეცი ასე, რომ კარგი გაკვეთილი მიგელოო. როდესაც სტატია ნაუკითხავს, მიმხედარა, რომ უზომოდ ვნერვიულობდი და განვიცდიდი მასთან განშორებას. ბედნიერი ვარ. სიცოცხლის ბოლომდე გიოსა და „გზის“ ერთგული ვიქნები. ჟურნალის ამ ნომერს კი, საგულდაგულოდ შევინახავთ ორივე და ჩვენს შვილებს წავაკითხებთ...“

### მარი ჩაფარიძე

წინოს ვთხოვე, გიოსთან დავეკავშირებინე, მაგრამ ვაჟმა გასაუბრებაზე თავაზიანი უარი გვითხრა. თუმცა, მთავარი ის არის, რომ ჩვენი შეყვარებულები შერიგდნენ!..

ახლა კი, სხვების საწუხარსაც მივხედოთ და იმედი ვიქონიოთ, რომ ჩემამდე მოსული ყველა ამბავი ასევე კეთილად დასრულდება.

„ლაშა მქვია. ვარ 18 წლის. თქვენი სტატია წავიკითხე და გადავწყვიტე, მომეწერა. ერთი გოგონა მიყვარს. მას ნანა ჰქვია. ცეკვის წრეზე სიარულის დროს გავიცანი და საუკეთესო მეგობრები ვართ. უფრო სწორად, ის მთვლის თავის მეგობრად, მე კი უზომოდ მიყვარს. გამუდმებით მასზე ვფიქრობ. ჩვენი ურთიერთობა 5 წელია, გრძელდება. ის ჩემს მეზობელ სოფელში ცხოვრობს. გთხოვთ, დამეხმაროთ და „გზის“ საშუალებით შეატყ-

ობინოთ, რომ მიყვარს. მე რომ გავუშხი-ლო, ვიცი, არ შემიყვარებს, რადგან რამდენჯერმე უთქვამს: არ მიყვარს, მეგობრებს ერთმანეთი რომ უყვარდებათო... როგორ მოვიქეცე? მის უარს ვერ გადავიტან. თუ ჩემს საწუხარს გამოაქვეყნებთ, გთხოვთ, მისი გვარიც მიუთითოთ... ველი პასუხს...“

ლაშასთან დაკავშირებას ვერ ვახერხებთ, რომ ნანას გვარი გვაცნობოს. როგორც ჩანს, ის სხვისი ტელეფონით დავიკავშირდებოდა, მაგრამ იმედიანა საკუთარ თავს ამოიციან და ჩვენი საშუალებით თუ არა, პირადად მაინც გაუშხელს თავის აზრს, მასზე უზომოდ შეყვარებულ ბიჭს...

საინტერესო გზავნილები მოვიდა ფოთიდან, მათ შორის ერთ-ერთს მუქარაც კი მოჰყვა. მუქარა იქით იყოს და ისევე, როგორც სხვებს, გოგასაც გულწრფელად გვინდა დავეხმაროთ — მოვაძებნინოთ ის, ვინც მისი გული ასე დაამწუხრა და თვითმკვლელობაზეც კი დააფიქრა:

„გამარჯობათ. ფოთიდან გაწუხებთ. „გზის“ მკითხველი ვარ. გოგა მქვია. ცნობილი პიროვნების შვილი ვარ. მამაჩემი ძალიან თანამდებობაზე მსახურობს. შემეყვარდა ერთი გოგო. სოფო ჰქვია. ერთმანეთს სამი წლის განმავლობაში ვხვდებოდით. როდესაც მამამისმა ამის შესახებ შეიტყო, ერთმანეთს დაგვაშორა და სოფო სადაც გახიზნა. მას შემდეგ ვერ ვპოულობ. მისმა დაქალმა მითხრა — შენზე გაბრაზებულიაო... თქვენი მეშვეობით მინდა ვუთხრა, რომ მიყვარს და სადაც არ უნდა იყოს, მაინც მოვებინი. მართლა ძალიან მიყვარს. ის ხომ ჩემს შვილს ატარებს მუცლით... იმედია არ გამაწუხებთ. სოფო „გზას“ რეგულარულად კითხულობს. ბოლო იმედი თქვენ ხართ — სხვა არავინ. თვითმკვლელობაზე ვფიქრობ გამუდმებით. ანდერძი დაწერილი მაქვს. დამეხმარეთ, თორემ, ცოლვა თქვენზე იყოს... მამიკოს ერთადერთი შვილი ვარ. მას გავლენა აქვს პარლამენტში. ანდერძში დავწერ, რომ არ დამეხმარეთ და თავს ამისთვის ვიკლავ-მეთქი, — და იცოდეთ, გაგანადგურებენ. არ გაშინებთ. დამეხმარეთ...“

რა თქმა უნდა, ვხვდებით, რომ გოგას მუქარა მხოლოდ იმისთვის დასჭირდა, მისი საწუხარი აუცილებლად რომ მოხვედრილიყო ჟურნალის ფურცლებზე, მაგრამ ასეთ გზავნილს უყურადღებოდ, აბა, როგორ დავტოვებდით?!

დიანა გავომიძე (გვარის მითითება თავად გვთხოვა) კი, გვიამბობს თავის თავგადასავალს და ბოდიშის მოხდასაც სხვისგან (ვისაც დამნაშავედ მიიჩნევს) მოითხოვს...

„მე დიანა გავომიძე ვარ, 26 წლის. მე და დათოს ერთმანეთი 5 წლის განმავლობაში გვიყვარდა. დაქორწინებას კი იმიტომ ვერ ვახერხებდით, რომ დედამისი ყოველდღე მითვლიდა: არ გაბელო, ჩემს შვილს არ გამოჰყვე, თორემ არ გაგახარებ, რადგან ჩემი ოჯახის შესაფერისი არ ხარო. დათო სულ მპირდებოდა: ოჯახში სიტუაციას მოვაგვარებ და ჩვენ აუცილებლად ერთად ვიქნებითო. მოთმინებით ველოდი, რადგან ვგრძობდი, რომ ვუყვარდი და მეც გამიჭირდებოდა მის გარეშე ცხოვრება. ერთ დღეს მითხრა: ჩემთან მივდივართ, ჩემი მშობლები დავიყოლიე და ცოლად მომეყვანარო. იმ დღესვე არა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ, მართლაც, შინ წამიყვანა. ოციოდე სტუმარი და გაშლილი სუფრა დავგვხვდა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, გვადღებდნენ, ბედნიერებას გვისურვებდნენ... საღამო ხანს, დათოს მამამ ცალკე ოთახში გამიხმო და მითხრა: რატომ გამოჰყვე დათოს? ხომ იცი, რომ ჩვენ არ გვინდოდა? მაინც არ გაგახარებ; იცოდე,

განანებ, ასე რომ მოიქეცი, შენ ჩემს ოჯახში რა გინდა?! მე პროკურორი ვარ, მამაშენი კი – მიწის მუშა; სანამ დროა, ჯობს, წაზვიდე და დათოს სახელი აღარ ახსენოლო... გაოცებული დაერჩი. შეურაცხყოფილმა სულ რამდენიმე წუთში დაგტოვე ის ოჯახი. დათოს ხვეწნა-მუდარას ყურადღებაც არ მივაქციე. ამის შემდეგ, მას ჩემთან ყველანაირი ურთიერთობა ავუკრძალე. აღარ ვხვდებოდი. დღე და ღამე ჩემს ფანჯრებთან იდგა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უზომოდ მიყვარდა და მენატრებოდა, ჩემს თავს ვაძიულებდი, მასთან შეხვედრაზე უარი მეთქვა. ერთი თვის შემდეგ კი, დათომ თავი მოიწამლა და ველარაფერი უშველეს... ეს ორი წლის წინ მოხდა. სულ თავს ვიდანაშაულებ, მაგრამ ყველა მამშვიდებს – შენ არაფერ შუაში ხარო... ვფიქრობ, მამამისი ვერასოდეს მოინებებს თავის საქციელს. შვილის სულთან და ჩემთან კი, ბოდიში აქვს მოსახდელი...”

ჩვენმა რუბრიკამ ერთ-ერთ ქალბატონს აღსარების სურვილი გაუჩინა. მისი „მესიჯების“ კითხვის დროს, უამრავი შეკითხვა დაგებადა, მაგრამ სამწუხაროდ, ნომერი „დაფარული“ იყო – ჩემი ტელეფონი მას ვერ აფიქსირებდა...

„სტატუის ბოლოს, თქვენმა მოწოდებამ იმის შესახებ, რომ თუ ბოდიში გაქვთ ვინმესთვის მოსახდელი, ისარგებლეთ ჩვენი ჟურნალის ფურცლებით, მოსვენება დამიკარგა. ჩემი ცხოვრების უდიდეს საიდუმლოს გაგიმხელთ და თუ საჭიროდ მიიჩნევთ, დაბეჭდეთ. ექიმი ვარ. ორმოცდაათს გადაცილებული. სტუდენტობის დროს, მყავდა შეყვარებული, რომელმაც მაშინ მიმატოვა, როდესაც გაიგო, რომ მისგან ბავშვს ველოდებოდი. როდესაც ვიმშობიარე, შევუთვალე: ბიჭი შემქმინა. შვილს თუ ინახულებ და შემდეგ მამის სახელს არ დაავიწყებ, კარგი იქნება; შენი ნახვა სხვა არაფერში მჭირდ-

ება-მეთქი. არც ბავშვი უნახავს და არც პასუხად შემოუთვლია რაიმე... გავიდა წლები. ჩემს ბიჭს ვახტანგი დავარქვი და ისე გავზარდე, არაფერი მომიკლია. გურამთან დაკავშირებაც აღარ მიცლია. თუ თავად არ აინტერესებდა შვილის ნახვა, მე ხომ არ დავაძალებდი? მოხდა ისე, რომ მან ცოლი გვიან მოიყვანა და ახალდაქორწინებულები რომ იყვნენ, მისი მეუღლე საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდა. ქირურგი მე ვიყავი. ოპერაციის დროს, საკვერცხის მიღები გადავუკეტე, რომ მათთვის შვილის ყოლის შანსი მომესპო. ბევრი ვიყოყმანე, ხელები მიკანკალებდა, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება მაინც მივიღე. ერთი-ორი დღე ვინერვიულე, შემდეგ კი, თავი იმით დავიმშვიდე, რომ მართალია, კანონიერ ცოლთან შთამომავლობა არ ეყოლებოდა, სამაგიეროდ, მას გენის გამგრძელებელი ჰყავს და ეს ჩვენი შვილია... ახლა ვახტანგი 34 წლისაა, ჰყავს მეუღლე და ორი მოზრდილი შვილი. როდესაც ის 20 წლის გახდა, მაშინ გავუშვილე მამის ვინაობა და ვუამბე ჩვენი სიყვარულის ამბავი. მას არც უცდია, მამასთან დაკავშირება. ვფიქრობ, მაინც საჭიროა, ბოდიში მოვუხადო გურამს და ერთ ამბავს გავახსენებ, რომ ადვილად მიხვდეს, ვისზეა საუბარი. ჩემო გურამ, გახსოვს, მთაწმინდაზე რომ ღამე გავათიეთ? ბოთლის ნატენზე ფეხი რომ გაიჭერი, ვერაფერი ვიპოვეთ, რითიც ჭრილობას გადაგიხვევდი. ჩემს კაბას ბოლო მოვახიე და სისხლის დენა ისე შეგიჩერე. დილით კი, ჩამომოძილი კაბით მთელი ქალაქი მოვიარე შენთან ერთად და შინ ისე დაგბრუნდი. დიას, ეს მე ვარ, „შენი“ (როგორც მიწოდებდი) ქეთინო. „გზის“ ფურცლებიდან გეხმინანები, აღსარებას გაბარებ და ბოდიშს გიხდი! შენი შვილი კი, გაჭრილი ვაშლივით გგავს და ქუჩაში რომ შეგხვდეს, აუცილებლად იცნობ...”

დაბოლოს, რამდენიმე მოკლე გზავნილი, რომლითაც ზოგიერთი მკითხველი გამოგვეხმაურა:

„მიყვარხართ. კარგები ხართ, გაგიმარჯოთ! თაზო“.

„ძალიან გულისხმიერი ადამიანი ხართ – ზვიადი“.

„მეც მინდა ბოდიშის მოხდა, მაგრამ არ ვიცი – ვის და რისთვის მოვუხადო ბოდიში. სურვილი დიდი მაქვს. თუ ვინმეს რაიმე გაწყენინეთ – ბოდიში! თქვენი ილია სიხარულიძე...“

დაგვირეკეთ ან გამოგვიგზავნეთ „მესიჯი“ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გავგიზიარეთ თქვენი გულისნადები. ჩვენ კვლავაც ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ გაპოვნინოთ გამოსავალი ნებისმიერი სიტუაციიდან.



# ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდებით პასუხის გაცემა...

## 1. რამდენ ხანს გრძელდება მოდა იური გაბარინის ფრენა კოსმოსში?



- ა) 1 საათსა და 48 წუთს;
- ბ) 36 საათსა და 12 წუთს;
- გ) 48 წუთს.

## 2. ითვლება, რომ სკამი დაახლოებით 4,5 ათასი წლის წინ გამოიგონეს...



- ა) ეგვიპტელებმა;
- ბ) ბერძნებმა;
- გ) რომაელებმა.

## 3. რას ნიშნავს ყარაჩოხელი თურქულად?



- ა) ალალ ხელოსანს;
- ბ) წვეროსან რაინდს;
- გ) შავჩოხიანს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

# ელექტრონული ჭადრაკი „SABER IV“




ელექტრონული ჭადრაკი "SABER IV" უახლესი გამოგონებაა სათამაშო ჭადრაკებში, რომელიც გათვალისწინებულია ნებისმიერი ასაკისათვის. სპეციალური პროგრამა state-of-the-art საშუალებას იძლევა ეთამაშოთ კომპიუტერს როგორც ადამიანს. თქვენ აღარ გჭირდებათ მოთამაშე პარტნიორი – თქვენ ეთამაშებით ელექტრონულ ჭადრაკს, რომელსაც გააჩნია მაგნიტურ - სენსორული დაფა და თვითონ აადვილებს ფიგურებს. ელექტრონული ჭადრაკი საშუალებას გაძლევთ აირჩიოთ თამაშის თქვენთვის სასურველი სირთულის დონე. მას გააჩ-

ნია სირთულის 73 დონე, როგორც დამწყები, ისე პროფესიონალი მოთამაშეებისათვის. ამ თვალსაზრისით ელექტრონული ჭადრაკი წარმოადგენს იდეალურ მასწავლებელს და მეგობარს თქვენი ბავშვისათვის. მას გააჩნია დაპროგრამებული სვლების უნიკალური მოკარნახე, რომელიც აადვილებს სწავლების პროცესს და საშუალებას აძლევს ბავშვს აითვისოს ჭადრაკი და დახვეწოს თამაშის ტექნიკა. ელექტრონული ჭადრაკი ავითარებს ბავშვის კონცენტრაციას, სათამაშო სიტუაციებში სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარს და რაც მთავარია, ეს ხდება მასწავლებლისაგან და პარტნიორის დაუხმარებლად, თუმცა შესაძლებელია ასევე სურვილისამებრ თამაში პარტნიორთან ერთად. ელექტრონული ჭადრაკი ასევე საუკეთესო პარტნიორია მათთვის, ვინც უკვე კარგად ერკვევა საჭადრაკო ხელოვნებაში. იგი საშუალებას გაძლევთ შეინახოთ თამაში შემდგომი გადათამაშებისთვის, გაანალიზოთ როგორც თქვენი, ისე ელექტრონული ჭადრაკის მიერ გაკეთებული სვლები და იხილოთ მისი შესაძლო ვარიანტები, ასევე უფრო იოლი ან რთული დონეები. ჭადრაკის ფიგურები ინახება სპეციალურ განყოფილებაში დაფის უკანა მხარეს.

ზომები: 210 x 188 x 22 მმ.  
 წონა: 410 გრ.  
 კვება: 3x"AAA"1,5 V  
 ფასი: 154 ლარი

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შეძენას, დაგვიკავშირდით  
 ☎(995 32) 33 30 63 ან შეგვიკვით ინტერნეტ მაღაზია - [www.shopge.com](http://www.shopge.com)-ის საშუალებით და ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა. ®

სახუმარო თემა არ არის, მაგრამ მაინც ხუმრობით დავიწყებ. კაცი მეგობარს ეკითხება: გახსოვს, ახალგაზრდობაში, ქალებში რომ დავძვრებოდითო? — ეგ კი მახსოვს, მაგრამ რატომ დავძვრებოდით, ის არ მახსოვსო. ხუმრობის ავტორს — ქართლოს კასრაძეს ერთ-ერთ სუფრაზე დაუჩივლია: ცოტა ხნის შემდეგ, ეს გამონათქვამი ასე შეიცვლება: გახსოვს, ახალგაზრდობაში ინტერნეტში რომ დავძვრებოდითო? — შემდეგ კი დაუმატებია: ნუ გადამრიეთ, ხალხო — ქალებში ძროშიაღს, ინტერნეტში ძროშიალი როგორ სჯობიაო?! — ალბათ მიხვდით, ჩვენი საუბროს მთავარი თემაც ეს არის: ვინ ვისთან დაძვრება და რატომ?!



სახეს  
იცვლის...

ბაც არ გაუჭირდება. არ ვოცნებობ მის ცოლობაზე, რადგან მიმაჩნია, რომ ორ ადამიანს შორის გრძნობა მუდმივია მხოლოდ მაშინ, როცა ის ოჯახური მოვალეობებით არ არის შეზღუდული. რაც არ უნდა მიმტკიცონ, რომ ცოლ-ქმარს ისევე უყვარს ერთმანეთი, როგორც 20 წლის წინ — არ მჯერა! ეს საზოგადოებისთვის ნათქვამი ტრაფარეტი. ბევრი ცოლ-ქმარი მინახავს, ვინც ამას ამბობს, მაგრამ ვიცი, რომ ან ქმარი დაძვრება სხვაგან, ან ცოლი. მე სხვაზე ნაკლებად მიყვარს? მე ხომ მის ცოლსაც ვუფროთხილდები — ვცდილობ, ეჭვიანობისა და ნერვიულობის საბაბი არ მივცე. დამიჯერებთ? ჩემი საყვარლის ბინის ტელეფონის ნომერიც კი არ ვიცი,

**ნანა კიბიშაური**

თემა ყველასთვის კარგად ნაცნობი და ახლობელია. შეიძლება, პირადად თქვენ არასოდეს დალოდებიხართ გარდერობაში ტრამვაის, მაგრამ ხომ გსმენიათ იმის შესახებ, რომ ასეც ხდება?... ახლა კი, სრულიად სერიოზულად: ცოლქმრული მოვალეობის უპატივცემულობა, რომელიც ერთი სიტყვით — „ღალატით“ გამოიხატება, ხშირად არის სასამართლოს თუ ჭორიკანა მეზობლების განსჯის საგანი, მაგრამ რა ჰქვია იმ შემთხვევას, დაუოჯახებელი წველი წლების განმავლობაში ერთად რომ ცხოვრობს, ცოლისა და ქმრის სახელს „ოფიციალური საყვარლის“ სტატუსს ამჯობინებს და ამას არც მალავს? ბოლო დროს, ძალიან ბევრმა ცნობილმა ადამიანმა ყურნაღისტებს დაუფარავად განუცხადა გელფრენდის, ბოიფრენდის თუ „მეგობრის“ გვარ-სახელი და რაც შესაძლებელი იყო, ტრადიციულად არ დაამატა: ეს ისე, МЕЖДУ НАМИ-ო... თუნდაც აქედან ჩანს ის, რომ დღეს საყვარლობის ინსტიტუტის მიმართაც შეიცვალა დამოკიდებულება და საყვარლის ფსიქოტიპიც (ზოგადად, რა თქმა უნდა). ამ თემაზე სასაუბროდ პირველი რესპონდენტი, რომელიც ინტერვიუზე დავითანხმეთ, ამბობს, რომ სხვა ქალებისგან განსხვავებით, რომელთაც ე.წ. „მეგობარი“ ჰყავთ, არ ოცნებობს ცოლის სტატუსის მოპოვებაზე, რადგან სავესებით აკმაყოფილებს ის მდგომარეობა, რომელშიც ამჟამად იმყოფება.

გარინა 35 წლის (სახელი აქაც

და შემდგომშიც, პირობითია):

— მეუღლესთან უკვე გაცილებული ვიყავი, როდესაც ჩემს პირველ სიყვარულს შევხვდი. მას ჰყავს ოჯახი, მეუღლე და ორი შვილი. როგორც თვითონ ამბობს, ძალიან ვუყვარვარ. ამაში მეც დარწმუნებული ვარ და თავს ბედნიერად ვგრძნობ.

**— რატომ ხართ ასე დარწმუნებული?**

— როგორც ამბობენ, როდესაც ქალი და მამაკაცი ჯვარდაწერილნი არიან, ისინი იმ ქვეყნად ერთად იქნებიან. მან პირველმა შემომთავაზა ჯვრისწერა და ჩვენი ფიზიკური ურთიერთობაც მხოლოდ ამის შემდეგ შედგა. მართალია, ჯვრისწერის დროს არ გავამხილეთ ჩვენი მდგომარეობა, მაგრამ არც მღვდელს უკითხავს, რომელიმე ჩვენგანს ჰქონდა თუ არა ოჯახი.

**— ის რომ დაეჭვებულიყო, ალბათ არც დაგწერდათ ჯვარს. არ გაქვთ დანაშაულის განცდა, სხვის ქმარს რომ ხვდებით?**

— ოჯახის დანგრევა ჩემთვის იმდენად დიდი ტრაგედია იყო, რომ ასე მეგონა, ვერასოდეს შევძლებდი მამაკაცთან ურთიერთობას. მაგრამ გადამწყვეტი როლი ითამაშა იმან, რომ სიყვარული ბავშვობის დროინდელი ოცნების სახით გამომეცხადა. დანაშაულის განცდა არ მაქვს იმდენად, რამდენადაც მე არ ვაპირებ მისი ოჯახის დანგრევას, მეუღლისთვის — ქმრის და შვილებისთვის მამის წართმევას. ვიცი, რომ შვილები ძალიან უყვარს და თუ ის ოჯახის მიტოვებას შეძლებს, ე.ი. ჩემი მიტოვე-

მხოლოდ მობილურით ვუკავშირდები ხოლმე. თუ გამორთული აქვს, ზარს მეორედ აღარ ვუშვებ და ველოდები, სანამ თვითონ არ დამირეკავს. ძალიან მაინტერესებს, როგორი ურთიერთობა აქვს მეუღლესთან, მაგრამ ვიცი — ზედმეტი ცნობისმოყვარეობა გააღიზიანებს და არ ვეკითხები. მისი მეუღლე საერთო ნაცნობის დახმარებით შორიდან ვნახე. პირველი შეხედვისთანავე მივხვდი, რომ ჩვეულებრივი, პატიოსანი ქალია — ოჯახის დიასახლისი. იმაზე მეტი რომ ყოფილიყო, რაც ვნახე, გული დამწყვედოდა; იმაზე ნაკლები რომ ყოფილიყო — მაშინაც!.. ცოლზე არ ვეჭვიანობ, მაგრამ ვიღაც სხვა ქალი თუ გამოჩნდა, ვისაც თვალს გააყოლებს, საშინლად განვიცდი. იმის წარმოდგენაც კი არ მინდა, რომ ოღესმე, სხვასაც ისე მოეყვროს, როგორც მე მეუფერება.

**— ბევრი ერთგული ქალი გადაქცეულია მოღალატე ცოლად და ამის მიზეზი ქმრის უყურადღებობა ან სხვა ქალით გატაცება ყოფილა...**

— მართალია, ტელესერიალების დიდი მოყვარული არ ვარ, მაგრამ ერთხელ ასეთ ეპიზოდს შევესწარი: ქალმა დაიქორთვა კაცი იმისათვის, რომ საყვარლის ცოლი ეცდუნებინა და მიზანსაც მიაღწია. ძალიან უცნაური გრძნობა დამეუფლა. ვიფიქრე და მივხვდი: ისეთ მამაკაცთან ურთიერთობას ვერ შევძლებდი, რომელსაც ცოლი ღალატობს — თუ ერთგული ცოლი არ ჰყავს, ის კაცი ჩემთვის კაცი არ არის. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ბევრს ნიშნავს, ჩემს



საყვარელ კაცს ერთგული ცოლი რომ ჰყავს.

**— სანამ ქმარს გაეყრებოდი, მასზე არასოდეს გიეჭვებოდა? ან რას მოილოქმედი, ვინც ქმარს შეგეცილებოდა?**

— ჯობს, ქალმა ურთიერთობა ქმართან გაარკვიოს. როცა მეტოქეს შეურაცხყოფას აყენებ, მამაკაცის სიმპათია ყოველთვის დაჩაგრულის მხარესაა. მიმაჩნია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, კაცი მინც მოახერხებს ყოველნაირი ბარიერის გადალახვას და საყვარელ ქალთან ურთიერთობის შენარჩუნებას.

**— თუ ცოლი ემოციებს არ აპყვება და ტკვიანურად მოიქცევა, კაცი ბოლოს ისევ მეუღლესთან რჩება. გიფიქრიათ ამის შესახებ?**

— არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა და ამაზე ფიქრით არ ვიტყობებ თავს. ჯერჯერობით ცხოვრების დინებას მივყვები და ვცდილობ, მომავალზე არ ვიფიქრო. მართლობის კი, მეც ისევე მეშინია, როგორც ყველა, საღალ მოაზროვნე ადამიანს.

**— ფინანსურად თუ გიმართავთ ხელს?**

— არა, არასოდეს მოუცია ჩემთვის ფული. ის მხოლოდ იმ ბინის ქირას

ისტუმრებს, რომელშიც ერთმანეთს ვხვდებით. ზოგჯერ, საჩუქარსაც მიძღვნი. სულ მცირე თანხაც კი არ მითხოვია მისთვის და არც თვითონ დაუტოვებია ბალიშის ქვეშ ასდლოარიანი. ფინანსურ მხარეს სიყვარულთან რა კავშირი აქვს?!

რასაკვირველია, სკანდალი არ არის გამოსავალი, მაგრამ რა უნდა ქნას ცოლმა, თუ მას ქმარი უყვარს, კაცმა კი გული აიყარა ოჯახზე? ჩვენი მორიგი რესპონდენტის ნაამბობით, მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — არავითარ შემთხვევაში ქალმა არ უნდა იფიქროს შურისძიებაზე, რადგან შურისძიებას არავისთვის მოაქვს ბედნიერება.

**მანია, 30 წლის:**

— ვერ გეტყვით როგორ, მაგრამ როგორც არ უნდა შეეცადოს კაცი, დამლოს სხვა ქალით თავისი გატაცება, ცოლი მინც გრძნობს მათ ურთიერთობაში მესამის გამოჩენას. ვიგრძენი მეც და გადავწყვიტე, ქმართან გულანდილად დალაპარაკება. ჩვენი საუბარი იმით დამთავრდა, რომ მითხრა: მოჩვენებები დაგეწყო. ერთი წელი ვაწვალეთ ერთმანეთი და ბოლოს აღიარა, რომ მართლა ჰყავდა საყვარელი და მე ან უნდა შეგეუბოდი ამ მდგომარეობას, ან ჩემოდანი უნდა ჩამელაგებინა. ისიც მითხრა — თუ წავიდოდი, ჩემს პირად ცხოვრებაში არ ჩაეროდა და მე თავისუფალი ქალი ვიქნებოდი, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები მასთან დარჩებოდნენ. იცით, რით ახსნა საყვარლის გაჩენა? — თურმე ცივი ქალი ვყოფილვარ, ამავე დროს — ნევრასტენიკი და ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩემი ქმარი, მინც მიღალატებდა... მოკვიდე ბავშვებს ხელი, ტაქსი გავაჩერე და მშობლების მისამართი ვუთხარი.



თეონა ლომთაძე

მძლოლმა ატირებული რომ მნახა, მეითხა — რით შემიძლია დაგეხმაროთ? არც ვაცე, არც ვაცხელე და ვკითხე: შეგიძლიათ იმის დადგენაში დამეხმაროთ, ცივი ქალი ვარ თუ არა-მეთქი?... ბევრი რომ არ გავაგრძელო, პირველი მამაკაცი, ვისთანაც ქმარს, მასზე შურისძიების მიზნით ვუღალატე, ტაქსის მძლოლი იყო. მამის მისი სახელიც კი არ ვიცოდი... იმ დღეს, უგონოდ მივრავი მივედი შინ. დილა რომ გათენდა, არავინ იყო ჩემზე უბედური. ერთი თვის შემდეგ, მეუღლე მოვიდა და შერიგება მთხოვა. ჩემს ქმარს ისევ ჰყავდა საყვარელი. რამდენჯერაც შინ მოსვლას დაგვიანებდა, იმდენჯერ სასტუმროში გატარებულ იმ ღამეზე ვიწყებდი ფიქრს და ასე ვაგრძელებდი შურისძიებას. ერთ დღეს, მეგობრის დაბადების დღეზე გადავწყვიტეთ წასვლა. არ მოვიდა. მარტო წავედი. დავლიე. გვიან მომაკითხა შინ წასაყვანად. სახლამდე ვერ მოითმინა, სააბაზანოში შემიყვანა და — რას ჰგავხარ, თავს რატომ მჭრიო? — მითხრა და გამარტყა. სკანდალი მოვაწყვე ვევიროდი: ახლა რაც გინდა, ქენი, მე უკვე ვიცი, ცივი ქალი რომ არ ვარ-მეთქი!.. ამის შემდეგ, მართლა დამენგრა ოჯახი. ბავშვები ჩემთან არიან. მეუღლემ ის ქალიც მიატოვა, ვისზეც ვეჭვიანობდი. ჩვენი დამორებიდან ორი წლის შემდეგ კი, სულ სხვა ვიდაც მოიყვანა ცოლად. როგორც ვიცი, ბედნიერი ოჯახი აქვს. ზოგჯერ ბავშვები მიჰყავს, ფინანსურადაც გვეხმარება, მაგრამ მე დღემდე ვერ გამოვედი მდგომარეობიდან. ძალიან მრცხვენია იმის, რაც ჩავიდინე. ასე მგონია, ჩემი ამავე მთელმა ქალაქმა იცის. მთელი შეგნებით ვგრძნობ, რომ მე ვერ ვიბრძოლე ჩემი ქმრის დასაბრუნებლად ისე, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ღირსეულად გამოვსულიყავი და ამის გამო დავისაჯე კიდევ. იქნებ, ჩემი მაგალითი ვიღაცას დაეხმაროს იმაში, რომ ოჯახის გადარჩენის სხვა გზა აირჩიოს. შურისძიების გრძნობა, ამ შემთხვევაშიც ცული მეგზური ყოფილა...

ახლა კი, სპეციალისტის კომენტარი თემაზე.

**თეონა ლომთაძე, ფსიქოლოგი:**

— საქართველო ტრადიციული კულტურის ქვეყნად რჩება, სადაც მამაკაცს კვლავ პრიორიტეტული მდგომარეობა უკავია. პარტნიორულ ურთიერთობაში მას გაცილებით მეტი რამ ევატიება, ვიდრე ქალს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს საზოგადოების დიდი ნაწილი. საზოგადოება მოღალატე მამაკაცის მიმართ უფრო შემწყნარებელია, ვიდრე მოღალატე ქალის მიმართ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქალი, რომელმაც შურისძიების მიზნით გადაწყვიტა დალატი, შურისძიებაში ბედნიერე-

ბას ვერ იპოვიდა. მამაკაცისთვის, ხშირ შემთხვევაში, ოჯახის მიღმა ურთიერთობები ღალატად არ აღიქმება. მანდილოსნები კი, ერთჯერად ურთიერთობას – ე.წ. შემთხვევით კავშირებს უფრო იოლად აპატიებენ ქმარს, ვიდრე ე.წ. ოფიციალური საყვარლის ყოლას. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ყველა შემთხვევაში, ქალია დაზარალებული. თავისი მდგომარეობით ბოლომდე კმაყოფილი არც ცოლის სტატუსზე ქვეცნობიერად მოცინებე საყვარელსა და (რა იქნება შემდეგ, ამაზე ფიქრი არ მინდა“, „სიმარტოვის მეშინია!“) და არც ცოლი, რომელმაც უნდა გააკეთოს არჩევანი – შეეგუოს ბედს თუ ჩააღვაროს ჩემოდანი. ორივე შემთხვევაში, მომავალი ბურუსითაა მოცული. არავინ ფიქრობს იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია მამაკაცი (ყველაფერში დანაშაუვ მამაკაცი), რომელმაც შეიძლება, იმის გამო, რომ ორ ქალს შორის არჩევანი ვერ გააკეთა, სიცოცხლე მძიმე ინფარქტით დაამთავროს... ასე რომ, ნურავინ იფიქრებს, რომ მამაკაცისთვის, სრული იდილიის შესაქმნელად საკმარისია ლამაზი საყვარლის და ერთგული ძეგულის ყოლა. ორ ცეცხლს შუა მოქცეული მამაკაცისთვის ძალიან ძნელია პარმონიული გარემოს პოვნა და სულიერი სიმშვიდის მოპოვება.

ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული კულტურული საწყისი აქვს გელფრენდ-ბოიფრენდის ინსტიტუტს და საყვარლობის ინსტიტუტს. პირველი ქორწინებებში არმყოფი პარტნიორების ურთიერთობას გულისხმობს. მეორის გამომწვევი მიზეზი კი, შეიძლება იყოს: 1) ცოლ-ქმარს შორის სქესობრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობა, რომელიც ძალიან

ხშირადაა ოჯახის დანგრევის რეალური მიზეზი, თუმცა, ქალი და მამაკაცი სხვადასხვა მიზეზზე აკეთებენ აქცენტს; 2) არასრულფასოვნების კომპლექსი (ქალს ან მამაკაცს აქვთ სურვილი, ხშირად შეიცვალონ პარტნიორი და სურთ, ამით საკუთარი სიძლიერის დემონსტრირება მოახდინონ; 3) ორგანული დარღვევა, რომელიც აიძულებს ადამიანს, ურთიერთობა ჰქონდეს რამდენიმე პარტნიორთან. როცა ესაუბრობთ საყვარლობის ინსტიტუტზე და ცალკეულ შემთხვევებს ვეცნობით, მივდივართ დასკვნამდე, რომ არც ქალი და არც მამაკაცი არ არის ბოლომდე ბედნიერი, როცა ოჯახის გარეთაც აქვს სქესობრივი ურთიერთობა ვინმესთან. ბოლოს, ბევრი მათგანი აკითხავს ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრს და რეაბილიტაციის კურსს გადის. მათ შორის ბევრი მამაკაცია, ამიტომ, ჩვენი ზოგადი რჩევა იქნება – ცხელ გულზე ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას და კარგად აწონ-დაწონეთ ადეკვატური ზომები, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მიიღოთ. ზოგჯერ, ოჯახური ურთიერთობის გადარჩენად, სულ მცირე რამ არის საჭირო. რაც შეეხება გელფრენდისა და ბოიფრენდის ინსტიტუტს, მიუხედავად ამ საკითხზე ჩვენი საზოგადოების აზრთა სხვადასხვაობისა, ამ მოვლენის გავრცელება მაინც შეუჩერებელი პროცესია, რომელსაც თავისი დადებითი მხარეც აქვს. ფაქტია, რომ იმ პარტნიორების შემდგომი ოჯახური ურთიერთობა უფრო მყარია, რომლებმაც გელფრენდისა და ბოიფრენდის ეტაპის გავლის შემდეგ შექმნეს ოჯახი.

# ბესტიკრიტიკა

## 1. ლუჩანო პაპაროტი...



- ა) ბანია;
- ბ) ბარიტონია;
- გ) ტენორია.

## 2. რა პროფესიის ადამიანმა გამოიგონა სამაჯურიანი საათი?



- ა) ექიმმა;
- ბ) მფრინავმა;
- გ) მეძაგმა.

## 3. გალაკტიონ ტაბიძე ამბობდა: „რად ვინდა, იყო დიდი პოეტი, თუ ცხოვრებაში ხარ...“?



- ა) უმაღლური;
- ბ) უდარდელი;
- გ) უბედური.

## 4. რა იყო იეთიმ გურჯინს ნამდვილი გვარი?



- ა) სირადე;
- ბ) ტოლოშვილი;
- გ) დაბდიშვილი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

თქვენც ეძიებთ ხელოვნების რეალურ რატონს ტკიფლის გამო ფართოება ნუ გემს წიფილი! ასევე ტკიფელი მნიშვნელოვან დასაბრუნებს. მის უმთავრეს დროში დამოუკიდებელ თარგმანებზე ცენტრურ ცოდნადგინდებებელი ხაზგადასმულია. რაიმისი ინსტიტუტის ექსპერტიზის მიხედვით, თქვენც შეგიძლიათ ტკიფელითარგმანული ხაზგადასმული ბის მნიშვნელოვანია.

**ერთი ტაბლეტი ხელოვნობი**  
**თქვენს ბიზნისს**

**სწრაფად და უკვალოდ გააქრობს!**

თუ თქვენც ვერ ხსობთ ხელოვნების რეალურ რატონს ტკიფლის გამო ფართოება ნუ გემს წიფილი! იეთიმის სწრაფად და უკვალოდ გააქრობს თქვენს ბიზნისს. რომ თქვენც არ იყოფით ხელოვნობის არსებობა.

**ხელოვნობი სწრაფად გააქრობთ სწრაფად**  
**მხატვრული ტკიფელითარგმანული**

**გემს წიფილი**


ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. პიტნის ზეთს მენტოლი ჰქვია.
2. ძაღლებში ყველაზე მძიმე, სენბერნარია.
3. თამადას მეორენაირად ტოლუმბაში ჰქვია.
4. მიხეილ ლერმონტოვმა 14 წლისამ დაიწყო ლექსების წერა.
5. ტაიფუნის ენერჯია 10000 ბირთვული ბომბის ენერჯიის ტოლია.
6. ფელდმარშალი პაულიუსი 300000 მეომრით დანებდა წითელ არმიას.
7. რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველს, გოეთე ლემონურ პიროვნებად მიიჩნევდა.
8. „ნუ შეუღარებ სიბრძნესა, მაგ თეთრი წვერის სივრცესა“ – დალაღებს ადიღური აფორიზმი.
9. სვანეთში საცხოვრებელ ნაგებობას, რომელიც კოშკთან არის დაკავშირებული, მურყვამი ჰქვია.
10. ბათუმის მერმა – გიორგი აბაშიძემ კოტე ყუბანეიშვილს 50 წლის იუბილეზე ოქროს კალამი აჩუქა.
11. სან-ფრანცისკოს ერთ-ერთმა მცხოვრებმა, იმისათვის, რომ სატელეფონო ცნობარში ბოლო ადგილზე მოხვედრილიყო, აიღო გვარი ZZZZZZZZZr.
12. გრავიო – ასე ეძახდნენ ძველი გერმანელები თავიანთ ბელადს; შემდგომ ეს წინამძღოლი გრაფად იქცა.
13. ჯიბის რევოლვერი „ველოლოგი“ XIX საუკუნის ბოლოს შეიქმნა. მისი საშუალებით ველოსიპედით მოსიარულენი ძაღლებისგან იცავდნენ თავს.
14. 1987 წელს, ინდოელებმა კინემატოგრაფიული რეკორდი მოხსნეს: ამ წელს, ინდოეთის ეკრანებზე 807 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი გამოვიდა.
15. „მძულვარების დამალვა და არგამოჩენა ადვილია, სიყვარულისა – ძნელია, გულგრილობისა – თითქმის შეუძლებელი“ – ამბობდა ბერნე.
16. ფრანგი კომიკოსის, ლუი დე ფიუნესის ცოლი მოპასანების ნათესავი იყო. მთვან მემკვიდრეობად უზარმაზარი სასახლე მიიღო, რომელსაც 365 ფანჯარა ჰქონდა. „დღეში თითო ფანჯარას გაეწმენდა და კალენდარიც აღარ დამჭირდება“, – ხუმრობდა ლუი დე ფიუნესი.
17. ერთის მმართველობას მონარქია ჰქვია, ხალხის მმართველობას – დემოკრატია, ბრბოს მმართველობას – ოქლოკრატია, რჩეულთა მმართველობას – არისტოკრატია.
18. სპარტელ ბავშვებს ხშირად აშიმ-



# „აჩის სქევიარეხი ტაქსის გაჩეხებები, საცაც ცგანან ტაქსი-აქცემები და ტაქსი-ვიხები...“



და სხვა არაერთი საინტერესო ამბავიც გაიხსენა — მაგალითად, ის, თუ რა დანიშნულება აქვს იერუსალიმში არსებულ ტაქსი-აქცემებსა და ტაქსი-ვირებს და რატომ არ მიაშველა ხელი იერუსალიმელმა ჯარისკაცმა კლდეზე, უფრო სწორად — თოვზე ჩამოკონწილულ გოგონას...

## 60600 ჩაპახიშვილი

ქეთი 26 წლისა და უკვე მოასწრო რამდენიმე უცხო ენის სწავლა: ის საუცხოოდ ფლობს ინგლისურს, შვედურს, არაბულს, ივრითსა და რუსულს, ახლა კი, ესპანურისა და იტალიურის სწავლასაც აპირებს. პროფესიით ფსიქოლოგია. ამჟამად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმისა და სიღნაღის ფილიალებში ინგლისურ ენასა და ფსიქოლოგიას ასწავლის. გარდა ამისა, განსაკუთრებული მეხსიერების წყალობით, უზარმაზარ ტექსტს თურმე, ერთი წაკითხვით იმახსოვრებს. როგორც მისი დედა და დეიდა იხსენებენ, 4 თვის ასაკში დაუწყია ლაპარაკი და პირველად „ბები“ უთქვამს; წლინახევრისას, მხოლოდ ქართული კი არა — რუსული წერა-კითხვაც სცოდნია.

### — ქეთი, ებრაული ენით რატომ დაინტერესდი და იერუსალიმში როგორ მოხვდი?

— ძალიან მინდოდა, „ბიბლია“ ორიგინალში წამეკითხა, თანაც — მარჯვნიდან მარცხნივ წერაც ძალიან მომწონდა. ვერაზე ვცხოვრობდით და იქვე ახლოს იყო ებრაული ენის საკვირაო სკოლა. ამ კურსების შემდეგ, მონაწილეობა მივიღე

არ ვიცი, დამიჯერებთ თუ არა, მაგრამ იერუსალიმში თურმე საღამოს, როცა ბაზრები იხურება, პროდუქტი დახლზევე რჩება და თუ ვინმეს სურს, მაგალითად, ბანანით პირის ჩატკბარუნება, შეუძლია შევიდეს, აილოს, რამდენიც უნდა და მიირთვას... ის პროდუქტი, რომელიც მეორე დღემდე შეიძლება გაფუჭდეს, უკან აღარ მიაქვთ; მართალია, მისი აღება იქაურებისთვის დიდ სირცხვილად ითვლება (თუ გინდა, დღის განმავლობაში უნდა მიხვიდე და იყიდო), მაგრამ ჩვენ არაფრად დაგიდევდით ამას და ბანანებით ხშირად ვიტკბარუნებდით პირსო, — სიცოლით მითხრა ქეთი თოვდაქიმ

საკონკურსო შერჩევაში, რომელიც მოსკოვში ტარდებოდა და როგორც გამარჯვებული, იერუსალიმში გავეზუზავრე სასწავლებლად. თბილისიდან კიდევ ორი გოგონა იყო. დავამთავრე ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტი.

### — პირველი შთაბეჭდილება როგორი იყო? როგორი ქალაქია იერუსალიმი?

— ღამით ჩაველით. დაღლილი ვიყავი და მაშინღა გამეღვიძა, როცა ტაქსის მძღოლმა გვითხრა: იერუსალიმში მოვედითო. ულამაზესია იქაურობა, ვერც კი აღვწერ... იერუსალიმი რამდენიმე უბნად არის დაყოფილი: არის ებრაული, არაბული, სომხური და ქრისტიანული კვარტალები. თეთრი ქვის სახლებია აშენებული და რადგან ძალიან ცხელია, იატაკები ქვისაა. თითქოს მარმარილოშია ჩასმული მთელი ქალაქი. ზეთისხილის ხეები იქ ხომ ყოველ ნაბიჯზე გხვდება! აქლემები დასაყრდენობენ ქუჩაში, თან, იქ აქლემები, როგორც ტაქსები, ისეა გამოყენებული. არც ერთი იერუსალიმელი, აქლემით სეირნობას არ დაიწყებს, ეს ტაქსები ტურისტებისთვის არის განკუთვნილი. არის სპეციალური ტაქსის გაჩერებები, სადაც დგანან — ტაქსი-მანქანები, ტაქსი-აქლემები და — გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, — ტაქსი-ვირები, რომლებიც ღიდად

მორთულ-მოკაზმულები ელოდებიან კლიენტებს. ერთხელ დავინახე – ერთ ვირზე 4 კაცი რის ვაივგლახით შეჯდა. ყველანიარად ცდილობდნენ, როგორმე დატეულიყვნენ. ბევრი როცა ვართ, ხომ ვცდილობთ ხოლმე, როგორმე ტაქსიში მოვთავსდეთ. ჰოდა, ისინიც წვალობდნენ... ერთ რამედ კი ღირდა ამ სანახაობის ყურება...

**— როგორია იქაური ცხოვრების წესი? რაიმე აკრძალვები ხომ არ ვრცელდებოდა თქვენზეც?**

— იერუსალიმი, როგორც მოგეხსენებათ, რელიგიური ქალაქია და ამიტომ, ბევრი რამ, რაც მათთვის ტრადიციად არის ქცეული, ჩვენთვის უცნაური იყო. ძალიან გაგვიკვირდა, როდესაც დავინახეთ, თუ როგორ დადიოდნენ მამაკაცები შავი ხალათებით, რომელიც მუხლს ქვემოთ სწვებოდა, შავი შლაპებით და გრძელი კულულებით. ამ გრძელ კულულებს რუსულად „პეისი“ ჰქვია, ივრითულად – „პეა“. ბიჭებს დაბადებიდან, ყურებთან თმას არ ჭრიან, უხვევენ და უფლება არა აქვთ, მოიჭრან; შავი ხალათების შიგნით კი, ან აკეცილი შარვალი აცვიათ, ან – წინდა.

**— ქალები როგორ იცვამენ?**

— თავზე აუცილებლად უნდა ეხვიოთ თავსაბურავი. რომელიღაც რელიგიური მიმდინარეობის მიხედვით, ქალის თმის ფერი არავინ არ უნდა დაინახოს. მასწოვს, ერთი ქალი რადიოგადაცემაში როგორ ამბობდა: იმით ვარ ბედნიერი, რომ ჩემი თმის ფერი ჩემი სახლის კედლებზეც კი



არ იცინაო... ამიტომაც, ამ მიმდინარეობის ქალები, ან საერთოდ იპარსავენ თმას, ან თავსაბურავს ატარებენ. საერთოდ კი, გათხოვილი ქალი აუცილებლად თავწაკრული უნდა იყოს.

**— თქვენც ასე გიცვამთ?**

— აბა, რა! ჯერ კიდევ მოსკოვში კონკურსზე მოკლე კაბითა და დეკორტეით წავედი. რა ვიცოდი?! სემინარზე არ მიშვებდნენ და სხვისი კაბით დავდიოდი მთელი კვირა. იერუსალიმში კი, გრძელი კაბები გვეცვა, იდაყვები აუცილებლად დაფარული უნდა გვქონოდა. ყელიდან 4 თითის დაღებაზე ამოღებულის ჩაცმა შეგვეძლო.


**— 5 თითის დაღებაზე რომ ყოფილიყო, ვინმე დაგსჯიდათ?**

— დასჯით, პოლიცია არ დაგსჯის, მაგრამ ქუჩაში ხალხი გაგაჩერებს და შეგარცხვენს ან ყველა შენ დაგიწყებს ყურებას. ამერიკელი ტურისტები უღაბნობებში შორტებით დადიოდნენ, მაგრამ ქალაქში ზღვის პირსახოცებს იხვევდნენ წელზე. ყოველი ფეხის გადადგმაზე ეკლესიას ან მქრეთს გადაწყვები და არსად არ შევიშვებენ, თუ შესაბამისად არ გაცვია... ძალიან გაგვიკვირდა იქაურ საჭმელთან შეგუება. აკრძალვები, რა თქმა უნდა, კმების სფეროშიც არსებობს. მაგალითად, თურქეს დაღვე, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ შეგიძლია ხორცის ჭამა; მათი სარწმუნოებისამებრ: ნუ მოხარშავ თიკანს დედამისის რძეში... შაბათობით, ებრაული წესების თანახმად, მუშაობა არ შეიძლება, მუშაობად კი, სივარეტისთვის ცეცხლის მოკიდება, შუქის ანთება, ფოტოპარატის ჩაჩხაკუნებაც კი ითვლება და ა.შ. ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი შემემთხვა. ერთხელ, ახალგაზრდულ სასტუმროში ებრაელ გოგონასთან – ბრახასთან (ბრახა დალოცვას ნიშნავს) ერთად მოვხვდი ოთახში. სასაიროდ გვინდოდა წასვლა და დიდი ხნის ჭოჭმანის შემდეგ – ანთებული დაგვეტოვებინა თუ არა სინათლე, – გადავწყვიტეთ, ჩაგვექრო. საღამოს, ბრახაზე ადრე შევედი სახლში და მექანიკურად ხელი ჩამრთველს მივარტყი. შუქი რომ დაინახა ანთებული, ისე შექუხდა, რომ იძულებული გახვდა, მომეტყუებინა: ანთებული დავგრჩენია, მე კი არ ავანთე-მეთქი; ვეღარ გაგბედე სიმართლის თქმა. მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ახლა იმას ვეღარ ვიტყვი – შუქი ჩავაქროთ-მეთქი და მთელი ღამე, თვალბედაჭყეტილი შევეყურებდი ანთებულ ნათურას – რაღა დამძინებდა?!

ქეთი თოღაძე ჯვრის მონასტერთან

ინფორმაციული-შეხვედრითი კონკრეტული

ეორი დღის უბის წიგნაკიდან:



შილებნენ უფროსები და აიძულებდნენ, საკმელი მოეპარათ. ქურდობაში გამოჭერილებს კი სასტიკად სცემდნენ. სცემდნენ არა ჩადენილი ქმედებისათვის, არამედ ღოყაბობის გამო.

19. საღამო სოფელია ადიგენის რაიონში, საცხავატლო – სოფელი ღუშეთის რაიონში, საყვავისტყე – სოფელი ჩოხატაურის რაიონში, საყურიანი – სოფელი ყაზბეგის რაიონში, სამამუგო – სოფელი გალის რაიონში, საცხვიტავო – სოფელი სენაკის რაიონში.

20. ამერიკელმა სელექციონერებმა გამოიყვანეს სორგოს ახალი ჯიში, რომლის მარცვალი გრძელი, წვეტიანი ფხვით არის დაფარული. ამ ჯიშის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას ვერ კნკავენ ფრინველები.

21. XX საუკუნის დასაწყისში, იტალიელი მწვემსი ჯუზეპე მარტელუნი უძველესი სამარხებიდან ეტრუსკული სტატუეტების მოპარვაში დაადანაშაულეს. მიუხედავად იმისა, რომ მწვემსი ყველა ღონეს ხმარობდა პოლიციის იმამო დასარწმუნებლად, რომ ეს სტატუეტები თვითონ დააძადა, სამართალდამცავები ურყევად იდგნენ იმ აზრზე, რომ ეს სწორედ ეტრუსკული სამარხების განძი იყო. თავის გასამართლებლად ჟუზეპე მარტელუნი იძულებული გახდა, ამგვარი სტატუეტები პოლიციელების მეთვალყურეობის ქვეშ დაემზადებინა.

22. ჰაიდნს 104 სიმფონია აქვს შექმნილი, მოცარტს – 49, შოსტაკოვიჩს – 15, ბეთჰოვენს – 9, პროკოფიევს – 7, ჩაიკოვსკის – 6, ბერლიოზს – 4, ბრამსს – 4, შუმანს – 4, რახმანინოვს 3, ხაჩატურიანს – 3.



ჰაიდნი

23. საწყალზელო – ასე ჰქვია ქართული ხალხური შრომის პოეზიის სახეობას, რომელიც წყლის მოტანასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერებს აერთიანებს. „თებრონე მიდის წყალზედა“, „აი, თინანო, თინანო“ – სწორედ ასეთი პოეზიის ნიმუშებია.

24. ქართული პოეზიის განახლებისათვის უპირველეს პირობად ტიცინ ტაბიძეს აღმოსავლური და დასავლური პოეზიის სინთეზი ესახებოდა: „გაზიფის ვარდი მე პრულომის ჩავედ ვაზაში, ბესიკის ბაღში ვრგავ ბოღლერის ბოროტ ყვავილებს“.

**— კიდევ გაიხსენე, რაიმე უცნაური თუ შეგემთხვა.**

— სამდღიან ექსკურსიაზე ბელუინებთან ერთად ვიყავით იუდას უდაბნოში. ეს იყო 27-28 დეკემბერი, მაგრამ აუტანელი სიცხე იყო. მაშინ პირველად დაგვჯექი აქლემზე. ისე ვირწოდი და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გემზე ვიყავი... ერთხელ, ტყუპ კლდეს ემახიან, იქიდან თოკებით ვეშვებოდით. ყოველ ექსკურსიაზე თან დაგვყვებოდნენ ისრაელის არმიის ჯარისკაცები, რომელთაც ჩვენი დაცვა ევალებოდათ. ალპინიზმში დიდი გამოცდილებით ვერ დავიკვებინი და შუამდე რომ მივედი, ქვემოთ ჩავიხედე და ისე შემეშინდა, რომ გაეშეშდი — ვეღარც ზემოთ ავდიოდი და ვეღარც ქვემოთ ვბრუნდებოდი. მიწიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე რომ კიდისარ და ქანაობ, ცოტა არ იყოს, უსიამოვნო შეგრძნება... კარგა ხანს ვეშუდარე ერთ გამცილებელ-ჯარისკაცს — როგორმე ჩამომიყვანე-მეთქი, — მაგრამ ნურას უკაცრავად — ვერაფრით დავითანხმე! დიდ გასაჭირსა და საფიქრალში კი ჩავაგდე: ებრაელი მამაკაცისთვის აკრძალულია, დაქორწინებამდე ქალისთვის ხელის წავლება, თუნდაც ეს, ხელის შემეველება იყოს...

**— პო, მაგრამ, რომ კვებობდე, მაშინაც?**

— არ ვიცი, თუ კვებები, ალბათ მოგკიდებს ხელს... მაგრამ როგორ დამემტკიცებინა იმ ბიჭისთვის, რომ ცოტაც და შიშისგან ნამდვილად მოგკვებდოდი?... ბოლოს, მეორე თოკით ამოცოცდა, ფეხი საკუთარ ხელზე დამადგმევინა და მყარად, საიმედოდ რომ ვიგრძენი თავი, მერეღა გავაგრძელე თოკზე ჩამოცოცება. ხელით „საფეხურებს“ მიკეთებდა, შეხებით კი, მაინც არ შემეხსოვ... ერთხელ, მკვლარ



ქეთი მეგობართან ერთად კარნავალზე

ზღვაში ვიძირებოდი. იქ წყალი ხომ იმდენად მარილიანია, რომ არავინ იძირება — ისიც კი, ვინც ცურვა არ იცის. ხალხი წევს წყალზე და გაზეთებს კითხულობს. ცურვა არ ვიცი, მაგრამ გავებდე და მეც შევედი ზღვაში. ნაპირთან მოახლოებულს მარილზე, ფეხი დამისრიალდა და წყალში ჩავეშვი. 4-5 წამში რა აღარ გავიფიქრე... თურმე ჩემს მეგობარს — თამუნას დაუნახივარ, თმაში მწვლა და ამომართია წყლიდან; თან მიყვიროდა: ტურნები არ მოილოკო და თვალები არ გაახილო — შეიძლება, მარილმა „შეგჭამოს“. მაშინვე კი დავებანე, მაგრამ ეტყობა, ტურნები მაინც დამეწვა და სამი დღე ჭამა მიჭირდა.

**— ქართველებს ხომ არ შეხვედრისხარ?**

— ქართველები უმეტესად თელ-ავივში ცხოვრობენ. ერთხელ, საათი გამიფუჭდა და მესათესთან მივიტანე გასაკეთებლად. ფასი რომ მითხრა, მეგობარს ქართულად გადავულაპარაკე: ძვირი ხომ არ არის მეთქი? უცებ, ქართულად არ მპასუხობს?! — თუ ძვირია, ნუ გადაიხდითო, — და უფასოდ გამიკეთა. გამოგვკითხა, ვინ ვიყავით, რას ვაკეთებდით იერუსალიმში. მას შემდეგ, რამდენიმე წელი გავიდა და მისი გვარი აღარ მახსოვს. გვითხრა, 40

წელია, რაც აქ ოჯახთან ერთად ვცხოვრობ და საათების შეკეთებით ვირჩენ თავსო.

**— ალბათ ჯვრის მონასტერიც ნახე.**

— რა თქმა უნდა. თან — შევიპარეთ. ძალიან მინდოდა ჯვრის მონასტრის ნახვა. მე და ჩემი მეგობარი რომ მივედით, აღმოჩნდა, რომ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა და ტურისტებისთვის დაკუთვლილი იყო. თამუნამ მითხრა: მოდი, ღობეზე გადავძვრეთ და ისე შევიდეთო. ასეც მოვიქექეთ. დავათვალიერეთ მთელი მონასტერი, სარდაფებიც კი, სურათებიც გადავიღეთ და ბოლოს, გამოსვლისას, დარაჯმა არ შეგვინშნა?! კარგა ხანს ვუხსნიდით, თუ რა გვინდოდა, რატომ შევიპარეთ და ვინ ვიყავით. ჩვენდა საბედნიეროდ, ის დარაჯი რუსი ებრაელი აღმოჩნდა და წესრიგის დარღვევა გვაპატიო...

**— ისიც მითხარი, რაიმე სურვილი თუ დაწერე ფურცელზე და გოდების კედელში თუ დატოვე?**

— გოდების კედელი ძველი ქალაქის კედლის ნაწილია. ამ კედელს სასწაულმოქმედ ძალას მიაწერენ. ყველას შეუძლია, სურვილი დაწეროს ფურცელზე და კედელში ჩალოს. ამბობენ — როცა იქნება, ეს სურვილი აუსრულდება... ბედი მეც ვცადე, ჯერჯერობით არ ამსრულებია და ვნახოთ, რა იქნება...

**— საუბრისას მითხარი, რომ იქაური ტერორისტული დაჯგუფების წევრი გაიცანი...**

— იერუსალიმში არსებობს „ომარის მენეთი“, რომელში შესვლა ებრაელებს ეკრძალებათ. მისთვის არაბებს, გაძლიერებული დაცვა ჰყავთ მიჩენილი. შიგნით არის უშველებელი ქვა, რომელსაც არაჩვეულებრივი სუნი აქვს. ლევენდის თანახმად, წინასწარმეტყველ მუჰამედის ცხენმა იმ ქვას ფლოქვები დაჰკრა და ისე ამაღლდა ზეცად. ამავე გადმოცემის თანახმად, თუ 10 ებრაელი შევა ამ მენეთში სალოცავად, ლოცვის დამთავრებისთანავე, ის დაინგრევა. „ომარის მენეთი“ სოლომონის ტაძრის ადგილას ყოფილა აშენებული. შემთხვევით გავიცანი ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ტერორისტული ორგანიზაცია „კანის“ წევრი იყო და მან მითხრა: ებრაელები იქ რამდენჯერმე შევიპარეთ, მაგრამ ილოცვა ვერ მოვახერხეთო. რომ ვკითხე, ასე რატომ იქცევით-მეთქი? — მიპასუხა: გვინდა, „ომარის მენეთი“ დაინგრეს, რათა მის ადგილას ისევ სოლომონის ტაძარი ავაშენოთო...



სამდღიან ექსკურსიაზე ვიყავი ბელუინებთან ერთად იუდას უდაბნოში



# თავისუფალი მოძრაობა გლუკოზამინთან ერთად



**რა არის გლუკოზამინი?** თუ თქვენ განუხებთ სახსრები, აუცილებლად გაგონილი გეგნებათ მის შესახებ, ზოგიერთი საკუთარ თავზეც გამოცდიდა მის ეფექტს. გლუკოზამინი ნატურალური საკვები დანამატია, რომელიც ხელს უწყობს სახსარშიდა სითხისა და მყესების რეგენერაციის პროცესს, ამცირებს შეშუპებას, რომელიც გარდაუვალია ანთებითი პროცესის დროს, ამცირებს ტკივილებს. მისი მაღალეფექტურობა კლინიკურად აპრობირებულია.

**რა პრივილეგია აქვს გლუკოზამინის ახალ ფორმულას?**

გლუკოზამინის ახალი ფორმულა კომბინირებულია მეთილ სულფონილ მეთილთან, რითაც მისი ეფექტურობა ორმაგდება. გლუკოზამინი არ აღიზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს! ეს პრობლემა ნაცნობია მათთვის, ვინც დაავადებულია სახსრების ანთებით. ამ დაავადების დროს პირველი რიგის პრეპარატია არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო მედიკამენტები, უმრავლეს შემთხვევაში აუცილებელი ხდება სტეროიდების დანიშვნაც, ისინი კი ინვევენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ლორწოვანის ძლიერ გაღიზიანებას. სახსრის ტკივილებს ემატება გულძმარვა, სიმძიმის შეგრძნება კუჭის არეში, დიარეა.

**რატომ არ აღიზიანებს გლუკოზამინი კუჭ-ნაწლავის ტრაქტს?**

პასუხი შემდეგში მდგომარეობს: გლუკოზამინის ახალი ფორმულის შემადგენლობაშია ისეთი მცენარეული ბოჭკოები, რომლებიც საჭმლის მომნელებელ ტრაქტში მოხვედრისთანავე ტაბლეტის გარშემო ქმნიან უელესებრ პროტექტორს, რაც აფერხებს ტაბლეტის უშუალო კონტაქტს ლორწოვანთან. გამომდინარე აქედან, ამ პრეპარატის მიღება შეიძლება დღის ნებისმიერ დროს, კვებისგან დამოუკიდებლად. მისი ხანგრძლივი მიღებაც კი სრულებით უსაფრთხოა.

**როგორია გლუკოზამინის შემადგენლობა?**

მის პირველად ინგრედიენტებს წარმოადგენს:

- გლუკოზამინის სულფატი — 750 მგ
- მეთილ სულფონილ მეთანი — 750 მგ
- სხვა ინგრედიენტები:
- ცელულოზა
- გლიცერინი
- მალტროდექსტრინი
- მოდიფიცირებული მცენარეული ნებოვანა
- სტეარინის მჟავა

**ვინ და როგორ უნდა მიიღოს გლუკოზამინი?**

პრეპარატი შვებას მოუტანს მათ, ვინც დაავადებულია ართრიტით, ართროზით, ოსტეოქონდროზით, სახსრებში შეზღუდული მოძრაობით და ტკივილებით. ეფექტურია სპორტსმენებისთვისაც, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მიღებული აქვს ტრავმები. დაბოლოს, სასარგებლოა ყველა ჩვენგანისათვის, ის ხომ ორგანიზმზე ზოგადგამაჯანსაღებელ ზემოქმედებას ახდენს.

მიიღეთ დღეში ორჯერ 2-2 ტაბლეტი წყალთან ერთად.

**გააჩნია თუ არა გლუკოზამინს გვერდითი, არასასურველი მოქმედებები?**

არა, მას არანაირი გვერდითი ეფექტები არ გააჩნია. მისი მიღება შესაძლებელია დღის ნებისმიერ დროს, კვებისგან დამოუკიდებლად.

**რამდენი ხანი მივიღოთ გლუკოზამინი?**

აღსანიშნავია, რომ მისი ეფექტი იზრდება დროთა განმავლობაში. ამიტომ სასურველია მისი მიღება მინიმუმ 1 თვის მანძილზე, შემდეგ მისი მიღების ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის.

**შეიძლება თუ არა ამ პრეპარატის მიღება პიპერტონიკებისათვის?**

პასუხი დადებითია. მისი მიღება სრულიად უსაფრთხოა მათთვის, ვისაც ანუხებს მაღალი წნევა, რადგან პრეპარატი არ შეიცავს ნატრიუმს. ნატრიუმის იონი ხელს უწყობს ორგანიზმში წყლის შეკავებას. გლუკოზამინის შემადგენლობაშია კალიუმის ქლორიდი (და არა ნატრიუმის), ამიტომ ორგანიზმი დაცულია ქარბი სითხის შეკავებისაგან, რაც ესოდენ უარყოფით გავლენას ახდენს მაღალწნევიან პაციენტებზე.

**სად შევიძინოთ გლუკოზამინის ახალი ფორმულა?**

პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში დაგეხმარებიან ექიმი-კონსულტანტები.

აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ ინოლტრა უკვე საჩუქართან ერთად.



**„ნუტრიმენტ ჰაუსი“**  
 მის: **დ. აღმაშენებლის 150**  
 ტელ: **95-65-03; 96-06-67**  
 სამუშაო საათები: **10.30 - 18.00**  
 ყოველდღე კვირის გარდა  
[www.shopge.com](http://www.shopge.com)



# „გზა“ ძალზედ კოპულარულია ათენში...



გამარჯობათ. მე ლივია მუშკუდიანი გახლავართ და ძალიან შორიდან გაწუხებით, ათენიდან. საბერძნეთში 1997 წლიდან ვცხოვრობ. ვმუშაობ ძიხად, ორ ბავშვს ვზრდი. თავად კი გათხოვილი არ ვახლავართ. დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი. შემდეგ ვმუშაობდი ჯერ ბოლნისის, მერე კი რუსთავის საქალაქო კულტურის სახლში სამხატვრო ხელმძღვანელად. სტუდენტობის და მუშაობის პერიოდი ჩემი ცხოვრების ულამაზესი პერიოდი, რომელსაც ვერაფერი წაშლის და დღემდე ამ მოგონებებით ვცხოვრობ. კიდევ, თქვენი ურუნალი და „კვირის პალიტრა“ მშველის, დაძლიო სამინელი დარდი და სევდა ამ გაუსაძლის საბერძნეთში – თუმცა ძალიან ლამაზია. ამ ქვეყანაში უამრავი ქართველია და ერთმანეთს სევდის დაძლევაში ვეხმარებით.

ყველაზე მოუთმენლად კი, საქართველოდან ჩამოსულ ავტობუსებს ველით. მძღოლებს ურუნალ-გაზეთები ჩამოაქვთ და „აქაური“ ქართველები ვყიდულობთ. ეგაა, რომ საკმარისი არ ჩამოდის და მართლაც ხელიდან ხელში გადადის. უღრმესი მადლობა მინდა გითხრათ „გზისთვის“. ეს ის გზაა, რომელიც საქართველომდე არსებულ უგრძეს გზას გვიმოკლებს. მე კრიტიკოსი არ ვახლავართ, მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, რომ ძალიან მოგეწონს მათი კახიძის და ლელა ჭანკოტაძის სტატიები. გვინდა, ათენიდან დიდი სიყვარულით მოკითხვა გადასცეთ. მათი კახიძის სტატიები მსჯელობის საგნად იქცევა ხოლმე. ასევე დიდი სიყვარული გადაეცით „კვირის პალიტრის“ რედაქტორს და ურუნალისტებს.

ძალიან თუ არ შეგაწუხეთ ამდენი მოკითხვით, პატარა ისტორია მინდა, მოგიყვებო.

ჩემს სევდიან დღეებს იმით ვალამაზებ, რომ ხშირად ვსტუმრობ ათენის წამყვან თეატრებს, რათა ოდნავ მაინც შევიმსუბუქო ჩემი „სულიერი შიმშილი“. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს, დიმიტრი ხორნის სახელობის დრამატულ თეატრში ულამაზესი და უნიჭიერესი მსახიობი გავიცანი – პეტი ზუნი. სპექტაკლის შემდეგ, მის საგრიმიროში მივედი მისალოცად. როდესაც შეიტყო – ქართველი ვიყავი და თეატრალური ინსტიტუტი მქონდა დამთავრებული, – აღფრთოვანდა და დაიწყო საუბარი საქართველოზე, ქართველ ხალხზე, კულტურაზე, ერუდიციაზე. გაოცება ვერ დავძალე. ყველაზე სასიხარულო კი ის იყო, რომ ამას ყველაფერს უხსნიდა უამრავ ბერძენ მყურებელს, რომლებიც ქალბატონ პემისთან იყვნენ ჩემსავით მისალოცად მისულნი. ბოლოს, მოუტრიალდა ხალხს და უთხრა: ეს გოგონა იმ ქვეყნიდან არის, რომელსაც გენიალური რეჟისორი რობერტ სტურუა ჰყავსო; სტურუასნაირი რეჟისორი მსოფლიო დონის თეატრებს არ ჰყავსო. ვერ წარმოიდგენთ, იმ წუთებში როგორ ავმაღლდი მეც და ჩემი ქართველი ხალხიც. სინარულისგან თავი ვერ შევიკავე და ავტირდი, მაგრამ ეს ცრემლები სულ სხვა ცრემლები იყო ყველა იმ ცრემლისგან განსხვავებით, რომელიც აქამდე დამიღვრა.

ალბათ დაინტერესდებით, რატომ წამოვედი ჩემი სამშობლოდან. ჩემი ოჯახი რუსთავში ცხოვრობს, დედაც მყავს და დამაც და მათ ვეხმარები. დიდი სასჯელია აქ ყოფნა, მაგრამ განა სხვა არჩევანი მქონდა? უკვე აღარც ვიცი, შევქმნი კი ოჯახს? სამაგიეროდ, ვზრდი სხვის – სამი და ერთი წლის – ბავშვებს. ძალიან, ძალიან მენატრება ჩემი საქართველო. ჩემი სახელი უცნაურად არ მოგეჩვენოთ. სენკევიჩის წიგნიდან – „ვიღრე ხვალ“ დაურქმევიათ ჩემთვის ლივია.

აი, ცოტა რამ მოგწერეთ და თითქოს შევბოთ ამოვისუნთქე. მერწმუნეთ, „გზა“ ძალზედ პოპულარულია ათენში. ალბათ ოდესმე გაგიცნობთ კიდევ. მე ხომ თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. რა ვიცი, ქალბატონ პეტი ზუნთან გადაღებული ფოტოსაც გიგზავნით. მარცხნივ დიდებული ბერძენი მსახიობია.

პატივისცემით ლივია მუშკუდიანი

# «რაფში» გასვლილი უვილი

**35 წლის ლელა (სახელი, გასაგები მიზეზების გამო, პირობითია) ერთმა ახლობელმა გამაცნო. მასთან შეხვედრაც სწორედ ამ ახლობლის ნაამბობის შემდეგ გადავწყვიტე. გულწრფელად გაიტყვიო — რაც მოვისმინე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.**

## მაია კახიძე

– კახეთში დავიბადე, ერთ ძალიან ლამაზ სოფელში, თუმცა ძველი სილამაზიდან აღარაფერი დარჩა. ხუთი წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ, ბევრი რამ მეუცხოება და რამდენიმე დღეში, ისევ დავბრუნდები აქაურობას – თურქეთში ვბრუნდები.

## – ესე იგი, ხუთი წელი თურქეთში ცხოვრობდი?

– ბევრად მეტი. ჯერ იმის შესახებ ვიამბობთ, რაც თურქეთამდე გადამხდა თავს. საშუალო სკოლაც კი არ მაქვს დამთავრებული, რვა კლასი რის ვაივაგლახით დავასრულე და დღე და ღამე მეურნეობაში ვმუშაობდი. ისე, მოსწავლეობის პერიოდშიც არ მაკლდა ჯაფა. სულ ვეხმარებოდი დედ-მამას ვენახსა თუ ბაღში მუშაობაში. ერთი და მეყვს, გათხოვილია და თელავის რაიონში ცხოვრობს ქმარ-შვილთან ერთად. ორივე, სამინერ სიღარიბეში ვავიზარდეთ. მუშაობას არ ვთავალობდით, მაგრამ მეურნეობაში კაპაიკებს ვკონდიდნენ და ის თანხა არაფერში ვყოფნიდა. საწყალი მამაჩემი, ცხენმა მოკლა. სოფელი რომ არა, ვერც დავასაფლავებდით... ერთი სიტყვით, ჩითვის კაბაც სანატრელი გექონდა. მერე მეზობლის ქალებმა არ მოასვენეს დედაჩემი: გაათხოვე და ორივე დაისვენებო. მე უფროსი შვილი ვიყავი.

## – შეყვარებული გყავდა?

– არა. გათხოვება იმიტომ გადავწყვიტე, რომ სიღუპვითი სიყვარული დამეღწია თავი, მაგრამ უარეს დღეში ჩავვარდი. მეზობელი სოფლიდან შემიძრიეს საქმრო. მამით უკვე ობოლი ვიყავი და დედაჩემს ბევრი გამოკითხვა აღარ დაუწვია. ერთ საღამოს, ორი მამაკაცი და ქალი მოვიდნენ და წამიყვანეს. სულ ეს იყო ჩემი „ქორწილი“ და „სიყვარული“. ქმრის ოჯახში უარესი გაჭირვება და სიღატაკე დამხვდა: ახლა იქ მა-

მუშავედნენ გვიან ღამემდე. ერთ საღამოს, ლობიოს ვჭამდით, მეორე დღეს – ჭინჭრის შეჭამანდს. კარტოფილის შეწვა დიდი დღესასწაული იყო, იმიტომ, რომ უფროსი-იღლებოდნენ – დასათესად გვინდაო. ცოტა, ზაფხულში ჩამიდგებოდა ხოლმე თვალში სინათლე; ხილი მწიფდებოდა და სულს ვითქვამდი. ერთხელ, მეზობლის ქალმა ხორციანი ბორში მატყა და ლამის გავგიჟდი სინარულივით. ორი ქათამი გვყავდა და არ ვიცო, ჩემი დედამთელი ასე ზუსტად როგორ იგებდა კვერცხის დადების დროს – ჩასაფრებული იყო და მაშინვე თავის ოთახში მთარბინებდა, ყიფდა და იმ ფულით ყიფულობდა ასანთს, ნავთს, მარილს... ნახევრად შიმშილობდა არ მაქარა ჩემმა ქმარმა – ორი თვის მოყვანილი ვყავდი, სულ ერთიანად რომ დაძლივდა გვერდები. კვირაში ორ-სამჯერ წამალივით მქონდა გამოწერილი ცემა-ტყეპა. უფროსი შვილები ფეხმძიმედ რომ ვიყავი, მორიგი ცემის შემდეგ დამეწყო მშობიარობა. ვინ იყო ჩემი პატრონი? იმიტომაც ვიმშობიარე შინ. ძალიან მძიმედ გადავიტანე, არ ვიცო, როგორ გადავრჩით მე და ჩემი გოგონა, მაგრამ ღვთის წყალობით, ნელ-ნელა მოვმჯობინდი... მერე მეორედ დავფეხმძიმდი. არ მინდოდა, ვისი იმედით უნდა გამეჩინა?! დედაჩემი რასაც ახერხებდა, გვაწვდიდა, მაგრამ მისი დამზადებულ მურაბებს, მწნილსა და სხვა პროდუქტს დედამთელი ინახავდა. 7-8 თვის მყავდა ნანა, პირველად რომ დავალევი რძეძროხა იმათ არ ჰყავდათ და რძე-მწონი საიდან უნდა მომეტანა?! ათასში ერთხელ რომელიმე თანასოფელი თუ მომწვდიდა ნახევარ ლიტრს, უბედნიერესი ქალი ვიყავი... ბევრი რომ არ გავაგრძელო, მეორე, ბიჭი შემეძინა. ვიფიქრე: გოგოს გაჩენის გამო სულ მცემდა ჩემი ქმარი და ამის შემდეგ მაინც აღარ მახლებს-მეთქი ხელს. მწარედ შევკვდი: მერე იმიტომ მცემდა – სიდედრები სიდეგისთვის მანქანებს ყიდულობენ, შენ კი,

ორი ხელი ლოგინის მეტი არაფერი მოგიტანიაო... ვწყველიდი გაჩენის დღეს, გამწარებული ვტიროდი, მაგრამ გამოსავალს ვერა და ვერ ვპოულობდი. ერთ საღამოს კი, საშინლად მთვრალმა ქმარმა ისე მცემა, რომ ერთი თვე ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი. ისევ არ გამწირა ღმერთმა და ლასლასით წამოვდექი ფეხზე. ისეთი გამხდრები იყვნენ ჩემი შვილები, გული მიკვდებოდა და ქმრის ოჯახიდან გაქცევა გადავწყვიტე. ორი დღის შემდეგ, უთნია ავდექი, წინასწარ პატარა ბოხმა მოვამზადე, ჩემი და ჩემი შვილების გამოკერილი ჯღანები გამოვინასკვე და წამოვდი. აზრდილებივით მივადექით დედაჩემს... ისევ ჩემი თანასოფლები ამოგვიდგნენ მხარში და მათ მიერ მოცემულმა რძე-მწონმა, ყველმა, კვერცხმა ნელ-ნელა მოვკაფერიანა მე და ჩემი შვილები. ერთი თვე არც გავხსენებვართ ჩემს ქმარს. მე და ჩემმა დამ გადავწყვიტეთ, თელავში წავსულიყავით და რაიმე სამაუშაო მოგვეპოვა. საკონსერვო ქარხანაში დავიწყეთ მუშაობა, ბინა ვიქირავეთ და დედაჩემსაც ვემარებოდით ცოტ-ცოტა, თელავში ჩემმა დამ ერთი ბიჭი გაიციო და მალე ცოლადაც გაჰყვა ახლო სოფელში. მე ისევ გაგაგრძელე მუშაობა, მაგრამ ქვეყანაც აირია და ჩემი ცხოვრებაც. საკონსერვო ქარხანა გაჩერდა, რა გზას დავდგომოდი, არ ვიცოდი. ერთმა ნაცნობმა ქალმა კი, რომელიც სავაჭროდ თურქეთში დადიოდა, იქ წასვლა და მუშაობა მიჩნია. ფულს გასესხებ, გზაზე დაგაყენებ და მერე დაიბრუნებო, – მითხრა. დედაჩემს არ უნდოდა, თურქეთში წავსულიყავი, ბევრი იტირა, მაგრამ გამოსავალსაც ვერ ხედავდა. ერთი



სიტყვით, ისევ დედაჩემის ანაბარა დავტოვე შვილები და იმედიანად გავყვე ჩემს ნაცნობს. უცხო ქვეყანაში იმ ქალმა ერთ სასტუმროში დამაბინავა, და იქიდან დაიწყო კიდევ ჩემი ახალი ცხოვრება და შემოსავლიანი საქმიანობა...

— **მეძაობას გულისხმობ?**  
 — რაც გინდათ, ის დაარქვით... იცით, პირველი თურქი მამაკაცი იმით დამამასწავლევდა, რომ როდესაც გამიმასწავინდა – სადილი მატყა, – მწარედ ავტიროდი, რადგან ჩემს სიცოცხლეში არ დავანაყრებულვარ ასე კარგად. მგონი, მიხვდა ჩემს უბედურებას... ერთი კვირა ვიწეე იმ კაცთან. თავიდან ვერც ვაცნობიერებდი, ამას რა მოჰყვებოდა, მხოლოდ ის მახსოვდა, ჩემი ნაცნობი ქალი რომ მეუბნებოდა – ფულს სხვანაირად ვერ იშოვო. უფულობის შიშით კი, უარს არაფერზე ვამბობდი... ორ თვეში, იმ ქალს ვალი დავუბრუნე. სასტუმროს მეპატრონე ისე იყო გაქექილი ამგვარ საქმეებში, რომ თანდათან „კარგად დამაკვლიანა“. თვითონაც აკეთებდა ფულს და მეც მაკეთებინებდა. ჩემი ახლობელი ქალი 50-ოდე წლის იყო, ვაჭრობას მისდევდა და ხან თურქეთიდან მიჰქონდა საქონელი საქართველოში, ხან – პირობით. პირობა მომცა, რომ ჩემს ამბავს ოჯახს არ გაუშვებოდა. ის ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ვანდობდი ჩემებისთვის გადასაცემ ფულს. დედასთან, შვილებთან წერილებს ვატანდი და მათგანაც ჩამოქონდა საპასუხო ბარათები. 7-8 თვის შემდეგ, უამრავი ტკბილეული და ტანსაცმელი გავუგზავნე ოჯახს სოფელში. დედამ მომწერა: ასეთი განარებულები არასოდეს ყოფილან შენი შვილებიო. მე კი დაპაღუპით მდიოდა ცრემლები...

— **თურქული ენა მალე ისწავლე?**

— ერთ წელიწადში, უკვე თავისუფლად ვლაპარაკობდი. ორი წლის მერე კი, ვეღარ გავუძელი მონატრების გრძობას და ჩემს შვილებთან დავბრუნდი. ძალიან ბევრი საჩუქარი ჩამოვუტანე. დედას ვუთხარი –



„ღუბლიონკების“ სამკერვლოში ვმუშაობ-  
მეთქი... მივხედე სახლ-კარს, ყველაფრის  
მარაგი შევქმენი და ისევ თურქეთში დავბ-  
რუნდი. ჩემს შვილებს პირველად მაშინ  
ელირსათ სურათის გადაღება – ბევრი ფოტო  
გადავუღე, მათაც დავუტოვე და მეც თან  
წავიღე.

**— თურქი მამაკაცები კარ-  
გად იხდიან?**

— თურქეთში, ასე ვთქვათ, დამწყებებს  
თავიდან ძალიან აიფად ამუშავებენ, მერე  
ყველა თვითონ კვალანდება. ვერც წარ-  
მოიდგენი, რამდენი ქართველი ქალი მის-  
დევს იქ ამ საქმიანობას...

**— ბევრი საროსკიპოა?**

— საკმაოდ. შეიძლება, არც დამიჯეროთ,  
მაგრამ კარგი მეგობრებიც შევიძინე... მერე  
ისე მოხდა, რომ ერთმა, საკმაოდ მდიდარმა  
თურქმა ცოლობაც შემომთავაზა. უარი  
ვუთხარი. ფული კი ჰქონდა, მაგრამ ასაკი...  
მოხუცის თავი არ მქონდა. დაბრუნებიდან  
ერთი წლის შემდეგ, როცა უკვე კაფეში  
ვმუშაობდი და სხეულით აღარ ვვაჭრობდი,  
ისევ ასაკოვანი საქმრო გამოიჩინდა. ამას  
არა უშავდა რა და მივიღე კიდევ გადაწ-  
ყვტილება – გავყვი ცოლად – ოღონდ,  
მან არ იცოდა, შვილები რომ მყავდა. თან  
ისიც მითხრა: თუ გინდა, ჩემი ერთ-ერთი  
მემკვიდრე იყო ჩემს შვილებთან ერთად,  
საქართველოში აღარასოდეს დაბრუნდყო.  
ამან ძალიან დამაღონა... ვცხოვრობდი ჩემს  
თურქ ეფენდისთან და ჩემებზე ფიქრი მკლავ-  
და. ნაცნობი ქალიც აღარსად ჩანდა –  
აღბათ ვეღარ ახერხებდა ვაჭრობას და აღარ

ჩამოდიოდა. ძველი წერილი გამოვიყენე, ჩემს  
ქმარს დავუღე (ქართული ხომ არ იცოდა)  
და ვუთხარი: დედა მყავს მიძიდელ ავად და  
უნდა გამოიშვა-მეთქი. დიდი ხვეწნის შემდეგ  
დამრთო ნება და სასწრაფოდ ჩამოვედი...  
დედას ჩუმაღ გავანდე ჩემი გათხოვების  
ამბავი. დადარდიანდა, მაგრამ – შვილებს  
მიხედვო, – სევდიანად მითხრა. ჩემი ჩასვ-  
ლის ამბავი ჩემს ყოფილ ქმარს როგორღაც  
გავუღო და მრავალი წლის შემდეგ, გამოძეხდა,  
შვილების წართმევით დამემუქრა. სასწრაფოდ  
შევატყობინე დას და სიძეს. სიძის იმედი  
მქონდა, დაელაპარაკება და რაღაც გვემ-  
ველება-მეთქი. ჩემმა სიძემ და დამ არ იკა-  
დრეს ჩემი ნახვა – თურქეთში ნამყოფი  
ქალი არაფერში გვეკვირდებიო. სამი დღის  
შემდეგ კი, ჩემმა ქართველმა ქმარმა ორივე  
ბავშვი ძალით წაიყვანა. გამწარებული გავქან-  
დი იმ ოჯახში, რომელიც ჭირის დღესავით  
მეზიზღებოდა. სამინელი ამბავი დატრიალ-  
და. ბავშვები, ფაქტობრივად, არც ცნობდნენ  
მამას. ვეშუდარე: თავი დავგანებე და რაც  
მაქვს, სულ მოვცემ-მეთქი. უარი მითხრა:  
ცოტაა 500 დოლარიო... დიდი წვალებით  
მოვანხრებ და გოგო გამოვპარე, ბიჭის  
წამოყვანა კი ვერ შევძელი. ერთი სიტყვით,  
ჩემი გოგო თან წავიყვანე თურქეთში. ჩემი  
ქმარი გადაირია: რატომ დამიმალე, შვილი  
რომ გყავდა? მაგრამ ნელ-ნელა მიიწვია და  
დაწყნარდა. თუმცა, მისი შვილები ჩემს  
გოგონას დასანახავად ვერ იტანდნენ. ცალკე  
ცხოვრობდნენ, მაგრამ მაინც არ მასვენებლ-  
ნენ. 1998 წელს, ჩემი ქმარი გარდაიცვალა.  
ანდერძით ბევრი არაფერი დაუტოვებია, მა-

გრამ ესეც მეყოფოდა თავის სარჩენად. პატ-  
არა ბარი ვიყიდე და ჩემს გოგოსთან ერთად  
მუშაობას შევეუღე, მაგრამ გერებმა ცუდ  
დღეში ჩამავლეს. ერთ დღეს, შვილი დამეკარგა.  
პოლიციას ვაცნობე. თურმე იმ პირუტყვებს  
წაეყვანათ და ერთ-ერთ სასტუმროში ხელ-  
იდან ხელში გადაჰყავდათ, პოლიციამ კი  
მითხრა – თვითონ წაჰყოლია და ვერავის  
დავაპატიმრებთო. რა თქმა უნდა, თურქმა  
თურქს დაუჭირა მხარი... მერე, ისევ კალ-  
აპოტში ჩაღვა ცხოვრება, ჩემი გოგონაც  
დამშვიდდა, ორივენი ვმუშაობდით, მაგრამ  
ჩემი ბიჭის დარდი არ მასვენებდა. სოლი-  
დური თანხა დავაგროვე თუ არა, საქართველო-  
ში დაბრუნდი, რომ როგორმე შვილი დამე-  
ბრუნებინა. მივედი ჩემი შვილების მამასთან  
და ვუთხარი, რომ რასაც მომთხოვდა, ყვე-  
ლაფერს შევესრულებდი, ოღონდაც ბიჭი  
მოეცა. მან სამი ათასი დოლარი, მობილური  
ტელეფონი და სამარშრუტო ტაქსი მომთხო-  
ვა. ჩამოვედი თბილისში, უყიდე „რაფი“,  
მივეცი დანარჩენიც, რაც მოსოვა და წამო-  
ვიყვანე ჩემი ბიჭი. ამ დღეებში, თურქეთში  
ვბრუნდები. „რაფი“ გაცვლილი ჩემი  
შვილიც და დედაჩემიც თან მიმყავს. იქ  
ბარი, ნორმალური ბინა მაქვს და გოგოსაც  
მალე ვავატოხვებ.

**— თურქზე?**

— დიას, თურქზე. თქვენ გვერათ, რომ  
თქვენსა და ჩემს შვილებს მომავალი აქვთ  
საქართველოში? მე არ მჯერა. დიდი სიმ-  
წარის მიუხედავად, მაინც იქ მირჩენია  
ცხოვრება.



**პროექტი „ქართული სახლი“ წარმოგიდგენთ  
კონკურსს „ქართული დიზაინი“**

კონკურსი ცხადდება საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინზე და მისი კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი  
პროცესის აღდგენა, ტრადიციული დიზაინის შემოქმედებითი განვითარებისთვის ხელის შეწყობა და შემოქმედებითი  
აზროვნების სტიმულირება. **კონკურსის ინიციატიორები და ორგანიზატორები არიან კომპანია  
„არსი“ და სტუდია „ორი“.**

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არქიტექტორებს და დიზაინერებს, ასევე სტუ-ს არქიტექტურის  
ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურისა და დიზაინის ფაკულტეტების,  
კერძო არქიტექტურული სკოლების სტუდენტებს. საავტორო ჯგუფში შესაძლებელია სახვითი ხელოვნების  
სპეციალისტების მონაწილეობა.

**კონკურსის ჩატარების ბრავიკი:**

- კონკურსის გამოცხადება – 18 ივნისი, 2003;
- საკონკურსო მასალის ჩაბარება – 15 სექტემბერი, 2003;
- საკონკურსო მასალის გამოფენა – 24-28 სექტემბერი, 2003, ღია ცის ქვეშ მუზეუმი;
- კონკურსის შედეგების გამოცხადება და გამარჯვებულთა დაჯილდოება – 24 სექტემბერი, 2003.


პროექტში **გამარჯვებულთათვის დაწესებულია** პირველი პრემია – 4000 ლარი, ორი მეორე  
პრემია – 2000 ლარი, სამი მესამე პრემია – 1000 ლარი და ექვსი წამახალისებელი პრემია – 200 ლარი.

**კონკურსის მხარდამჭმრნი არიან:** კულტურის სამინისტრო, ღია ცის ქვეშ მუზეუმი, მერიის  
არქიტექტურის სამსახური, სტუ-ს არქიტექტურის ინსტიტუტი, „დილის გაზეთი“, „24 საათი“, ჟურნალები  
„გზა“ და „თბილისელები“, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“.

**პროექტ „ქართული სახლის“ პრომოუტორია** საკონსულტაციო ჯგუფი „ჯებრა“.

კონკურსის პროგრამა და პირობები რეგისტრაციით გაიცემა 18 ივნისიდან 18 ივლისამდე  
კომპანია „არსი“-ს ოფისში. მისამართი: ჭავჭავაძის პრ. №74, I სართული.  
ტელ: 253188, 251904, 12.00-16.00 საათებში. [www.georgianhouse.ge](http://www.georgianhouse.ge)

# ჰაზა «არნივი» თურქეთის გავლით «ორლანდო მეჯიქში» ჩაფრინდა



ამ დღეებში, ქართული სპორტსთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ნიუ-იორკში ჰქონდა ადგილი: ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის (NBA) მორიგ დრაფტზე ქართველი კალათბურთელი ზაზა ფაჩულია „ორლანდო მეჯიქსი“ აიყვანა (საფეხბურთო ტრანსფერებისგან განსხვავებით, ვერ ვიტყვით, რომ შეიძინა — NBA-ს და იქაურ დრაფტს თავისი წეს-კანონები და ტერმინოლოგია აქვს). თუმცა, ტერმინოლოგიას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს — მთავარია, რომ დღეიდან, ზაზა ფაჩულია „ორლანდო მეჯიქსი“ წევრია, ვლადიმერ სტიფანანასა და ნიკა ცხტიშვილის შემდეგ მესამე ქართველია, რომელმაც ვველა კალათბურთელის საოცნებო ლიგაში მოხვედრა შეძლო.

## ჯაბა ლეონიძე

ზაზა უკვე ორლანდოშია, ახალ გუნდსა და ახალი კლუბის ხელმძღვანელობას ეცნობა, იქაურობას ეგუება. NBA-ში ის თურქეთის „ულქერიდან“ გადავიდა. ევროპული მასშტაბით, „ულქერიც“ გრანდია, მაგრამ ამერიკას კალათბურთში ევროპა როგორ შეედრება?!. მით უფრო სასიხარულოა, რომ ამერიკელი საკალათბურთო ექსპერტები უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ ფაჩულიასთვის „ორლანდოზე“ გაცვილებით ძლიერი გუნდებიც უპრიანი იყო და „მედლაფტე“ კლუბების მესვეურნი მალე იხანებენ, რომ ქართველი ცენტრფორვარდი არ აირჩიეს და ორლანდოელ „ჯალოქერებს“ დაუთმეს...

უნდა ითქვას, რომ დღეს, ჩვენშიც ბევრმა არ იცის იმ გრძელი და დუხჭირი გზის შესახებ, რომელიც ასაკის მიუხედავად, ზაზა ფაჩულიამ ამერიკულ კალათბურთაძვე განვლო. ვეცდებით, შევავსოთ ეს ხარვეზი.

### ბავშვობა

ზაზა ფაჩულია 1984 წლის 10 თებერვალს დაიბადა თბილისში. მისი მამა — ბატონი დავითი ძიულაიშვილი იყო, დედა — მარინა კოლუა კი, კალათბურთის თამაშობდა. ორივეს სურდა, ზაზაც სპორტსმენი გამოსულიყო, მაგრამ ვერ გადაწყვიტათ, კალათბურთზე მიეყვანათ თუ ძიულაზე. ახალგაზრდა მშობლებმა ამ თემაზე კამათი კარგა ხანს ვერ დაასრულეს და დავა იმით დამთავრდა, რომ ზაზა... ცეკვაზე მიიყვანეს. მაგრამ უკვე მესამე კლასში სწავლისას, ზაზამ ცეკვას თავი დაანება. უკვე იმდენად მაღალი იყო, რომ ცეკვის მასწავლებელმა თანატოლ გოგონებში შესაფერისი პარტნიორი ვერ მოუძებნა.

იმ დროისთვის, ზაზამ თბილისში ახალდაარსებულ, დემირელის სახელობის კოლეჯში ჩააბარა. რაკილა ცეკვას დაანება თავი, მთლიანად სწავლაზე გადაერთო, მაგრამ მალე კალათბურთმაც შეიტყუა და ზურაბ სამხარაძის ხელმძღვანელობით, წვრთნასაც მიჰყო ხელი.

### მარინა კოლუა:

— ძალიან მუყაითი ბავშვი იყო, კოლეჯში საუცხოოდ სწავლობდა, ასევე თითოთ საჩვენებელი იყო საკალათბურთო სექციაშიც. არ მახსოვს, ვარჯიშში გაეცდინოს ან დაეგვიანოს, საოცრად მოწესრიგებული იყო. თითისტოლა ბავშვს ჩამოყალიბებული კაცის თვისებები ჰქონდა. „მისი“ კალათბურთით აკლებულნი ვიყავ-

ით ოჯახში — ფარდები არ შეგვარჩინა, მინები სულ ჩამსხვრეული გვექონდა და კაცმა არ იცის, რამდენი ნივთი შეიწირა, ოთახში ბურთით თამაშით...

### ბრძოლა ღირსებისა და... ქართველობისთვის

იღბალი ნამდვილად წყალობდა ზაზა ფაჩულიას. კაცმა არ იცის, რას მიაღწევდა, მთელი სიყმაწვილე თბილისის „არწივებში“ რომ გაეტარებინა. მაგრამ ბელმა 13 წლის ასაკში, უკვე თურქეთში ჩაიყვანა: ზაზა „ულქერი“ ბავშვთა გუნდის წევრი გახდა. კაცმა რომ თქვას, იქაც შემთხვევით მოხვდა. თბილისში თურქეთის კალათბურთელთა ნაკრები იყო ჩამოსული. ზაზასა და დემირელის კოლეჯის რამდენიმე სხვა მოსწავლეს თარჯიმნობა დაევალიათ. ბიჭებმა ერთი-ორჯერ დიდ კალათბურთელებთანაც წაივარჯიშეს და... თურქეთის ნაკრების ერთ-ერთმა მწვერვალმა მორე დღესვე, საქმიანი წინადადებით მიმართა ზაზას მშობლებს. მალე, მთელი ოჯახი თურქეთში აღმოჩნდა.

### მარინა კოლუა:

— „ულქერი“ ისეთივე საგვარეულო ბიზნეს-იმპერიაა თურქეთში, როგორცაა: „ფორდი“, „ფილიპსი“, „სიმენსი“, „გერსაჩე“... ჩემთან, ზაზასთან და ცხადია, ჩემს ცნობებულ მეუღლესთან, ასე ვთქვათ, „მთავარმა ულქერმა“ — ულქერების ოჯახის უფროსმა ინება მოლაპარაკების გამართვა. ცხადია, ზღაპრული შეხვედრა მოგვიწვევს; ულქერმა (მაპატიეთ, მისი სახელი არ მახსოვს) თავის ვეებერთელა



10 წლის ზაზა „არწივების“ შემადგენლობაში თამაშისას

კაბინეტში მივიღო. ძირითადად, ჩემს ქმარს ესაუბრებოდა, თარჯიმნობას ზაზა უწევდა. რომ იტყვიან, ოქროს კომპებს შეგვპირდა, გვითხრა: ხელისუფლებზე ვატარებთ თქვენს შვილს, რასაც ითხოვთ, მოგცემთ, ოღონდ ზაზამ თურქეთის მოქალაქეობა უნდა მიიღოს და გვარ-სახელი გამოიცვალოს... მანამდე, ჩემი მეუღლე წყნარად უსმენდა; ბოლოს, როცა ზაზამ ეს ნათქვამი უთარგმნა (მამი, გათურქებას მისოვენო), – საწყალი დავითი აიღეწა, წამოხტა, ბოდიში მომიხდია თქვენთვისო, – თქვა და კარგა გვარიანად შეუკურთხა კიდევ იმ „მთავარ ულქერს“. ცხადია, უბოდიშოდ დავტოვეთ მისი კაბინეტი... რაკილა მიხვდნენ თურქები, რომ ფულსა და ფუფუნებაზე არ გავყიდდით სამშობლოს, ქართველობას, გვარ-ჯიშს, ხელი აიღეს ამ განზრახვაზე, მაგრამ ზაზას დათმობა ულქერს არც უფიქრია: მაშინვე ჩარიცხა „ულქერის“ ბავშვთა გუნდში. ყურადღებას არ აკლებდნენ, მაგრამ შიშობდა, ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ბავშვი უჩვენოდ გაეტეხათ და „გათურქებინათ“. ვიცოდით, რომ ზაზა ამაზე არ წავიდოდა. ამასობაში, მეუღლე დამეღუპა, ბიჭი უმამოდ დამრჩა და მთელი პასუხისმგებლობა მე დამაწვა მხრებზე... როცა 2001 წლის მაისში, საქართველოსა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების მატჩის შემდეგ, ზაზა ქართველმა მაყურებელმა ხელში აყვანილი გამოიყვანა სპორტის სასახლის არენიდან, მივხვდი, რომ მე და ჩემმა ბიჭმა გავიმარჯვეთ, რომ ჩემს მეუღლესთანაც პირნათელი ვიყავი: ზაზა ფაჩულია ქართული კალათბურთისთვის ირჯებოდა და თანაც – დიდი თავდადებით... მაშინ, ჩემზე ბედნიერი დედა არ მეგულებოდა, სიამაყის ცრემლით მქონდა თვალები სავსე და ბუნდოვნად ვხედავდი ხალხის მიერ ატაცებული, ჩემი პატარა ბიჭის გაღიმებულ სახეს – მაშინ ზაზა 17 წლის იყო...

სიჯიუტემ თავისი გაიტანა

სამშობლოს სიყვარული და ამით გამოწვეული სიჯიუტე თურქეთში ბევრჯერ ცუდად დახვდა წინ ზაზა ფაჩულიას. მიუხედავად მისი ნიჭისა და ტალანტისა, არაერთხელ

გამაძწარეს, საუკეთესო ფორმაში მყოფს არ ათამაშებდნენ, ხოლო როცა მოედანზე გამოჰყავდათ, უფრო ხშირად – თურქეთის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში, ევროლიგის მატჩებს კი, ნაკლებად აკარებდნენ. არადა, სწორედ ევროლიგაში მოთამაშე კალათბურთელებში ეძებენ ამერიკელი სკაუტები ტალანტებს... ბოლოს, „ულქერის“ მთავარი მწვრთნელი ონგონერი გადაეკიდა. შინაურ ტურნირებშიც კი ნაკლებად ათამაშებდა. მაგრამ „ულქერის“ საქმე უკან-უკან მიდიოდა, ქომაგები, ჟურნალისტები მოედანზე „გურჯის“ გამოყვანას მოითხოვდნენ. ონგონერმაც ვერ გაუძლო დაწოლას (იქ, ჩვენგან განსხვავებით, პრესასა და ქომაგებს ანგარიშს უწევენ მწვრთნელები) და რამდენჯერაც მისცა ფაჩულიას თამაშის საშუალება, იმდენჯერ გაიბრწყინა ახალგაზრდა ქართველმა ვარსკვლავმა. თურქები საბოლოოდ მოტყდნენ, ფაჩულიას იგნორირების მიზეზ-საბაბი დაეღიბათ, ამასობაში ევროლიგაც მიიწურა და საუკეთესო ევროპული კალათბურთელებიც დრაფტისთვის შეარჩიეს.

ზაზა სამშობლოში თამამობს

ზაზა ფაჩულია დღევანდელი თაობისთვის პატრიოტი სპორტსმენის ნიმუშია. ბოლოდროინდელ გაჭირვებას ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გაექცა, უცხოეთს შეაფარა თავი და არც მოქალაქეობისა თუ გვარ-სახელის გამოცვლაზე უთქვამს უარი ფუფუნებისა თუ წარმატებული სპორტული კარიერის საფასურად. ახლა არ ღირს იმ გოგო-ბიჭების განსჯა, ვინც აიბუღეს, სამშობლოს ნაცვლად, სხვა „დედა“ ეძებნათ. ჩვენ ერთი ვთქვათ და დავასრულოთ: ზაზა ფაჩულიამ დღემდე ღირსეულად ზიდა მამულიშვილური ტვირთი და იმედა, არც გავარსკვლავების შემდეგ წაიბორძიკებს...

რამდენიმე დღის წინ „გაორღანდოებულ“ ზაზა ფაჩულიას „გზა“ აშშ-ში დაუკავშირდა. იმის გამო, რომ ვარჯიშზე მიეჩქარებოდა, ვრცელი საუბარი ვერ მოვახერხეთ. შეპირდა: სამომავლოდ, „გზას“ ვრცელ ინტერვიუს მივცემ და ნებისმიერ კითხვებზე გიპასუხებთო, თანაც დასძინა – ჩემთვის უხერხული კითხვები არ არსებობს, რადგან არც ერთი დღე ისე არ

მიცხოვრია, რომ რაიმესი შემრცხვესო...

ზაზა, ცხადია, კმაყოფილი ხართ, თავი რომ დააღწიეთ იმ ჯოჯოხეთს — „ულქერს“ ვგულისხმობ.

– მოდი, მთლად ჯოჯოხეთად ნუ მოვნათლავთ „ულქერს“. მე იქ ბევრი კარგი მეგობარი შევიძინე, თუნდაც, იუგოსლავიელი მილან გოლოვიჩი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მომილოცა დრაფტზე წარმატება. გავიხსენებ ამერიკელ კვადრა ლოლისს; მართალია, მან შარშან დატოვა „ულქერი“ და გერმანიაში გადავიდა, მაგრამ დღე არ გავა, რომ ერთმანეთს ტელეფონით არ შევეხმიანოთ. თურქეთში დავტოვე უამრავი ერთგული ქომაგიც, რომელიც ვიცი, „ორლანდოს“ კვლავაც ჩემი ხათრით უქომაგებს. მაგალითად, იქ მეგულება მოხუცი სტამბოლელი ზაზაზი, რომელიც ასევე ჩემი ხათრით „ულქერის“ არც ერთ თამაშს არ აცდენდა, დილაუთენია კი, ცხელ ლავაშს მივზავნიდა თავისი ბიჭის ხელით. მგონი, რაც თურქეთში ვიცხოვრე, პური საერთოდ არ მიყვია (იციანის).

თოგაი ონგონერსა და „ულქერის“ სხვა მესვეურთ თავიანთი ცოდვებიც ეყოფათ. ისე, ბოლოს, ყველაფრის მიუხედავად, მაღლობას მათაც ვეტყვი, რომ ევროლიგისა და თურქეთის ჩემპიონატის პრინციპულ, ბოლო მატჩებში მათამაშეს, თავის გამოჩენის შანსი მომცეს და ბოლოს, ხელი აღარ შემიშალეს NBA-სკენ მიმავალ გზაზე. ისე, ახლა, რაც უფრო ნაკლებს ვისაუბრებთ თურქეთსა და „ულქერზე“, უმჯობესი იქნება.

რატიმაც არა? ამერიკა და NBA არ ჯობია?

– რა თქმა უნდა. მით უმეტეს, როცა კალათბურთზეა საუბარი.

კარგი, „ორლანდოს“ დავუბრუნდეთ. როგორ შეგვუეთ ახალ გუნდს?

– ძალიან კარგად. ბიჭები, მწვრთნელები და კლუბის თავკაცთაგან, ვინც საჭირო იყო, ყველა გავიცანი, ყველასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. იმედა, ბევრ მეგობარს გავიჩენ.

კლუბთან კონტრაქტს როდის გააფორმებთ?

– ტრადიციისამებრ, ორიოდე თვეში. თავადაც გეცოდინებათ – უამრავი ფორმალობა თუ ტრადიციული პროცედურაა კონტრაქტამდე გასავლელი.

როგორი დაბალი ხელფასიც არ უნდა დაგინიშონ ორლანდოელებმა, ნათელია, რომ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ სპორტს-



მენად იქცევით...

– ფაქტს ვერსად გავექცევი. მე რომ მჭირდებოდა და მყოფნიდა, იმდენი ფული ბავშვობიდან მქონდა. ფულს არასდროს გავუთამამებივარ და გავუგიჟებივარ. მთელი „ორლანდო მეჯიქი“ რომ მაჩუქო, ისევ იმ ზაზა ფაჩულიად დავრჩები. ვინც მე კარგად მიცნობს, ის მიხვდება, გაიგებს ჩემს ნათქვამს.


– გუნდში შესაძლო კონკურენტის არ გეშინია?

– ვისაც კონკურენტის ეშინია, ისინი დრაფტსაც ვერ ბედავენ. მთელი ცხოვრება ბარიერების დაძლევაში მაქვს გატარებული, უჩვეულოდ ჟინიანი ვარ და თავს არ დავზოგავ, რომ ნებისმიერ კონკურენტიაში ღირსეულად გამოვჩნდე. გუნდში ჩემ გარდა, 2 „ცენტრი“ ჰყავთ: ერთი 30 წლისაა, მეორე – ჩემზე დაბალი. ეს ჩემი სასტარტო უპირატესობაა. სამაგიეროდ, მე გამოუცდელი ვარ. თუმცა, ნამდვილ საკალათბურთო კონკურენციაზე ასე მხოლოდ დილეტანტები მსჯელობენ. მოდით, უფრო სერიოზულად

ვისაუბროთ.

– მალე საქართველოს ნაკრებს დასჭირდებათ NBA-ში მოთამაშე კალათბურთელები. ყველამ თავისი საქმე იცის, თქვენ რას აპირებთ — ჩამოხვალთ სანაკრებო მატჩებზე?

– ყველაფერს გავაკეთებ, რათა საქართველოს ნაკრებს ნებისმიერი გაჭირვების ჟამს გამოვადგე. ვიცი, კლუბის მხრიდან მექნება გარკვეული პრობლემები კონტრაქტიდან გამომდინარე, მაგრამ ჩემი სპორტული კარიერისა და მთლიანად ცხოვრების ერთადერთი პრიორიტეტი – სამშობლო, საქართველოს სამსახურია, ყველაზე ერთგული გულშემატკივრები – ქართველები არიან და მინდა, ჩემი ყველა ფანი დავაიმედო, პირველ რიგში – ჩემი ბავშვობის მეგობარი ვინი: რაც უფრო მაღალ დონეზე ვითამაშებ კალათბურთს, რაც უფრო მეტს მივაღწევ NBA-ში, უფრო მეტ გამარჯვებასა და სიხარულს მოვუტან საქართველოს, ქართველ ქომაგებს...



ზაზა და მისი საუკეთესო, ბავშვობის მეგობარი ვინი – ბექა ბიჭიაშვილი ბაღში, საახალწლო ზეიმზე

# სამყონისათვის-დასასვენებელი ყოქმეფქსი „ყოლხიდა“

## ბავაიიიბათ ურეკში ზღვის დღასანაულზა

ამ კუპონის ნარკდბანს  
8-ღღიანი საბზუარის შაკანისას  
+ სარუქრად 2 დღე  
ბანთავსაბით და საგჯარადი კვაბით

თქვენ გელოდებათ კომფორტული ნომრები, რესტორანი, კინო, დისკოთეკა, წყლის თხილამურები, ტრენაჟორები, ექსკურსიები, სპორტული თეგბობა და უამრავი სიურპრიზი.

კუპონი ძალაშია  
1 აგვისტომდე  
წინასწარი  
დაჯავშნა  
სავალდებულოა

ბელ: 899-20-54-45; 899-11-86-62; 899-57-72-47





გიგა ნასარიძე და ალექო მალხაზიშვილი ახალ გუნდთან ერთად

თავდაპირველად KBH-ი (მზ-იარულთა და საზრიანთა კლუბი) მხოლოდ სტუდენტური დღეებისთვის არსებობდა. მოგვიანებით კი, თეატრალიზებული პაექრობის ამ სახეობამ მეტი პოპულარობა შეიძინა და ახლა, სხვადასხვა ქვეყნისა თუ ქალაქის გუნდები ერთმანეთს ეჯიბრებიან.

საქართველოში მსკ-ის ყველაზე პოპულარული, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული გუნდი „თსუ“ იყო, რომელმაც ბევრ წარმატებას მიაღწია, მათ შორის — სოჭის ფესტივალზე „სეზონის აღმოჩენად“ აღიარებას, ხოლო მოგვიანებით, იურმალის მუსიკალურ ფესტივალზე „მუქი კვინით“ (ჯილდოს სამი სახეობა არსებობდა: „მუქი“, „თეთრი“ და „ოქროს კვინით“) დაჯილდოვებას.

ამ გუნდის წევრებმა უპვე დაამთავრეს უნივერსიტეტი და ახლა, თითოეული მათგანი საკუთარი საქმით არის დაკავებული. მხოლოდ წელიწადში ერთხელ იკრიბებიან და თავიანთი ხუმრობებით ფილარმონიის სცენიდან ამზიარულებენ მაცურებელს. ძველი თაობის ადგილი ახალმა დაიკავა და, კვლავ უნივერსიტეტის ბაზაზე, ახალი გუნდი „თსუ“ ჩამოყალიბდა. გუნდი თექვსმეტი წევრისგან შედგება, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილიც არის. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის დაარსებიდან სულ ერთი წელი გავიდა, თავისი წინამორბედის მსგავსად, ისიც წარმატებით ასპარეზობს, თუმცა, ბუნებრივია, ბევრი პრობლემაც აქვს. ამის შესახებ უფრო დანწრილებით ძველი და ახალი გუნდის ხელმძღვანელი სოფო ბანძაშვილი, თავის ორ თანაგუნდელთან — ბიბა ნასარიძესა და ირაპლი მახტანაშვილთან ერთად გვიამბობს.

# მზიარულებისა და საზრიანობისთვის „ჯავახიშვილი“ ფულს ითხოვენ

ნათია ქივიციანი

### სოფო:

— „თსუ“-ის ყველა წევრი უნივერსიტეტის სტუდენტია და მის სხვადასხვა გუნდში თამაშობს. მათგან საუკეთესოები შეიკრიბნენ. კრასნოდარის ლიგის ასპარეზობის მონაწილეთა სიაში ეს ჯგუფი იქ ჩაუსვლელად ჩასვეს. ერთი წლის განმავლობაში დავდიოდით კრასნოდარის ლიგის შეჯიბრებებზე, რის საშუალებაც ბადრი პატარკაციშვილის ფონდ „გამარჯვების“ წყალობით გახდა შესაძლებელი. საუკეთესო შედეგი ის იყო, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ვიცე-ჩემპიონები გავხდით, შემდეგ — ლიგის თასიც ავიღეთ. ერთწლიანი გუნდისთვის ეს წარმატება ძალიან მნიშვნელოვანია. შემდეგ წავედით ანაპაში. აზერად, უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა დავაფინანსა, რისთვისაც გუნდი მას მდლობას უხდის. იქ პროგრამების დირექტორსა და სადამოს წამყვანს, მასლიაკოვ-უმცროსს მოვეწონეთ და რამდენიმე დღის წინ, მივიღეთ მიწვევა იურმალიდან, მაგრამ უსასწრობის გამო, შეიძლება ვერ წავიდეთ. ყველაზე მთავარი იცით, რა არის? ამ ფესტივალში აფხაზეთის გუნდიც მონაწილეობს. მოგესხნებათ, რა მდგომარეობაა აფხაზეთში, მაგრამ მოუხედავად ამისა, KBH-ისთვის ისინიც ახერხებენ საჭირო ფინანსების გამოყოფას. წარმოიდგინეთ, რუსებისა და სხვების გვერდით აფხაზეთიც ითამაშებენ, ქართველები კი, უფულობის გამო იქ ვერ ჩავლენ... „ჯავახი“ რუსეთშიც და სხვა ქვეყნებშიც ძალიან პოპულარულია. სომხეთის

გუნდი მოსკოვში რომ თამაშობდა, ფინალზე დასასწრებად პრეზიდენტი ქოჩარანი ჩავიდა. თუ არავინ ჩამოგვაკითხავს, ყურადღება მაინც მოგვაქციოს ვინმემ! ეს ხომ ჩვენი ქვეყნისთვისაც კარგია.

— როდის ტარდება შეჯიბრება?

— 20-დან 27 ივლისამდე უნდა წავიდეთ, რა თქმა უნდა, თუ ვინმე დაგვაფინანსებს. პროგრამა მზად გვაქვს, სცენარიც გავაგზავნეთ. თუ ჩავალთ და კარგად გამოვალთ, ტელეკომპანია — OPT-ს პროგრამაში გამოვალთ, რაც გუნდისთვის ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია. უმაღლეს ლიგაზე ვერ არა, მაგრამ პრემიერ-ლიგაზე კი გვაქვს პრეტენზია. ანაპაში უფრომ გვიწინასწარმეტყველა, რომ უმაღლეს ლიგაშიც ვითამაშებთ. ვნახოთ, რა იქნება. კარგი შედეგი ნამდვილად გვაქვს. ჩვენ რომ თამაშის გარდა, არაფერზე ვფიქრობდეთ, ორჯერ უკეთესი შედეგი გვექნებოდა, მაგრამ იმაზეც გვიწვევს ზრუნვა, რომ როგორმე წასასვლელად საჭირო მინიმალური სახსრები მოვიძიოთ. საშინელებაა — გადის-არ რეპეტიციებს და არ იცი, მიიღებ თუ არა მონაწილეობას შეჯიბრებაში...

— მოდით, ახლა შეიდასამზარეთულოში ჩავგახედეთ. სცენარის შექმნა როგორ ხდება?

ბიბა: — სცენარს, ძირითადად, მთელი გუნდი წერს, რადგან, როცა შენვე ხარ ხუმრობის ავტორი, უფრო ადვილად თამაშობ. სხვა გუნდებში ასე არ არის. ქრაობენ სცენარისტა გუნდს, რომელიც მთლიან პროგრა-

საბაზანოში სველი წერტილი ნიჟარით	აღმოსაქლური კერძი	ფეხის კერა	ფული, რომელიც სტუდენტს უხდებიან	დაბადების მოწმობა			
აგენტი 007 (მსახიობის სახელი)	„... დაბა-ცადე!“	...ნიფი, ნაფ-ნაფი...	ძვალა გულმკერდის არეში	რა სარწმუნოების გახლდათ ბუღარიას ცოლი ბუღარისა	მწერალთა გაერ-თიანება „...-კლები“	მონაკვეთი, რომელიც წრეწირის ცენტრზე გადის	საკვეთი

მას უწერს, გუნდს კი, მხოლოდ თამაში უწევს. ჩვენი გუნდის წევრები ხომ სხვა გუნდებშიც თამაშობენ, ამიტომ ნომრების მოფიქრება უფრო გვიადვილდება. ყველას თავის გუნდიდან მოაქვს რაიმე ხუმრობა და მერე, შესაბამისად ვცვლით ან ვარჩევთ, რომელი გამოდგება რუსული აუდიტორიის წინაშე გამოსასვლელად. მე, ალექო მალხაზიშვილი და ოთო ლომთაძე ძველი გუნდიდან ვართ გადმოსულები და უფრო კარგად ვიცით, თუ რა გამოდგება და რა - არა.

**— თექვსმეტ ადამიანს შორის, კამათი ალბათ ხშირად ხდება, არა?**

— რა თქმა უნდა. რაც მეტი კამათია, მით მეტი საღი აზრი ჩნდება. ჩვენი კამათი ჩხუბში არასოდეს გადადის.

**— თქვენს ჯგუფში ეს ერთი გოგოა. როგორ გიმკლავდებათ თხუთმეტ ბიჭს?**

— იმაზე ბევრად ადვილად, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია.

**სოფო:**

— ყველასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. რადგან ამდენი ხანია, ერთად ვართ და საჩქე კეთდება, ალბათ კარგად ვუმკლავდები...

**— სცენაზე თუ გამოდინარ ბიჭებთან ერთად?**

— არა, სცენაზე არ გამოვიდვარ. პროგრამა მიმყავს თავისი მუსიკალური გაფორმებიდან. თუ საჭირო იქნება, რომ ბიჭების გვერდით სცენაზე ქალი გამოვიდეს და ჩემ გარდა, ვერავინ ვიპოვებ, მაშინ გამოვალ, აბა, რას ვიზამ. თუმცა, მიმაჩნია, რომ ქალი „კავენ-შიკი“ არ არის ლამაზი, არც არის საჭირო.

**— თქვენი თამაში ყოველთვის კარგი მუსიკალური გაფორმებით გამოირჩევა, რომელსაც მორგებული ტექსტი ახლავს. ვინ გინერტ ტექსტს?**

**ბიბა:**

— ეს ყველაზე რთული მომენტი. ფაქტობრივად, ლექსი უნდა დაწერო, თანაც — ძალიან სულელურ თემაზე...

**ირაკლი:**

— ჭკუა ვინმარეთ და ურითმო ლექსი დავწერეთ. გამოვაცხადეთ: ПЕСНЯ БЕЗ РИФМЫ. უაზრო ფრაზები გვექონდა ჩაყრილი და ვიმღერეთ „დინამო, დინამოს“

„თსუ“-ს გუნდში ივანე ჯავახიშვილიც ჰყავთ (მარჯვნივ)

მელოდიაზე. კარგი გამოვიდა.

**ბიბა:**

— რატომღაც ყველგან ისეთი შეხედულება აქვთ, რომ ქართული „კავენის“ გუნდი კარგად მღერის. ყოველი თამაშის შემდეგ ხალხი მოდის და გვეუბნება: რა კარგად იმღერეთ! ხუმრობაზე კი არაფერს გვეუბნებიან. ეს ძალიან გვწყენს.


**სოფო:**

— ამის გამო ერთხელ, აღარ ვიმღერეთ. გადაირია ორგანიზატორი: ხალხს თქვენგან სიმღერა უნდა, ხუმრობით ყველა ხუმრობს, თქვენ კი მღერით კიდევო!... ერთ-ერთი თამაშის შემდეგ კი, როგორც იქნა, გვითხრეს: ეს არის გუნდი, რომელიც კარგადაც ხუმრობს და კარგადაც მღერისო.

**— მუსიკალური განათლება თუ გაქვთ რომელიმეს?**

**სოფო:**

— ორი პროფესიონალი მომღერალი გყავს: ლევან ჯღერტი და ჯიმი გუჯაბიძე. ერთი „მართვეში“ მღეროდა, მეორე — „მღვევარში“. ჯიმი წლოვანებითაც და სიმალლითაც ძალიან პატარაა, მაგრამ ისეთი ხმა აქვს... ანაპაში გვითხრეს: ცალკე დააყენეთ, რომ ყველამ დაინახოსო. სერიოზული პატარა კაცია. იცი, როგორ ვიპოვე? უნივერსიტეტში რაღაც კონცერტი იყო, სადაც ჯიმი თექვსმეტ კაცთან ერთად მღეროდა. მას იმხელა ხმა ამოსდის ყელიდან, რომ თექვსმეტივე კაცის ხმას ფარავდა. გადავირიე. როგორც კი სიმღერა დაამთავრა, კულისებში დავხვდი და ჩვენთან ყოფნა



შევთავაზე... ლევანი კი, ჩემი მეგობრის რეკომენდაციით მოვიდა გუნდში.

**ირაკლი:**

— ეს მომღერლები სცენაზე განა მხოლოდ მღერიან, ჩვენთან ერთადაც თამაშობენ. ძალიან კარგად მოერგნენ ჩვენს გუნდს. სცენარის წერაშიც კი ერთვებიან ხოლმე, რადგან უნდათ, რომ თავიანთი წვლილიც შეიტანონ.

**— რაიმე კურიოზს ან ხუმრობას ხომ არ მოგვიყვებით?**

— „კავენშიკების“ ცხოვრება სულ კურიოზია. ერთმანეთს სერიოზულად წყალსაც კი არ ვთხოვთ.

**ბიბა:**

— ანაპაში რომ მივდიოდით, კურიოზი იცი, რა იყო? ათი საათის განმავლობაში მძლოლები გვეუბნებოდნენ — სამასი კილომეტრი დარჩაო. ყოველ საათს ვეკითხებოდი: Сколько осталось - Я же говорил, 300 км. — სულ ასე გვპასუხობდნენ. თურმე, გზა აპბნევით და თვითონაც არ იცოდნენ, რამდენი საათის სავალი გვექონდა დარჩენილი.

**სოფო:**

— გაგაჩერეს ერთ „ტეკზე“ და დაიწყეს ჩვენი შემოწმება. ყველაფერი წესრიგში გვექონდა, მაგრამ მაინც რაღაც მიზეზს ეძებდნენ. უთხარი: У меня для вас подарок. — Ну-ка давай — უცებ მიპასუხა მილიციელმა. ასეთი შემთხვევებისთვის ცალკე გვაქვს ხოლმე წაღებული იაფფასიანი ღვინო და ის მივეცით...

**ბიბა:**

— რუსეთში რატომღაც, ასეთი სტანდარტი აქვთ: თამაშის ბოლოს, რაიმე დრამატული ტექსტი უნდა თქვა. ჩვენთვის ცოტა რთულია, რაიმე ისეთი მოვიფიქროთ, რომ ვიღაც ბებიას თვალიდან ცრემლი გადმოვადებინოთ. ბოლოს, მოვიფიქრეთ და სერიოზული სახით ვთქვით: „ჩვენ გვეგონა, რომ ანაპა, მზე, ზღვა და გოგონები იყო, მაგრამ ანაპა არის რეპეტიციები, არაფი და მამაკაცები...“ ისე მოეწონათ, რომ 40 წამი არ წყდებოდა ტაში. დაცინვას ვერ მიგვიხვდნენ...

**— ბოლოს, კიდევ რაიმის თქმა ხომ არ გინდათ?**

**ირაკლი:**

— არაფრის თქმა არ გვინდა — ფული გვინდა, ფული...

ილიცი	მიწის საზომი ერთეული ინგლისში	ტეხილი ხაზი	ნ. გოგოლი „... ბუბა“	გადამდნარი ცხიმი	მომღერალი ... დონი	ევროპული ფულის ერთეული	შვიდადგილი იანი საბჭოთა ავტომობილი
ჩიპი		ჩიპი	ჩიპი	ჩიპი	ჩიპი	ჩიპი	ჩიპი
ჩიპი	სისხლის წნევის უცვარი მომატება	ჩიპი	თემურ ყვითელაშვილის ინსტრუმენტი	მიმართვა ინგლისურ-ლისადმი	საქონლის სადგომი	ნერვული სისტემის მოშლა	გამის ნოტი

მინიერ სამოთხეში, პირველი ადამიანები ანგელოსთა მსგავსად ცხოვრობდნენ. მათ არც ხორციელი ვნებები ამოძრავებდათ და არც ის იცოდნენ, თუ რა იყო ავადმყოფობა და სიკვდილი, მაგრამ პირველქმნილმა ცოდვამ ყველაფერი შეცვალა. პირველი ადამიანების ცოდვით დაცემის შემდეგ, უამრავ სხვა ცხოვრებისეულ განსაცდელთან ერთად, ავადმყოფობაც გაჩნდა. რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მორწმუნეს ავადმყოფობის მიმართ? ვის მივმართოთ განსაკუთრებლად? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, გვესაუბრება ქვაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მღვდელი კონსტანტინე ბიორბაძე.



— მოაქვს თუ არა ავადმყოფობას რაიმე სულიერი სარგებლობა?

— უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავადმყოფობა უფლის საჩუქარია, რომელიც ჩვენზე გადარჩენისათვის — საცხოვრებლად გვეძლევა, რადგან ხორციელი სენი კურნავს სულს: ამ დროს ქრება ვნებები, მიწიერი საზრუნავი, მავნე აზრები და მყარდება იმედი უფლისა. ავადმყოფობა ხელს უშლის ადამიანს ცოდვით მიდრეკილებების გამჟღავნებასა და აღსრულებაში, ავადმყოფობა შეიძლება, დაშვებული იყოს ჩვენზე იმის გამოც, რომ განვირდით განსაცდელს, რომელსაც ვერ ავცდებოდით, ჯანმრთელი რომ ვყოფილიყავით. შესაძლოა, იმის გამოც ვიავადმყოფოთ, რომ გამოვფხიზლდეთ და უარყოთ მანიკერი ცხოვრების წესი. ამიტომ მორწმუნე ადამიანს, ავადმყოფობის მიმართ მაღლიერების გრძობა უნდა ჰქონდეს და მართალი იობის მსგავსად, არ უნდა ჩავვარდეთ სასოწარკვეთაში, არ ღავმიძღვოთ მწუხარებით, არამედ გვახსოვდეს, რომ ღმერთი გასაჭირში არასოდეს მიგვატოვებს. ვინც ავადმყოფობას მაღლიერებით იტანს, მასზე ღვთიური მაღლი გადმოედინება.

**შორენა მერკვილაძე**

— იოანეს „სახარების“ მიხედვით, როდესაც უფალი 38 წლის განმავლობაში დაერდომილ ავადმყოფს განკურნავს, ეუბნება: „აჰა ცოცხალი იქმენ, ნულარა სცოდავ, რაითა არა უძვირესი რამე გეყოს შენ“ (იოანე 5, 14-15). ე.ი. უარესი რამ არ დაგემართოსო. წმინდა წერილში სხვა მაგალითებიც გვხვდება, როდესაც მაცხოვარი მისგან განკურნებული ადამიანებისგან, ცოდვითა გამო სინანულს მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, ავადმყოფობა ხშირად ჩვენივე ცოდვის შედეგია, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი ავადმყოფობა ცოდვების გამო გვეძლევა. საერთოდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი ქმდება სამყაროში, მათ შორის ავადმყოფობაც უფლისგანაა დაშვებული. ავადმყოფობა შესაძლოა, ჩვენზე დაშვებული იქნას, როგორც უფლის გამოცდა, როგორც, მაგალითად, მართალი იობის შემთხვევაში იყო, რომელიც ჩვ.წ.ალ-მდე ცხოვრობდა არაბეთში. იობი ძალიან მდიდარი იყო, მაგრამ ძალიან კეთილი და მოწყალე ადამიანი გახლდათ. დღისით შრომობდა, საღამოს კი მხურვალე ლოცვაში ატარებდა. ეშმაკს შეშურდა იობის ასეთი ცხოვრება და ღმერთს შესჩივლა: იობი იმიტომაა ასეთი

**ავადმყოფობა -  
უფლის მიერ  
ადამიანებზე  
დაშვებული  
გამოცდა**

კეთილი და გულუხვი და იმიტომ ლოცულობს ასე მხურვალედ, რომ მდიდარია და არაფერი აკლიაო. გამოსაცდელად ღმერთმა იობს წყალობა აღარ მისცა. ერთ დღეში უამრავი უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ იობი მაღლობას უხდიდა ღმერთს და ღმერთის იმედი არ დაუკარგავს. ყველა გაკვირვებული იყო იობის ასეთი რწმენით. ეშმაკმა კვლავ მიმართა ღმერთს: იობი იმიტომ არ გგობს, რომ მის ხორცს ტკივილი არ უგრძნია; ავად რომ გახდეს, მაშინვე დაკარგავს რწმენასო. ღმერთმა იობზე ავადმყოფობაც დაუშვა. მიუხედავად მრავალი დაუმსახურებელი განსაცდელისა, იობი ყოველივეს უხმოდ იტანდა და ღმერთს მაინც არ გმობდა. რაკი იობის რწმენა ვერავითარმა განსაცდელმა ვერ შეარყია, სულ მალე, იობი კვლავ ბედნიერ ადამიანად იქცა.

— როგორ ხსნის მართლმადიდებლური ეკლესია სულიერ დაავადებებს?

— სულიერი დაავადებები ბოროტისგანაა, ანუ ეს არის ეშმაკისგან შეპყრობილობა, რაც ხშირად ურწმუნო ადამიანებს ემართებათ.

— რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს მორწმუნეს უკურნებელ დაავადებათა მიმართ?

— თუკი ადამიანს სწამს ღმერთის არსებობა და ფიქრობს სულის ცხონებაზე, უნდა გაითვალისწინოს, რომ ცხონებისთვის უმჯობესია, ბოლო ერთი წელი მაინც უკურნებელი სენით იავადმყოფოს.

— გამოდის, რომ ავადმყოფობა ხშირად, ცხონების გზაცაა...

— მიტროპოლიტი ანტონი წერს: „წმინდანთა ცხოვრებაშიც ვპოულობთ ჩვენ მრავალ მაგალითს იმისას, რომ წმინდანებიც და უბრალო მორწმუნეებიც ავადმყოფობდნენ დიდხანს არა

იმიტომ, რომ ცოდვილნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ასეთი იყო მათი და არა მარტო მათი, მათ ირგვლივ მყოფთა, ცხოვნების გზა“... მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ავადმყოფობა არ არის ერთადერთი გზა ცხოვნებისა.

— სიბრძნე ზირაქისაში წერია: „პატივი მიაგეთ მკურნალს... რადგან უფალმა შექმნა იგი. რადგან მკურნალობა უზენაესისგან არის“... (სიბ. ზირ. 38, 1-2). აქედან გამომდინარე, ადამიანს მკურნალობის მიზნით ექიმთან მისვლა არ ეკრძალება. რამდენად აუცილებელია ექიმთან მისვლამდე, ლოცვა-კურთხევა ვთხოვოთ სულიერ მოძღვარს?

— ბუნებრივია, დასწეულებულმა ადამიანმა უნდა მიმართოს ექიმს. თოფანე დაყუდებული გვასწავლის: „მკურნალი ღმერთის შექმნილია, წამალიც უფლის ხელისგანაა ქმნილი, მკურნალი თვითონ კი არ ჰკურნავს, არამედ ღმერთი ჰკურნავს მისი მეოხებით. ღმერთი შთააგონებს მკურნალს და ის გამოწერს საჭირო წამალს, ხოლო როდესაც ღმერთი არ ეხმარება მკურნალს, არ ვუწყვი აგნებს თუ არა ვიეთნიმე ნამდვილ წამალს“... მართალია, ადამიანს მკურნალობის მიზნით ექიმთან მისვლა არ ეკრძალება, მაგრამ მთელი იმ-

ედები ექიმსა და მის მიერ გამოწერილ წამალზე არ უნდა დავამყაროთ. „სამკურნალო საშუალებების გამოყენება კი არ არის ცოდვა, არამედ ავადმყოფის მიერ მთელი იმედების მხოლოდ მათზე და მკურნალზე დამყარება, რადგან ამ დროს ადამიანს ავიწყდება, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ღმერთზე, რომ ყველაფერი ღმერთისგანაა „რომელიც სწყალავს და კვლავაც აცოცხლებს“

— წერს ამბროსი ოპტინელი. ამიტომ ავადმყოფობის დროს უპირველესად შემწეობა უნდა ვთხოვოთ ღმერთს, რომ მკურნალობა ჩვენთვის სასიკეთოდ წარიმართოს. გარდა ამისა, არსებობს სპეციალური ლოცვა — „ლოცვა სნეულთათვის“ და მკურნალ წმინდანთა კონდაკები, რომელიც ავადმყოფობის ჟამს ყოველდღიურად უნდა იკითხოთ ავადმყოფმა და მისმა ახლობლებმა. რაც შეეხება მოძღვრის კურთხევას, იგი უფლისადმი თხოვნის აღსრულებაში, ამ შემთხვევაში კი — მკურნალობის სწორად წარმართვასა და ექიმისა და კლინიკის შერჩევაში გვეხმარება. აქვე იხილეთ უნდა ითქვას, რომ ავადმყოფობის დროს მთლიანად უფალზე მინდობა უდიდესი სიბრძნეა, მაგრამ ექიმზე უარის თქმას ძალიან დიდი რწმენა სჭირდება, როგორც ჰქონდა, მაგალითად, სერაფიმ საროველს — იგი თავად ღვთისმშობელმა განკურნა.

— რამდენად გამართლებულია მცენარეული ნაყენის გამოყენება მკურნალობის მიზნით?

— ფიტოთერაპიით მკურნალობა მორწმუნეს არ ეკრძალება, მაგრამ ზოგიერთ ადამიანს ამა თუ იმ მცენარის მიმართ აქვს ალერგია. გარდა ამისა, მცენარეულ წამლებსაც აქვს უკუჩვენებები, ამიტომ უმჯობესია, თუ ამ საშუალებებს ექიმის დანიშნულებითა და მისი მითითებების გათვალისწინებით მივიღებთ.

P.S. რატომ კრძალავს მართლმადიდებლური ეკლესია, განკურნების მიზნით ექსტრასენსთან მისვლას? რა მსახურებები აღსრულება ეკლესიაში ჩვენი სულისა და ზორცის საკურნებლად? რა უნდა ვიცოდეთ სასწაულებრივ განკურნებასთან დაკავშირებით? — ამ და სხვა საკითხებზე „გზის“ მომღვებო ნომერში გესაუბრებით.

რეაქციული პათოლოგია



მითხარი, ვისთან ხარ, — გეტყვი ვინცა ხარ.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ეს გაუმარჯოს კითხვის უფლებას, ეს გაუმარჯოს წერის უფლებას! კურთხეულ იყოს აზრის სინათლე! სიმაღლის შიში მას ეუფლება, ვისაც თავისი აფრთხობს სიმაღლედ.

რობერტ ბერნსი

უჭკაუო კაცს ქვეყნის ჭკუაც ვერას არგებს. ბრძას თვალხილულთა მხედველობა რას უშველის?

ჟან დე ლაბრუიერი

სიყვარულს არა ჰყავს ეჭვიანობაზე მასობელი და მასზე დიდი მტერი; ასევე რკინის უდიდესი მტერია ჟანგი, რომელიც მისგანვე გამოდის.

ჯორდანო ბრუნო

ენის ისარი — მკვლელი ის არი! სულხან საბა ორბელიანი

როცა კარგად ლაპარაკობ, არასოდეს ბევრს არ ლაპარაკობ.

რენიარი


ადამიანი არც მხეცია და არც ანგელოზი. უნდა უყვარდეს არა მხეცურად ან პლატონურად, არამედ ადამიანურად.

ვისარიონ ბელინსკი

ვისაც სიხარბით სხვებზე ამაღლება განუზრახავს, რათა მსმენელთა თავებზე მოექცეს, — იღაცებითა და მუჯღუგუნებით ლამობს აცოცდეს ზემოთ, ვიდრე ყველას თავზე არ მოექცევა, რათა სისულელე იქადაგოს.

ჯონათან სვიფტი





საუცხოო სანახაობა ჩანდა — პატარძალი „ველენტინოს“ კაბაში გამონწყობილი საოცრად ლამაზი იყო. მას არანაკლებ ელევანტური ნეფე უმშვენებდა გვერდს. ქორწილზე იმდენ ცნობილ ადამიანს მოეყარა თავი, რომ მათი ნახვა ერთ რამედ ღირდა. მოსული იყო ტელესერიალ „მეგობრების“ ყველა მთავარი როლის შემსრულებელი: კორტნის, რომელიც პოპულარულ ყოველკვირეულ კომედიურ შოუში მონიკა გელერის როლს ასრულებს, მათთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. აქ იყო ჯენიფერ ენისტონიც, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ მისი საქმრო — ბრედ პიტი ახლდა. დები არკეტები, რა თქმა უნდა, ვერ გამოაკლდებოდნენ საყვარელი ძმის ქორწილს. მათ ძლიერ უხაროდათ, რომ ძმამ ასეთი კარგი არჩევანი გააკეთა. სტუმრების მოსვლისას ხალხი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა, თუნდაც ნაკლებად სახელგანთქმული, მაგრამ ესოდენ ახლობელ პერსონაჟებად ქცეული, სერიალის მსახიობების ცნობისას.

ახლა ამერიკაში კორტნის ბევრი უბრალოდ, სისიდ (CC — მისი ინიციალებიდან წარმოშობილი მეტსახელი) მოიხსენიებს, რაც მსახიობის უზარმაზარ პოპულარობაზე მეტყველებს. ადრე ასეთი პატივი აშშ-ში მერილინ მონროს, საფრანგეთში — ბრიჟიტ ბარდოს, იტალიაში კი — კლაუდია კარდინალეს სვდათ წილად.

ამერიკელებს სჯერათ, რომ კორტნი კოქსი ჭკვიანი, მშვიდი, ყოველთვის გაწონასწორებული ლამაზმანია — ანუ ტიპური თანამედროვე ამერიკელი (ან იქნებ, მათ უბრალოდ სურთ ამის დაჯერება?!). კორტნი ამაზე არ დაობს, თუმცა მიაჩნია, რომ ასეთი, „მეგობრები“ ნათამაშები მისი პერსონაჟი უფროა, ვიდრე თვითონ. მაშ, როგორია კორტნი კოქსი სინამდვილეში? ალბათ ყველა თავისებურ დასკვნას გააკეთებს, როცა გაეცნობა მის ცხოვრებას.

ამერიკელებმა კორტნის შესახებ ყველაფერი იციან. შესაძლოა, უფრო მეტიც, ვიდრე თავად მსახიობმა. იგი 1964 წლის 15 ივნისს ამერიკული პროვინციის — ალაბამის შტატის პატარა ქალაქშია დაბადებული. კორტნი — რიჩარდ და კორტნი კოქსების მეოთხე — ყველაზე უმცროსი შვილი იყო. მას ძმა და ორი და ჰყავს. მშობლები ერთმანეთს მაშინ გაეყარნენ, როცა კორტნი ათი წლის გახლდათ. ბავშვები დედასთან დარჩნენ, გოგონა აღმერთებდა მამას, რომელსაც მხიარული,

ლალი ხასიათი ჰქონდა. მამის ოჯახიდან წასვლის გამო, დედას მანამ სდებდა ბრალს, სანამ გაიზრდებოდა და მიხვდებოდა, რომ მშობლები მართლა არ შეეფერებოდნენ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ მათ 19 წელი იცხოვრეს ერთად. მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო და ახლა კორტნი და დედამისი დიდი მეგობრები არიან. ახლაგაზრდა პროვინციელმა გოგონამ დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა ადრეულ ასაკშივე გამოავლინა.

ჯერ კიდევ სკოლის წლებში გამყიდველად მუშაობის დროს დაგროვებული თანხით თექვსმეტი წლის კორტნიმ ავტომანქანა შეიძინა. ბირმინგემში სკოლის დამთავრების შემდეგ (1982), იგი პროფესიით მშენებელი მამის კვალს გაჰყვა და ვაშინგტონში „ვენონის“ კოლეჯში არქიტექტურულზე ჩააბარა. ინტერიერის მხატვრული გაფორმების ფაკულტეტზე სწავლისას კორტნი საუკეთესო სტუდენტი იყო. სხვა თანაკურსელებთან ერთად იგი ჩოგბურთსა და ცურვაზე დადიოდა. იმხანად სამსახიობო კარიერაზე ოცნება გულში არ გაუვლია. ბოლო კურსზე მას მამინაცვლის ძმისწული მაილზ კოუპლანტი შეუყვარდა, რომელმაც სამოდელი ბიზნესში დასაქმებული თავისი მეგობრები გააცნო, რის შემდეგაც იგი „ფორდის“ სააგენტოში მოხვდა. კორტნისთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა მოდელის როლი და ისე, ყოველი შემთხვევისთვის... დრამატული ხე-

# ნასიონალუჩა კორტნი კოქსა რომანტიკოსი პეულის პეუნეოზა აირჩია

ლოვნების გაკეთილებიც გაიარა. თავაპირველად, სარეკლამო რგოლებში იღებდნენ. სიტყვამ მოიტანა და მას შემდეგ, რაც კორტნი ვარსკვლავი გახდა, ჟურნალისტებმა „ტამპეისის“ რეკლამასთან დაკავშირებით — რომელშიც ის ერთ დროს მონაწილეობდა, კითხვებით დატანჯეს. კორტნის უსაშველოდ მოჰპებრდა ეს თემა, თავს არიდებდა ამგვარ კითხვებს და შეახსენებდა მათ, რომ იგი არა მარტო კოსმეტიკური ფირმის „მეიბელინის“ სახე იყო, არამედ მოდური ჟურნალებისა და ქალთა რომანების ყდებსაც ამშვენებდა.

კორტნის სატელევიზიო დებიუტი 1984 წელს, ფილმში — „სანამ დედამიწა ბრუნავს“ ბონის როლით შედგა. იმავე წელს იგი ბრიუს სპრინგსტინის კლიპისთვის — „სიბნელეში მოცეკვავე“ — რეჟისორმა ბრაიან დე პალმამ შეარჩია. სწორედ ამ კლიპში შეამჩნიეს მსახიობი პირველად, რამაც კოქსს კინოკარიერისკენ გაუსწნა გზა. მართალია, კლიპში მონაწილეობისათვის მას სულ რაღაც 350 დოლარი გადაუხადეს, მაგრამ სამაგიეროდ, ტელეპროგრამა — „კვირის მუსიკის“ წაყვანა სთხოვეს და კინოსა და ტელევი-



ზიაში მისი ინტენსიური გადაღება დაიწყო. მისი პირველი ცნობილი სამსახიობო ნამუშევარი 1987 წელს გამოჩნდა, როცა მან „ოჯახურ კავშირებში“ მაიკლ ფოქსის მხიარული მეგობრის როლი შეასრულა. რამდენიმე ფილმის შემდეგ, რომელმაც კინოგაქირავებაში კრახი განიცადა, მას, როგორც მსახიობს, პირველი წარმატება ფილმში – „ეის ვენტურა“ ჯიმ კერისთან ერთად თამაშის შემდეგ ხელა წილად. მის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ნამუშევრად კი, სუპერპოტურ ტელესერიალში – „მეგობრები“ (1994) შესრულებულ, მონიკა გელერის როლს მიიჩნევენ. პროდიუსერები მას რეინჟლის სახეს სთავაზობდნენ, მაგრამ კორტნიმ დაარწმუნა ისინი, რომ ჯობდა, მისთვის სხვა როლი შეერჩიათ.

1995 წელს, მსახიობი MTV Movie Awards-ის ცერემონიის წამყვანად მიიწვიეს. კინოში მის ყველაზე დიდ წარმატებად ტრილოგია „ყვირილი“ იქცა (1996-2000), რომლის პირველმა ფილმმა ამერიკის კინოგაქირავებაში 100 მილიონი დოლარი შეაგროვა. 1997 წლის 12 დეკემბერს გამოშვებული „ყვირილი-2“ იმდენად წარმატებული იყო, რომ მისმა შემოსავალმა პირველსავე უიკენდზე 40 მილიონ დოლარს მიაღწია. მან ასევე ითამაშა დენი ბოილთან და კენეტ ბრანასთან ერთად „სასიყვარულო სამკუთხედში“. ახლა კვინ კოსტნერთან და კურტ რასელთან ერთად ფილმის – „300 მილი გრეისლენდამდე“ – გადაღებისთვის ემზადება. ცხოვრების 5 წელი მსახიობ მაიკლ კიტონთან იყო დაკავშირებული. „განშორება რთული იყო, ვინაიდან მეჩვენებოდა, რომ ჩემი და მაიკლის ურთიერთობა მარად უნდა გაგრძელებულიყო“, – აღიარებდა მსახიობი. იმხანად კორტნის რომანების თავი აღარ ჰქონდა, მაგრამ ჟურნალისტები არ ასვენებდნენ ქალს, რომელიც ჟურნალ People-ის მიერ შედგენილი სიის თანახმად, მსოფლიოს 50 უღამაზეს ადამიანს შორის აღმოჩნდა. მისმა ფოტომ ამავე ჟურნალის სპეცგამოცემის ყდაც კი დაამშვენა. თავიდან მას კრისტიან სლეიტერთან რომანს მიაწერდნენ, შემდეგ – მრავალ სხვა მსახიობსა თუ მუსიკოსთან. ის კი მხოლოდ მხრებს იჩინდა: „საკმარისია, გადააკონო მეგობარი, რომელმაც აეროპორტში გაგაცოლა, რომ გახეთქში მაშინვე დაიბეჭდოს ინფორმაცია თქვენი ახალი რომანის შესახებ. მსახიობმა ჟურნალებიდანვე შეიტყო, რომ ბულიმიით „ყოფილა დაავადებული“ (უხეშად რომ ვთქვათ – გაუმაძღრობით). ამის გამო, კორტნი ჯერ განაწყენდა, შემდეგ კი სიცლით ახსნა ჭორის წარმოშობის მიზეზი: „მე ზომ ერთ-ერთ ინტერვიუში აღვნიშნე, რომ კანფეტები მიყვარს“.

და მაინც, ბევრ რამეს, რასაც მასზე წერენ, იგი სადავოდ არ ხდის. მაგალითად, იმას, რომ ფიზიკურ ფორმას იოგას ვარჯიშების წყალობით ინარჩუნებს. კიდევ – რომ ერთ დროს, მოსაწვევი ნარკოტიკებითაც იყო გატაცებული, მაგრამ სრულიად გათავისუფლდა ამ ჩვევისგან; რომ მრავალი წლის განმავლობაში, საკონტაქტო ლინზებს ატარებდა და შემდეგ მათზე აღერგია დაემართა (სინამდვილეში გადასაღებ მოედანზე ყოფნისას ჯენიფერ ენისტონს ლიზა კუდროუსგან ვეღარ არჩევდა, და თვალის ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა, რადგან სათვალის ტარების კატეგორიული წინააღმდეგი იყო). ასევე წერენ, რომ ის პლასტიკურ ქირურგიას არ ცნობს და ადრე გაკეთებულ სვირინგებს იცილებს; ყიდულობს სახლებს, რეკონსტრუქციას უკეთებს მათ, საკუთარი გემოვნებით აწყობს და შემდეგ, სარფიანად ყიდის. ასევე უყვარს რჩევების მიცემა. თუნდაც ამით შეაწუხოს ახლობელი... მისი საყვარელი მსახიობები არიან: ბარბრა სტრეიზანდი, ოდრი ჰეპბერნი, ბეტ დევისი. ჰობი: ახალი „იაგუარით“ სიარული. კორტნი ყველას ურჩევს: „აგრესია იუმორად გადაქციეთ! მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება, ცხოვრება როგორც შენთვის, ასევე გარემომყოფთათვისაც სასიამოვნო გახდეს“.

კორტნის არ იზიდავს „გაკრიალებული“ მამაკაცები. მოსწონს ისინი, ვისაც ხუმარებად მიიჩნევს. მას ყოველთვის სურდა, რომ სწორედ ასეთ კაცს შეყვარებოდა. მაგრამ სასტიკად ეშინია, რომ ასეთი ადამიანისთვის მოსაწყენი გახდება. შესაძლოა, ეს აზრი დამცინავ კიტონთან ურთიერთობის შემდეგ გაუჩნდა.

საბედნიეროდ, უეს კრევეინის „ყვირილის“ გადაღებებზე ბედმა კორტნი, დევიდ არკეტს შეახვედრა, რომელშიც მაშინვე ხალისის მომტანი კაცი დაინახა. როგორც დევიდი ამბობს, მას შეხვედრისთანავე შეუყვარდა კორტნი. შემდეგ იყო „ყვირილი-2“ და დევიდი კვლავ ხალისითა და ხუმრობით იჩენდა თავს. მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ ხუმარა დევიდს იქით სჭირდებოდა შველა: სხვის დაუხმარებლად, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე უარის თქმა მისთვის ძალზედ რთული აღმოჩნდა. დევიდს განსაკუთრებით დედის სიკვდილის შემდეგ გაუჭირდა და მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ კორტნიმ სიყვარულზე სიყვარულით უპასუხა და მას მხარში ამოუდგა. კორტნიმ დევიდის ცხოვრებას ახალი აზრი შესძინა, მაგრამ ფრთხილი ქალის გულის საბოლოოდ დასაპყრობად არკეტს საკმაო ჯაფის გაწევა მოუხდა. კორტნიმ მხოლოდ 1998 წელს მისცა თანხმობა ცოლობაზე. ნიშნობის შემდეგ დევიდი ბრენტვუდში (ლოს-ანჯელესის გარეუბანი)



კორტნის ფეშენებელურ სახლში გადავიდა, თუმცა დაქორწინება კოქსმა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გადაწყვიტა. თავიდან დევიდმა კორტნის მამისგან მიიღო თანხმობა. სახარბიელო მომენტის შერჩევის შემდეგ კი, მაშინ სთხოვა ხელი, როცა მის მიერ წინასწარ მოწყობილი ფიფიფიფიფი აკაიფდა ოკეანის თავზე. ბოლოს და ბოლოს, კორტნი დანებდა. ამ რაციონალურმა ქალბატონმა გადაწყვიტა, რომანტიკოსი მამაკაცისთვის დაეკავშირებინა ცხოვრება. რაც შეეხება ქორწილს – ამის შესახებ უკვე ვიცით, თუმცა, ეს ჯერ ფინალი არ არის...

ქორწილის შემდეგ, ჩვეულებრივი ოჯახური დღეები დაიწყო, რომელსაც კორტნი ჩვეული რაციონალურობით გვემავს. მან მეუღლეს საქორწილო კონტრაქტის დადებაც კი შესთავაზა, რაზეც დევიდი არ შეჰკამათებია. არკეტს ძალიან უყვარს ფულის ხარჯვა. ცოლს სურს, რომ თავისი ახალგაზრდა ქმარი (იგი 7 წლით უმცროსია ცოლზე) გონივრულ ეკონომიურ ცხოვრებას მიაჩვიოს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, თავისი საოჯახო გემი ცხოვრების ყველა რიფზე უსაფრთხოდ გაატაროს. მან საქორწილო ბეჭდის შიგა მხრიდან ასეთი წარწერა გააკეთა: „გარიგება გარიგება“. როგორც გინდათ, ისე გაიგეთ. ორივეს სურს ქორწინებათა პრობლემების სპეციალისტი-ფსიქოლოგის მომსახურებით ისარგებლოს – არა იმიტომ, რომ პრობლემები აქვთ, არამედ იმიტომ, რომ მსგავსი პრობლემები არ ჰქონდეთ. ახლა ცოლ-ქმარს დამოუკიდებელ სტუდიაში კვლავ ერთად იღებენ და მათი ქორწინებაც ჯერჯერობით საკმაოდ მყარი ჩანს...

# დიდი ფეხბურთი ტრაგედიებით

## ალექსი რეხვიაშვილი

როგორც ჩანს, ისეთი საერთო-სახალხო პოპულარობის მქონე, უვნებელი და უღამაზესი სპორტის სახეობა, როგორც ფეხბურთია, დროდადრო, „მსხვერპლს მოითხოვს“. ჩვენი პლანეტის მცხოვრებთა ყველაზე საყვარელმა თამაშმა თავისი „ეს თვისება“ კიდევ ერთხელ გამოავლინა რამდენიმე დღის წინ დასრულებულ ფიფას კონფედერაციათა თასის გათამაშების დროს, როცა ნახევარფინალში კამერუნისა და კოლუმბიის ნაკრებთა შეხვედრისას, მოედანზე გულის შეტევა დაემართა და საავადმყოფოში მიყვანიდან 45 წუთის შემდეგ, გონსმოუსვლელად გარდაიცვალა აფრიკელი ნახევარმცველი, მარკვივინ ფოე.

„მისი ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი ყოფნა მანჩესტერში საშუალოდ დარჩება კლუბის წევრთა მეხსიერებაში. ფოესთან დაკავშირებული მოგონებები კლუბის ისტორიაში შევა და გულშემატკივართა თაობებს გადაეცემა“, – ნათქვამია ინგლისური საფეხბურთო კლუბის, „მანჩესტერ სიტის“ ოფიციალურ განცხადებაში, რომლის რიგებში ჩატარებულ 38 მატჩში კამერუნელ ნახევარმცველს 9 გოლი აქვს

გატანილი. კონფედერაციათა თასის გათამაშების დროს მომხდარი ტრაგედიის გამო მღელვარებას ვერ ფარავს „პორტსმუთის“ მენეჯერი, ჰარი რედნაპი, რომელიც აღრე, „ვესტ ჰემის“ რიგებში სწორედ ფოეს თანაგუნდელი იყო: „ის ძლიერი და შუუპოვარი, თუმცა ამავე დროს, კორექტული მოთამაშე იყო – ერთგვარი კეთილი გიგანტი. ფოეს წინააღმდეგ საინტერესო იყო თამაში – ის ზომ ყოველთვის, სერიოზული კონკურენტი გახლდათ“.

რასაკვირველია, კამერუნელი ფეხბურთელის მოულოდნელმა გარდაცვალებამ ფიფას ხელმძღვანელობაც შეაშფოთა. „ფიფაში ჩემი მოღვაწეობის 28 წლის მანძილზე, ასეთი ტრაგედია პირველად მოხდა, რის გამოც ძალიან ვწუხვარ“, – განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა, ზებ ბლატერმა, რომლის გადაწყვეტილებითაც, კონფედერაციათა თასის გათამაშება მომავალში, მარკვივინ ფოეს სახელობისა იქნება. რაც შეეხება „მანჩესტერ სიტის“, ამ გუნდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კამერუნელი ფეხბურთელის სახელის უკვდავსაყოფად, მის 23-ნომრიან მაისურს ამიერიდან, აღარავინ ჩაიცვამს.

ფეხბურთის განვითარების ისტორიაში ტრაგიკული შემთხვევები არაერთხელ დაფიქსირებულა, რაზეც ქვემოთ მოყვანილი ფაქტებიც მეტყველებს.

1902 წელი. სტადიონ „აიბროკს პარკზე“ (20 ათასი ადგილი), სადაც ერთმანეთს შოტლანდიისა და ინგლისის გუნდები ხვდებოდნენ, მიწიდან 36,5 მ სიმაღლეზე მდებარე ხის კონსტრუქცია ჩამოინგრა, რის გამოც 25 კაცი დაიღუპა, რამდენიმე ასეული კი დაშავდა.

1946 წ. ინგლისის თასის გათამაშების მეექვსე რაუნდის განმეორებით მატჩში, რომელშიც ერთმანეთს „ბოლტონი“ და „სტოკი“ ხვდებოდნენ, სტადიონ „ბერნდენ პარკზე“ 65000 ქომაგი შეუშვეს. გარეთ დარჩა შეხვედრის ნახვის მსურველი 20000 კაცი, თუმცა მათგანაც არაერთმა შეძლო სტადიონზე

შეღწევა. ამის გამო, მაყურებელთა მასას თავზე დაეცა ფოლაღის ორი მოაჯირი, რის შედეგადაც 33 კაცი დაიღუპა და 500-ზე მეტი დაშავდა. მიუხედავად ტრაგიკული დასაწყისისა, მატჩი მაინც შედგა და უგოლოდ დასრულდა. საერთო შედეგის მიხედვით კი, „ბოლტონმა“ გაიმარჯვა.

1949 წ. იტალიურ ფეხბურთის რამდენიმე საუკეთესო წარმომადგენელი გამოაკლდა. თვითმფრინავი, რომლითაც „ტორინო“ პორტუგალიიდან სამშობლოში ბრუნდებოდა, ტურინის ახლოს მდებარე სუპერჯის კლდეს შეასკდა. დაიღუპა 18 მოთამაშე, მათ შორის, იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი ლეგენდა, ვალენტინე მაცოლა. გარდა ამისა, გარდაცვლილთა შორის იყვნენ ჟურნალისტები, ოფიციალური პირები და ინგლისელი მწვრთნელი, ლესლი ლივსლი. იმ პერიოდში, „ტორინო“ ხედიზედ ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, კატასტროფის დღისთვის კი, იტალიის პირველობაში 4 ქულით უსწრებდა თავის უახლოეს მდევარს. ის სეზონი გუნდის ახალგაზრდულმა შემადგენლობამ მაინც გამარჯვებით დაასრულა.

1958 წ. მიუნხენის აეროპორტიდან აფრენის შემდეგ, კატასტროფა განიცადა თვითმფრინავმა, რომლითაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ წევრები მგზავრობდნენ. დაიღუპა ლეგენდარული გუნდის რვა მოთამაშე, კლუბის სამი ხელმძღვანელი და რვა ჟურნალისტი. მაშინ „მანჩესტერელები“ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ ჩატარებული შეხვედრიდან ბრუნდებოდნენ, რომელიც ანგარიშით 3:3 დასრულდა, რაც ინგლისელებს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში თამაშის უფლებას აძლევდა.


1961 წ. თვითმფრინავი, რომელშიც კლუბ „გრინ კროსის“ 24 წარმომადგენელი იჯდა, ლოს-ლასტიმასის სახელით ცნობილ მთას შეეჯახა. „გრინ კროსი“ ჩილეს თასის მატჩზე სათამაშოდ სანტი-აგოდან ოსორნოში მიფრინავდა.

1962 წ. ლიბრევილში (გაბონი) კონგოსა და გაბონის გუნდების შეხვედრისას, სტადიონზე მეწყერი ჩამოწვა, რის შედეგადაც ცხრა გულშემატკივარი დაიღუპა



გუნდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, კამერუნელი ფეხბურთელის სახელის უკვდავსაყოფად, მის 23-ნომრიან მაისურს ამიერიდან, აღარავინ ჩაიცვამს.

„მანჩესტერ იუნაიტედი“



და 30 დაშავდა.

1964 წ. საშინელი ტრაგედია დატრიალდა ლიმაში. პერუს გუნდი ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირის მატჩში არგენტინის ნაკრებს ხვდებოდა. სტადიონზე აურზაური მას შემდეგ ატყდა, რაც მსაჯმა შეხვედრის ბოლო წუთზე მასპინძელთა მიერ გატანილი გოლი არ ჩათვალა, რომელიც ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე პერუელთა წასვლა-არწასვლის ბედს გადაწყვეტდა. სტადიონზე მომხდარი შეხლა-შემოხლის შედეგად, 350 კაცი დაიღუპა და 500 დაშავდა. მატჩის შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში, პერუში სამხედრო მდგომარეობა იყო გამოცხადებული.

1967 წ. კიდევ ერთი არჩათვლილი გოლი იქცა გულშემატკივართა ამბოხების მიზეზად – ამჯერად – თურქეთში. ამ ინციდენტის დროს, 41 კაცი დაიღუპა და 600-ზე მეტი დაშავდა. აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილ გულშემატკივართა დიდი ნაწილი სწორედ იმ დროს დაიღუპა, როცა სტადიონიდან გასვლას ცდილობდა.

1968 წ. ბუენოს-აირესში სტადიონ „მონუმენტალზე“, რომელზეც 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართა, 74 კაცი დაიღუპა და 113 დაშავდა პანიკის შედეგად, რომელიც „ბოკა ხუნიორსის“ ფანების მიერ თავიანთი ისტორიული „მტრების“ – „რივერ პლეიტის“ ქომაგთა მისამართით ნასროლმა, ანთებულმა ჩირაღდნებმა გამოიწვია.

1969 წ. ბოლივიაში ყველაზე პოპულარული კლუბის „სტრონგესტის“ („უძლიერესნი“) 19 მოთამაშე და ხელმძღვანელობა ავიაკატასტროფაში დაიღუპა. თვითმფრინავი ლა-პასში მიფრინავდა და ანდების მთებში ჩამოვარდა.

1969 წ. მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში

სალვადორის გუნდმა ჰონდურასის ნაკრები ანგარიშით 3:2 დაამარცხა. ამის გამო, ჰონდურასში მასობრივი არეულობა დაიწყო. გააფთრებული ადგილობრივი მცხოვრებლები სალვადორელებს ესხმოდნენ თავს. შეხლა-შემოხლისას ბევრი ადამიანი დაიღუპა. ამის გამო, სალვადორის ხელისუფლებამ ჰონდურასში ჯარი შეიყვანა. ეს კონფლიქტი მხოლოდ ამერიკის სხვადასხვა სახელმწიფოს ჩარევის შედეგად ჩაცხრა.

1971 წ. „აიბროკს პარკზე“ „რეინჯერსი“ „სელტიკს“ ხვდებოდა, როდესაც ერთ-ერთი კიბე ჩაინგრა. ინციდენტამდე, გულშემატკივრები სტადიონიდან გადიოდნენ, მაგრამ „გლაზგო რეინჯერსმა“ გოლი გაიტანა და მათ არენაზე დაბრუნება სცადეს. სწორედ ამ მომენტში ჩამოიქცა კიბე, რის გამოც 66 კაცი დაიღუპა და 150 დაშავდა.

1979 წ. ტაშკენტის „ფახთაქორის“ ჩვიდმეტი მოთამაშე შეეწირა ავიაკატასტროფას, როდესაც გუნდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მორიგ მატჩზე მიფრინავდა.

1981 წ. იბაგას (კოლუმბია) სტადიონზე „დეპორტესა“ (ტოლიმა) და „დეპორტივოს“ (კალი) შეხვედრისას წაქცეულმა კედელმა 18 ადამიანი იმსხვერპლა და 45 დაშავდა.

1982 წ. კალიში (კოლუმბია) სტადიონ „პასკუალ გერეროზე“, ახალგაზრდა ნასვამმა გულშემატკივრებმა ზედა იარუსიდან მოშარდეს. ქვედა იარუსზე მათ მიერ „პატივცემის“ ქომაგებმა კი, ისეთი აურზაური ატეხეს, რომ ამ შეხლა-შემოხლამ 22 კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა და 100-ზე მეტი დაშავდა.

1982 წ. მოსკოვის „ლუჟნიკზე“ 300-

ზე მეტი კაცი დაიღუპა მაშინ, როდესაც უეფას თასის გათამაშების მატჩზე ერთმანეთს ადგილობრივი „სპარტაკი“ და ჰოლანდიური „ჰაარლემი“ ხვდებოდნენ. ამ ტრაგიკული შემთხვევიდან მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, პრესამ გამოაქვეყნა ინციდენტის მიზეზი: თურმე მაშინ, „სპარტაკის“ ქომაგები სტადიონს ტოვებდნენ, მაგრამ მათ საყვარელ გუნდს ბოლო წუთზე გოლი გაუტანია, რის გამოც უცბად შემობრუნებულან უკან და ერთიმეორე გადაუთელიათ.

1985 წ. „ბრედფორდ სიტიზე“ გულშემატკივართა გადაჭარბებული ემოციების გამო, სტადიონის ხის ტრიბუნას ხანძარი გაუჩნდა, რამაც 56 კაცი იმსხვერპლა, ხოლო 200-ზე მეტი, დამწვრობით საავადმყოფოში მოხვდა. „ბრედფორდისა“ და „ლინკოლნის“ მატჩის წინ, მასპინძელი გუნდის ქომაგებმა შეიტყვეეს, რომ მათი კლუბი ვადაზე ადრე გახდა მესამე დივიზიონის ჩემპიონი და თავდავიწყებით მიეცნენ ზეიმს. პირველი ტაიმის მიწურულს, ტრიბუნას ცეცხლი გაუჩნდა და სულ რაღაც წუთში, მთლიანად მოიღო.

1985 წ. ბრიუსელში „ეიზელის“ სტადიონზე აღვირასხნილი ინგლისელი ფანების მიერ პროვოცირებული აურზაურის გამო, 39 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 400 დაშავდა. „ლივერპულსა“ და „ოვენტუსს“ შორის ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ შეხვედრამდე ერთი საათით ადრე დაწყებული შეხლა-შემოხლა კედლის წაქცევით დამთავრდა. ამ მოვლენების პირდაპირი ტელეტრანსლაცია მიმდინარეობდა და მთელმა მსოფლიომ იხილა „ეიზელზე“ მომხდარი ტრაგედია. მოუხედავად ამისა, მატჩი მაინც შედგა და „იუვენ“ ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა. ინგლისური კლუბები კი, გარკვეუ-

**ვალენტინო მაცოლა**





1971 წ. აიბროკს-პარკი

ლი ხნით, ევროპული საკლუბო ტურნირებიდან გამოთიშეს.

1987 წ. ლიმის „ალიანსის“ 43 წარმომადგენელი (მოთამაშეები, ხელმძღვანელობა და ქომაგები) დაილუპა ავიაკატასტროფაში, როდესაც გუნდი ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი მატჩიდან შინ ბრუნდებოდა და პერუს დედაქალაქიდან ჩრდილოეთით, ექვსი მილის დაშორებით ზღვაში ჩავარდა.

1988 წ. ტრიპოლიში ლიბიისა და მალტის გუნდების შეხვედრისას, შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე, სტადიონზე ტრიბუნა ჩაინგრა. დაილუპა 30 კაცი, გაცილებით მეტი დაშავდა. ინციდენტი ერთ-ერთი მაყურებლის მიერ პისტოლეტის ამოღებამ გამოიწვია, რის შემდეგაც, 65-ათასიანი, პანიკაში ჩავარდნილი ბრბო გარეთ გაღწევას ცდილობდა. ტრიბუნაც სწორედ მაშინ ჩაინგრა.

1988 წ. კატმანდუში ნეპალის „ხანაკპურისა“ და ბანგლადეშის „მუკტი ხოდის“ მატჩის მსვლელობისას, რომელსაც 25000 კაცი ესწრებოდა, მოულოდნელად ქარიშხალი ამოვარდა, რამაც მაყურებლებში დიდი პანიკა გამოიწვია. დაილუპა 100 გულშემოტკივარი.

1989 წ. ბრიტანული ფეხბურთის ყველაზე დიდი ტრაგედია: შეფილდის „პილსბოროზე“ ინგლისის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს „ლივერპული“ და „ნოტიუნგემ ფორესტი“ სვდებოდნენ. ტრიბუნის ზედა რიგებში მსხდომი გულშემოტკივრები თამაშის უკეთ ყურების მიზნით, ქვედა რიგებს მიაწყდნენ და იქ მყოფნი, ე.წ. დამცავ ღობეს მიაჭყლიტეს, რომელიც იმისთვის იყო განკუთვნილი, რომ არავის მისციემოდა მოედანზე გასვ-

ლის საშუალება. ჭყლეტაში „ლივერპულის“ 95 ქომაგი დაილუპა და 200 დაშავდა. ამ ინციდენტის შემდეგ, ინგლისური ფეხბურთის მესვეურებმა მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმადაც, სტადიონზე დამცავი ზღუდეები უნდა გაუქმებულიყო და მაყურებელი მხოლოდ სკამებზე უნდა მჯდარიყო (ე.ი. აღარავის ექნებოდა ფეხზე დგომის და საფეხურებსა თუ შენობის კონსტრუქციებზე ჩამოჯდომის უფლება).

1989 წ. ლაგოსში (ნიგერია) ნიგერიისა და ანგოლის ნაკრებთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩის 82-ე წუთზე, მასპინძელი გუნდის ლონემიხილი, განაპირა თავდამსხმელი, სემ ოკარავი დაეცა და გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. გარდა ამისა, იმ შეხვედრაში ჭყლეტის შედეგად, 20 გულშემოტკივარი დაილუპა.

1991 წ. ყველაზე დიდი ტრაგედია სამხრეთ აფრიკის საფეხბურთო ისტორიაში: იოჰანესბურგიდან 120 კმ-ის დაშორებით მდებარე, პატარა ქალაქ ორენიში მატჩის მსვლელობისას 40 კაცი დაილუპა და 50-ზე მეტმა სხეულის დაზიანება მიიღო, რაც „კაიზერ ჩიფსის“ მიერ „ორლანდო პაირეტის“ კარში გატანილი საეჭვო გოლის ჩათვისის გამო, ტრიბუნებზე ქომაგთა შორის დაწყებულმა შეხლა-შემოხლამ გამოიწვია.

1992 წ. ტრაგედია დატრიალდა ბასტიაში (კორსიკა), სადაც ადგილობრივ კლუბსა და „მარსელს“ შორის საფრანგეთის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი უნდა გამართულიყო. ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე, დროებით აგებული ლითონის ტრიბუნა ჩამოიქცა. დაილუპა 15 და დაშავდა 1300 კაცი. ამის გამო, ორივე კლუბის მოთხოვნით, მატჩი გადაიდო.

1993 წ. ზამბიის 18 ფეხბურთელი დაილუპა ავიაკატასტროფაში, როდესაც გუნდი სენეგალის ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩის ჩასატარებლად მიფრინავდა. თვითმფრინავი გაბონთან ახლოს, ზღვაში ჩავარდა.

1995 წ. „ჯენოას“ 21 წლის ქომაგი „მილანის“ ფანებმა ცემით მოკლეს.

1996 წ. გვატემალაში ეროვნულ სტადიონ „მატეო ფლორესზე“ უსაფრთხოებ-

ის სამსახურის წარმომადგენელთა არაკომპეტენტური ქმედება იქცა მიზეზად ტრაგედიისა, რომელმაც 82 კაცის სიცოცხლე შეიწირა. დაშავდა 150 გულშემოტკივარი. ინციდენტი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირში გვატემალისა და კოსტა-რიკის გუნდების შეხვედრის დაწყებამდე მოხდა.

2000 წ. ლიბერიისა და ჩადის გუნდებს შორის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩის დაწყებამდე, მონროვიაში ბრბომ სამი კაცი გასრისა.

2000 წ. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და ზიმბაბვეს გუნდების შეხვედრისას სამხრეთაფრიკელმა თავდამსხმელმა, ბენი მაკარტიმ გოლის გატანის შემდეგ, მეტოქეთა გულშემოტკივრების ტრიბუნასთან მიიბრინა და მათ ტურებზე თითის მიღებით ანიშნა: თქვენი ნაკრები დასამარებელია და წუთიერი ღუმილით მის ხსოვნას პატივი მიაგეთო. სტადიონზე ამის გამო დაწყებულმა შეხლა-შემოხლამ 13 კაცის სიცოცხლე შეიწირა.

როგორც ხედავთ, საფეხბურთო ტრაგედიების უმეტესობა ავიაკატასტროფებითა და ადამიანთა უგუნურებით იყო გამოწვეული, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც საქმეში მისი უდიდებულესობა – დედაბუნებაც ერთვებოდა.

მაგალითად, 1964 წელს, „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ვარსკვლავი, ჯონ უაიტი, ენფილდში გოლფის თამაშისას მესმა იმსხვერპლა.

2002 წლის ივლისში, მესმა იმსხვერპლა აგრეთვე ტალიანდელი ფეხბურთელები: სტუდენტური მატჩის მსვლელობისას, სტადიონის მეხი დაეცა, რის გამოც ერთი მოთამაშე დაილუპა, ხოლო 14 – მძიმედ დაშავდა. იმავე წლის ივლისში, დნებროპეტროვსკის ოლქში მეხის მსხვერპლი გახდა შვიდი ფეხბურთელი, მათგან ორი ადგილზე გარდაიცვალა.

დიდი ტრაგედია დატრიალდა ორი-ოლე წლის წინ გვატემალაში, მესამე პროფესიონალური დივიზიონის მატჩის მსვლელობისას. მეორე ტაიმი მიმდინარეობდა, როდესაც საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა. ხანმოკლე პაუზის შემდეგ, მსაჯებმა კვლავ განაახლეს თამაში. მეხი ჩიკიმულიას მოედნის ზღუდეს დაეცა, რომელზეც მაყურებლები იხსდნენ. რკინის კონსტრუქციამ წრე შეკრა, რამაც 2 ფეხბურთელი იმსხვერპლა, 10 მოთამაშე კი მძიმედ დაწვრილობით საავადმყოფოში წაიყვანეს. საინტერესოა, რომ ტრიბუნებზე მსხდომნი სრულიად უვნებელნი დარჩნენ.



## მიხაელ შუმახერის 500-ათასიანი სათვალე

სწორედ ამდენი ჯდება სახელგანთქმული ავტომობილის სათვალე – ოღონდ, ეს თანხა მას კი არ გადაუხდია აღნიშნულ აქსესუარში, არამედ პირიქით – შუმის გადაუხადეს: 0,5 მლნ დოლარი შუმხერს, სათვალის მწარმოებელმა კომპანიამ – Sting-მა თავისი პროლექციის რეკლამირებისთვის გადაუხადა. ბუნებრივია, ამან კიდევ უფრო გაზარდა ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის ისედაც სოლიდური შემოსავალი. როგორც ცნობილია, Ferrari მას წელიწადში 38 მლნ დოლარს უხდის (ამ თანხას ხელფასით აღწევს, რომელსაც გადასახადები აკლდება); მისი სარეკლამო შემოსავალი 13

მლნ-ს შეადგენს; ამ ყველაფერს ემატება ამონაგები, რომელიც მიხაელს, სხვადასხვაგვარი პროლექციის – მაისურების, სპორტული ინვენტარისა თუ სუვენირების – გაყიდვიდან ერგება.



## „მის „თლიბთი“ კატაფცს ოქტუმა

„ფლეიბოის“ კონკურსის – „მის ივინის“ გამარჯვებული, კანადელი ტელიორ ჯეიმსი საოცრად გატაცებული ყოფილა კარატეით. ტელიორის თქმით, იაპონური ორთაბრძოლის ხელოვნების დაუფლება მას რამდენიმე წლის წინ დაუწყია – მას შემდეგ, რაც ერთხელ, თავგანისცემულმა აწყენინა. „მი მომენტში, ძალიან ვინანე, რომ უტიფრობისთვის მისთვის პასუხის გაცემა არ შემეძლო, – ამბობს 22 წლის ტელიორ ჯეიმსი, რომელსაც შავი ქამრის მისაღებად ნორმატივები ორიოდე თვის წინ ჩაუბარებია, – ახლა კი, ახალგაზრდა მამაკაცებს ვურჩევ, კარგად დაფიქრდნენ, სანამ რაიმე სისულელეს მეტყოდნენ, თორემ, იმწუთას გავცემ საკადრის პასუხს. გარდა ამისა, სპორტი ჩემთვის პირველ რიგში, ჭარბი ენერჯისგან გათავისუფლების საუკეთესო საშუალებაა, რომლის მოზღვაებასაც ხშირად ვგრძნობ“. აღსანიშნავია, რომ ტელიორის გული ჯერ არავის ეკუთვნის: „როგორი მამაკაცები მომწონს? რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, სპორტსმენები არ მიყვარს – მათ შორის ბევრი, სრულიად არ გამოირჩევა ინტელექტით... ბავშვობიდან მიზიდავდნენ ნაკითხი ბიჭები, რომლებსაც ცხოვრებაში თავიანთი მიზანი აქვთ. სამწუხაროდ, ასეთს ჯერაც არ შევხვედრივარ...“

## კატა შუმახერი მბმთლუტმამ გაიფცა

რალფ შუმხერის მეუღლეს, კორას ახალი გატაცება აქვს. ამას წინათ, იგი მიხაელის ავტოლომობზე შენიშნეს კერპენში, სადაც დიდი ენთუზიაზმით სწავლობდა კარტინგის ტარებას. შუმხერ-უფროსის თქმით, კორამ პირველივე ცდაზე კარგად გაატარა სპორტული მანქანა. „მან 30-მდე წრე გააკეთა და კარტინგი საკმაოდ დიდი სისწრაფით მიჰყავდა, – ამბობს მიხაელი. – სხვათა შორის, რამდენადაც მე ვიცი, რალფი ცოლის ინიციატივას ჯერჯერობით მხარს არ უჭერს“. Ferrari-ს სუპერბილოტის ნათქვამს კორაც ადასტურებს:

„რალფს ამის გაგონებაც არ სურს, მაგრამ მე მას კვლავ იმას ვუმტკიცებ, რომ ჩემთვის ეს მხოლოდ გართობაა, რომელიც დარწმუნებული ვარ, მალე მომეზრდება. ის ძალზედ ბევრს ფიქრობს ჩემს უსაფრთხოებაზე, თუმცა ვერ გამოვია, რა შეიძლება დავიშავო. ჩემი აზრით, კარტინგი სარბოლო ტრანსპორტის სახეობებს შორის ყველაზე უსაფრთხოა“. ერთი სიტყვით, მეუღლესთან კომპრომისს კორამ ჯერაც ვერ მიაღწია, რის გამოც იგი ჯერჯერობით საიდუმლოდ ვარჯიშობს, რაშიც შუმხერი-უფროსიც ეხმარება.



## ჰიუიტი-ოქტბისი აღმთთოქტლისი



ავსტრალიელი ჩოგბურთელის, ლეიტონ ჰიუიტის მამამ სპორტულ მიმოხილველებს, რომლებიც მის ვაჟიშვილს აკრიტიკებენ, შურიანები უწოდა. „ლეიტონის მისამართით შენიშვნებს ის ადამიანები გამოთქვამენ, რომლებიც ცვალებადი და შურიანი ხასიათით გამოირჩევიან, – ამბობს გლენ ჰიუიტი უიმბლდონის ტურნირზე ხორვატ ივო კარლოვიჩთან თავისი შვილის მოულოდნელი მარცხის შემდეგ, – დაე, ლეიტონმა იცოდეს, თუ ვინ არის მისი ნამდვილი მეგობარი და ვინ – ორაპირი და შურიანი“. ჰიუიტ-უფროსმა ისიც განაცხადა, რომ ამერიიდან, იგი მეუღლესთან ერთად, ლეიტონის ყველა ტურნირს დაესწრება, თუმცა – არა ვაჟიშვილის მეურვეობის მიზნით: „ის უკვე დიდი და მატერიალურად დამოუკიდებელია. ამიტომ მხოლოდ მხარდასაჭერად დავესწრებით მის თამაშებს, რაც თავადვე ვვთხოვ“.

დასანწყისი იხ. „გზა“ №13-26

მომავალ ყურნალისტ დეა ავალიანს კანონიერი ქურდი გიგოლა გასაქანს არ აძლევს. დეას ძმაც, მკვლელობისთვის ნასამართლევი თემო, გიგოლას უბამს მხარს, რადგან მისგან ძალიან დავალებულია.

თავად დეას საზღვარგარეთ იძულებით გადახვეწილი ბიზნესმენი გურამ ოდიშელიძე მოსწონს, ამიტომ გიგოლას ყველანაირად ერიდება, თანაკურსელ კახა ჯღარკავას უაზრო ტორლიალს კი, საერთოდ არაფრად აგდებს.

კახას, სრულიად უდანაშაულო ბიჭი შემოაკვდება. დეა მის სანინააღმდეგო ჩვენებას მისცემს და კახას მამას — სკანდალურად ცნობილ პარლამენტარ გიზო ჯღარკავას სერიოზულად გადაიკვიდება.

დეას დედა — ელენე, ყველანაირად ცდილობს შვილის საფრთხისგან დაცვას. მაგრამ ქალი ლოგინადაა ჩავარდნილი, მალე გარდაიცვლება კიდევ და დეა მკაცრი რეალობის პირობებში სრულიად მარტო აღმოჩნდება.

გიგოლა დეას მდგომარეობით სარგებლობს და ყველა ღონეს ხმარობს, რომ თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს. მალე დეას, რედაქცია, სადაც ის უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად მუშაობს, მივლინებით მოსკოვში გააგზავნის. გიგოლა თვითმფრინავის რეისს დაადგენს და მოსკოვში ჩასულ დეას ჯერ პირდაპირ ტრაპთან დახვდება, მოგვიანებით კი, იმდენადაც დაახვევს თავბრუს, რომ ლოგინშიც თითქმის უპრობლემოდ ჩაიგორებს...

დეა ახალ მდგომარეობას ვერ ეგუება. ამიტომ უცებ, თბილისში დაბრუნებას გადაწყვეტს და გიგოლას, სასტუმროდან აეროპორტში გაეპარება. მაგრამ გიგოლა ამჯერად, უკვე თვითმფრინავში დაადგება თავზე, თბილისში ჩასვლის შემდეგ კი, შინაც სასწრაფოდ მიაკითხავს: ნარკოტიკების გასაღების გამო ჩავარდი, ეჭვი შენზეც აქვთ, ამიტომ ცოტა ხნით, მოსკოვში უნდა გადახვიდეთ.

მოსკოვში იძულებით ჩასულ დეას, აეროპორტში, გიგოლას ძმაცაცის ნაცვლად, ვილაც სხვა, ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი მამაკაცი ხვდება...



# დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

## რუსულან ბერიძე

დეამ მისკენ სწრაფი ნაბიჯით მომავალ ახალგაზრდას გვერდი მოხერხებულად აუქცია, თუმცა მანამდე, გულმოდგინედ შეათვალიერა: საკმაოდ მაღალსა და მხრებში ლაღად გაშლილ კაცს სახეზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა, დიდ ლურჯ თვალებში კი, დეამ რომ გულში მამინვე ორ უძირო ტბას შეადარა, ჭინკები უსხდნენ, თავთუხისფერი ქოჩორი შუბლზე ჯიუტად ჩამოშლოდა და წამდაუწუმ, ხელით ისწორებდა...

დეამ დარბაზის სიღრმისკენ გასწია და თან თვალებით ვილაცას დაუწყობებდა. ახალგაზრდა კი, წამში ისევ მის გვერდით გაჩნდა და ქართულად ჰკითხა:

- უკაცრავად, თქვენ დეა ავალიანი ხომ არა ხართ?
- დიას, - გოცებისგან თვალები გაუფართოვდა დეას, - მაგრამ თქვენ... თქვენ ქართველი ხართ?
- დედა მყავს ქართველი... მე კი დიმა მქვია, გვარად დიბროვი ვარ... თქვენი დახვედრა გიგიმ მთხოვა...
- ვი-ინ?
- გიგოლამ - გიორგი გიორგობიანმა, - დაახუსტა ინფორმაცია ახალგაზრდამ.
- კი, მაგრამ გიგოლამ რომ მითხრა,

აეროპორტში ჩემი მეგობარი ტოლიკა დაგხვდებაო?

- სამწუხაროდ, ტოლიკა ბოლო წუთს, სადაც უკვალოდ გაქრა და...
- როგორ თუ უკვალოდ გაქრა?... ან თქვენ საიდანღა გაჩნდით?..
- ყველაფერს მანქანაში აგიხსნით.

- მანქანაში?... რომელ მანქანაში? - მთლად ბავშვით დიაბნა დეა.

- რომლითაც მოსკოვში უნდა ჩავიყვანოთ, - თვალები ეშმაკურად მოჭუტა დიმამ და თან ხელი „პილოტის“ უბისკენ წაიღო, საიდანაც მობილური ტელეფონი ამოიღო და დეას გაუწოდა: - აი, ტელეფონი... თუ არ მენდობით, შევიძლიათ, გიგის დაურეკოთ...

- არა, რას ამბობთ?! - ოუხერხულა დეამ. - როგორ არ გენდობით?!
- ჰოდა, ძალიანაც კარგი... ბარგი გაქვთ?
- კი, მაქვს... თანაც, საკმაოდ მძიმე... ორი

დიდი ჩემოდანია...

- გასაგებია... - აქეთ-იქით მიმოიხედა დიმამ და უცბად სახე გაუნათდა: - აგერ, „ნასილშიკი“... მართლა დაბარებულივით არ „დაიხატა“? - პირდაპირ მათკენ მომავალ, ურიკან მეტარგულ ბიჭზე ანიშნა მან დეას და თან, ხელი მის პატარა სამზავრო ჩანთასაც წამოავლო.

მეტარგულმა ჩემოდნებით დატვირთული ურიკა ისე სწრაფად გააქანა, რომ ცოტა ხანში, დეა კი არა, დიმაც საკმაოდ ჩამოიბოვდა და როცა ამ უკანასკნელმა შეუღრინა - ცოტა ნელა იარეთ, - უკან მოუხედავად ისროლა:

- Время - деньги, притом - большие!..
- На мне их вряд ли заработаешь! - ვალში არ დარჩა დიმა, - Так что, остынь, пока не поздно!

- Лучше поздно, чем никогда! - უკან მაინც არ დაიხია მეტარგულმა, თუმცა სულა მაინც შეანელა და ბოლოს, მანქანამდე ბარგი ლამის სვენებ-სვენებითაც კი მიიტანა. შემდეგ საბარგულშიც თავად დააბინავა და ფულის მოლოდინში, დიმას ისე მხედრულად გაეჭიმა, რომ დეამ იფიქრა: ან ახლა აუღებს „ჩესტს“, ან ახლა და ყბაშიც მუშტი მოხვდებაო. მაგრამ მეტარგული აღარ განძრეულა,

დიმამ კი ჯიბიდან დოლარების მოზრდილი დასტა სრულიად მშვიდად ამოიღო, გულმოდგინედ გადათვალა, ბოლოს, ერთი ტკიცინა კუპიურა მოაკლო და მეზარგულს გაქუცული სპეცტანსაცმლის გულის ჯიბეში ჩაუტენა:

– Сдачи оставь себе и научись клиентов обслуживать, парень! Не все такие добрые попадутся, как я...

დიმას სპორტულ მანქანაში მოხერხებულად მოკალათებული დეა თავისი ახალი მეგზურის ვაჟკაცურ პროფილს ყურადღებით ათვალთვლებდა და თან, გულში ელიძებოდა: „სად არიან ჩვენი კურსის მთავარი „მოდინიცები“?.. ხომ გამაყრუებდნენ: „აუ, რა მხრები აქვს, აუ, რა ყბებიო...“

უცხად დიმა მისკენ ლამის მთელი ტანით შემობრუნდა და ისე ჰკითხა:

– მოგწონვარ?

დეას სახეზე სიწითლემ გადაჰკრა და მაშინვე განზე გაიხედა:

– უკვე „შენობითაც“ ვლაპარაკობ?

– აბა, რა! – არხეინად განაგრძო დიმა. – ვერ გაიგონე, „ნასილშიკმა“ რომ გვითხრა: „ვრემია დენგო“?!

– ეტყობა, მართლა ცოტა დრო გაქვს, რადგან შენც იმ სულელი ბიჭის ჭკუაზე დადექი, – წაუსისინა დეამ.

– კი, ნამდვილად ცოტა დრო მაქვს... – მხრები მზიარულად შეათამაშა საჭეს ჩაფრენილმა დიმამ და უცხად მანქანა მკვეთრად დაამუხრუჭა. – სამაგიეროდ, ფული მაქვს ბლომად, ამიტომ მოდი, იცი, რა ვქნათ?

– არ ვიცი და არც მაინტერესებს...

– მაინც გეტყვი: ერთმანეთი კარგად გავიცნოთ.

– ვერ გავიგე?! – იტკიცა დეამ.

– კარგად გაცნობაში მაინც რას გულისხმობ?

– რას და... აქვე, მოსკოვის შესასვლელში ერთი პატარა კაფე მეგულება, „აკვარიუმი“ ჰქვია... ცოტა ხნით შევიდეთ და დავილაპარაკოთ... სახლში მისვლას ყოველთვის მოვასწრებთ...

– რომელ სახლში? – გაუკვირდა დეას. – გიგოლამ მითხრა, ტოლიკა სასტუმროს ნომერს დაგასვედრებსო...

– ტოლიკა ალბათ დაგასვედრებ-

და, მაგრამ მე ხომ ტოლიკა არა ვარ, ამიტომ შინ გეპატიჟები... უფრო სწორად – დედაჩემთან... მე თვითონ მოსკოვის სულ სხვა რაიონში ვცხოვრობ...

– კი, მაგრამ უხერხული არ არის?.. დედაშენმა იცის, რომ მე...

– იცის, იცის, ნუ დეღავ, გიგოლამ ყველაფერი აუხსნა...

– მაინც, რა აუხსნა? – შეკრთა დეა.

– რა და ჩემი ახლობელია, ცოტა ხანს მოსკოვში უნდა იცხოვროს და ჩემს ჩამოსვლამდე შეიფარეო. დედაც მაშინვე დაეთანხმა. საერთოდაც, გიგოლას უარს არაფერზე ეუბნება...

– დედაშენი ვინ არის? – უცხად დაინტერესდა დეა.

– ვინ უნდა იყოს?.. დედაჩემია, – გაეღიმა დიმას.

– კარგი, რა, სერიოზულად მიპასუხე, ნამდვილად არ მეზუმრება...

– არც მე! – მაშინვე დასერიოზულდა დიმა. – ამიტომ მოდი, ცოტა ხანს მართლა სადმე დავსხდეთ და რომ იტყვიან, ყველაფერი „გავაიასნოთ“, კარგი?

– კარგი, – ამოიხრა დეამ...

გარედან საკმაოდ უსახური „აკვარიუმის“ ინტერიერმა დეაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. პატარა, მყუდრო დარბაზის ერთ მთლიან კედელში აკვარიუმი იყო ჩადგმული თუ ჩაშენებული და შიგ სულ ფერად-ფერადი თევზები დაცურავდნენ.

დიმამ დეა აკვარიუმის პირდაპირ დასვა და თავადაც მაშინვე მაგიდას მოუჯდა. დეა ახლა უკვე დიმას ზურგს უკან მოცურავე თევზებს ათვალთვლებდა და ისიც კი ეჩვენებოდა, რომ თევზებიც გულმოდგინედ აკვირდებოდნენ და ისედაც დაჭყეტილ თვალებს კიდევ უფრო აჭყეტდნენ.

– მოგწონს აქაურობა? – ჰკითხა დიმამ.

– კი, ძალიან ლამაზია.

– შენ კიდევ არ მომყვებოდი... ხანდახან, უფროსებსაც უნდა დაუჯერო.

– ვინ არის უფროსი, შე-ენ?

– არ იცი, რო?! კაცი ქალზე ყოველთვის უფროსია... ჭკუას ვგულისხმობ, რა თქმა უნდა...

– აუ, როგორ გამაცინე!..

– ჯერ სადა ხარ?! სიცილი და გართობა მერე ნახე! – მართლა გამზ-

იარულდა დიმა და შორიასლოს ტანის მოხდენილი რხევით ჩავლილ, გრძელფეხება ოფიციალტ გოგონას მიამახა – ჩვენი მოგვედო.

ოფიციალტი მაშინვე მათ მაგიდასთან გაჩნდა და დეას აღმაცერად გადახედა:

– Ну что, освоились?

– Освоились, милая, освоились... – ოფიციალტს თვალი ეშმაკურად ჩაუკრა დიმამ, შემდეგ მენიუ მოიმარჯვა და დეასთვის სრულიად უცხო სასმელ-საჭმელი შეუკვეთა.

როცა ოფიციალტი მათ მაგიდას მოშორდა, დიმამ მენიუ მაშინვე განზე გადადო და ისევ დეას მიუბრუნდა:

– აქ ისეთი უცხო და ეგზოტიკური საჭმელებია, რომ პირველად რამის შეკვეთა ყველას უჭირს, ამიტომაც, შენ მაგივრადაც ყველაფერი მე შევუკვეთე, შენ კი ალბათ იფიქრე, ეს რა უზრდელი თანამეინახე შემხვდაო, ხომ?

– კი, ზუსტად ვერე ვიფიქრე...

– სულ ტყუილად, საყვარელო...

– შენი საყვარელი უკვე შენი შეკვეთის შესასრულებლად წანარნარდა...

– ვინ? ოფიციალტი? – სიცილი წასკდა დიმას. – ხომ არ ეჭვიანობ?

– ეგლა მაკლია!

– და კიდევ, ჯიბის ტელევიზორი, ხომ?

– რა-ა?

– გამოთქმა ასეთი: ეგლა მაკლია და ჯიბის ტელევიზორიო... არ გავიგონია?

– არა! მსგავსი „მარგალიტებით“ ტინის ნამდვილად არ ვინაგვიანებ.

– რას მეუბნები?! აკი ჟურნალ-ისტმა, ცოტ-ცოტა ყველაფერი უნდა იცოდესო?..

– ეგ ვინლა ვითხრა?

– რა?

– რა და ჟურნალისტი რომ ვარ...

– ჟურნალისტი კი არა, მომავალი ჟურნალისტი ხარ! – შეუსწორა დიმამ. – საერთოდ კი, მე შენზე თითქმის ყველაფერი ვიცი.

– გიგოლამ გაგანათლა?


– არა, დედაჩემმა. გიგოლამ შენი დახვედრა მას სისოვა, მაგრამ დედა დეეს სამსახურში უცხოელ სტუმრებს ელოდებოდა, ამიტომ ეგ საქმე მე გადმომაბარა. ისე, ძალიან კი მეზარებოდა, მაგრამ ახლა ნამდვილად არ ვნანობ...

– გიგოლა თქვენი ნათესავია?

— დაახლოებით...  
 — ეგ როგორ?  
 — როგორ და... მოკლედ, მამაჩემი ზონაში მოხვდა და იქ გიგოლა რომ არ დახვედროდა, ალბათ ერთ კვირასაც ვერ გაატანდა... ბოლომდე ძმასავით ედგა მხარში...  
 — მამაშენიც კანონიერი ქურდია?  
 — მოილუშა დეა.  
 — არა, პროფესორი!  
 — რა-ა?  
 — რა იყო? შენ რა — ქურდისა და პროფესორის მეგობრობის ამბავი პირველად გეცმის?  
 — არა, პირველად ნამდვილად არ მესმის. გიგოლას თბილისშიც ჰყავს ერთი პროფესორი მეგობარი...  
 — ირაკლი ინწიკიშვილი?  
 — ბატონ ირაკლის საიდანღა იცნობ? — გაოცდა დეა.  
 — ირაკლი ბიძაჩემია, დედაჩემის ძმა. თხუთმეტი წლამდე თბილისში, მაგის ოჯახში ვიზრდებოდი...  
 — კი, მაგრამ შენი მშობლები სადღა იყვნენ?  
 — მოსკოვში... მაშინ მამაჩემი ძალიან სერიოზულ სამეცნიერო ექსპერიმენტში იყო ჩართული და ლაბორატორიიდან კვირაობით არ გამოდიოდა, დედაც სულ მის გვერდით იყო, ასე რომ...  
 — პროფესორი კაცი ციხეში როგორღა მოხვდა?  
 — პროფესორი მერე გახდა, მაშინ ლოცენტი იყო... კაცი გაიტანა მანქანით... ზომ იცი, მეცნიერები რა დაბნეული ტიპები არიან... მერე ის კაცი საავადმყოფოში მიყვანამდე მოკვდა და მამაჩემიც დაიჭირეს...  
 — გა-სა-გე-ბია... — ჩამომარცვლა ფიქრებში წასულმა დეამ.  
 — მოდი, ახლა ცოტა შენზეც მიამბე.  
 — რა უნდა გაიამბო? წელან არ მითხარი, შენზე თითქმის ყველაფერი ვიციო?  
 — გეხუმრე... ისე, მართლა გიგოლას ნათესავი ხარ, თუ?..  
 — რაში გაინტერესებს? — სიწითლემ გადაჰკრა დეას.  
 — მე — არაფერში, დედაჩემს კი მართლა ძალიან აინტერესებს... გიგოლამ ასე უთხრა, ჩემი ახლობელია, დედა მოუკვდა, ძმა ციხეში ჰყავს და სულ მარტო დარჩაო. შენი ძმა ციხეში რაზე მოხვდა?  
 — კაცი შემოაკვდა.

— მდა-ა... საწყალი დედაშენი, ალბათ დარდს გადაჰყვა, ზომ?..  
 — ასე გამოდის... — ამოიოხრა დეამ. — ჯერ ოჯახიდან მამაჩემის წასვლაზე ინერვიულა, მერე ამას თემოს ამბავიც დაემატა და...  
 — თემო შენი ძმაა?  
 — ჰო. სხვათა შორის, დედაჩემს ბატონი ირაკლი მკურნალობდა.  
 — ბიძაჩემი?.. ჰო-ო... ეტყობა, მართლა ძალიან მძიმედ იყო, თორემ ირაკლი ბიძიას ძალიან ბევრი აღამანი ჰყავს გადარჩენილი... — თითქოს თავს იმართლებსო, ისე ჩაილაპარაკა დიძამ და დადუმდა.  
 ხმა აღარც დეას ამოუღია და მალე, ისევ თევზების თვალიერებით გაერთო. მაგრამ ნელ-ნელა, ფიქრი ძალიან შორს, საქართველოსკენ გაექცა. თვალწინ ჯერ თემო წარმოუდგა, შემდეგ — ელენე და ლოყაზე ცრემლიც ჩამოუგორდა.  
 — ოღონდ არ იტყვი, რა, ძალიან გეხვეწები! — ხელზე ორივე ხელი წაავლო დიძამ და შემდეგ ხელისგულზეც ნახად ეამბორა.  
 დეას მთელ სხეულში სასიამოვნო ჟრუნტელმა დაუარა, მაგრამ დიძას, ხელი მაინც სასწრაფოდ გამოჰკლიჯა, ცრემლიც მოიწმინდა და წელში გასწორდა:  
 — მაპატიე... დედა სულ ახალი გარდაცვლილი მყავს და ჯერ თავს ვერ ვერევი...  
 — ძალიან კარგად მესმის შენი... — ამოიოხრა დიძამ, — მაშა რომ მიმიკვდა, პირველ დღეს ქალივით მოთქმითაც კი ვიტყვი...  
 — მამაშენს რაღა დაემართა?  
 — გულმა უმტყუნა... არადა, ორმოცდაათორმეტი წლის იყო, მეტის კი არა...  
 — შენ რამდენის იყავი?  
 — მაშინ?.. ოცის. ახლა უკვე ოცდარვის ვარ.  
 — დაბერებულხარ... — გაეღიმა დეას.  
 — აღარც შენ უნდა იყო მთლად თექვსმეტი წლის...  
 — თექვსმეტის ნამდვილად აღარა ვარ.  
 — აბა, რამდენის ხარ? — მართლა დაინტერესდა დიძამ.  
 — იმდენის... შენთვის არავის უსწავლებია, რომ ქალისთვის ასაკის კითხვა უტაქტობაა?  
 — მერე, შენ ზომ ქალი არა ხარ?

— აბა, ვინა ვარ?  
 — ქალიშვილი. უფრო სწორად — ქალწული...  
 დეას სახეზე აღმური მოედო, მაგრამ თქმით აღარაფერი უთქვამს. ქალწულობის თემაზე დაწყებული საუბარი კი, ისევ დიძამ გააგრძელა.  
 — ისე, ქართველი გოგონები საერთოდაც, მაგარი „ბესპონტები“ ხართ არა?!  
 — ანუ?  
 — ყველაფერს მომავალ ქმრებს უნახავთ, დანარჩენ მამაკაცებს კი, ღიღიღიდი, კოცნის ნება მოგვცეთ...  
 — ნამდვილად გენიალური აზრია! — დამცინავად გაეღიმა დეას. — ისე, მაგ დასკვნამდე მარტო მიხვედი თუ ვინმე დაგეხმარა?  
 — სრულიად მარტო, ჩემო კარგო. და თანაც, მხოლოდ საკუთარი მწარე გამოცდილების შემდეგ... — მოჩვენებითად ამოიოხრა დიძამ.  
 — ისე, საქართველოში ბოლოს, როდის იყავი? — უცხად სერიოზულად დაინტერესდა დეა.  
 — სამი წლის წინ, — უპასუხა დიძამ. — რატომ მეკითხები?  
 — არ გამიკვირდა, ქართველ გოგონებზე ასეთი ჩამორჩენილი აზრები საიდან აქვს-მეთქი?  
 — არ მითხრა ახლა, სამ წელიწადში საქართველო ვეროპად იქცა და ქალებმაც ბოლომდე აიშვესო...  
 — ბოლომდე ალბათ არა, მაგრამ ყველაფერს ქმრებს ნამდვილად აღარ უნახავენ...  
 — რას მეუბნები?! — თვალები ეშმაკურად დააკვესა დიძამ. — აღარც შენ უნახავ?  
 — აღარც მე, — მშვიდად მიუგო დეამ.  
 — **Ври побольше!** — სკამის საზურგეზე არხეინად გადაწვა დიძამ. — მგონი, კაცისთვის ჯერ წესიერად არც კი ვიკოცნია, ასე არ არის?  
 დეამ პასუხის გაცემამდე ერთი ღრმად ამოიოხრა, მაგრამ სწორედ იმწუთას, ოფიციალტმა შეკვეთა მოიტანა და დიძამც მაშინვე, ეგზოტიკურ სადილებში ნამდვილ გზის მკვლევად მოევილინა დეას... ცოტა ხანში კი, როცა დეამ, მისი დახმარებით, ბოლო ხამანწკა გადასანსლა, მობილური ტელეფონიც აწკრიალდა. ზარის ხმაზე დეას ლუკმა კინაღამ ყელში გადასცდა და სველა აუტყვდა.  
 — ფრთხილად, გოგო, არ დამეხრ-



ჩო! — კისერში ხელი შინაურულად მოუტყაპუნა დიმა და მაგიდის კუთხეში „მიყურებულ“ მობილურს დასწვდა:

— ჰო, დედა, რა იყო? — ჩასძახა ყურმილში. — ჩამოფრინდა, აბა, რას იზამდა?! კაფეში ვართ... კარგი, რა, „სემიონოვნა“, კაფეში რას უნდა ვაკეთებდეთ?! ვინ დარეკა?... რა მინდაო?... მერე, ვერ დაამზადებ?... კარგი, კარგი, მერე ვილაპარაკოთ... უკვე გაზვიადებარ...

ამის შემდეგ, დიმა მობილური სასწრაფოდ გათიშა და თქვა:

— რა ხალხია, ერთხელ მაინც ხომ შეიძლება, სიცოცხლე მაცალონ... — ვისზე ამბობ?

— ვისზე და დედაჩემზე და გიგოლაზე... ყოველ ნაბიჯს ისე მიკონტროლებენ, თითქოს ისე პატარა ბიჭი ვიყო...

— დედაშენი გასაგებია, მაგრამ გიგოლას რა უნდა? ეგ რაღა შუაშია?

— შუაში კი არა, თავშია...

— ვერ გაგიგე?! — ფერი ეცვალა დეას.

— მაშინ აგიხსნი: მამაჩემის სიკვდილის შემდეგ, დედაჩემი და გიგოლა... **сама понимаешь...** — სათქმელს თავი ველარაფრით მოუყარა დიმა.

— გიგოლა და დედაშენი? — თვალები გაუფართოვდა დეას.

— ჰო, რა გიკვირს?... სხვათა შორის, დედაჩემი ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა და ლამაზი ქა-

ლია...

— მერე გიგოლას მეტი ვერაფერ ნახა?! — მართალი გითხრა, თავიდან მეც ძალიან მიკვირდა ეგ ამბავი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ერთმანეთი ძალიან უყვართ.

— გიგოლასაც? — გული ყელში მიეხვინა დეას.

— გიგოლას უყვარს, თუ უყვარს... — სკამზე ისევ არ ხეინად გადაწვა დიმა. — შენ კი, ალბათ ვერც კი წარმოგიდგენია, გიგოლასნაირ კაცს სიყვარული საერთოდ თუ შეუძლია, ხომ?

— არ-რა... რ-როგორ ვერ წარმოგიდგენია... — ნერვიულობისგან ენა დაება დეას. — მაგრამ წელან თვითონ არ მითხარი, მამაჩემი სიკვდილს გიგოლამ გადაარჩინა და ბოლომდე ძმასავით ეღვა მხარშიო?..

— მამაჩემის სიკვდილამდე ნამდვილად ვერე იყო. ასე რომ, გიგოლა მისი ხსოვნის წინაშეც, ასე თუ ისე, პირნათელია...

— ჰო, ალბათ... — საბოლოოდ ჩაქრა დეა.

— კარგი ერთი, რა მოგივიდა?! — შეუძახა დიმა. — ეგრე დედაჩემის და გიგოლას ამბავი მგონი, მეც არ განმიცდია... როგორ გეტყობა, რომ შინაგანად ჯერ ძალიან სუფთა და გამოსუცდელი ხარ...

— კი. გამოცდილება მართლა ძალიან მაკლია, — ამოიხსრა დეამ და ფეხზე წამოდგა. — არ წავიდეთ?

— წავიდეთ, თორემ, დედაჩემის ამბავი რომ ვიცო, რეკვით ამიკლებს...

— რა ჰქვია? — ჰკითხა უცბად დეამ.

— ვის? დედაჩემს?..

— ჰო.

— ელენე.

— ელენე?! — ამოიკვნესა დეამ.

— რა დაგემართა?

— დედაჩემსაც ელენე ერქვა... გზაში ხმა არც ერთს აღარ ამოუღია. დიმა მამა გაასხენდა და გვარიანად დაიბოლმა. დეას კი თვალწინ, გიგოლასთან გატარებული და-

მის ფრაგმენტები ამოუტივტივდა და გული ისე მოეწურა, რომ კვილს აღარაფერი უკლდა...

— კიდევ შორსაა? — ჰკითხა მან შემდეგ, საჭეს ნერვიულად ჩაფრენილ დიმას.

— არა, ათ წუთში ადგილზე ვიქნებით, — გაბზარული ხმით უპასუხა მან.

ათიოდე წუთში, დიმა ცენტრალური გზიდან მართლაც გადაუხვია და გზის პირას ჩამწკრივებული, მრავალსართულიანი სახლებიდან ერთ-ერთის სადარბაზოსთან ხმაურით დაამუხრუჭა მანქანა. შემდეგ უხალისოდ გადავიდა და დეას კარი გაუღო:

— მოვედით.

დეა შემცბარი გადავიდა მანქანიდან და იქვე გაჩერდა. დიმა საბარგულიდან ჩემოდნები ამოალაგა და სადარბაზოს კართან მიიტანა. დეამ სამგზავრო ჩანთა აიღო და ისიც უკან მიჰყვა. სადარბაზოს კარი დაკეტილი დახვდათ.

— აუ, სულ გამოვშტერდი... — ჩემოდნები ძირს ხმაურით დაყარა დიმა. — ამათ ხომ ყოველთვის ყველაფერი ჩარაზული აქვთ... — შემდეგ „პილოტკის“ უბიდან მობილური ამოიღო და ნომერი აკრიბა.

— ჰო, მე ვარ... — ჩასძახა მან ყურმილში უკმაყოფილო ხმით. — გამიღე, ერთი, თორემ, დავრჩით გარეთ და ეგ არის...

სწორედ ამ დროს, სადარბაზოს კარი შეივნიდან გაიღო და ზურგს უკან თავშალგაკრული დედაბერი გამოჩნდა. მან ჯერ დეა აათვალიერა და შემდეგ დიმას მიუბრუნდა:

— Димуля, внучек, это твоя невеста?

— Пока нет, баба Вера, — გაელიმა დიმა.

— Смотри, не упусти... — შეუძახა დედაბერმა და თავად, სადარბაზოს გრძელ სკამზე დასკუპდა: — **Посижу немножко, воздухом подышу...**

ლიფტიდან გამოსულმა დიმა, დეა ერთ-ერთი ბინის კართან მიიყვანა და გასაღები მოიმარჯვა. მაგრამ უცბად, ბინის კარი ფართოდ გაიღო და ზღურბლზე საოცრად მიმზიდველი ქალი გამოჩნდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# პინაქლიანი ბაილი: თიუბაუთი სუქოთის ჰარამხანაში მუღრხიო სამოთხის ჩიტი

ლაჟვარდოვანი ნიგნის  
წინასწარმეტყველება

ეს ვენეციის კარნავალის დროს მოხდა. კეთილშობილი ბაფოსა და მისი რვა წლის გოგონას გონდოლა ის-ის იყო, ნაპირს შეეხო, რომ მოულოდნელად შავ დომინოში გამოწყობილი ქალის ფიგურა ბორტზე აღმოჩნდა და მათ ვერხთით ნავის ფსკერზე განერთხო.

— წამოდექი, — უთხრა ბაფომ, — ვინც არ უნდა იყო, ვენეციელი თუ უცხოელთომელი, მსგავსი მონური მორჩილება არ შეგფერის!

— ვენეციელი გახლავარ! — უცნობმა თავი ასწია და მამა-შვილმა კარგად გაარჩია არწივისნისკარტისებური ცხვირისა და წამახვილებული ნიკაპის მქონე მოხუცი ქალის სახე. — მე ვიცი, ჩემი ადგილი, რამეთუ, ძლევაძმოსილი მბრძანებლის წინაშე ვიმყოფები, — ამ სიტყვების წარმოთქმისას მოხუცს მზერა პატარა გოგონასთვის ჰქონდა მიჰყრობილი.

სერიოზული ტონი, რომლითაც ეს სიტყვები იყო წარმოთქმული, სულაც არ შეეფერებოდა მის აშკარად სახუმარო შინაარსს და ბაფომაც გულიანად გაიცინა. მამამ შვილს ხელი მოხვია, მიიხუტა და უცნობს ჰკითხა:

— საიდან მოიტანე, რომ ძლევაძმოსილი მბრძანებლის წინაშე დგახარ?

— ნუთუ, გგონია, რომ მსგავსი რამები ჩემი ან შენი გადასაწყვეტია? — ირონიულად ჩაიღიმა მოხუცმა. მან ბაფოს ღამეულ ცაზე მიუთითა: ამის შესახებ, მე ლაჟვარდოვან წიგნში წავიკითხე, სადაც შემოქმედი, ვარსკვლავების მეშვეობით წერს — შენი ქალიშვილი უდიდესი მბრძანებელი გახდება!

— ჩემ შესახებ რას მეტყვი? იქნებ, დოჟი (დოჟი — ვენეციის რესპუბლიკის მეთაური VII-XVIII სს-ში) გავხდები?

— დოჟი თავის ბეჭედს ზღვაში გადააგდებს და მასზე დაინიშნება, — თავი გააქნია წინასწარმეტყველმა, — შენი ქალიშვილი კი, უდიდეს მბრძანებელზე დაინიშნება მაშინ, ბატონო, როცა შენ ზღვაში გადაგაგდებენ.

წინასწარმეტყველის მიერ მისთვის გამოტანილი მკაცრი განაჩენით სინიორ ბაფო უკმაყოფილო დარჩა და ქალის შეჩერება სცადა, მაგრამ მოხუცი მსუბუქად გადახტა ნავიდან და ჰოი, საოცრება! თითქოს ჰაერში გაუჩინარდა...

გავიდა რამდენიმე წელი. ბაფო კუნძულ კორფუზე, რომელიც იმხანად ვენეციის სამფლობელოს წარმოადგენდა, გუბერნატორად გაამწესეს. როცა ახალდანიშნული გუბერნატორი და მისი ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი კუნძულზე მიმავალ გემზე აღიოდნენ, ტრაპთან კვლავ გამოჩნდა მოხუცის შავით მოსილი ფიგურა, რომელმაც თითი მშვენიერი გოგონასაკენ გაიშვირა და წარმოთქვა: „ის უდიდესი იმპერიის მბრძანებელი გახდება!“

## მბრძანებლის დაბადება

... როცა ოტრანტოს სრუტეში ვენეციურ ფრეგატს სამმა თურქულმა ხომალდმა შეუტია, სინიორ ბაფომ შვილს ჰკითხა:

— თუ ღმერთი ჩვენი ცოდვების გამო, ურჯულოებს გაამარჯვებინებს, გეყოფა სიმტკიცე იმისთვის, რომ შერცხვენას სიკვდილი ამჯობინო?

— დიას! — მტკიცედ უპასუხა გოგონამ.

ორი საათის შემდეგ, როცა მამამისი ნაფლეთებად ქცეული სხეული ზღვის ტალღებში იძირებოდა, გოგონამ მკერდის გასაპობად რამდენჯერმე აღმართა ხანჯალი, მაგრამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის საშუალება მოცახცახე ხელებმა არ მისცა. მაშინ ის ხომალდის ბორტისკენ გაიქცა, რათა აღსასრული მამასავით ზღვის ტალღებში ეპოვა, მაგრამ კვლავ არ გაუძარტლა — სისხლის გუბეზე ფეხი დაუცდა, გემბანზე დაეცა და გონება დაკარგა... გარკვეული ხნის შემდეგ კი, ის ტოპკაპის მდიდრულად მორთულ სასახლეში მიიყვანეს, რომლის სულთანიც ტახტზე ახალასული მურად III გახლდათ. ოტომანთა იმპერიის მბრძანებლის ჰარამხანაში კიდევ ერთი სამოთხის ჩიტი შეფრინდა...

ჩვიდმეტი წლის სინიორინა ბაფო, ხედავდა, თუ როგორ იძირებოდა ზღვის ტალღებში მამამისი — კუნძულ კორფუს გუბერნატორის ქრილობებისგან ნაფლეთებად ქცეული სხეული და მხოლოდ ერთი რამ სურდა — მომკვდარიყო მასთან ერთად. მაგრამ ბედმა სხვაგვარად განსაჯა—

აღბათ, აღაჰმა დაივიწყა ის. შვილი მოუკვდა, მრავალი წლის მანძილზე იმპერიის მმართველ შვილიშვილსაც უკვე სიბერე შეეპარა, დედასულთან კი, კვლავ ცოცხალი იყო და ტყვედ ქმნილი თავისი აღსასრულის დღეს ელოდა. აი, როგორ ატირებდა ის ტყვეობის უსასრულო დღეებს — ბეჭდს ლოცულობდა, სხვა მოხუცების მსგავსად საათობით გაუნძრევლად იჯდა და თვლემდა. შესაძლოა, ვინმეს ეფიქრა, ადამიანი კი არა, ხაფსამოდებული ლოდიაო, რომ არა უეცარი კრთომა სხეულისა, რომელიც მის გონებაში გაელფეზულ ფიქრს ახლდა ხოლმე. ახლა, დედასულთნის ფიქრის საგანი აღარავის აინტერესებდა, აღარც ციხის ზედამხედველებსა და აღარც მის ქვეშევრდომებს... მოხუცი კი, იჯდა და განუწყვეტილად ფიქრობდა და ფიქრობდა: რატომ დააბნეს?.. მეტყველებდა თუ არა ეს ფაქტი იმაზე, რომ ის ღირსი არ აღმოჩნდა უჩვეულო წინასწარმეტყველებისა?

დადგა დღე, როცა აღმასებითა და მარგალიტებით შემკულ აღმოსავლურ სამოსში გამოწყობილი სინიორინა ბაფო თურქეთის სულთნის წინაშე წარდგა. მურადმა მშვენიერ ვენეციელ ასულს მარმასის ჩადრი ჩამოსსნა და დამუნჯდა: ტყვე, სამოთხის ჰურთას ჰგავდა! ბაფოს საოცარი სილამაზით დატყვევებულ მბრძანებელს სრულიად გადაავიწყდა თავისი ჰარამხანა, სადაც თავი მოეყარათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უმშვენიერეს ასულებს. როცა ქალწულისა და სულთნის მზერა ერთმანეთს შეხვდა, სინიორინა ბაფოს, ბოლო თვეების მანძილზე განცდილი განუწყვეტელი შიშის გრძნობა, სადღაც უკვალოდ გაუქრა.

ვენეციელ ასულს, სულთანთან გასატარებელი პირველი ღამის წინ, გული რაღაც უჩვეულოდ კი შეუკრთა. არცთუ ისე მაღალი, გამოკვეთილ ტუჩებიანი, ღამაში მამაკაცი სულაც არ ჰგავდა მისი წარმოსახვის ნაყოფს – პირქუშ და ჭირვეულ მოხუცს. მბრძანებლის პალატებში დასადგურებულ ბინდბუნდში გოგონამ, ცოტა არ იყოს, დაიმორცხვა, ვეებერთელა სარეკლის კიდეს შემკრთალი დაეყრდნო და საკუთარი სხეულის თრთოლა იგრძნო. მან მღელვარებასთან გამკლავება სცადა და თავის ხელში ასაყვანად სახეში იტკიცა. „ახლა ძაღლი უნდა მოვიკრიბო! საკუთარი თავის შეცოდების დროც დადგება“, – გაიფიქრა. დაბნეულობისაგან ყველაფერი დაავიწყდა, რასაც ჰარამხანაში მოხუცი მხევალი ასწავლიდა და მონისათვის მიუტყეველად კადნიერადაც კი იქცეოდა. მაგრამ მოხდა სასწაული, სულთანი ახალ მხევალს მიუახლოვდა და მუხლი მოიყარა მის წინაშე, ისე, რომ მისთვის ალტაცებული მზერა არ მოუშორებია. გოგონას თავი საოცრად თავდაჯერებულად ეჭირა, თითქოს სულთანი მის ცხოვრებაში პირველი მამაკაცი სულაც არ ყოფილიყო! იმ ღამეს მურადის პალატებში მოკვდა სულთანი და დაიბადა დიდებული მბრძანებელი – საფიე...

**„ათას ერთი ღამის“ ზღაპარი**

ულაოა, რომ ყოველივე შაითნის ჩარევის გარეშე არ მოხდებოდა! მათი შეხვედრიდან ერთი წელიც არ იყო გასული და ოტომანთა იმპერიის მბრძანებელი უსიტყვოდ ემორჩილებოდა მშვენიერ ვენეციელ ქალს. სულთნის სიყვარული დღითი დღე ძლიერდებოდა.

ეს იყო ზღაპარი „ათას ერთი ღამე“

დან“ – მწვანეში ჩაფლული, სურნელოვანი ყვავილების ბაღში უცხო ჩიტები გალობდნენ, საოცარი სილამაზის შადრევნები მარგალიტის მხევეებს აფრქვევდნენ და სამხრეთის ხავერდოვან ცაზე მოკაფე ვარსკვლავები შეყვარებულებს ყოველგვარ ამქვეყნიურ უბედურებას ავიწყებდნენ. ხანდახან ოტომანთა იმპერიის მბრძანებელი ძველარაბული ლეგენდის გმირის – მაჯუნუნის მსგავსად, სიყვარულისგან გონს კარგავდა. ხოლო როცა მშვენიერმა სატრფომ მას პირში აჩუქა, იგი საერთოდ ჭკუიდან შეიშალა. მივიწყებული ხარჭებისა და სულთნის მოხუცი დედის სამწუხაროდ, მბრძანებლის სიყვარული საფიესადმი უსაზღვრო იყო. ბოლოს, სულთნის დედას მოთმინების ფიალა აევსო და საფიეს ჯადოქრობაში დასდო ბრალი. ამ ჭორის სიმართლეში მან შვილის დარწმუნებაც შეძლო და მურად მესამემ სატრფოსაგან მალულად გამოძიების ჩატარება ბრძანა.

სასტიკ წამებას ხუთი მოახლის სიცოცხლე შეეწირა, დანარჩენები საბუღამოდ დახეიბდნენ, მაგრამ ჯადოქრობის კერანაირ კვალს ვერ მიაგნეს. საცოდავი მოახლეები იმასაც კი ვერ ხვდებოდნენ, თუ რას მოითხოვდნენ მათგან – წამებისას მხოლოდ კვნესოდნენ და შეწყვალებას ითხოვდნენ... სულთანი თავბედს იწყევლიდა იმის გამო, რომ ასე იოლად დაიჯერა უსამართლო ბრალდება. სატრფოს წინაშე დანაშულის გამოცხადების მიზნით, მურადმა დივანზე (დივანი – უმაღლესი სასამართლო თურქეთში) თათბირისას განაცხადა, რომ ამიერიდან საფიეს ისეთივე უფლებები ენიჭებოდა, როგორც თავად მას ჰქონდა. სულთნის ნებას წინ ვერავინ აღუდგა – ასე აღსრულდა ლაყვარლოვანი წიგნის წინასწარმეტყველება...

ცხრამეტი წლის მანძილზე პირმშვენიერი ბაფო (ამ სახელით იხსენიებენ მას ევროპელი ისტორიოგრაფები) ქმარ-

თან ერთად განაგებდა ოტომანთა უკიდევანო იმპერიას, რომლის საზღვრებიც ყირიმიდან ეგვიპტემდე და ინდოეთიდან შუა ევროპამდე იყო გადაჭიმული.

საფიემ მუსლიმანობა მიიღო და დიდებულ სულთანს ორი ვაჟი გაუჩინა. თანამედროვე ლეილისა და მაჯუნუნის წინაშე ძრწოდა უნგრეთი, ავსტრია კი, ხარკს უხდიდა მათ. ოსმალთა იმპერია განუწყვეტელ ომს აწარმოებდა საფიეს სამშობლოსთან – ვენეციასთან. ამასთან, ქალი-მბრძანებლის პოლიტიკური ხაზი ხშირ შემთხვევაში უფრო სასტიკი და დაუნდობელი გახლდათ, ვიდრე თავად მურად მესამისა. მოლაპარაკებებისას საფიე მტკიცე და შეუვალი იყო; დამარცხებულების მიმართ არანაირ გულმოწყალებას არ იჩენდა. უფრო მეტიც, ნებისმიერი შესხენება იმისა, რომ ოდესღაც ის სხვა რელიგიის აღმსარებელი გახლდათ, მის უსაზღვრო რისხვას იწვევდა და ვაი იმას, ვისაც ეს რისხვა თავს დაატყდებოდა. ტოპკაპის სასახლეში ყველამ კარგად იცოდა, რომ ამ თემაზე ლაპარაკის დაწყებაც კი საკმარისი გახლდათ იმისთვის, რომ ენაჭარტალა მოსაუბრე უთავოდ დარჩენილიყო.

**მბრძანებლის დამხობა**

1595 წელს სულთანი მურად III მიიცივალა, მაგრამ მისი მეუღლის ძლევა მოსილება ამით კიდევ უფრო განმტკიცდა. მისმა უფროსმა ვაჟმა მუჰამედ მესამემ ტახტზე ასვლისთანავე, „რკინის“ ქვრივის რჩევით, ცხრამეტი ნახევარძმის მოშობა და გარდაცვლილი მამისგან ორსული ცხრა ხარჭის წყალში ჩახრჩობა ბრძანა. ამ გზით, საფიე ცდილობდა, რომ საკუთარი პირმშოსათვის, ტახტის როგორც ცოცხალი, ასევე მომავალი შესაძლო პრეტენდენტები ჩამოეცილებინა. იმხანად სულთნის ქვრივი ძალაუფლებას ფაქტობრივად არავისთან ინაწილებდა – მუჰამედი გამუდმებით

☆ ☆ ☆ ☆ ☆ ☆ ☆ ☆ ☆ ☆ ☆ ☆

**ადამიანის ცხოვრება სედიანია. იუმორის იდუმალი წყაროც მწუხარებაა და არა სიხარული. იმ ქვეყნად იუმორს ადგილი არა აქვს...**



**მარკ ტუენი ბენილური**

ომებს აწარმოებდა, იმპერიას კი, ერთპიროვნულად დედასულთანნი განაგებდა. მაგრამ ერთხელ, როცა მუჰამედი უნგრეთში იბრძოდა, სტამბოლში შეთქმულება გამჟღავნდა, რომელსაც სათავეში საფიესა და მურადის უმცროსი ვაჟი – სალიმი ედგა. დედამ მუჰამედი ომიდან გამოიწვია, რათა მას შეთქმულები განესაჯა. რაღა თქმა უნდა, საფიეს შეეძლო, სულთნისთვის სალიმის შეწყალება ეთხოვა, მაგრამ ასე არ მოიქცა. უმცროსი ვაჟი არ დაემორჩილა მის ნებას, ამიტომ ის სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო... მაგრამ 1600 წელს სალიმის სიკვდილით დასჯამ, საფიეს დამხობის საფრთხე მაინც ვერ ააცილა თავიდან. 1602 წელს იპერიის, როგორც აზიურ, ასევე ევროპულ ნაწილებში აჯანყებამ ახალი ძალით იფეთქა. აჯანყებულები მუჰამედისაგან მოითხოვდნენ, რომ ქალი-სულთანნი ხელისუფლებისათვის ჩამოემორებინა და ქვეყანა თავად ემართა. იმხანად საფიე 44 წლის გახლდათ და სულაც არ აპირებდა ძალაუფლებაზე უარის თქმას. სასახლის ფანჯრებს მიღმა იანიჩარების ყვირილის ხმა ისმოდა, რომლებიც მათთვის საფიეს გადაცემას მოითხოვდნენ. მუჰამედი სულ უფრო და უფრო იღუშებოდა. ის ხვდებოდა, რომ აჯანყებულთა მოთხოვნა სამართლიანი გახლდათ: მის ქვეყანაში მბრძანებელი, ქალი არ უნდა ყოფილიყო.

... უცნაურია, მაშინ ის უნდა მომკვდარიყო, მაგრამ მუჰამედი მოკვდა. სულთანმა ის საპრობილეში გამოამწყვდია, სულ მალე კი, თავად მიიცვალა. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ? წლები გადის, ეს წლები წყლის წვეთებივით ჰგავს ერთმანეთს. ხანდახან მას საკუთარი შვილიშვილის, ამჟამინდელი სულთნის სახელიც კი ავიწყდება. საფიე წარსულს იხსენებს. ოცდაექვსი წლის მანძილზე ის აღმოსავლეთის უძლეველი მბრძანებელი გახლდათ. არა, ოცდაშვიდი წლის მანძილზე – იმ წუთიდან, როცა მურადმა მას ჩადრი ჩამოხსნა. სულთნის ქვრივი მხოლოდ საკუთარი მმართველობის წლებს იხსენებს; თუმცა, ხანდახან გონებაში ცხოვრების პირველი ჩვიდმეტი წლის მოგონებებიც ძალაუვნებურად წამოუტივტივდება ხოლმე. ის, ამ მოგონებების თავიდან მოშორებას ცდილობს, მაგრამ ზოგჯერ სიფხიზლეს კარგავს და საკუთარ თავს იმაში იჭერს, რომ გონებაში მამამისს ელაპარაკება...



### Mercedes-ის „ვეხსხისფეხი ისახი“

კორპორაცია DaimlerChrysler-ი მომავალ, ფრანკფურტის ავტოსალონზე მორიგი სიახლის წარმოდგენას აპირებს. ეს გახლავთ სპორტული ავტომობილი Mercedes SLK McLaren, რომელიც ბრიტანელ კონსტრუქტორებთან ერთად შეიქმნა. მანქანა ჯერ პრესისთვისაც კი უცნობია, რამდენიმე დღის წინ, მხოლოდ მისი ფოტოსურათი გავრცელდა, რომელზეც ის ქალაქ კარარეში (იტალია) მდებარე, ქვის სამტეხლოს (მარმარილოს საბადო) ფონზეა გადაღებული.

არსებითად, საქმე გვაქვს ლეგენდარული ავტომობილის – Mercedes 300 SLR-ის რემიქთან, რომელიც 1950-იან წლებში ბრწყინავდა ევროპის სპორტულ ტრასებზე. მაშინ, ნიჭიერი ინჟინრის, კომპანია „მერსედესის“ სარბოლო მანქანების სექტორის ხელმძღვანელის, რუდოლფ ულენხაუტის თავკაცობით შემუშავდა ამ ავტომობილის ორი მოდიფიკაცია: SLR Silberpfeil („ვერცხლის ისარი“) და კუპე SLR. მანქანა 310 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ძრავით იყო აღჭურვილი და 290 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებდა. ის იმ დროისთვის, მსოფლიოში ყველაზე სწრაფი იყო იმ ავტომობილებს შორის,



რომლითაც ჩვეულებრივ გზებზე სიარული შეიძლებოდა (როგორც ცნობილია, მხოლოდ სარბოლო დანიშნულებით გამოშვებულ ავტომობილებს ასეთი ნებართვა არა აქვთ). ძველი SLR-ის დიზაინის მახასიათებლებს წარმოადგენდა: კარი, რომელიც გვერდულად კი არა, ზემოთ აწევით იღებოდა და მასიური ჰაერგამწოვი მილები.

ახალი SLR-ის კონსტრუქციისას, სპეციალისტები უპირველესად სისწრაფის მოყვარულთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას ისახავდნენ მიზნად. მანქანა V ტიპის, 8-ცილინდრიანი, 600 ცხ.ძ-იანი ძრავითაა აღჭურვილი, რომელიც სახელგანთქმული სატიუნინგო კომპანიის – AMG-ის ინჟინრებმა შექმნეს. SLR მთლიანად ხელით აიწყო ინგლისის პატარა ქალაქ უოკინგში მდებარე, McLaren-ის საწარმოში. მანქანის კორპუსი კარბონისგან, მუხრუჭები კი – კერამიკისგან იქნება დამზადებული. ავტომობილი ცხვირის დიზაინით „ფორმულა-1“-ის ბოლიდებს მოგვაგონებს. როგორც მანქანის შემქმნელები ირწმუნებან, Mercedes SLR ისეთივე ექსკლუზიური იქნება, როგორცაა კორპორაციის შედევი – წარმომადგენლობითი ლიმუზინი Maybach. პირველ ნიმუშებს წლის დამლევსთვის გამოუშვებენ. მისი ფასი ჯერ ოფიციალურად გამოცხადებული არ არის, თუმცა, სპეციალისტების ვარაუდით, ის 350.000 ევროს მიუახლოვდება. კორპორაციის შტაბბინიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, მას უკვე მიღებული აქვს პირველი შეკვეთები.

## ავტოგიგანტის ასნდიანი იუბილე

გასულ თვეში, კომპანიამ – Ford Motor საუკუნოვანი იუბილე აღნიშნა. 1903 წლის 16 ივნისს, ჰენრი ფორდმა და მისმა თერთმეტმა კომპანიონმა მიჩიგანში ხელი მოაწერეს დოკუმენტებს ფორდის რეგისტრაციის შესახებ. პირველმა ინვესტიციამ 28.000 დოლარი შეადგინა. აშშ-ში საავტომობილო კომპანიების სფეროში მას შემდეგ შექმნილი სურათი ძალზედ ჰგავს იმას, რაც XX საუკუნის დამლევსთვის, კომპიუტერული ფირმების სამყაროში ხდებოდა: ყოველი 10 კომპანიიდან მხოლოდ ერთი თუ ახერხებდა გადარჩენას. სტატისტიკის თანახმად, 1900-08 წლებში, ამერიკაში გაიხსნა 500-მდე ავტომწარმოებელი ფირმა და ამავე პერიოდში, მხოლოდ 300-მა დააღწია თავი გაკოტრებას. წარმატებას უმეტესად, ის ფირმები აღწევდნენ, რომლებიც ხელით აწყობდნენ ქალაქის ელიტისთვის განკუთვნილ, ძვირად ღირებულ ავტომობილებს.

ჰენრი ფორდმა სრულიად განსხვავებული გზა აირჩია: მან მიყრუებული ადგილებისთვის გათვალისწინებული მანქანების წარმოება დაიწყო. 1908 წელს გამოჩნდა მოდელი Ford T, რომელიც მაღალი ძირით, იშვიათი გამძლეობითა და შედარებით მძლავრი ძრავით გამოირჩეოდა, რაც უგზობის პირობებში გადაადგილების კარგ საშუალებას იძლეოდა. მაგრამ მის მთავარ ღირსებად მაინც საიმედოობა და კონსტრუქციის სიმარტივე იქცა: Ford T-ს მომსახურება უბრალო ფერმერსაც კი დამოუკიდებლად შეეძლო. თავდაპირველად, ის 850 დოლარი ღირდა. 1913 წელს, ფორდმა მანქანის გააფხვავა მოსხერხება, რადგან მის ქარხანაში, მსოფლიოში პირველი საავტომობილო კონვეიერი ამუშავდა. ტექნიკური რევოლუციის წყალობით Ford Motor, აშშ-ში წარმოებული ავტომობილების ნახევრის გამოშვებას ახერხებდა.

ამჟამად, კომპანიას ჰენრი ფორდის შვილთაშვილი – უილიამ-ქლეი ფორდ-უმცროსი უდგას სათავეში. ასლამ „ფორდ მუტორში“ მოდერნიზაციის პროცესი მიმდინარე-

ობს: ნაკლებპერსპექტიულ მოდელებს წარმოებიდან ხსნიან, მათ ადგილებს კი, დღეს განსაკუთრებულად გასავლიანი, სპორტული ყველაგანმავლები და ვენები იკავებს. შარშან კომპანიამ სულ 6,98 მლნ მანქანა გამოუშვა.



## Grandis: ევროპული „მანქანების“ მქონე „იაპონელი“

ფრანკფურტის ავტოსალონზე საჩვენებლად ფირმა Mitsubishi ამზადებს ვენის ახალ მოდელს – Grandis-ს, რომელიც

საკმაოდ პოპულარული მანქანის – Mitsubishi Space Wagon-ის ადგილს დაიკავებს. თავდაპირველად, მანქანა 160

დაბალია.

იაპონური ვენი ევროპულ ბაზარზეა ორიენტირებული, რაც იმით აიხსნება, რომ ის „მიცუბისისა“ და „დამილერ კრასისლერის“ ერთობლივი ნაშუქვარია. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მის გარეგნულ იერში აშკარად იკითხება „მიცუბისის“ მთავარი დიზაინერის, ოლივიე ბიულის ხელწერა. ახალ ვენს ორი – ექვს და შვიდადგილიანი – მოდიფიკაცია ექნება. მისი წარმოება საგაისოლაა დაგეგმილი და ევროპის სავაჭრო ქსელებში ის წლის პირველ ნახევარში გამოჩნდება.

Mitsubishi-ს მეორე პრემიერას, Lancer-ის განახლებული ვერსია წარმოადგენს, რომელიც სედანისა და უნივერსალის სახით გამოვა. მისი დებიუტიც ფრანკფურტის ავტოსალონზე შედგება, რომელიც ტრადიციისამებრ, სექტემბერში მოეწყობა.



ცხ.მ-იანი, 2,4 ლ მოცულობის ძრავით იქნება აღჭურვილი, მოგვიანებით კი, აგრევატების პალიტრა, სხვა მოდიფიკაციებით (მათ შორის, დიზელის ძრავითაც) გაძლიერდება. Grandis-ის დიზაინი დინამიკური ფორმებით გამოირჩევა. მანქანის სიგრძე 4,75 მ-ს, სიმაღლე კი – 1,65 მ-ს შეადგენს და თავის ძირითად კონკურენტზე – Volkswagen Sharan-ზე უმნიშვნელოდ

**მიხეილ გობატიშვილი**

ეს წერილი საჩხერელმა მეცნიერმა და მასწავლებელმა, მიხეილ გობატიშვილმა მოგვანოდა. ბატონი მიხეილი 1948 წლიდან, საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის საშუალო სკოლაში მასწავლებლად მუშაობს და თავის შეგირდებთან ერთად, საქართველოში პირველი, სასკოლო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი აქვს დაარსებული, სადაც ათასობით უნიკალური ექსპონატი ინახება. წინამდებარე წერილში, 81 წლის მოღვაწის მიერ ათწლეულების მანძილზე მისხალ-მისხალ ნაგროვები ფაქტები და მოვლენებია ასახული, რომელიც საქართველოს მშენებრივ კუთხის ისტორიის ერთ-ერთი მონაკვეთის სურათს გადმოგვცემს.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, რუსეთში განსაკუთრებული ტემპით დაიწყო სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება. საქართველოში კი, როგორც იმპერიის ერთ-ერთ პროვინციაში, სამეურნეო თუ სამრეწველო გარდაქმნები შედარებით ნელა მიმდინარეობდა. რას წარმოადგენდა ამ დროს საჩხერე? 1886 წელს, ჟურნალ „მწყემსში“ (№13) მღვდელი იოსებ წერეთელი წერდა: „...საჩხერეში ცხოვრობს 20 კომლი თავადი წერეთლები და 200 ვაჭარი, ტომით ქართველნი, სომეხნი და ებრაელები, სოფლის აზნაურნი და გლეხნი. ყველანი მიწის მუშა ხალხნი არიან და ფრიად მშრომელნიც...“

ქართველი 60-იანელები, ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია აკაკი წერეთლის ნაყოფიერი მოღვაწეობა. ცნობილია, რომ სწორედ მისი თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი ჭიათურის მარგანეცის მრეწველობას. მანვე იწინასწარმეტყველა ამ მრეწველობის დიდი მომავალი და მშობლიურ მხარეში რკინიგზის გაყვანა. აი, რას წერდა დიდი მგოსანი ჯერ კიდევ 1872 წელს: „...იქ, სადაც დღეს არც გზაა და არც კვალი, რკინიგზა მოვა. ეს უდაბნო — ჭიათურა, გაშენდება, დაიწყება მარგანეცის მრეწველობა...“ და მართლაც, სასაქონლო წარმოების განვითარების საქმეში დიდი როლი სწორედ რკინიგზამ შეას-



აკაკის ძალიან უყვარდა საჩხერის სადგურის ტერიტორიაზე გასეირნება

# აკაკია სადგურის ასწლიანი „იუბილე“

**ანუ „კნინა ელისაბედს იმისთანა ურემი უყიდნია, არც ხარი და არც კამეჩი არ ჭირდება...“**

რულა.

1865-1872 წლებში, წარმატებით მიმდინარეობდა თბილისი-ფოთის მაგისტრალის მშენებლობა. 1872 წლის 20 ოქტომბერს, ფოთიდან თბილისში (310 კმ) პირველი მატარებელი ჩავიდა. ეს თარიღი საქართველოს რკინიგზის „დაბადების დღედ“ ითვლება.

თანდათან ფართოვდებოდა ამ მაგისტრალის განშტოებები და წლების შემდეგ, მართლაც ახდა დიდი აკაკის წინასწარმეტყველება: 1894 წლის 15 მაისს, საზეიმოდ აკურთხეს შორაპანჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, რომლის ძირითადი დანიშნულება მარგანეცის ტრანსპორტირება იყო. მისი მნიშვნელობა თანდათანობით გაიზარდა არა მარტო ტვირთზიდვის, არამედ მგზავრთა გადაყვანის თვალსაზრისითაც.

მაგრამ მოხდა ისე, რომ რკინიგზა სწორედ იქ შეწყდა, სადაც მარგანეცი მთავრდებოდა. ამიტომ დარკვეთს ზემოთ, სულ რაღაც 7 კილომეტრში რკინიგზის გაყვანით არავინ დაინტერესებულა. ამგვარად, საჩხერე დარჩა ისევ „მიყრუებულ კუთხედ“, როგორც მას 1897 წელს ჟურნალი „კვალი“ უწოდებს: „შორაპანის მაზრის საჩხერისთანა მიყრუებული კუთხე, ვგონებ ცისქვეშეთში ძვირად თუ სადმე მოიპოვება. არც გაზეთი, არც სკოლები, არც წარმოება-მრეწველობა. სადაც ჭიათურის რკინიგზა მთავრდება,

იქვე წყდება ყოველი ვაჭრული და აღემიციემობითი ცხოვრების ძაფი...“ მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. აი, რას ამბობს ამის შესახებ ელისაბედ წერეთლის შვილობილი, სონია წერეთელი-ავალიშვილი თავის მოგონებაში: „...მაგონდება ჩემი ბავშვობის პერიოდი. იმ დროს მატარებელი მხოლოდ დარკვეთამდე მოდიოდა, საიდანაც მგზავრები ეტლებით, ურმებით, ცხენებით თუ ფეხით აგრძელებდნენ მგზავრობას საჩხერემდე და მის ირგვლივ მდებარე სოფლებამდე. ყველა ოცნებობდა საჩხერემდე რკინიგზის გაყვანაზე. ბევრი ცდილობდა განეხორციელებინა ეს ოცნება, მაგრამ ფუჭად, ვიდრე ელისაბედმა არ მოკიდა ამ საქმეს ხელი. ერთ დღეს, რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილი 5 რუსი, ჭიათურის სადგურის უფროსის ბეგიაბეგოვის თანხლებით, კარს მოგვადგნენ. ეს რკინიგზელები კომისიის წევრები ყოფილან, რომლებსაც მეთაურობდა ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი კოზლოვი. ჩამოსულან იმ ადგილების დასათვალისწინებლად, სადაც რკინიგზის სადგური აშენდებოდა და გზა დარკვეთიდან იმ სადგურამდე უნდა გამოეყვანათ. ვინაიდან ამ საქმეს ელისაბედი მეთაურობდა, ამიტომ კომისია მასთან მოვიდა“. ამგვარად, ელისაბედ წერეთლის დიდი მონღომებითა და დვაწლით გადაწყდა საჩხერემდე რკინიგზის გაყვა-

ნის საკითხი. რამდენადაც ვიცი, ელისაბედს ამ საკითხის მოსაგვარებლად თავისი დიდი ნათლიის, რუსეთის ხელმწიფის, ნიკოლოზ მეორის შეწუხებაც კი მოუხდა.

რკინიგზის მშენებლობის დაწყების ამბავი, მალე საყოველთაო ხმაურის საგანი გახდა. „ნამეტანი სიცოცხლე და შრომის საჩხერისთვის მომავალი რკინიგზის გაყვანის იმედს მიუცია“, – წერდა 1899 წელს ჟურნალი „კვალი“. ამავე ჟურნალის 1902 წლის მეთერთმეტე ნომერი კი, უკვე გვაუწყებს: „იანვრიდან დაიწყო სადგურ დარკვეთიდან საჩხერემდე რკინიგზის მშენებლობა. მუშაობა ისე სწრაფად წარმოებს, რომ მოსალოდნელია წელიწადნახევარში ორთქმაკალმა საჩხერის მიერ ურუბულ მიდამოებს დაუკავლოს და გამოაფხიზლოს საღათას ძილს მიცემული ხალხი“.

რკინიგზის გაყვანის დასრულებას კი, უკვე ნახსენები სონია წერეთელი ასე აღწერს: „არ გასულა ერთი წელი და საჩხერის რკინიგზის სადგურზე ორთქმაკალის საყვირის ხმა გაისმა. სადგურს ზღვა ხალხი მოაწყდა საყვირის გაონებაზე. მათ შორის ბევრი ისეთი იყო, რომელთაც მატარებელი სულ არ ენახათ. მემანქანე განგებ აყვირებდა მატარებელს ხალხის გასახარებლად. სოფლებში ამბავს ყვებოდნენ, – კენინა ელისაბედს იმისთანა ურემი უყიდნია, არც ხარი და არც კამეჩი არ ჭირდება, დახურულია და რკინაზე დახტისო“. ამ ამბავს 1903 წლის დამლევსა და 1904 წლის დამდეგს, ქართული ჟურნალ-გაზეთებიც აქტიურად აშუქებდნენ.

ამგვარად ირკვევა, რომ დარკვეთ-საჩხერის რკინიგზის მშენებლობა დაწყებულა 1902 წლის იანვრის დამდეგს და სულ რაღაც ორ წელიწადში დამთავრებულა. ამავე პერიოდში დასრულებულა საჩხერის რკინიგზის სადგურის მშენებლობაც. „დარკვეთიდან საჩხერემდე რკინიგზის ვიწრო ლიანდაგის გაკეთება უკვე დასრულდა. მატარებელთა მიმოსვლა დაიწყო. ამჟამად საჩხერის ხილთან ვაკეზე, შესდგომიან სადგურის გამართვას. ჩარჩ-ვაჭრებს ეხლავე სუნი მიედინათ ფულისა და შეუდგნენ სადგურის ახლო-მახლო კერძო მემამულეთაგან ადგილების შესყიდვას, რომ მერე ერთიანად გაყიდონ“, – წერს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1903 წლის 29 სექტემბრის ნომერში.

ამასვე იუწყება 1903 წლის 11 ნოემბრის გაზეთი „ივერია“: „ყველა დღის

სინარულშია ქალიან კაცია, მეტადრე ვაჭრის მანდილოსნები, რომლებიც ისე შეჩვივნენ სადგურზე ყოფნას, ყოველ დღე განუწყვეტლივ გამოწყობილ-გამოკვანწულები დადიან თავის კავალრებით გულის გადასაყოლად. ისედაც უსაქმურებს, ახლა საქმე გამოუჩნდათ. მეეტლეები კი თვალ-ცრემლიანნი შესცქერიან მატარებელს და წვევლაკრულვით იხსენიებენ მისი დაარსების დღეს“.

1904 წლის 6 იანვარს, გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იუწყება: „...როგორც საჩხერიდან გვეწერენ, შორაპანსა და საჩხერეს შუა სახალხო მატარებლის წესიერი მიმოსვლა უკვე დაიწყო... „წესიერი მიმოსვლა“ კი იმას ნიშნავს, რომ დამთავრებულია მატარებლების საცდელი მიმოსვლა და საახალწლოდ, 1904 წლის იანვრის დამდეგს, რკინიგზის ოფიციალური გახსნა-კურთხევა გაიმართა, რომელსაც სხვა მრავალ სტუმარს შორის, ქუთაისის გუბერნატორი გენერალი სლოვოჩინსკი დასწრება. ეს იყო საჩხერის რკინიგზის ისტორიაში პირველი, ძალზედ მნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი მოვლენა. არანაკლებ სასინარულო და საინტერესოა ის ფაქტი, რომ მატარებელს აქ დახვედრია რკინიგზის შესანიშნავი სადგური, არქიტექტურული ძეგლი, რომელიც მთლიანად მხატვრულად გამოთლილი ქვით იყო მოპირკეთებული. ეს ორსართულიანი შენობა აღმართული იყო გიჟმაჟი მდინარე ყვირილის პირას და ჰარ-



კადრი ფილმიდან „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“

მონიულად ეხამებოდა ბუნებრივ სივრცესა და ისტორიულ გარემოს; მას თავს ეხურა „ცა ფირუზი“ და ძირს ფიანდაზად ჰქონდა დაგებული „ხმელეთ ზურმუხტი“, ჩრდილოეთიდან ამაყად გადმოჰყურებდა ზვიადი ციხე – მოდინახე, სამხრეთით კი, გაღამილი იყო ხალიჩასავით მოხატულ-მოგვირისტებული, ზემო იმერეთის კოპწია სოფლები... საჩხერის სადგური არა იყო უბრალოდ, ჩვეულებრივი სადგური. ის შესანიშნავი ისტორიული ძეგლი იყო. გარდა მისი მხატვრულ-ხელოვნობით გამოდგომისა, იგი ჭეშმარიტი ისტორიული ხსოვნის გამოხატულებაცაა: სადგური, მისი ვრცელი და ლამაზი ბაქანი მუდამ წარმოადგენდა იქაური მოქალაქეებისა თუ სტუმრების საყვარელ თავშესაყარ და თვალის გასახარებლად ადგილს. იქ გამეფებულიყო საერთო მხიარულება, ურთიერთ მოკითხვა, პატივისცემა და სიყვარული; ისმოდა გიტარაზე დაკვრის ხმა, სიმღერები; ხშირად, იქვე ხდებოდა სხვადასხვა საქმიანი გარიგება, საბატარდლოსა თუ სასიძოს გაცნობა-გაჩხერ-

**გაქვით სარკილი გამოიყურებოდით ლამაზად?!**

**გთავაზობთ!!!**

**ნონაჟი დაქანას**  
**კომპიუტერული მეთოდით**  
**5-დან 12კგ.-მდე**  
**აქრობენ სარკილის**  
**და უიშვილის გარეშე.**

**თქვენ მდინარისპირაში**  
**ქალაქიშიშიში სასაბუნებრივ**

**ტელ.: 890-20-33-76**  
**მისამართი: 76-66-04**  
**ბ-მ. აშა**



მიხეილ გოგაგიშვილი

კა... განსაკუთრებით ახარებდა ყველას, დიდი აკაკის იქ გამოჩენა. ამასთან დაკავშირებით, ქორეთელი გლეხი გალაქტიონ გულაძე (1885-1975 წ.წ.) თავის საინტერესო მოგონებაში ამბობს (ჩაწერილია 1960 წ. სტილი დაცულია): „1907 წელს ვმუშაობდი საჩხერის რკინიგზის სადგურში სკლადში და ბაკაყნი აღელენიეში. გვიანი შემოდგომის ერთ მოღრუბულულ დღეს, დილის 10 საათზე, სადგურმა მიიღო მატარებელი. ბაქანზე ჩვეულებრივად ბევრი ხალხი იყო. ერთ ადგილას თავმოყრილი იყვნენ საჩხერის თავადები და საუბრობდნენ. მათ შორის იყვნენ აკაკი წერეთელი, გიორგი დავითაშვილი (წერეთელი), ელისაბედის საშუალო ვაჟი პეტია წერეთელი და სხვები. მე და ჩემი მეგობარი იქვე შორი-ახლოს ვიდექით და ვცდილობდით, ყველაფერი გაგვეგონა. სადგურის მორიგემ ზარს ჩამოკრა და მატარებელი გაისტუმრა. აქვე იდგა სადგურის უფროსი, მეტად მოხდენილი და ახოვანი ვაჟკაცი, თავადი დავით ზახარაძე ციციანოვი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებდა მატარებლის გაცილების პროცესს. როგორც კი მატარებელი თვალს მიეფარა, ციციანოვი პირდაპირ წამოვიდა თავადთა გუნდისაკენ და ყველა მათგანს ხელის ჩამორთმევით მიესალმა. განსაკუთრებით მოიკითხა აკაკი და მიულოცა: მადლობა დმერთს, რომ კვლავ გამოვანძრთლებული გიხილეთ და კარგად ბრძანდებითო... აკაკიმ უთხრა, – მართლაც მძიმე ავადმყოფობა გადავიტანე, თითქმის ერთი

თვე ვიწვიეო. მერე კი თავისებურად ხუმრობა დაიწყო და ყველანი გულიანად იცინოდნენ. ასე კარგახანს საუბრობდნენ და ერთობოდნენ თავადები. შემდეგ კი აკაკი წამოვიდა სადგურის დარბაზის გამოვლით და თან გამოყვნი არა მარტო თავადები, არამედ ბევრი სხვაც. თავადი ციციანოვი მხურვალედ დაემშვიდობა აკაკის. მგოსანი სხვა იქ მყოფთ, ყველას ხელის აწევით დაემშვიდობა. პეტია წერეთელმა კი ხელი შეაშველა მას და იქვე მდგომ ეტლში ჩასხდნენ და გაუდგნენ გზას“.


აკაკის ძალიან უყვარდა საჩხერის სადგურის ტერიტორიაზე გასეირნება და ხალხში საუბარი. სიმბოლურია, რომ ახლა სადგურის ფართო მოედანს ამშვენებს დიდი მგოსნის მონუმენტური ქანდაკება (დაიდგა 1960 წელს, ავტორი – ვარლამ თოფურია). ისიც სიმბოლურია, რომ სწორედ იქიდან

გააცილა აკაკი წერეთელი უკანასკნელ გზაზე მადლიერმა ხალხმა 1915 წლის 4 თებერვალს, საგანგებოდ დანიშნული სამგლოვიარო მატარებლით, რომელიც 15 საათზე დაიდრა საჩხერიდან. აი, რას წერს ამ მწუხარე მომენტის შესახებ, პედაგოგი და მწერალი, აკაკის ოჯახის უახლოესი მეგობარი ანეტა იურკევიჩი თავის მოგონებაში – „აკაკის უკანასკნელი დღეები“: „...მატარებელი უკანასკნელად შეტორტმანდა. შეუბრალებლად, სამუდამოდ მოგვლიჯა შეს მიწა-წყალს და პირქვედამზობილთ მოზღვავებულთ შეს თავყვანისმცემელთ“. და იცით, რამდენი ადამიანი ყოფილა ამ დროს პირქვედამზობილი? – „თანამედროვეთა გადმოცემით, საჩხერის სადგურის წინ, 25 ათასზე მეტი ადამიანი იყო შეკრებილი“ (გივი ტყემელაშვილი, „სხვიტორი-დან მთაწმინდამდე“)...

პირველი მატარებლის შემოსვლიდან ათწლეულების შემდეგ, საჩხერის მცხოვრებლებს მერე დიდი სიხარული მოუტანა ფართოლიანდაგიანი სამგზავრო ელექტრომატარებლის შემოსვლამ 1959 წლის დეკემბერში. ისტორიას ჩაჰპარდა ვიწროლიანდაგიანი „კუკუშკა“, თავისი პატარა ვაგონებით. მესამედ კი, რაიონის მცხოვრებთა სიხარული, 1991 წლის აპრილის საშინელი მიწისძვრისაგან მიწასთან გასწორებული რკინიგზის სადგურის აღდგენამ და რკინიგზის კვლავ ამუშავებამ (მანამდე, მთელი 10 წლის მანძილზე, საჩხერეში სამგზავრო მატარებელი აღარ შესულა) მოუტანა, რაც 2001 წლის დამლევს მოხდა.

# ბიძი უილიამსი აუფთმთგტათის წტას შუდგა

ბოლო დროს, სახელგანთქმული ადამიანები მეშუარული წიგნების წერის „ეპიდემიამ“ მოიცვა. ამ ცდუნებას მომღერალმა რობი უილიამსმაც ვერ აარიდა თავი და ცოტა ხნის წინ გამოაცხადა – ავტობიოგრაფიის გამოცემას ვაპირებო. როგორც ცნობილია, მისი ერთ-ერთი ბოლო კლიპი – Come Undone – იმდენად „გულახდილი“ იყო, რომ მისი ჩვენება საკმაოდ თამამმა ტელეარხმა – MTV-მაც ვერ გაბედა. ჰოდა, ენაკვიმატი ჟურნალისტები ამბობენ: თუ რობის წიგნი ასეთივე გულახდილი იქნება, ის უმალ, ნამდვილ ბესტსელერად იქცევაო... ავტობიოგრაფიის წერის პროცესი უკვე დაწყებულია, თუმცა,



მეტიხსმეტად მოუცვლელომა მომღერალმა თავად კი არ მოჰკიდა კალამს ხელი, არამედ ამ მიზნით საუკეთესო მეგობარი, ამერიკაში საკმაოდ ცნობილი ჟურნალისტი კრის ჰიზი დაიქირავა. ამჟამად ევროპულ ტურნეში მყოფი რობი უილიამსი, მისი თქმით, გასტროლების დროსაც განაგრძობს წიგნზე მუშაობას – ალბათ კონცერტებს შორის პაუზების დროს, საკუთარი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს უყვება ჰიზს. ერთ-ერთ ინტერვიუში მომღერალმა ისიც თქვა, რომ სულ თან დაატარებს მინიატურულ ციფრულ კამერას და დროდადრო, საკუთარ თავს უღებს სურათებს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მომღერალი თავყვანისმცემლებს ჰპირდება: ჩემს წიგნში სრულ სიმართლეს მოგვყვები რეიჩელ ჰანტერთან (როდ სტიუარტის ცოლთან) ჩემი ინტიმური ურთიერთობის, ჩემ მიერ განცდილი უმძიმესი დეპრესიის, ჩემში ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი ძლიერ ლტოლვასთან ბრძოლის შესახებო...



## ვატსკულავთა სეივანი ახალი სახელმით იუსემ

ჰოლივუდში 21 ახალი ვარსკვლავის მფლობელის სახელი გამოცხადდა. მათ შორის არიან მსახიობები: ენტონი ჰოპკინსი, კევინ კოსტნერი, ჰოლი ბერი, გლენ ქლოუზი, ბრუკ შილდსი. კინოვარსკვლავების გარდა, საკუთარი ბრინჯაოს ვარსკვლავის გასწვრივ პატივი ერგოთ ტელეკომპანია CNN-ის დამფუძნებელს ტედ ტერნერს და მომღერალ ბრიტნი სპირსს. მთელ მსოფლიოში ცნობილ სეივანს საფუძველი ჩაეყარა 1960 წლის 9 თებერვალს, როდესაც ჰოლივუდის ბულვარის ქვაფენილში პირველი – მსახიობ ჯოან ვუდვორდის ვარსკვლავი ჩამონტაჟეს. იმ დროიდან მოყოლებული, ლაურეატებს ჰოლივუდის სავაჭრო პალატის წარმომადგენლები ირჩევენ და ამ პალატის დირექტორთა საბჭო ამტკიცებს. ვარსკვლავის მოპოვების აუცილებელი წინაპირობაა, შოუბიზნესში მოღვაწეობის 5-წლიანი სტაჟი და საზოგადოებისთვის სასარგებლო რაიმე საქმეში მონაწილეობა.

## ბენე გლუგუბი უთბთ კატგად ამღერქმა

მთელი მსოფლიოსთვის უკვე კარგად ცნობილი სასიმღერო დებიუტის შემდეგ, რომელიც ფილმ „ჩიკაგოში“ შედგა, რენე ზელვეგერი შეიძლება კვლავ ამღერდეს და კვლავ – კინოკარანზე, თანაც წარსულში ლეგენდარული მომღერალი ქალის ჯენის ჯოპლინის როლში, რომლის ცხოვრების ამსახველი ფილმის გადაღებას აგერ უკვე 7 წელია აპირებენ ჰოლივუდში. ჰიპ-კერპის როლის რეალურ კანდიდატებად ასახელებენ აგრეთვე ბრიტანი მერფისა და მელისა ეტერიჯს. თუმცა მანამდე, პროდიუსერებს სურათის დამდგმელი რეჟისორი ჰყავთ მოსაძებნი, რომლის შერჩევასაც მომავალი ფილმის მწარმოებლები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან. გადაღებების დაწყება 2004 წლის დამდეგისთვისაა დაგეგმილი.



## კევინ კოსტნერმა დათჯახქმა გადაწყვიტა

მსახიობმა და რეჟისორმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კრისტინა ბაუმგარტნერის ცოლად მოყვანას აპირებს. 48 წლის კინოვარსკვლავი და 29 წლის საქმოსანი ქალბატონი პირველად, ოთხი წლის წინ შეხვდნენ ერთმანეთს და კარგა ხანია, რაც ახლო ურთიერ-

ობა აქვთ. კოსტნერის წინა ქორწინება სინდი სილვასთან 15 წელი გრძელდებოდა და ცოტა ხნის წინ, ოფიციალურად გაფორმებული გაყრით დასრულდა. ბაუმგარტნერი კი, პირველად თხოვდება. ქორწილის თარიღი და ადგილი ჯერ გამოცხადებული არ არის. უცნობია აგრეთვე, თუ ვის მიიწვევს წყვილი გაბედნიერების ცერემონიაზე დასასწრებად.

## ახალი Hollywood მსოფლიოს მუსიკალურ ატმოსფერო



ასე ეწოდება მადონას ახალ კლიპს, რომელიც, მხილველთა თქმით, წარმოადგენს რაღაც შუალედურს პოპ-ვარსკვლავის ორ კლასიკურ კლიპს – Vogue და Express Yourself-ს შორის. მომღერალი ამჯერად, გასული საუკუნის შუა პერიოდის კინომსახიობის როლში მოგვევლინება, რომელიც ჰოლივუდის ბოჰემაზე ფიქრითაა გართული. გადაღებისას, მადონას 15 მლნ გირვანქა სტერლინგად ღირებული სამკაულები ეკეთა, რომელიც თავის დროზე, ლეგენდარულ მსახიობ ქალს მუი უესტს ეკუთვნოდა. საგანგებოდ ამ კლიპისთვის მომღერალი კვლავ „პლატინისფერ ქერად“ იქცა.

საინფორმაციო საშუალებები აგრეთვე იუწყებიან, რომ თავის მომღვერო კლიპს მადონა ისრაელში გადაიღებს. მას საფუძველად დაედება სიმღერა – Nothing Fails, რომელიც ახალ ალბომში – American Life არის შესული. ეს ალბომი მხოლოდ ევროპაში უკვე 4-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა.



**თუკი ღირს საერთოდ  
რაიმის გაკეთება, მხოლოდ  
იმისა, რაც სხვებს შეუძლებლად  
მიაჩნიათ.**



ოსკარ უაილდი

ბენილუკი

მ  
კ  
ა  
ზ  
ე  
ბ



### დადგენილია წარბების იდეალური ფორმა

მეცნიერებმა ბევრი იფიქრეს, იანგარიშეს და როგორც იქნა, დაადგინეს თანამედროვე ქალის წარბის იდეალური ფორმა. ლუიზიანის შტატის უნივერსიტეტის პლასტიკური ქირურგიის სპეციალისტმა, სტივენ მეტზინგერმა კომპიუტერულად დაამუშავა და გააანალიზა 100 ფოტომოდელის და 100 ჩვეულებრივი ქალის ფოტოსურათი და აღმოაჩინა, რომ მათი წარბების უმაღლესი წერტილი (თუ მანძილს ცხვირის ძირიდან გავზომავთ), რომელიც სხვადასხვა ჟურნალის გარეკანიდან შემოგვცქეროდა, 98%-ით შეესაბამებოდა თვალების სიგრძეს (ამ შემთხვევაში, თვალების სიგრძე ცხვირის ზედა ზღვრიდან იზომება). უმრავლესობისთვის კი (იგულისხმება ჩვეულებრივი ქალბატონების წარბები), ეს მანძილი 93%-ს შეადგენდა. „ჩვენი შეხედულება სილამაზეზე მკვეთრად შეიცვალა“, - ამბობს მეტზინგერი, რადგან 70-იანი წლების მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 75-80%-ს შეადგენდა. ნაშრომის ავტორის აზრით, მოდელები უპირატესობას ანიჭებენ წარბების ისეთ ფორმას, როცა ის თვალისგან იმდენადაა დაშორებული, რომ ასაკის მომატებისას ან ძლიერი დაღლილობის დროს, მისი კიდეების ქვემოთ „დაშვება“ საშიშროებას არ წარმოადგენს. ცნობილია, რომ ზემოთ აზიდული წარბი სახეს ახალგაზრდულ ეერს ანიჭებს. სასურველი ფორმის მიღწევა შესაძლებელია წარბების ქვემოდან ამოპუტვით, დავარცხნით და სპეციალური გელის გამოყენებით, რომელიც წარბის ღერებს სასურველ მიმართულებას უნარჩუნებს. იმისათვის, რომ მოდელებს დამსგავსებოდნენ, ამერიკაში მართლ შარშან, 75 ათასმა ქალმა გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია, რომლის საშუალებითაც მათ ზემოთ აიზიდეს თვალთან ახლოს მდებარე წარბები.

### მთვარის დიება

ეს დიება უნდა დაიცვათ თვეში მხოლოდ ერთხელ, სავსემთვარეობისას. სავსემთვარეობის დასაწყისში ანუ მთვარის მე-13 დღიდან დაწყებული, საკვები რაციონიდან გამორიცხეთ: სითხე, შაქარი და მარილი. იკვებეთ მშრალი საკვებით, თანაც მცირე ულუფებით. თუ ამ დიებას გააგრძელებთ მთვარის მე-16 დღემდე, დაიკლბთ ზედმეტ 2 კგ-ს, ხოლო წელიწადში - 24-ს.

ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ მთვარის ენერგია არა მხოლოდ ოკეანის წყლებში იწვევს მიქცევა-მოქცევას. ასეთი მიქცევა წყლის რაოდენობისა, ანუ ორგანიზმიდან მისი განდევნა ადამიანის ორგანიზმში იწვევს სავსემთვარეობის დასაწყისში და თუ სავსემთვარეობისას განდევნილ წყალს ხელოვნურად არ შევავსებთ - ადამიანი წონაში კლებას დაიწყებს.

სავსემთვარეობის შემდეგ, ადამიანს მაღა ემატება, მაგრამ ვინაიდან შემდგომი პერიოდი მთვარისთვის დაღმავალია, ადამიანი წონაში აღარ მატულობს.

### ეფექტური დიება მათთვის, ვისაც წონაში დასაბრუნება სურს




ამ მარტივი დიებით ოთხი კვირის განმავლობაში წონაში ისე დაიკლბთ, რომ თქვენს მეგობრებს და ახლობლებს ეჭვი შეეპარებათ - ეს მართლა თქვენ ხართ თუ თქვენი ორეული. პირველ კვირას, ყოველდღე შეჭამეთ 2 ფორთოხალი და 3 ცალი მაგრად მოხარშული კვერცხი (იხარშება 12 წთ).

დანარჩენ სამ კვირას, ზემოაღნიშნულს დაემატება ნელნი ბოსტნეული და ხილი.

### სილამაზისა და ჯანმრთელობის რეცეპტი

როგორც დიეტოლოგები ამბობენ, ეს რეცეპტი საუკეთესო გასახდომი საშუალებაა და ამასთან ერთად, წმენდს ორგანიზმს, რაც პირველ რიგში, კანის ჯანმრთელ ფერსა და საერთო მდგომარეობაზე აისახება. ის ზღვება თეთრ-ვარდისფერი, გლუვი, კრიალა და სუფთა. მაშ, ნუ დაიზარებთ ნარევის მომზადებას, რომელიც საკმაოდ გემრიელია და თან თქვენს კანს უფრო მეტ მიმზიდველობასა და ახალგაზრდულ სიჯანსაღეს შესძენს.

3 ს/კ ჰერკულესი, 0,5 ჩ/ჭ ალუბული რძე და 1 ჩ/კ თაფლი (ან 3 ჩ/კ შაქარი) ერთმანეთში აურიეთ და დილაძე დატოვეთ. დილით მუავე, წვნიანი ვაშლი გახეხეთ და წინა დღით დამზადებულ მასას შეურიეთ. 3 კვირის განმავლობაში, საუზმედ ეს ნარევი მიიღეთ. შემდეგ კი ერთი თვით შეისვენეთ. და თუ კიდევ საჭიროდ ჩათვლით მის გამეორებას, ერთხელ კიდევ გაიმეორეთ.



პროექტის საინჟინერო

უნივერსალური ბარათი

**GEOCARD**

ინტერნეტი + ტელეფონი

5 10 20 ლარი

ჯეონეტი

ქველავი ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი!

92 21 25 ☎ 47 21 25 [www.geonet.ge](http://www.geonet.ge)

## როგორ შევინარჩუნოთ ფიგურა ისა, რომ დიებით არ დავიბანჯოთ

### ჯანსაღი კვიზა – ეს

ცხოვრების წესია. თუ დროდადრო თავს დიეტებითა და განტვირთვის დღეებით გაიწამებთ, მაგრამ დანარჩენ დღეებში, რამდენიც გსურთ, იმდენ საკვებს მიირთმევთ, დაგვეთანხმებით, რომ არანაირი დიეტის დაცვას აზრი აღარ ექნება. მთავარია, ორი წესის დამახსოვრება: ყოველდღიურად ორგანიზმი უნდა იღებდეს ყველა აუცილებელ ნივთიერებას, ხოლო საკვების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს დღე-ღამის განმავლობაში ინდივიდუალური ენერჯის მოთხოვნილებას. თითქმის ყველას გვიყვარს ტკბილი საკონდიტრო ნაწარმი და ალკოჰოლური სასმელები. ამ ჯგუფის პროდუქტებში უხვადაა ცხიმები, ქოლესტერინი, შაქარი, კალორიები, ამავდროულად არ ღირს მათზე სრულიად უარის თქმა. უბრალოდ, მათი მიღებისას გამოიჩინეთ სიფრთხილე. ცხიმები: 1-2 ს/კ მცენარეული ზეთი დღეში, 5-10 გ კარაქი, შაქარი: 5-6 ჩ/კ ან 3-4 ჩ/კ მურაბა (თაფლი) შოკოლადის 3 კანფეტი და 5 კარამელი.



სასურველია, მიერიდოთ კრემიან ნამცხვრებსა და ტორტებს – მაღალკალორიულობის გამო. მაგრამ თუკი მაინც ვერ შეიკავებთ თავს და მადის აღმძვრელ ტკბილეულს მოჭარბებულად მიირთმევთ, შემდეგ არ დაგავიწყდეთ ფიზიკური დატვირთვის დღე მოიწყეთ. შეიბინეთ სპორტულ დარბაზში ან შინ ივარჯიშეთ.

**დასაშვებია:** 150-200 გ მშრალი ღვინო ან 50-60 გ მაგარი სასმელი, ან 300-500 გ ლუდი.

ჯანმრთელი ადამიანებისთვის არ არის აუცილებელი რაციონიდან ალკოჰოლური სასმელების გამორიცხვა.

მთავარია – ზომიერების დაცვა.

## ხელოვნური ფრჩხილები – სასარგებლოა ის თუ საზიანო?

ხელოვნური ფრჩხილები უკვე 30 წელია, მოდიდან არ გადის. თუმცა, ჩვენში ის მაინც არ არის იმდენად დამკვიდრებული, როგორც დასავლეთში და შესაბამისად, ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, საზიანოა თუ არა იგი, საკმაოდ მწირია. ხელოვნური ფრჩხილი შესახვედად არაფრით განსხვავდება ბუნებრივისგან. ისიც ტყდება, იქერცლება და დროთა განმავლობაში დეფორმაციას განიცდის. თუმცა, ეს ძალიან იშვიათად ხდება, ვინაიდან ხელოვნური ფრჩხილი შესაშური გამძლეობით გამოირჩევა. პოლიმერული შემადგენლობით საკუთარი ფრჩხილების დაფარვა-დაკონსერვება სილამაზისთვის გაღებული, მორიგი მსხვერპლი ყოფილა. ხელოვნური ფრჩხილების სისტემატურად გამოყენება, შეიძლება სოკოვანი დაავადების წარმოშობის მიზეზიც გახდეს. იმ თანამედროვე გაუმჯობესებული ტექნოლოგიით დამუშავებულმა ხსნარმაც კი, რომელიც ხელოვნური ფრჩხილის დამაგრებისა და მოხსნის დროს გამოიყენება, შეიძლება გართულება და ალერგია გამოიწვიოს. ამიტომ, დერმატოლოგების რჩევით, არ არის რეკომენდებული, რომ ხელოვნური ფრჩხილი ორ კვირაზე მეტხანს გაიჩეროთ. ამ დასკვნამდე მივიღწინ მას შემდეგ, რაც გამოიკვლიეს ახალშობილთა ერთ-ერთი განყოფილებაში გავრცელებული ინფექციის მიზეზი: ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ ჩვილებისთვის განსაკუთრებით საშიშმა მიკრობებმა თავშესაფარი შეიძლება და ახალგაზრდა დედიკოების ხელოვნური ფრჩხილების ქვეშ იპოვეს.

## ლაბაზი ფრჩხილების საიდუმლო

მოკლილი ხელები – ქალის სავიზიტო ბარათია, რომელიც ადასტურებს, რომ ის თავს უვლის და სურვილი აქვს, გარშემოყვებოს მოსწონდეთ. მაგრამ თუ ფრჩხილები იქერცლება და იმტვრევა, მას ვერც ერთი ლაქი ვერ უშველის. ზღვის მარილისა და იოდის ყოველკვირეული აბაზანა ხელს შეუწყობს ფრჩხილების გამაგრებას. ან კიდევ, უკეთესია მოამზადოთ ასეთი ნარევი: მზესუმზირის ზეთს დაუმატეთ 3 წვეთი იოდი, 5 წვეთი ლიმონის წვენი და რამდენიმე წვეთი A-ვიტამინის წყლიანი ხსნარი. ნარევი ოდნავ შეათბეთ წყლიან აბაზანაზე. სამკურნალო ნახარში თითოეტი 10-15 წუთი გააჩერეთ. ეს პროცედურა რამდენიმე კვირის მანძილზე, ყოველდღე გაიმეორეთ.



## ვაშლის ნიღბები

...მაგრამ ქალის მომხიბლაობისა და ახალგაზრდული იერიის დიდხანს შესანარჩუნებლად, მთავარი მაინც კარგად მოკლილი სახის კანია. სხვათა შორის, ბევრი ქალბატონი აღიარებს, რომ მისი სილამაზის საიდუმლო იმ ხილის ნიღბებშია, რომელსაც სისტემატურად იყენებს. ხილისგან მომზადებულ ნიღბებში კი, ერთ-ერთი პირველი ადგილი (რა თქმა უნდა, ეფექტურობის თვალსაზრისით) ვაშლს უკავია.



## მკვებავი ნიღბი ცხიმოვანი კანისათვის

საშუალო ზომის ვაშლი გახეხეთ კანინად და მიღებული პიურე წაისვით სახეზე და წამოწექით. 10 წუთის შემდეგ სახე ცივი წყლით ჩამოიბანეთ. წაისვით მკვებავი კრემი.

## მკვებავი ნიღბი ნორმალური კანისათვის

1 გახეხილ ვაშლს დაუმატეთ 1 ჩ/კ ზეთუნის ზეთი ან არაქანი და 1 ჩ/კ სახამებელი. ნიღბი დააყოვნეთ 20 წუთი და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

## ენერგეტიკული ნიღბი მშრალი კანისათვის

1 გახეხილ ვაშლს დაუმატეთ 1 ჩ/კ თაფლი და 1 ს/კ დანაყილი ჰერკულესი. ნიღბი გაიჩერეთ 20 წუთი და ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

## ცხიმოვანი კანის გამწმენდი ნიღბი

1 გახეხილ ვაშლს დაუმატეთ 1 ცალი გახეხილი კიტრი. ნიღბი გაიჩერეთ 20 წუთით და ჩამოიბანეთ ცივი წყლით.

# როგორ შევარჩიოთ მასკოსხლეხელი წყალი

## როგორ უნდა ვსვათ სამკურნალო წყალი

● მინერალური წყლის მიღება უნდა დავიწყოთ მხოლოდ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ.

● მკურნალობა ტარდება კურსობრივად, 2-3-ჯერ წელიწადში, 4-დან 6 კვირამდე ხანგრძლივობით.

● საშუალო დღიური დოზა მოზრდილი ადამიანისათვის არის დღეში 500-600 მლ, ბავშვისთვის – 3-5 მლ/კგ წონაზე. დაავადების გამწვავების არასრული ჩაწინარების სტადიაში ინიშნება აღნიშნული დოზების ნახევარი.

● წყლის მიღება ჭამამდე, სასმელით მკურნალობის საფუძველს წარმოადგენს. თუ არ არის წყლის მიღების დროზე ექიმის განსაკუთრებული მითითება, იგი უნდა დალიოთ ჭამამდე 15-30 წთ-ით ადრე. წყლულოვანი დაავადებისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების დროს – შემობარი სახით.

● კუჭის შემაწუხებელი წვის დროს მინერალური წყალი შეგიძლიათ ჭამის შემდეგ დალიოთ.

● შეგიძლიათ წყალი სვათ არა კურსობრივად, არამედ დროდადრო (სიტუაციის მიხედვით), კუჭის წვის, ნაბახუსევის, დადლილობის მოსახსნელად, ძილის გასაუმჯობესებლად.

## როგორ გამოვიცნოთ ეტიკეტის მიხედვით წყლის გემო

წყლის გემო განისაზღვრება მისი შემადგენლობით და მასში გახსნილი მარილებისა და გაზების რაოდენობით. წყალს, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ნატრიუმის ქლორიდს, ექნება – მლაშე, მაგნიუმის სულფატის შემცველს – მომწარო გემო. ყველაზე გემრიელად ითვლება თავისუფალი ნახშირორჟანგისა და ჰიდროკარბონატის იონების შემცველი წყალი (ეტიკეტზე აწერია, რომ წყალი ჰიდროკარბონატულია). ასეთი წყლის მაგალითს წარმოადგენს „ბორჯომი“.

## შეიძლება თუ არა მლაშე გემოს წყალი სადილის მოსამზადებლად გამოვიყენოთ

ყველა სახის მინერალური წყლის გამოყენება უსაზღვრო რაოდენობით არ

ონკანის გაღებისას იძულებულნი ვართ, იმით დავეკმაყოფილდეთ, რაც იქიდან მოედინება... წყალი, რომელიც ბოთლებით იყიდება, უფრო ფართო არჩევანის საშუალებას აძლევს ჯანსაღი კვების მოყვარულებს.

შეიძლება. მინერალური წყლით სადილის მომზადებას აზრი არა აქვს, რადგან ადულებისას მარილები ილექება ან ქმნის ნაერთებს, რომელსაც ორგანიზმი ვერ ითვისებს. ამით მატულობს თირკმლების დატვირთვა, რადგან სწორედ თირკმლებია იძულებული, გამოდევნოს ეს ნივთიერებები და შედეგად ვითარდება თირკმელკენჭოვანი დაავადება.

## ავადულობით თუ არ ავადულობ

თუ სასმელი წყალი მაცივარში ინახებოდა, მისი ადულება საჭირო არ არის. რაც შეეხება ქარხნულად დამუშავებულ მინერალურ წყალს, იგი მიკროორგანიზმებს მხოლოდ დასაშვები რაოდენობით უნდა შეიცავდეს, მაგრამ თუ წყალი თავახდილი ინახებოდა ოთახის ტემპერატურაზე ან იგი მითითებულ ვადაზე უფრო გვიან. გამოიყენეთ, უმჯობესია აადულოთ, როგორც ჩვეულებრივი სასმელი წყალი, რადგანაც მასში შემავალი პრიმიტიული ბაქტერიები მრავლდება და შეიძლება ზიანი მოაყენოთ. ადულების შედეგად გამოლექილი მარილები უნდა დალექოთ და გადაღვართ. საერთოდ კი უმჯობესია, ვადიანი და ახალგაზსნის წყალი მიირთვათ.

## შუშის ბოთლი სჯობს თუ პლასტმასის

წყალი შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც შუშის, ისე პლასტმასის ბოთლითაც. თანამედროვე პლასტიკის ჭურჭელი დაშლას მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იწყებს, ხოლო მინერალური წყლის შენახვის ვადა 1 წელს არ აღემატება.

## ფალსიფიცირებული წყალი

დადის ხმები, რომ ბოთლებში ჩამოსხმუ-

ლი სასმელი წყლები ჩვეულებრივი წყალსადენის წყალია, ხოლო მინერალური წყლების ფალსიფიცირების შესახებ ალბათ ბევრი გასმენიათ.

მინერალური წყლის ხელოვნურად შექმნა შეუძლებელია. ადამიანის გონება ვერ აღადგენს იმ რთულ „კოქტილს“, რომელიც ბიოლოგიურად აქტიურ ნაწილაკებს, მინერალებს, მარილებს, ორგანულ ნივთიერებებს და გაზებს შეიცავს, მაგრამ შესაძლებელია ხელოვნურად მინერალიზებული წყლის შექმნა, რომლის დასამზადებლადაც ჩვეულებრივი სასმელი წყალი უნდა გაიწმინდოს, როგორც მაწვე, ისე სასარგებლო მარილებისა და მინერალებისგანაც (თუმცა დღევანდელი ფალსიფიკატორები ასეთი გაწმენდის გარეშეც იოლად გადაინ). შემდეგ კი გაწმენდილ წყალს ემატება „საჭირო“ მარილები. შედეგად მიიღება არა აქტიური მინერალური წყალი, არამედ უბრალო მარილხსნარი. ასეთი წყალი მიეკუთვნება უაღკოპოლო სასმელებს და მას მინერალურ წყლებთან საერთო არაფერი აქვს.

ხელოვნურად მინერალიზებული წყალი მაწვე არ არის, მაგრამ არც სასარგებლოა. ჯანმრთელობისთვის საშიში შეიძლება გახდეს ასეთი წყლის რეგულარული გამოყენება დიდი რაოდენობით. ეს იწვევს მარილების დალექვას, ორგანიზმის წყალ-მარილოვანი ცვლის დარღვევას და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას.

## წყლები იყოფა შემდეგ კლასებად:

● სუფრის სასმელი (მინერალიზაცია შეადგენს 2 გ/ლ-მდე). მისი სმა შეგიძლიათ შეზღუდვის გარეშე.

● სამკურნალო-სუფრის (მინერალიზაცია 2-8 გ/ლ), სამკურნალო (მინერალიზაცია 8-15 გ/ლ). ეს წყლები შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ მაკრო და მიკროელემენტებს იონების სახით გახსნილ მდგომარეობაში, ორგანულ ნივთიერებებს, გაზებს. ასეთ წყალს ძირითადად ექიმის დანიშნულებით იღებენ, არა სისტემატურად, არამედ პერიოდულად და შეზღუდული რაოდენობით. მინერალური წყალი თერმული დამუშავებისას კარგავს სამკურნალო თვისებებს.



# რა არ ვიცით სიგარეტის შესახებ

ოთახში მონევის პრობლემა ახალი არ არის, მაგრამ სინამდვილეში წარმოდგენაც არა გვაქვს, როგორ გავლენას ახდენს ჩვენზე ჰაერთან შერეული თამბაქოს ბოლი.

მოგწონთ თუ არა — ეს შეგნებულნი არჩევანია, რომლის გაკეთების უფლება ყველა მოზრდილ ადამიანს აქვს, თუკი იგი იცნობს ყველა იმ მოსალოდნელ შედეგს, რაც სიგარეტის მოწევის მოპყვება, მაგრამ სულ სხვაგვარადაა საქმე მწვევლთა გვერდით მყოფი ადამიანების შემთხვევაში. სხვის მიერ მოწეული თამბაქოს ბოლთან ერთად ისინი იღებენ მომწამლავ ნივთიერებათა არათუ ნაკლებ, არამედ ზოგჯერ უფრო მეტ დოზასაც კი, ვიდრე თავად მწვევლი.



## თამბაქოსთან ბრძოლის 530 მიზეზი

კვამლი, რომელსაც მწვევლი უხვად უზიარებს გარშემომყოფთ, შეიცავს 30 სახის ნატურალურ შხამს და 500-მდე კანცეროგენურ ნივთიერებას, რომელიც იწვევს კიბოს განვითარებას და ამასთან მრავალჯერადად აძლიერებს სხვა შხამების მოწამლავ მოქმედებას. აი, ზოგიერთი მათგანი:

● **ნიკოტინი.** კარგად ცნობილი, ძლიერი ტოქსინია. იწვევს ბრონქების დამცავი უჯრედების პარალიზებას, ავითარებს შინაგანი ორგანოებისა და ქსოვილების ქრონიკულ ჟანგბადოვან შიმშილს. თამბაქოს კვამლის სხვა შემადგენელთან — ნახშირჟანგთან ერთად ნიკოტინი განსაკუთრებულად საშიში ხდება. მწვევლი იღებს მხოლოდ მესამედს, დანარჩენი გარშემომყოფთ ერგება.

● **პოლონიუმი-210.** რადიოაქტიური ელემენტი. ვინც დღეში 20 სიგარეტს ეწევა, წლის განმავლობაში ასამდე რენტგენის სურათის ტოლ დასხივების დოზას იღებულს. გარშემომყოფებს ზუსტად იგივე დოზა ხვდება წილად. ამასთან ყოველწლიურად სიგარეტები სულ უფრო და უფრო „რადიოაქტიური“ ხდება: პოლონიუმ-210-ის რაოდენობა თამბაქოში მატულობს მსოფლიო ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გამო.

● **კადმიუმი.** მძიმე ლითონია, რომელსაც კანცეროგენური თვისებები გააჩნია. იგი ფილტვის კიბოს ძირითადი გამომწვევია. საკუთარი თავისთვის მწვევლი კადმიუმის მხოლოდ 10 პროცენტს იტოვებს

— დანარჩენი ჰაერში და მათ ფილტვებში გადადის, ვინც მწვევლის მახლობლადაა.

● **ნიკოტინი.** ორგანიზმში ამ ლითონის დაგროვება ხველის, ასთმის, ალერგიის ძირითადი მიზეზია. ასუსტებს იმუნიტეტს, ილეკება ღვიძლში, ფილტვებში, თავის ტვინში, თირკმლებში, ორგანიზმიდან ძნელად გამოიყოფა და იქიდან „გამორეცხავს“ საჭირო კალციუმსა და მაგნიუმს. სიგარეტში შემავალი ნიკელის ნახევარს, მწვევლი უხვად გამოყოფს გარემოში.

## თამბაქოს კვამლი — პროვოკატორი

თამბაქოს კვამლი რეაქციაში შედის ჰაერში არსებულ დამაბინძურებელ ნივთიერებებთან და რამდენჯერმე აძლიერებს მათ მოქმედებას ჩვენს ორგანიზმზე.

● **ზრდის პოლიციკლური ნახშირწყობების (რომელთა რაოდენობა ქალაქის ჰაერში გაუმდებით მატულობს) კანცეროგენურ აქტიურობას.**

● **ათასჯერ ზრდის აირადი სამრეწველო ნარჩენების ტოქსიკურობას (ბენზინის, ბენზოლის ორთქლი, გოგირდოვანი და ნახშირჟანგა გაზები).**

● **აკონდენსირებს ატმოსფეროში არსებულ აირს — რადონს. ამგვარად თამბაქოს კვამლზე „ამხედრებულ“ რადონი მაქსიმალური კონცენტრაციით შედის არამწვევლი ადამიანის ფილტვებში.**

● **თამბაქოს ნაწილაკების ზედაპირზე ხდება უარყოფითად დამუხტული იონების გადამუხტვა დადებითად. შედეგად ირღვევა იონთა შორის ბალანსი, რაც უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე. ერთი სიგარეტი ერთი მესამედით**

ამცირებს ოთახში უარყოფით იონთა რაოდენობას. ექვსი სიგარეტი კი საკმარისია იმისათვის, რომ უარყოფითი იონები საერთოდ აღარ დარჩეს.

## „მესამე მდგომარეობის“ ადამიანები

„მესამე მდგომარეობას“ უწოდებენ მეცნიერები მდგომარეობას ავადმყოფობასა და ჯანმრთელობას შორის. ამ მდგომარეობის ადამიანები არიან არა მხოლოდ მწვევლები, არამედ მათი ახლობლებიც, რომლებიც მოწამლულ ჰაერს სუნთქავენ. ამასთან, ეს უკანასკნელი კაცილებით მეტნი არიან. სოციოლოგთა მონაცემებით, „მესამე მდგომარეობაში“ პლანეტის მოსახლეობის 60%. მრავალწლიანი თამბაქოს ინტოქსიკაციის შედეგად მათ აღენიშნებათ სისუსტე, ქრონიკული ხველა, გაღიზიანებულობა, დაღლილობა, მოღუნება. აქტიური და პასიური მოწვევის მავნე შედეგები თანდათანობით გროვდება და ადრე თუ გვიან, მწვევლი და მისი ახლობლები, „მესამე მდგომარეობიდან“ ავადმყოფთა რიგებში გადაჰყავს. არამწვევლისათვის თამბაქოს ბოლი უფრო საშიშია, ვიდრე მწვევლისათვის, რომლის ორგანიზმში გარკვეულწილად ადაპტირებულია ტოქსინებისადმი. არამწვევლის ორგანიზმში კი კვამლის წინაშე დაუცველია.

## და ჯიღევ...

● მწვევლი მამაკაცების მეუღლეები სამჯერ უფრო ხშირად კვდებიან კიბოთი, ვიდრე არამწვევლებისა.

● ოჯახში ერთი მწვევლის არსებობა 2,5-ჯერ ზრდის ონკოლოგიურ დაავადებათა და გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების რისკს ოჯახის წევრთა შორის. თუ ორი ეწევა, მაშინ საშიშროება 5-ჯერ მეტია.

● პასიური მოწევა ამუხრუჭებს საკვერცხეების მოქმედებას, ამცირებს განაყოფიერების შანსს, ზოგჯერ უნაყოფობასაც იწვევს.

● თამბაქოს ტოქსინებს გამოაქვს ორგანიზმიდან ვიტამინები, აგრეთვე აქტიურად შლის მას.

● როდესაც ორსული შეისუნთქავს კვამლიან ჰაერს, 5 წუთის შემდეგ ნიკოტინი აღწევს ნაყოფის ორგანიზმამდე და ძალიან ნელა გამოიყოფა — ფერხდება პლაცენტასა და ჭიპლარში, რაც აზიანებს მის სისხლძარღვებს და არღვევს ნორმალურ კავშირს პლაცენტასა და ნაყოფს შორის. პატარას ეწევა პრობლემები სუნთქვასთან და ნივთიერებათა ცვლასთან დაკავშირებით. მწვევლი მამიკო 5-ჯერ ზრდის თავისი მომავალი შვილის ანომალიური განვითარების რისკს.

# სელოვნური განათების ბუნებრივი კანონები

**სელოვნური განათება ისევე ახდენს გავლენას ჩვენს ჯანმრთელობასა და განწყობაზე, როგორც მზე, ამინდი და სხვა ბუნებრივი პირობები. იგი თანამედროვე გარემოს განუყოფელ ნაწილად იქცა.**

## სინათლე და ჩვენი ჯანმრთელობა

სიკაშკაშე ანუ განათებულობის სარისხი. ძალიან მბუჭტავი ან კაშკაშა სინათლე თვალის ბროლის კუნთების გადაძაბვას იწვევს. ეს ხელს უწყობს ახლომხედველობის განვითარებას, იწვევს საერთო დაღლილობას. მეტად მნიშვნელოვანია, თუ როგორაა გადანაწილებული მხედველობის არეში სხვადასხვა ხარისხის სიკაშკაშის მქონე სინათლე. როდესაც თვალი გადადის განათებული ზედაპირიდან ნაკლებად განათებულზე, იგი იძულებული ხდება, ხელახალი ადაპტაცია განიცადოს და სწრაფად ილღება.

**სინათლის სპექტრი.** სინათლის ტონები პირობითად იყოფა თბილ (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი) და ცივ (ცისფერი, ლურჯი, იისფერი) ტონებად. ცივი ტონები სივრცის შთაბეჭდილებას ქმნის, თბილი (განსაკუთრებით წითელი) ამცირებს ოთახის ვიზუალურ ფართობს. თბილი მოყვითალო ტონები ნაკლებად აგრესიულია, ვიდრე მოწითალო. მწვანე ფერი დამამშვიდებელი მოქმედებით ხასიათდება.

## სიცოცხლე სწორი განათებით

### სამზარეულო

აქ განათება კაშკაშა და თანაბარი უნდა იყოს, მაგრამ არც იმდენად ინტენსიური, რომ თვალები გააღიზიანოს. უმ-

ჯობესია, ნუ შემოიფარგლებით ერთი, ჭერზე მიმაგრებული ნათურით, გამოიყენეთ „გაფანტული“ სინათლის წყაროები. ყურადღების ცენტრში უნდა იყოს სამუშაო ზონა – გაზქურა, საჭრელი მაგიდა და სველი წერტილი. მათ თავზე კი, სასურველია ჩამონტაჟებული ნათურა.

სასადილო მაგიდა იმსახურებს ცალკე განათებას. თუ იგი შუაში დგას, მისთვის ჭერის ნათურა გამოდგება. კედელთან მდგარი მაგიდის გასანათებლად კი შეიძლება ბრა გამოვიყენოთ. მაგიდის ლამპები ამ მიზნისათვის მოსახერხებელი არ არის: პატარა მაგიდაზე ის საჭირო ადგილს დაიკავებს, დიდზე კი – არათანაბრად გაანათებს.

### საბავშვო

აქ უნდა დავაყენოთ ისეთი სანათები, რომელიც კარგად ეგუება ტენს, აქვს საიმედო ელექტროიზოლაცია და კოროზიაგამძლეა – ამაზე მეტყველებს სანათის ე.წ. დაცვის მაჩვენებელი. იგი გამოიხატება ლათინური ასოებით IP და ორი ციფრით, რომელიც მას მოჰყვება. მაგალითად, IP32. პირველი ციფრი განსაზღვრავს სანათის დაცვალობას მტვრისა და წვირილი ნაწილაკებისაგან, მაგრამ საბავშვოსათვის მნიშვნელოვანი მეორე ციფრია, რომელიც ტენისაგან დაცვალობა-



ზე მიუთითებს (იგი არ უნდა იყოს 4-ზე ნაკლები). ტენგამძლე სანათებიც წყლის ჭავლისაგან მოშორებით უნდა განლაგდეს. ყველაზე უსაფრთხოა დაბალვოლტიანი სანათები 12-ვოლტიანი ჰალოგენური ლამპებით.

ცალკე განათება სჭირდება საბავშვოს სარკეს. კარგი იქნება, თუ ორ სანათს სარკის გვერდებთან მოათავსებთ თვალის ღონეზე ოდნავ მაღლა. მათი ჭერისაკენ ან იატაკისკენ ზემოქმედ გავანაცვლების შემთხვევაში, სახე არათანაბრად იქნება განათებული.

კევაში, სახე არათანაბრად იქნება განათებული.

### საბავშვო ოთახი

აქ სინათლე კაშკაშა, გაფანტული და მზის სინათლესთან მაქსიმალურად მიახლოებული უნდა იყოს. სანათები კი უსაფრთხო მასალისაგან უნდა იყოს დამზადებული. უმჯობესია, ზედა განათება. ჰალოგენურ და ლუმინესცენციურ ნათურებს ბავშვთა ოთახში ნუ გამოიყენებთ. პირველს იმიტომ, რომ მისი ზედაპირი ძალიან ცხელდება, მეორეს კი – იმიტომ, რომ კილბაში ვერცხლისწყლის ორთქლს შეიცავს.

### სასტუმრო და საძინებელი

ეს ოთახები დასასვენებლად განკუთვნილი, ამიტომ სიკაშკაშის საერთო ღონე მათში შეიძლება სამზარეულოსთან შედარებით ნაკლები იყოს. თუ საჭიროა კაშკაშა სინათლე, შეგიძლიათ დააყენოთ მძლავრი ნათურები და განათების ინტენსივობის მარეგულირებელი გადამრთველი.

## დავუკვირდი ხმაური

ადამიანებს, რომლებიც ხმაურიანი ავტომობილების მახლობლად ცხოვრობენ ან მუშაობენ, ხშირად ემართებათ გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები, მათ შორის არტერიული ჰიპერტონია და გულის იშემიური დაავადება. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ გერმანელი მეცნიერები, რომლებიც ორგანიზმზე ხმაურის გამღიზიანებლების გავლენას სწავლობდნენ. განსაკუთრებით მავნებელია ღამის ხმაური, თუ ადამიანს ღია ფანჯარასთან სძინავს.

## ცხოვრება ინჰალატორის გარეშე

ახალი ვაქცინა ბრონქული ასთმით დაავადებულ მილიონობით ადამიანს დაეხმარება, შეცვალოს თავისი ცხოვრება. ლონდონის გულისა და ფილტვის დაავადებათა ინსტიტუტის მკვლევარებმა განაცხადეს, რომ პრეპარატი საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა მოხრჩო-

ბისა და მწვავე ალერგიული რეაქციების მოსახსენებლად. რაც ყველაზე მთავარია, წამალი თანდათანობით ამცირებს იმუნური სისტემის მგრძობელობას ალერგიის გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორისადმი და საბოლოოდ იგი მინიმუმამდე დაჰყავს. პერსპექტივაში მეცნიერებს ალერგიული რეაქციის მთლიანად „გათიშვის“ იმედი აქვთ.

## ჰარფიუმიარია მამაჩაყვას აბყუებს

სუნამოების ყვავილოვანი არომატი მამაკაცებში ქალის სხეულის ტანადობის ილუზიას იწვევს. ეს გასაოცარი აღმოჩენა ამერიკის, ჩიკაგოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცნიერებმა გააკეთეს. სპეციალისტებმა ისიც კი დათვალეს, რომ კეთილსურნელოვანი ქალბატონი მამაკაცთა თვალში რეალურ წონაზე 5-6 კგ-ით ნაკლებს იწონის.

# გერმანული ნაგაზი „ჩემპიონი“ ადამიანის ოთხთუხა მეგობრებს შორის



კინოლოგები მას ამ და გასული საუკუნეების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ძაღლად მოიხსენიებენ. თუკი სხვა ჯიშის ძაღლებზე მოდა წარმოუდგენლად სწრაფად — თითქმის ყოველ სეზონზე იცვლება, გერმანული ნაგაზის მიმართ საყოველთაო სიყვარული მუდმივად გრძელდება.

## მაქს ფონ შტეფანიცის უნივერსალი

ჯერ კიდევ ბავშვობაში თითქმის ყველა ჩვენგანისთვის, ათლეტური აგებულების, დაცქვეტილყურებიანი, ყურადღებიანი, გონიერი თვალების მქონე გერმანული ნაგაზი ძაღლების მოდემის სრულყოფილ განსახიერებას წარმოადგენდა. იგი მართლაც, მრავალგვარი ნიჭით არის დაჯილდოებული: მას შეუძლია, იყოს: დარაჯი, მცველი, მონადირე, სპორტსმენი, რაც მთავარია — ერთგული მეგობარი. ალბათ გგონიათ, რომ ყველასათვის ცნობილი, გერმანული ნაგაზები დასაბამიდან არსებობდნენ. სინამდვილეში, ეს ჯიში 100 წელზე ცოტათი მეტი ხნის არის. XIX საუკუნის ბოლოს, გერმანიის ტერიტორიაზე ორგვარი სახეობის ნაგაზი იყო: ტიურინგული — არამსხვილი, ლამაზი, დაცქვეტილი ყურებით, მაგრამ რგოლივით დახვეული კუდით, და ვიურტემბერგული — მაღალი, გრძელბეწვიანი, სწორი კუდით და ჩამოვარდნილი ყურებით.

ორივე ჯიშს რამდენიმე ნაკლი ჰქონდა, მაგრამ ისინი მშვენივრად ავსებდნენ ერთმანეთს. იდეალური მეცხვარე ძაღლის ჯიშის გამოსაყვანად ამ ორი ჯიშის შეჯვარება გადაწყვიტეს. ასე მივიღეთ

გერმანული ნაგაზი. მის „მამად“ მაქს ფონ შტეფანიცს მიიჩნევენ, რომელმაც ამ ძაღლის უნივერსალობა აღმოაჩინა. სწორედ მას უნდა უმაღლოდეს გერმანული ნაგაზი გამოფენებზე გამოჩენასა და მისი პოპულარობის სწრაფ ზრდას. მოგვიანებით ჯიშის დახვეწაზე გერმანიის საუკეთესო კინოლოგები ზრუნავდნენ. მათ გერმანული ნაგაზი მგელსაც კი შეუჯვარეს, რომ მეტად ამტანი გამხდარიყო, მაგრამ ცდების შედეგად მიღებული ლეკვები ძაღზე აგრესიულები აღმოჩნდნენ და სპეციალისტებმა ბუნებასთან სახიფათო თამაში შეწყვიტეს.

## ზნე-ჩვეულებათა შემთვისებელი მსახური


ამასობაში გერმანული ნაგაზი ყველაზე კარგი გასაწვრონელი ძაღლი გახდა, რომელიც ნებისმიერ გარემო პირობას მშვენივრად ეგუება. თუმცა, მხოლოდ ამ თვისებების გამო არ გამხდარა იგი შეუცვლელი სასაზღვრო ჯარსა და პოლიციაში. სხვადასხვა ცვლაში მუშაობის რეჟიმი მისთვის „პატრონებისა“ და „პარტნიორების“ გარდაუვალ შეცვლას გულისხმობს. აქაც გამოძვლავნდა მისი უნარი, ერთნაირად კარგად იმუშაოს ნებისმიერ ადამიანთან. იმაზე, თუ რამდენად

ადვილად ეწყობა ეს ძაღლი პატრონის ხასიათს, ლეგენდებიც კი დადის. ადამიანთან თავისი „პლასტილინისებური“ შეთვისების გამო, გერმანული ნაგაზი მეგობარი და საყვარელი არსება ხდება ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ადამიანებისთვის. ამ ჯიშის ძაღლები შესანიშნავად ეთვისებოდნენ მაგალითად: მარგარეტ ტეტჩერს, ესპანეთის მეფე — ხუან კარლოსს, მონაკოს პრინცესა სტიფანიას და ბელარუსის პრეზიდენტ — ალექსანდრ ლუკაშენკოს. ხოლო ცნობილ მსახიობს, მარინა ვლადის გერმანული ნაგაზის მთელი სანაშენე აქვს.

## მხიარული, მზრუნველი, სანდო

სერიოზულობასთან ერთად, ამ დამხმარე ძაღლებმა თამაშის ფასიც კარგად იციან. როგორც მხიარულ ცუგებს, უყვართ ბურთით თამაში, ბუზების და თავების ჭერა, ცურვა და სირბილი — ისე, უბრალოდ, საკუთარი სიამოვნებისთვის. გერმანული ნაგაზები საოცრად მეგობრულად არიან განწყობილნი ბავშვების მიმართ, რომლებსთვისაც ხშირად ნაზი და მზრუნველი ძიძები ხდებიან ხოლმე. ოჯახში ისინი კარგად ეგუებიან სხვა შინაურ ცხოველებსაც, რომელთაც სანდო დაცვას სთავაზობენ. ასეა თუ ისე, ამ ჯიშის ცხოველთა მთავარ ღირსებად მათი უნივერსალობა მიიჩნევა. ამიტომაც არის გერმანული ნაგაზი მაღალი კლასის პროფესიონალი. ის ნარკოტიკებს პოულობს, გამყოლად მუშაობს თუ ნანგრევებში მოყოლილ ადამიანებს ეშველება — ნებისმიერ შემთხვევაში, ეს დიდი, ჭკვიანი და ერთგული ცხოველი მუდამ ცოცხალი დასტური იქნება ძველი ჭეშმარიტებისა, რომ ძაღლი ადამიანის მეგობარია.





# გაგონიერი არაფინანსით ხუმრობები

კორნელი კეკელიძე რევოლუციამდე ერთი პერიოდი, დეკანოზი ყოფილა. რევოლუციის შემდეგ, როდესაც სამეცნიერო საქმიანობას მიჰყო ხელი და უნივერსიტეტის დეკანად დაინიშნა, შალვა ნუცუბიძეს უთქვამს: შენ რა გიჭირს? – რევოლუციამ მხოლოდ ორი ასო – „ოზ“ დაგაკარგვინა – დეკანოზი იყავი და დეკანი გახდიო.

\*\*\*

შალვა ნუცუბიძისთვის ერთ, ზედმეტად თვითდაჯერებულ პოეტს უკითხავს:  
– რა უფრო მოგწონთ ჩემი შემოქმედებიდან?  
– შენი უფროსი ქალიშვილი! – არ დაუმაღლავს ბატონ შალვას.

\*\*\*

ერთ-ერთ თავყრილობაზე შალვა ნუცუბიძისთვის ნაცნობს უკითხავს:  
– როგორ ბრძანდებით, ბატონო შალვა?  
– მეხივით ვარ, მეხივით! – ჩასცინებია შალვა ნუცუბიძეს.  
– გამოიწიეთ – თავში არ დაგეცეთ! – გახუმრება სცადა თურმე ვილაცამ.  
შალვა მიჰბრუნებია და მშვიდად უთქვამს:  
– ნუ გეშინია, მეხი ცარიელ ადგილებს არ ეცემა...

\*\*\*

ნიკო მუსხელიშვილისთვის უსაყვედურიათ:  
– ძალიან ბევრ სიგარეტს ეწევით, ბატონო ნიკო.  
– თუმცა მართლაც ბლომად ვიღებ ნიკოტინს, ნიკოტინი ვერას აკლებს ნიკოს ტვინს! – მოუღუქვსია მუსხელიშვილს.

\*\*\*

ახალდაარსებული „ცისკრის“ რედაქტორის, ვახტანგ ჭვლედიძის კაბინეტში, ჟურნალის მომდევნო ნომრის მაკეტზე საუბრობდნენ. საქმით გართულ რედაქტორს დავიწყებია, თანამშრომლებისთვის დასხდომა შეეთავაზებინა. ნოდარ ღუმბაძეს ველარ მოუთმენია და უთქვამს:  
– ბატონო ვახტანგ! სანამ არ შემესობა აი ფეხები საჯდომში, არ დამსვამ?

\*\*\*

ბერნარდ შოუ, იმ დროს ცნობილ ამერიკელ ფინანსისტს გადაეყარა, რომელიც ბენდიერი იყო გამოჩენილ მწერალთან საუბრით.  
– მისტერ შოუ, გატყობთ, რაღაც გაწუხებთ. მზად ვარ, I დოლარიც კი გადავიხადო, რომ გავიგო, თუ რაზე ფიქრობთ.  
– თემა იმდენად უმნიშვნელოა, რომ ამ თანხის გადახდად ნამდვილად არ ღირს, – უპასუხა შოუმ.  
მაგრამ ამერიკელი არა და არ ეშვებოდა და ბოლოს, მწერალმა გაუშიფრა, თუ რას გულისხმობდა თემის უმნიშვნელობაში:  
– გამოვიტყვებით, გეთაყვა – თქვენზე ვფიქრობდი...

\*\*\*

ფერენც ლისტი არა მარტო გამოჩენილი კომპოზიტორი, არამედ უბაღლო პიანისტი გახლდათ და აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ეწეოდა. მაგრამ ბევრი თანამედროვე ვერ სწვდებოდა მის გენიალობას და ხშირად, დარბაზი სტვენითაც კი გამოხატავდა უკმაყოფილებას. ერთხელ, როცა ლისტი ბერლინში მიემგზავრებოდა, მას საბაჟოზე ჰკითხეს:  
– რა არის თქვენი მოგზაურობის მიზეზი?  
– ის, რომ მსმენელთა აღშფოთება და სტვენა გამოვიწვიო, – მშვიდად უპასუხა ლისტმა. ■

## ანეკდოტები

კაცი მკითხავთან მივიდა. მკითხავმა კარტი გაშალა და ეუბნება:  
– უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრა, რომ თქვენი სახლის მახლობლად განძია დამარხული.  
კაცი ფეხზე წამოხტა:  
– ეს უკვე მეტისმეტია! თქვენ რა, ჩემს ცოლთან პირი ხომ არ შეკარით, მისი პირველი ქმრის გარდა, სხვა არაფერზე რომ არ ლაპარაკობთ?!

\*\*\*



რაინდი ჯვაროსნულ ლაშქრობაში მიემგზავრება. ცოლს ერთგულების სარტყელი ჩააცვა, კიბეზე ჩამოდის და გასაღებს

ჯიბეში იღებს. მეგობარი ეუბნება:  
– რა ჯანდაბად გინდოდა, ეგ სარტყელი რომ ჩააცვი? ისეთი მახინჯია, მაინც არავინ შეხედავს.  
– უკან რომ დავბრუნდები, ვეტყვი, გასაღები დამეკარგა-მეთქი...



ვირვებულმა მასპინძელმა ჰკითხა:  
– კი, მაგრამ ასე რატომ დასხედით? ნახეთ, რადენი ადგილია.  
– აბა, თეფშები რატომ გაქვთ ერთმანეთზე დაწყობილი?

\*\*\*

სვანი სტუმრად დაპატიჟეს.  
მასპინძელმა სუფრა გაუშალა. სვანი მაგიდასთან დაჯდა, ცოლი კალთაში ჩაისვა, ცოლმა კი ბავშვი ჩაისვა კალთაში. გაკვირვებულმა მასპინძელმა ჰკითხა:  
– კი, მაგრამ ასე რატომ დასხედით? ნახეთ, რადენი ადგილია.  
– აბა, თეფშები რატომ გაქვთ ერთმანეთზე დაწყობილი?

\*\*\*

– უნდა ვაგაფროთხილო, რომ ჩემი ქმარი ორმოც წუთში უკან დაბრუნდება.  
– მერე რა? მე ხომ ჯერ ისეთს არაფერს ვაკეთებ?  
– ჰოდა, მეც მაგიტომ გეუბნები...



























\*\*\*

ორი ჯიბგირი საკანში საუბრობს:  
– ნახე, რა მაგარი საათი აქვს ციხის უფროსს?  
– არა, მანახვე...

\*\*\*

ბიჭიკია ამბობს:  
– ჭიჭიკიას იმისთანა მახინჯი ცოლი ჰყავს, ვირთხებმა პასპორტი რომ შეუჭამეს, სურათისთვის პირი არ დაუკარგებიათ.



					გურთიანება სამკურნეო სქემის შესასრულელად	„ჩიბების კომპლდის“ ტრადიციული პერსონაჟი	სპორტ-სმენი	„სახალხო რომანი“ (ო. მუტის პარტიკირი)	რუსი ილუზიონისტი	
	ასოთა გამოცევის უნარი (ტრენულად)									
	მუსიკალური ტემბის განსაზღვრელი ხელსაწყო									
	სიმღერის შესრულების ტრადიციული ტყე									ხელოვნური თმა
	ორგანიზმის რეაქცია მკვარათა ყვავილობაზე									იაპონური თეატრი
რაიმე სიდიდის პირობითი აღნიშვნა			საქართველოს ისტორიული მხარე		კულტურის ყოფილი მინისტრი სქრუფლოზი					
									ლარიშვილი ან ავაგუშვილი	
			ხეხილი				ცალკეული პროგრესის გეგმურე თელოზი	უიშვიათე-სი მირაჟი - ფატა...	ჩინური ჭადრაკი	
პროსპერ მერიმეს ნოვლა „ფალკონე“	„ევრიკა“ (შემახილის ავტორი)				XX ს. ფრანგი კომპოზიტორი	ქეფანა, დედაქალაქი დამასკო				
კალთის უკანა ნაწილი					სულის ხუთვა (ავადმყოფობა)					ხანმოკლე სტუმრობა
რადიოაქტიური ელემენტი		შხის ღმერთი ძველ ეგვიპტეში			მდინარე პოლინეთში					
					„მე, ბებია, ... და ილარიონი“					
ქლაქე 1981 წლიდან საქრთველოში			პატრუქი		„სახარების“ ავტორი					
ტრაველია „ფაუსტი“ (ავტორი)										
					მინოსის ქალიშვილი					
მადრიდის „რეალის“ ყოფილი კაპიტანი					დიდი ფრინველის ფრენის სტილი					

მე-17 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-გ. 21-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ბ; 3-გ; 4-გ.

# კვირის (7 - 13 ივლისი)

## ბიზნისი - 22/VI-22/VII

**ქალი:** თქვენი საქმიანი აქტიურობა კვირის პირველივე ნახევარში იჩენს თავს, მეორე ნახევარში კი, ხელსაყრელ ურთიერთობებს დაამყარებთ. ნუ გაანდობთ პირად საიდუმლოს უახლოეს დაქალსაც კი: ასე უფრო მშვიდად იქნებით.

**მამაკაცი:** შეიძლება, სამსახურში შეცდომები დაუშვათ. თუ ამას დაუფარავად აღიარებთ, ავტორიტეტს აიმაღლებთ თანამშრომლების თვალში. კვირის შუა პერიოდში, მეტი აქტიურობა გამოიჩინეთ, მათ შორის პირად ცხოვრებაშიც.

## ღიბი - 23/VII-23/VIII

**ქალი:** სილაპაპის სალონში ვიზიტის შედეგად, საოცრად მომხიბლავი გახდებით. გამოიყენეთ ეს გარემოება მოლაპარაკებების გამართვისას. კვირის მეორე ნახევარში, სიფრთხილე გამოიჩინეთ პირად ცხოვრებაში: ერთდროულად რამდენიმე მამაკაცს ნუ ეთამაშებით!..

**მამაკაცი:** დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსასვლელად შესაფერისი დროა — ეს წინა პერიოდის ზოგიერთ დანაკლისსაც ავინაზღაურებთ. მეგობრის უღირსი საქციელის თაობაზე მიღებული ცნობის შემთხვევაში, ნუ იჩქარებთ დასკვნების გამოტანას: შესაძლოა, ეს სიტუაციით იყო ნაკარნახევი.

## ქალწული - 24/VIII-23/IX

**ქალი:** საუცხოო დროა შევბუღებაში გასასვლელად. მაგრამ თუ ამას ვერ ახერხებთ, გული იმით დაიმშვიდეთ, რომ საქმიანობის გაგრძელება დამატებით შემოსავალს მოგიტანთ. მეტი ყურადღება დაუთმეთ საკუთარ ჯანმრთელობას.

**მამაკაცი:** ნუ მოერიდებით ლიდერობის გამოძღვანებას — სამსახურში რაღაც ცვლილებების გამო, შეიძლება, დაწინაურების შანსი გაგიჩნდეთ. კვირის მეორე ნახევარში, მნიშვნელოვანს ნურაფერს დაგეგმავთ.

## სახსრბი - 24/IX-23/X

**ქალი:** მთლიანად ნუ გადაეშვებით ოჯახური პრობლემების მორევში, მეტი დრო დაუთმეთ საკუთარ პროფესიულ ზრდას, რადგან ამ შემთხვევაში, სერიოზული, კარგი პერსპექტივა გადაგეგმვლებათ.

**მამაკაცი:** შევბუღებაში გასვლამდე, მოავარეთ სამსახურში არსებული ყველა პრობლემა. საკუთარი შეცდომების აღიარებაც არ გაწყენთ — ეს ზოგიერთ თანამშრომელთან გაუგებრობის გარკვევას შეუწყობს ხელს.

# სსპროლოგიური პროგნოზი

## ღიბი - 24/IX-22/XI

**ქალი:** კვირის პირველ ნახევარში, შეიძლება, სასიამოვნო ცნობები მიიღოთ. სამაგიეროდ, მოუცლელი სამსახურში, ოჯახური კონფლიქტის მიზეზი გახდება. ამ მხრივ, განსაკუთრებული სიფრთხილე კვირის მეორე ნახევარში გმართებთ.

**მამაკაცი:** მთელი გულისყურით მოეცდეთ კვირის პირველ ნახევარში წარმოქმნილ პრობლემებს, რადგან ისინი თქვენზე დაუდევრობის შედეგად გაგიჩნდებათ. ამჟამად ჯობს, მთლიანად საკუთარ თავს დაეყრდნობით.

## გვიწოდოსანი - 23/XI-21/ XII

**ქალი:** თქვენი მომხიბვლელობა, თქვენდამი მამაკაცი კოლეგების ყურადღებას გაათამაგებს, ეს კი სასარგებლო გარიგებების საშუალებას მოგცემთ. კვირის დასაწყისში, მივლინებაში წასვლა მოგიწევთ ან შესაძლოა, მნიშვნელოვანი დოკუმენტის ხელმოწერა შემოგთავაზონ.

**მამაკაცი:** მოსალოდნელია აღმოჩენები (კვლევიითი სფეროს მუშაკთათვის), შემოქმედებითი წარმატებები ან შეხვედრა კერპთან. კვირის დამლევისთვის, ფინანსური საქმეების მოწესრიგებას გირჩევთ, რათა თავი აარიდოთ ყოველგვარ მოულოდნელობას.

## თხის რქა - 22/XII-20/I

**ქალი:** ხელსაყრელი პერიოდია უცხოენის შესასწავლად — ადვილად აითვისებთ ყველა გაკვეთილს. მეგობართან შემთხვევითი შეხვედრის შედეგად, შეიძლება, ერთად საინტერესო საქმე წამოიწყოთ. უქმეებში მოსალოდნელია სიურპრიზები საყვარელი ადამიანისგან.

**მამაკაცი:** ეცადეთ, მოახდინოთ სრული კონცენტრაცია უმთავრესზე და სოლიდური ხალხის მხარდაჭერა გარანტირებული გეგმებით. ნუ ეცდებით მოვლენების ფორსირებას — მოვლენები ისედაც თქვენდა სასიკეთოდ ვითარდება.

## გვიწოდოსანი - 21/I-19/II

**ქალი:** ამ კვირაში, არასტაბილურობის პერიოდი დამთავრდება, უარყოფითი ემოციებისგანაც გათავისუფლდებით და ახალ ადამიანებსაც გაიცნობთ, რომლებიც ყველანაირად ამოგიდგებიან მხარში.

**მამაკაცი:** საქმიანი კავშირების გაფართოების საშუალება მოგეცემათ. შესაძლოა, თქვენთვის ნაყოფიერი აღმოჩნდეს რაღაც საზოგადოებრივ საქმეში ჩაბმა. თუ შორეულ მოგზაურობაში წასვლა მოგიხდათ, საპატიო ტრანსპორტით ნუ ისარგებლებთ.

## თხის რქა - 20/II-20/III

**ქალი:** საოჯახო საქმეების მოგვარების ან საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გარკვევის დროა. ხელში აიღეთ ინიციატივა. ნურც საკუთარ ჯანმრთელობას დაივიწყებთ. უქმეები, რომანტიკული პაემნისთვისაა ხელსაყრელი.

**მამაკაცი:** ნუ გამოიჩინებთ ზედმეტ სივიუტეს საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას. თუ რისკის გაწევის სურვილი გაგიჩნდათ, უმჯობესია, ეს კვირის პირველ ნახევარში გააკეთოთ. მეორე ნახევარში კი, ნებისმიერი დახმარება მიიღეთ.

## გვიწოდოსანი - 21/III-20/IV

**ქალი:** მოუცლელი მიუხედავად, ეცადეთ, მაინც გამოიხატოთ დრო წვეულებაზე წასასვლელად — შეიძლება, იქ ახალი მეგობრებიც შეიძინოთ. კვირის დასაწყისში, ეცადეთ, მაქსიმალური მიუკერძოებლობა გამოიჩინოთ.

**მამაკაცი:** თქვენი სიმტკიცე, ბოლოს და ბოლოს, ყველას დაარწმუნებს თქვენს ღირსებებში, რაც თქვენი კარიერის აღმასვლის საწინდარი იქნება. მოსალოდნელია, რომ თქვენ მიერ განვლილი გზა კოლეგების საფუძვლიანი მსჯელობის საგნადაც იქცეს.

## გვიწოდოსანი - 21/IV-21/V

**ქალი:** კვირის დასაწყისში, სიფრთხილე გამოიჩინეთ ფულის ხარჯვისას. კვირის შუა პერიოდში, თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ახლობელ ადამიანებთან განშორება მოგიწევთ. უქმეებისთვის, შესაძლოა, შელაპარაკება მოგიხდეთ დაქალთან.

**მამაკაცი:** ახლობლები და მეგობრები დიდ დახმარებას (შესაძლოა, მატერი-ალურსაც) გაგიწევენ. აუცილებლად გადაამოწმეთ, კვირის შუა პერიოდში მიღებული ინფორმაცია. ნუ გადადგამთ გადაწყვეტ ნაბიჯებს პარასკევამდე.

## ბიზნისი - 22/V-21/VI

**ქალი:** საუკეთესო დროა ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოსავლენად. არ არის გამორიცხული, რომ თქვენი ახალი იდეებით სხვებზე დაინტერესდნენ. ნუ შეუშინდებით იმას, რომ ზოგი, თვითრეკლამირებაში დაგდებთ ბრალს.

**მამაკაცი:** პროექტები, რომელშიც ახლა ხართ ჩაბმული, კიდევ დიდხანს გაგრძელდება, ფინანსურ წარმატებას და სხვა სასიკეთო ცვლილებებსაც მოგიტანთ. კვირის ბოლოს, შეიძლება, რაღაც კარიგებამ დაგაინტერესოთ.

# როგორია თქვენი მეორე ნახევარი მეუღლის და მამის აპლუაში?



თუ თქვენს მეუღლეს ისე შეერვიეთ, რომ მის უარყოფით მხარეებს საერთოდ ვეღარ ამჩნევთ, ფიქრობთ, რომ ის ყოველთვის მართალია, თქვენთანაც და შვილებთანაც, გირჩევთ, უპასუხოთ ტესტის შეკითხვებს, რათა დაადგინოთ, მართლა იდეალურია თქვენი მეორე ნახევარი, როგორც მეუღლე და მამა, თუ თქვენ ილუზიების ტყვეობაში იმყოფებით და სასწრაფოდ უნდა მიმართოთ ზომებს.

- 1) შეგიძინებიათ თუ არა, რომ თქვენი მეუღლე უკეთესად უვლის და უკეთესად ეპყრობა უფროს შვილს, ვიდრე უმცროსს?
  - ა) დიახ, ხშირად - 2;
  - ბ) ამას არ დაჰკვირვებინათ - 1;
  - გ) არა, ასე არასოდეს იქცევა - 0.
- 2) ფიქრობთ თუ არა, რომ ცოლქმრის განქორწინების შემთხვევაში, ბავშვები აუცილებლად დედასთან უნდა დარჩნენ?
  - ა) დიახ, აუცილებლად - 2;
  - ბ) ამაზე არ გიფიქრიათ - 1;
  - გ) არა, რომელი მშობელიც უკეთეს პირობებს შეუქმნის, შვილებმაც მასთან უნდა იცხოვრონ - 0.
- 3) ფიქრობთ, თუ არა, რომ თუ მამაკაცი კარგი მეუღლეა, ის აუცილებლად კარგი მამა იქნება?
  - ა) დიახ, რა თქმა უნდა - 2;
  - ბ) არა, ეს ამას არ ნიშნავს - 0;
  - გ) ამის განსაზღვრა ძნელია - 1.
- 4) ფიქრობთ თუ არა, რომ შვილებს ის აღზრდის საქმეში მამის აზრი გადასწყვეტია?
  - ა) დიახ - 2;
  - ბ) თანაბრად - 1;
  - გ) არა, დედის აზრი უფრო მნიშვნელოვანია - 0.
- 5) ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ შვილების გაჩენის შემდეგ, ცოლი ქმარს ჩვეულებრივ, ნაკლებ ყურადღებას უთმობს?
  - ა) დიახ, ხშირად ასე ხდება - 2;

- ბ) ძნელი სათქმელია - 1;
- გ) არა, ყურადღებას ქალი, ჩვეულებრივ, ქმარს და შვილებს შორის თანაბრად ანაწილებს - 0.
- 6) ეთანხმებით თუ არა აზრს, რომ ცუდი მამის ყოლას სჯობია, შვილები უმამოდ იზრდებოდნენ?
  - ა) დიახ - 2;
  - ბ) მიჭირს პასუხის გაცემა - 1;
  - გ) არა, ბავშვს მამა აუცილებლად სჭირდება - 0.
- 7) როგორ გგონიათ — ვის უნდა მიმართოს ბავშვმა პირველ რიგში, როცა რაიმე პრობლემა გაუჩნდება?
  - ა) დედას - 2;
  - ბ) სულერთია, დედას თუ მამას - 1;
  - გ) მამას - 0.
- 8) როგორ გგონიათ — ჩვეულებრივ, ვინ უფრო ათამამებს შვილებს?
  - ა) დედა - 2;
  - ბ) ბებია-ბაბუა - 1;
  - გ) მამა - 0.
- 9) მიგაჩნიათ თუ არა, რომ მამაკაცი შეზულებლობა აუცილებლად ცოლ-შვილთან ერთად უნდა გაატაროს?
  - ა) რა თქმა უნდა - 2;
  - ბ) გიჭირთ პასუხის გაცემა - 1;
  - გ) არა, კაცს თავისუფლება და ოჯახისგან ცოტა ხნით დასვენება სჭირდება - 0.
- 10) როგორ გგონიათ — რომელი

- მშობელი უნდა უყვარდეს შვილს უფრო მეტად?
  - ა) მამა - 2;
  - ბ) ორივე თანაბრად - 1;
  - გ) დედა - 0.
- 11) ფიქრობთ თუ არა, რომ ახალდაბადებული შვილის მოვლა ცოლმა და ქმარმა თანაბრად უნდა ითავონ?
  - ა) ქმარმა მეტი შრომა უნდა იტვიროს - 2;
  - ბ) თანაბრად უნდა გაინაწილონ - 1;
  - გ) დედას ბავშვის მოვლაში მეტი პასუხისმგებლობა აკისრია - 0.
- 12) მიგაჩნიათ თუ არა, რომ ვაჟიშვილისთვის მამა უფრო დიდი ავტორიტეტია, ვიდრე დედა?
  - ა) დიახ - 2;
  - ბ) არა, ორივე მშობელს თანაბარი გავლენა აქვს - 1;
  - გ) არავითარ შემთხვევაში! შვილისთვის დედა უფრო დიდი ავტორიტეტია - 0.

მიღებული პასუხები დააჯამეთ ჯგუფების მიხედვით: I ჯგუფი — 1), 4), 8) და 10) კითხვებზე მიღებული ქულები, II ჯგუფი — 2), 5), 7) და 12) კითხვებზე მიღებული ქულები და III ჯგუფი — 3), 6), 9) და 11) კითხვებზე მიღებული ქულები. ნახეთ, რომელ ჯგუფში დააგროვეთ ქულათა მეტი რაოდენობა და იმ ჯგუფის შედეგებს გაეცანით:

## დათვალეთ, პასუხების რომელი ჯგუფი ჭარბობს თქვენს არჩევანში.

I ჯგუფი — ყველანი, მას „ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად“ მიიჩნევთ და მის გადაწყვეტილებას აღარავინ აპროტესტებს. ის მკაცრია, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დისციპლინას, შვილებისგან მორჩილებასა და მისი ყველა მითითების კეთილსინდისიერად შესრულებას მოითხოვს. ერთი შეხედვით, ეს „იდეალური“ პირობები შვილებზე არცთუ ისე დადებითად აისახება. მამასა და შვილებს ერთმანეთთან სულიერი კავშირი არა აქვთ.

II ჯგუფი — თქვენი მეუღლე მეტისმეტად თავგამოდებით ზრუნავს ოჯახის კეთილდღეობაზე. ის თითქმის სულ სამსახურშია, ამიტომაც, შვილების აღზრდა

თქვენთვის აქვს მონდობილი. მიაჩნია, რომ შვილებს ყველაზე კარგად დედა უზატრონებს. ჯობს, ამ შემთხვევაში, პატარა ეშმაკობას მიმართოთ — დროდადრო, ნათესავეებთან გაემგზავროთ და შვილები მისახედად მამას დაუტოვოთ.

III ჯგუფი — თქვენი მეუღლე ძალიან თანამედროვე მამაა, ამიტომაც ოჯახზე ზრუნავს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თავისუფალი დრო არა აქვს, ცდილობს, საღამოობით, შვილების გვერდით იყოს და მათ აღზრდაშიც დიდი წვლილი შეიტანოს. შვილებიც, თავის მხრივ, მამას აღმერთებენ, უყვარებენ და სანუკვარ სურვილებს და გულსინაძებს სიამოვნებით უზიარებენ.

# სასამაჩთომ ნუდისტი გაამაჩთდა

ბრიტანეთში ცნობილი, ადამიანის უფლებათა დამცველი და ნუდისტი სტივ გაფი პოლიციამ მაშინ დააკავა, როდესაც ის ერთ-ერთ ტელეარხს აძლევდა ინტერვიუს. ამ დროს, გაფს მხოლოდ წინდები და ფეხსაცმელი ეცვა, ქული ეხურა და ზურგჩანთა ჰქონდა ჩამოკიდებული. სწორედ ამ ფორმით აპირებდა იგი თითქმის მთელი ბრიტანეთის მოვლას: მის მიერ დაგეგმილი მარშრუტი დაახლოებით 1363 კმ-ს შეადგენდა. გაფის თქმით, ამ აქციით მას სურდა, მიექცია საზოგადოების ყურადღება გავრთიანებულ სამეფოში ნუდისტების დევნა-შევიწროებისათვის და აეძულებინა ხელისუფლება, გაუქმებინა ნუდისტების მიმართ დისკრიმინაციული კანონები. გაფს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში წაუყენეს ბრალი, მაგრამ მოგვიანებით, პროკურორმა აღიარა, რომ მის ქმედებაში ადვილი არ ჰქონია „დანაშაულის შემადგენლობას“ და გაფს ბრალდება მოეხსნა.



# 34-ისცანში ოხლვიძიანი ბიჭი ცხობხობს



დიაფრაგმის ოპერაციის დროს, ამ ქვეყნის დედაქალაქის – რავალპინდის კლინიკის ქირურგებმა 11 წლის იმრან თარიკს მეორე, ჩვეულებრივად მოქმედი ღვიძლი აღმოუჩინეს. 5-საათიანი ოპერაცია წარმატებით დასრულდა, „ზედმეტი“ ღვიძლი კი, ბიჭს უფრო დაბლა – კუჭთან ახლოს გადაუტანეს. იმრან თარიკი კარგა ხანს მკურნალობდა პაკისტანულ ექიმბაშ-საკიმბთან, რომლებმაც მას ჭლექისა და პნევმონიის დიაგნოზი დაუსვეს. მას პატარაობიდანვე აწუხებდა ტკივილები გულმკერდის არეში და ვერ ჭამდა მშრალ, მაგარ საკვებს. ბოლოს და ბოლოს, მშობლებმა ჩვეულებრივ სამედიცინო ცენტრში მისი მოთავსება გადაწყვიტეს. რენტგენის მიუხედავად, გამოცდილმა ექიმებმა სურათზე ვერ დაინახეს მეორე ღვიძლი, რადგანაც მსგავსი შემთხვევა არც ერთი ქვეყნის სამედიცინო პრაქტიკაში ჯერ არ დაფიქსირებულა. და მხოლოდ ოპერაციის დროს, მათ აღმოაჩინეს, რომ თარიკს გულმკერდში, მარჯვენა მხარეზეც ჰქონდა ღვიძლი. სპეციალისტების თქმით, ბიჭმა შეიძლება, დონორობაც კი შეძლოს. მათი აზრით, მეორე ღვიძლი ამოღება თავად იმრანისთვისაც სასარგებლო იქნება.

# უნებუხად დასყვევებუდმა ქეხდმა დასახმახებდა ჰოლიციას მოხუმო

30 წლის გერმანელმა მძარცველმა ქალაქ არნსბურგის ცნობილი ქირურგის საოპერაციოს გაძარცვა განიზრახა და იქ, სახურავში ჩამონტაჟებული ლიუკიდან შეაღწია. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნადავლით დატვირთულმა, წასვლა დააპირა, აღმოაჩინა, რომ იმავე გზით შენობიდან გაღწევას ვერაფრით მოახერხებდა: მან მაგიდას სკამი დაადგა, მაგრამ ლიუკს მაინც ვერ შესწვდა. ბედოვლათი კრიმინალი იძულებული გახდა, პოლიცია გამოეძახებინა, რომელმაც ის ჯერ იძულებითი ტყვეობიდან გამოიხსნა, შემდეგ კი – დააპატიმრა. „მძარცველმა საოცრად გაიხარა პოლიციის გამოჩენით, რადგან ის ვერაფრით ისვენებდა მარტო, ქირურგიულ დარბაზში“, – უყვებოდა ჟურნალისტებს შემდგომ, პოლიციის დეპარტამენტის პრესსამსახურის წარმომადგენელი.





# ჩინელები ევხობულებს ემსგავსებუიან

ჩინეთში უჩვეულო მოდა გავრცელდა: შეძლებული მშობლები, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარებისთვის თავიანთ შვილებს კოსმეტიკური ოპერაციებით „ასაჩუქრებენ“. ჩინელ გოგონებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ისეთი პლასტიკური ოპერაცია, რომლის შედეგადაც, თვალების გაფართოების, ლოყების ცხიმის ფენის მოცილებისა და ცხვირის ფორმის შეცვლის წყალობით, ისინი ევროპელებს ემსგავსებიან. ტენდენციამ ცოტა არ იყოს, მანიაკური ხასიათიც კი მიიღო. მაგალითად, ქვეყნის სამხრეთით, ჰონკონგის მოსაზღვრე პროვინციის ქალაქ გუნჯოუს პლასტიკური ქირურგიის კლინიკაში გაკეთებული ოპერ-



აციების 90%, პირველკურსელი სტუდენტების წილად მოდის. სახის შეცვლის მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ამით დილუტანტი ექიმები სარგებლობენ და სარფიანი ბიზნესიც აქვთ გაჩაღებული. სავალალო შედეგების თავიდან ასაცილებლად, ხელისუფლებამ საგანგებო დადგენილება მიიღო, რომლის თანახმადაც, მსგავსი ოპერაციების ჩატარების უფლება მხოლოდ პლასტიკური ქირურგიის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს ეძლევათ. ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, – რომ უტყვიან: ამ დადგენილებამ ოპერაციებზე ფასების მკვეთრი ზრდა გამოიწვია...

# ფოტოკუჩიონები



ბაკურიანის ბარათისა და დასვენების ჯაღოსნურ  
სამყაროს 2003 წლიდან შეემატა ახალი, ულამაზესი

## სასტუმრო „მელისი“

*ტყის პირას*

თითოეული ნომერი აღჭურვილია აბაზანა-ტუალეტით, ტელევი-  
ზორით, ფრიჯში მინი ბარი, სასიამოვნო მუსიკა.

და რაც მთავარია, სუფთა ჰაერზე გაღვივებულ მადას პროფე-  
სიონალი მზარეულების მიერ მომზადებული უგემრიელესი,  
ეკოლოგიურად სუფთა, ქართული და ევროპული  
კერძები დაგიცხრობთ.

ეს ყველაფერი 15\$-ად.



*ბაკურიანი 2003*

**გააბარეთ ცხელი ზაფხული სიბრძნეუბი**

მის: თბილისი, უზნაძის ქ. № 113ბ; ☎ 94-23-55; 96-05-64; 899-17-15-19  
ბაკურიანი, აღმაშენებლის ქ. 55; ☎ 899-20-59-42; 899-24-86-86